



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ნინო იოსელიანი

მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

(პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია)

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ძლიერიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2021

აბსტრაქტი

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა

სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხშირად მიიღწევა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს სანივთოსამართლებრივ და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ყველა საშუალება ემსახურება სამოქალაქო სამართალში უხსოვარი დროიდან აღიარებული პრინციპის *Pacta sunt servanda*-ს (ლათ. შეთანხმებანი უნდა შესრულდეს) შესრულებას.

ნაშრომი წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა (პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია) მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევას. მასში სიღრმისეულად არის წარმოდგენილი ამ საშუალებათა დანიშნულება ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორიაში, დეტალურად არის შესწავლილი მოქმედ კანონმდებლობაში არსებული რეგულაციები, განხილულია თანამედროვე სამოქალაქო სამართლის თეორიაში გამოთქმული მოსაზრებები, შესწავლილია საქართველოს საერთო სასამართლოთა მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები (2001-2021წწ.), მომოხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების კერძო სამართალში არსებული იდენტური ან მსგავსი ინსტიტუტები, ასევე საერთაშორისო კერძოსამართლებრივი რეგულაციები.

ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა ჯეროვნად და ზედმიწევნით შესრულება განაპირობებს სამოქალაქო ბრუნვის სიმტკიცეს. ამ მიზნის მისაღწევად მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა ხშირი გამოყენება განსაკუთრებულად წარმოაჩენს პირგასამტეხლოს, ბეს და მოვალის გარანტიის მეცნიერულ დონეზე შესწავლის საჭიროებას.¹

¹ დღეისათვის, პირგასამტეხლო და ბე ფართოდ გამოყენებადი მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებებია, რაც არ ითქმის მოვალის გარანტიაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია

2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები

ნაშრომის მიზანია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა სრულყოფილი შესწავლა, ამ საშუალებათა მნიშვნელოვანი ფუნქციური დანიშნულების წარმოჩენა, ასევე მოქმედ კანონმდებლობასა და სასამართლოს პრაქტიკაში არსებული ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება.

3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომი სრულად შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სადისერტაციო ნაშრომისათვის დადგენილ მოთხოვნებს. სამეცნიერო ნაშრომი შედგება თავფურცლის, აბსტრაქტის, სარჩევის, გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხის, შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. თავები იყოფა პარაგრაფებად, ხოლო პარაგრაფები ქვეპარაგრაფებად.

დასკვნით ნაწილში, კვლევის შედეგად მიღებული მოსაზრებები, მოთხოვნის უზრუნველყოფის თითოეულ საშუალებასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებულია შემაჯამებელი თეზისების სახით, ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესატან საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით და სასამართლო პრაქტიკაში ერთგვაროვანი სტანდარტების დამკვიდრებისთვის.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისტორიულ-სამართლებრივი, ნორმატიული, დოგმატური, სოციოლოგიური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა

მოვალის გარანტიის უზრუნველყოფითი დანიშნულების მეცნიერული შესწავლა, ამ საშუალების თაობაზე სამართლებრივი ცნობადობის ამაღლებისთვის.

აღნიშნულ კვლევაში განსაკუთრებულად არის წარმოჩენელი მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა როლი ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში, რის გამოც კანონმდებლის მიერ ამ საშუალებათა მიმართ გამოყენებული ტერმინით „დამატებითი“, არ მცირდება მათი ფუნქციური დანიშნულება და აღნიშნული ტერმინი გულისხმობს სხვა საშუალებებთან ერთად ამ საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას და არა მათ ნაკლებად უზრუნველყოფით ხასიათს. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზრებები ემსახურება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა სამართლებრივი და პრაქტიკული გამოყენების მექანიზმების სრულყოფას.

Abstract of Dissertation

Additional Measures of Securing a Claim

(Penalty, Earnest Money and Debtor's Guarantee)

1. Topicality of the Dissertation, Novelty and Innovation of the Research

Fulfilment of the obligations under contractual relationships is often ensured by securities. Civil Code of Georgia provides for different forms of securities in property law and contractual law. All the measures of ensuring fulfilment of an obligation serve the ancient principle of civil law: *Pacta sunt servanda*.

The dissertation is an important scientific research on additional measures of securing a claim (Penalty, Earnest Money and Debtor's Guarantee). It includes: comprehensive description of the role of these measures in the history of Georgian civil law; detailed analysis of applicable legislation; discussion of the views expressed in modern civil law theory; results of studying the decisions of general courts of Georgia within the last 20 years (2001-2021); review of similar institutes in the private law of foreign countries and international private law regulations.

Due and complete fulfilment of undertaken contractual obligations ensures stability of civil turnover. Frequent use of additional measures of securing a claim for achieving this goal underlines the importance of scientific studies of penalty, earnest money and debtor's guarantee.²

2. Aim(s) and Objectives of Research

The aim of the dissertation is comprehensive research of additional measures of securing a claim; showing their functional importance; also identifying the defects and problems of current legislation and court practice and finding solutions.

² Nowadays penalty and earnest money are widely used additional measures of securing a claim, but we cannot say the same about debtor's guarantee. Accordingly, it is especially important to study securing function of debtor's guarantee and improve its legal understanding.

3. Dissertation Structure and Research Methodology

The dissertation fully corresponds with the dissertation requirements determined by the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The dissertation consists of title page, abstract, table of contents, list of abbreviations, introduction, four chapters, conclusion and bibliography. The chapters are divided into paragraphs and the paragraphs are split into sub-paragraphs.

The conclusive opinions about each measure of securing a claim are included in the conclusion in the form of summarizing theses. There are also recommendations about the amendments of the Civil Code of Georgia and establishing unified standards in court practice.

The research methods used in the dissertation are historical-legal; normative; dogmatic; sociological and comparative-law method.

4. Scientific and Potential Practical Importance of the Results of the Research

The research shows the significant role of the additional measures of securing a claim in fulfillment of undertaken contractual obligations. Accordingly, the term “additional” used by the legislator in reference to these measures does not anyhow decrease their functional importance. This term just implies that these measures can be used together with other measures but it does not mean that their securing role is less important. The conclusions resulted from the research contribute to improvement of legal instruments and practical use of additional measures of securing a claim.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	2
1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა	2
2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები	3
3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია.....	3
4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა	3
Abstract of Dissertation.....	5
1. Topicality of the Dissertation, Novelty and Innovation of the Research	5
2. Aim(s) and Objectives of Research.....	5
3. Dissertation Structure and Research Methodology	6
4. Scientific and Potential Practical Importance of the Results of the Research.....	6
გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხა	12
შესავალი	14
თავი I.....	20
1.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ცნობილი სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის სახეები, მათი კლასიფიკაცია და ზოგადი დახასიათება.....	20
1.1.1. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება (გირავნობა, იპოთეკა).....	23
1.1.2. ხელშეკრულებები ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის შესახებ (საბანკო გარანტია, თავდებობა).....	26
1.1.3. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი კანონისმიერი დათქმები	27
თავი II.....	31
პირგასამტეხლო.....	31
2.1. ქართული პირგასამტეხლოს განვითარების ისტორიიდან.....	31
2.1.1. რომის სამოქალაქო სამართალი პირგასამტეხლოს შესახებ.....	31
2.1.2. პირგასამტეხლო ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში	35
2.1.3. პირგასამტეხლო რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში	38
2.1.4. პირგასამტეხლო ქართულ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში	42
2.2. პირგასამტეხლო თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში, ზოგადი დებულებები.....	47
2.2.1. პირგასამტეხლოს ცნება	47
2.2.2. პირგასამტეხლოს საგანი	53
2.2.3. პირგასამტეხლოს შეთანხმების მხარეები	54
2.2.4. პირგასამტეხლოს შეთანხმების ფორმა	55

2.2.5. პირგასამტეხლოს სახეები	59
2.2.5.1. პირგასამტეხლოს სახეები დაწესების წყაროების მიხედვით (სახელშეკრულებო და კანონისმიერი /ნორმატიული პირგასამტეხლო)	59
2.2.5.2. პირგასამტეხლოს გამოთვლის სახეები (ჯარიმა, საურავი).....	63
2.2.5.3. პირგასამტეხლოს სახეები ასანაზღაურებელი ინტერესების მოცულობის მიხედვით: კუმულატიური (საჯარიმო), ალტერნატიული, ჩათვლითი და საგამონაკლისო (ექსკლუზიური) პირგასამტეხლო	65
2.2.6. პირგასამტეხლოს ფუნქციები.....	68
2.2.6.1. ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია. ..	69
2.2.6.2. ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ფუნქცია.....	72
2.2.7. პირგასამტეხლო და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.....	75
2.2.8. შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, ზოგადი მიმოხილვა (დავის სუბიექტები, დავის ფარგლები და ეტაპები).....	76
2.2.8.1. საქმეში არსებულ გარემოებათა დადგენა და მათი შესწავლა	84
2.2.8.2. პირგასამტეხლოს მოცულობის გამოანგარიშება	88
2.2.8.3. საქმეში არსებული გარემოებების შეწავლის საფუძველზე პირგასამტეხლოს მოცულობის შეუსაბამოდ მაღლად მიჩნევა.....	91
2.2.8.4. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება.....	94
2.2.9. პირგასამტეხლო და პროცენტი	98
2.3. პირგასამტეხლო საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში.....	102
2.3.1. პირგასამტეხლო კონტინენტური ევროპის სამართალში.....	102
2.3.2. სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალებანი საერთო სამართალში, ზოგადი დასახიათება	113
2.3.2.1. წინასწარ განსაზღვრული ზიანი და ჯარიმა ინგლისური სამართლის დოქტრინაში, სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ აქტებში	115
2.3.2.3. წინასწარ განსაზღვრული ზიანი და ჯარიმა ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის დოქტრინაში, სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ აქტებში.....	121
2.4. პირგასამტეხლო საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტებში, უნიფიცირებულ ნორმებში, პრინციპებსა და წესებში.....	125
2.4.1. ბენილუქსის კონვენცია საჯარიმო თანხებთან დაკავშირებული ერთგვაროვანი სამართლის შესახებ 1973.....	125
2.4.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (1980)	126

2.4.3. საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კომისიის ერთგვაროვანი წესები ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელშეკრულებო პირობებით შეთანხმებული თანხის გადახდაზე (1983)	128
2.4.4. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (78)3 სამოქალაქო სამართალში საჯარიმო დათქმების შესახებ 1978	131
2.4.5. ევროპის კავშირის საბჭოს დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიან გამონათქვამებთან დაკავშირებით 39/13/EEC 05.04.1993	133
2.4.6. უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები 1994, 2004, 2010, 2016	133
2.4.7. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები 1998, 2002	136
2.4.8. ევროპული სახელშეკრულებო კოდექსის პროექტი 2001	137
2.4.9. ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განსაზღვრებანი და მოდელური წესები, საერთო საძიებო სქემის ჩარჩო პროექტი 2009	138
თავი III	140
ბე	140
3.1. ქართული ბეს განვითარების ისტორიიდან	140
3.1.1. რომის სამოქალაქო სამართალი ბეს შესახებ	140
3.1.2. ბე ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში	144
3.1.3. ბე რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში	147
3.1.4. ბე ქართულ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში	150
3.2. ბე თანამედროვე ქართულ სამოქალაქო და საჯარო სამართალში, ზოგადი დებულებანი	152
3.2.1. ბეს ცნება	152
3.2.2. ბეს საგანი	153
3.2.3. ბეს შეთანხმების მხარეები	154
3.2.4. ბეს შეთანხმების ფორმა	155
3.2.5. ბეს ფუნქციები	161
3.2.5.1. დამადასტურებელი ფუნქცია	161
3.2.5.2. უზრუნველყოფითი ფუნქცია	162
3.2.5.3. საგადამხდელო ფუნქცია	164
3.2.5.4. საკომპენსაციო ფუნქცია	165
3.2.6. ბე და ზიანის ანაზღაურება	166
3.2.7. ბე და ავანსი (წინასწარი გადახდა)	167
3.2.8. გასამცლელი ე.წ. საჯარიმო თანხა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის	170

3.2.9. ბეს ცნება და მისი რეგულაციები სახელმწიფო და მუნიციპალური (თვითმმართველი ერთეულის) ქონების განკარგვის წესებში	174
3.3. ბე საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში	177
3.3.1. ბე კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში	177
3.3.2. ბე საერთო სამართალში	183
3.4. ბე საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტებში, უნიფიცირებულ ნორმებში, პრინციპებსა და წესებში.....	187
3.4.1. ევროპის კავშირის საბჭოს დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიან გამონათქვამებთან დაკავშირებით 39/13/EEC 05.04.1993.....	187
3.4.2. უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები 1994, 2004, 2010, 2016.....	188
3.4.3. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები 1998, 2002	189
3.4.4. ევროპული სახელშეკრულებო კოდექსის პროექტი 2001	189
3.4.5. ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განსაზღვრებანი და მოდელური წესები, საერთო საძიებო სქემის ჩარჩო პროექტი 2009.....	190
თავი IV	191
მოვალის გარანტია	191
4.1. ქართული მოვალის გარანტიის ისტორიიდან	191
4.2. მოვალის გარანტია თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში, ზოგადი დებულებები.....	191
4.2.1. მოვალის გარანტიის ცნება	192
4.2.2. მოვალის გარანტიის საგანი	193
4.2.3. მოვალის გარანტიის შეთანხმების მხარეები	196
4.2.4. მოვალის გარანტიის შეთანხმების ფორმა	197
4.2.5. მოვალის გარანტიის ფუნქციები.....	198
4.2.5.1. მთავარი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია.....	198
4.2.5.2. შეპირებული სხვაგვარი მოქმედების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია.....	200
4.2.6. ზიანის ანაზღაურების საკითხი მოვალის გარანტიის შეთანხმების დროს	203
4.2.7. სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში კანონსაწინააღმდეგო და ზედმეტადმავალელებელი მოვალის გარანტიის დროს.....	205
4.3. მოვალის გარანტია საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში	209
დასკვნა	212
პირგასამტეხლო.....	212
ბე.....	218
მოვალის გარანტია.	227

ბიბლიოგრაფია	230
ლიტერატურა ქართულ ენაზე.....	230
ლიტერატურა ინგლისურ ენაზე.....	237
ლიტერატურა რუსულ ენაზე	242
საქართველოს საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებები.....	246
საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებები	251
საქართველოს კანონმდებლობა	251
საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა.....	253
საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტები	255
გამოყენებული ინტერნეტ რესურსები.....	255

გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხა

ქართულ ენაზე

ა.შ. – ასე შემდეგ

გვ. – გვერდი, გვერდები

ე.წ. – ეგრეთ წოდებული

თარგ. - თარგმანი

თბ. – თბილისი

იხ. – იხილეთ

ინგ. – ინგლისურად

ლათ. – ლათინურად

რედ. – რედაქტორი

რუს. – რუსულად

სხვ. – სხვა

ტ. – ტომი

ქ. – ქალაქი

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეად. – შეადარეთ

წ. – წელი

წწ. – წლები

ინგლისურ ენაზე

ed. – edition - გამოცემა

p. – page – გვერდი

pp. – pages – გვერდები

Vol. – Volume –ტომი

რუსულ ენაზე

M. – Москва – მოსკოვი

Отв. ред. – ответственный редактор – პასუხისმგებელი რედაქტორი

Пер. – перевод – თარგმანი

Под ред. – под редакцией – რედაქციით

СПб– Санкт-Петербург – სანქტ-პეტერბურგი

Стр. – страница – გვერდი, страницы – გვერდები

Т. –Том– ტომი

N / No. /№ - ნომერი

§ - პარაგრაფი

% - პროცენტი

შესავალი

ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, საქართველო, მისი ტერიტორიული მდებარეობიდან გამომდინარე არაერთხელ გამხდარა ევროპულ თუ აზიურ კულტურათა მიკუთვნების საგანი. ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ პერიოდში ტერიტორიული მდებარეობა განაპირობებდა კიდეც საქართველოში აღმოსავლური და დასავლური სამართლის ინსტიტუტების, აგრეთვე სამართლებრივი ტერმინოლოგიის დამკვიდრებას. თუმცა, ქართული კერძო სამართალი ყოველთვის იზიარებდა ძველი ბერძნულ-რომაული სამართლის იდეებს, რაც წარმოადგენს დასავლური კერძო სამართლის ფუნდამენტს.

1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის³ მიღებამ ისტორიული გამოწვევის წინაშე დააყენა ქვეყანა, კერძოდ, საქართველოს სათანადო კანონმდებლობის შემოღებით დამოუკიდებლად უნდა განესაზღვრა მისი სწრაფვა სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ღირებულებებისადმი.

სახელმწიფოს მხრიდან კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სათანადოდ რეგულირება, ასევე კერძოსამართლებრივი ინსტიტუტების დაცვა წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთ დასტურს, რის გამოც კერძო სამართლის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა გვევლინება ქვეყნის დემოკრატიულობის ერთგვარ ინდიკატორად.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს 1997 წლის 26 ივნისის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (N786-III).⁴ სამოქალაქო კოდექსზე შეინიშნება გერმანული სამართლის ზეგავლენა, რის გამოც ის მიკუთვნებულია გერმანული სამართლის ოჯახს.

³ 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, N95, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32362?publication=0>>, [17.06.2021].

⁴ 1997 წლის 26 ივნისის საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, N786-III, შემდგომში - სამოქალაქო კოდექსი, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702>>, [17.06.2021].

„სამოქალაქო კოდექსის შემუშავებით, საქართველო პირველად კი არ გაერთიანდა ამ ოჯახში, არამედ მასთან „ჩატეხილი“ ძველი ხიდი აღადგინა მხოლოდ.“⁵

მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა არამარტო ახლებურ სამართლებრივ ჭრილში მოაქცია ქართულ სამოქალაქო სამართალში საბჭოთა წყობილების დროს არსებული ცნებები, ასევე დანერგა ახალი კერძოსამართლებრივი ინსტიტუტები. აღნიშნული მოსაზრება სრულად შეიძლება გაზიარებულ იქნეს სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველყოფის საშუალებების მიმართ.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებს დიდი ხნის ისტორია აქვთ და მათ შესახებ ცნობები მოიპოვება ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის წყაროებში. მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულება აქტუალურ საკითხს წარმოადგენს თანამედროვე სახელშეკრულებო ურთიერთობებშიც, რაც ხშირად მიიღწევა სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ემსახურებიან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას. შესაბამისად, ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფაც ხდება არის მთავარი (ძირითადი) ვალდებულება, ხოლო მისი შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები ქმნიან დამატებით (აქცესორულ) ვალდებულებებს. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები უზრუნველყოფენ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, რაც ზრდის მათ მნიშვნელობას და ამავდროულად მათი შესწავლის საჭიროებასაც. აღნიშნულ საჭიროებას, ადასტურებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დასახელებული ინსტიტუტების ხშირი გამოყენებაც, ასევე მდიდარი სასამართლო პრაქტიკა.

სამეცნიერო კვლევის მიზანია სამოქალაქო კოდექსით მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებად აღიარებული პირგასამტეხლოს, ბეს და მოვალის გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტების შესწავლა კანონმდებლობასა და სამართლის დოქტრინაში, ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

⁵ ზოიძე ბ., ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N6/2003-1, გვ. 104.

წინამდებარე ნაშრომი არის დასახელებული ინსტიტუტების სამეცნიერო კუთხით სრულყოფილი შესწავლის პირველი მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში პირგასამტეხლო და ბე მიეკუთვნება ფართოდ გამოყენებად უზრუნველყოფის საშუალებებს, ქართულ ცივილისტიკაში აღნიშნული საშუალებების შესახებ არ მოიპოვება ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა. კვლევის მიზანია, ასევე მოქმედი სამოქალაქო კოდექსით შემოღებული და მანამდე უცნობი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, მოვალის გარანტიის შესწავლა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ხანგრძლივი შესწავლისა და კვლევის შედეგს. კვლევის დაწყების პერიოდში, რიგ საკითხებთან დაკავშირებით, ქართული ცივილისტიკა, მხოლოდ აღწერილობითი ხასიათის იყო. ამ კუთხით, დასაფასებელია ბოლო პერიოდში თითოეული მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, კვლევის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე. კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, რომელიც დღეისათვის ძირითადად ინარჩუნებს ერთგვაროვან მიდგომებს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში (თუმცა რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს თავად სასამართლო პრაქტიკით დადგენილი განმარტებებისგან განსხვავებულ სამართლებრივ შეფასებებსაც).

სამეცნიერო ნაშრომში მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების შესწავლის მიზნით გამოყენებულია კვლევის ისტორიულ-სამართლებრივი, ნორმატიული, დოგმატური, სოციოლოგიური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდი გამოყენებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა სამართლებრივი ევოლუციის შესწავლისათვის. კერძოდ, აღნიშნული საშუალებები შესწავლილია ანტიკური პერიოდის სამართლიდან თანამედროვე პერიოდამდე.

ნორმატიული მეთოდით ხორციელდება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა ადგილის განსაზღვრა სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველყოფის სფეროში. მაგ. მათი გამოყოფა მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან, სხვა საშუალებებთან საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა და ა.შ.

სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებული კვლევის **სოციოლოგიური** და **დოგმატური მეთოდები** ხელს უწყობენ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა მიმართ არსებული პრობლემატიკის გამოვლენას, არსებულ პრობლემათა გამომწვევი მიზეზების დადგენას და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრას.

სამეცნიერო ნაშრომში **შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი** გამოიყენება ქართულ სამოქალაქო სამართალში არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში არსებულ იდენტურ და მსგავს სამართლებრივ ინსტიტუტებთან შედარებისათვის, რის შედეგადაც მიიღწევა კომპარატივისტიკული სამართლებრივი დასკვნები.

ამრიგად, კვლევის მიზანია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენა სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების ისტორიულ-სამართლებრივი ფესვების შესწავლა, დასახელებული ინსტიტუტების ცნებების, სახეების, ფუნქციების და სხვა სამართლებრივი მახასიათებლების განსაზღვრა. ამავდროულად, სასამართლო პრაქტიკასა და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაზე დაყრდნობით, საკანონმდებლო ხასიათის რეკომენდაციების შემუშავება-შეთავაზება.

სამეცნიერო ნაშრომი შედგება თავფურცლის, აბსტრაქტის, სარჩევის, გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხის, შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. თავები დაყოფილია პარაგრაფებად, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, კერძოდ, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით იყოფა ქვეპარაგრაფებად.

შესავალში ხაზი ესმევა სამეცნიერო ნაშრომის საკვლევი თემის აქტუალობას, საკვლევ საკითხთა გარშემო არსებულ პრობლემატიკას და ამ პრობლემათა გადაჭრის გზებს, სამეცნიერო კვლევის წინაშე დასახულ მიზნებს, ასევე კვლევაში გამოყენებულ მეთოდებს და ნაშრომის სტრუქტურის აღწერას.

ნაშრომის **პირველი თავი** ეთმობა სამოქალაქო კოდექსით ცნობილ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის სახეებს, მათ

კლასიფიკაციას და ზოგად დახასიათებას. ცალკე პარაგრაფებშია მიმოხილული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სანივთოსამართლებრივი საშუალებები: გირავნობა და იპოთეკა (საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება), ხელშეკრულებები ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის შესახებ (საბანკო გარანტია, თავდებობა), ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი კანონისმიერი დათქმები. აღნიშნული საშუალებები მოყვანილია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებთან მათი განმასხვავებელი თვისებების წარმოსაჩენად.

მეორე თავი ეხება პირგასამტეხლოს ინსტიტუტს და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ქართული პირგასამტეხლოს განვითარების ისტორია; პირგასამტეხლოს რეგულირება თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში: პირგასამტეხლოს ცნება, საგანი, შეთანხმების მხარეები, შეთანხმების ფორმა, სახეები, ფუნქციები, პირგასამტეხლო და სამოქალაქო პასუხისმგებლობა, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს საკითხი და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, პირგასამტეხლო და ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით დადგენილი პროცენტი; პირგასამტეხლო საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში; პირგასამტეხლო საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტებში, უნიფიცირებულ ნორმებში, პრინციპებსა და წესებში.

მესამე თავში განხილულია ბეს ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორცაა, ქართული ბეს განვითარების ისტორია; ბე თანამედროვე ქართულ სამართალში: ბეს ცნება, საგანი, შეთანხმების მხარეები, შეთანხმების ფორმა, ფუნქციები, ბე და ზიანის ანაზღაურება, ბე და ავანსი, ბეს სამართლებრივი რეგულაციები სახელმწიფო და მუნიციპალური (თვითმმართველი ერთეულის) ქონების განკარგვის წესებში, გასამცლელო (ე.წ. საჯარიმო თანხა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის); ბე საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში; ბე საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტებში, უნიფიცირებულ ნორმებში, პრინციპებსა და წესებში.

ნაშრომის **მეოთხე თავი** დათმობილი აქვს მოვალის გარანტიას, რომლითაც შესწავლილია ქართული მოვალის გარანტიის ისტორია; თანამედროვე სამოქალაქო სამართალში არსებული ზოგადი დებულებები მოვალის გარანტიის შესახებ:

მოვალის გარანტიის ცნება, საგანი, შეთანხმების მხარეები, შეთანხმების ფორმა, ფუნქციები, ზიანის ანაზღაურების საკითხი მოვალის გარანტიის შეთანხმების დროს, სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში კანონსაწინააღმდეგო და ზედმეტადმავალეული მოვალის გარანტიის დროს; მოვალის გარანტიის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში.

ნაშრომის **დასკვნაში** ჩამოყალიბებულია სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებული თეზისები, ასევე სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრებები სამოქალაქო კოდექსში შესატან საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთგვაროვნებისათვის გასათვალისწინებელი მიდგომები.

ნაშრომის ბოლოს, **ბიბლიოგრაფიაში** ჩამოთვლილია გამოყენებული ლიტერატურა, ქართული და უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო აქტები, გამოყენებული ინტერნეტ-რესურსები (ყველა გამოყენებული წყარო დალაგებულია სათანადო ანბანური თანმიმდევრობით).

წინამდებარე ნაშრომი ემსახურება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების: პირგასამტეხლოს, ბეს და მოვალის გარანტიის მნიშვნელოვანი სამართლებრივი დანიშნულების წარმოჩენას.

თავი I

1.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ცნობილი სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის სახეები, მათი კლასიფიკაცია და ზოგადი დახასიათება

სამოქალაქო კოდექსით, ვალდებულების ძალით კრედიტორი მხარე უფლებამოსილია მოვალეს მოთხოვოს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისგან თავის შეკავება (მუხლი 316.1). სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებებს. პირველს, წარმოშობს მხარეთა შეთანხმება (ხელშეკრულება), ხოლო მეორეს კანონით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევები, როგორცაა ზიანის მიყენება (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრება, კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები (მუხლი 317.1).

სამოქალაქო კოდექსი აღიარებს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რომლითაც კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ თავისუფლად, კანონის ფარგლებში დადონ ხელშეკრულებები და თავად განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მეტიც, დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებსაც არ ითვალისწინებს კანონი, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგება კანონს (მუხლი 319.1).

უზრუნველყოფილ შეიძლება იქნეს, მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ამასთანავე, ხელშეკრულება პირდაპირ უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა შეთანხმებას უზრუნველყოფის საშუალებათა გამოყენებაზე. შესაბამისად, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ მხარეთა ნება განსაზღვრავს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებათა წარმოშობას, ასევე ამ ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებას. ამგვარი შეთანხმების ნამდვილობისათვის სავალდებულოა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვა.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, ზოგ შემთხვევაში გამონაკლისის სახით სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად კანონითვეა გათვალისწინებული სათანადო უზრუნველყოფი უფლებები. კერძოდ, ამა თუ იმ

სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლით კრედიტორს კანონით ენიჭება ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად რაიმე მოქმედების გამოყენების შესაძლებლობა. მაგ. დაკავების უფლება, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრედიტორს შესაძლებლობას ანიჭებს ვალდებულების შესრულებამდე დააკავოს მოვალის ქონება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე⁶ და სხვ.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის საფუძველია. სახელშეკრულებო ურთიერთობებში აღნიშნული მიზანი ხშირად მიიღწევა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებები დამატებითი (აქცესორული) ვალდებულების მეშვეობით უზრუნველყოფენ ძირითადი (მთავარი) ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. ძირითადი ვალდებულების ბათილობა იწვევს დამატებითი ვალდებულების ბათილობას, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებათა ბათილობა არ განაპირობებს ძირითადი (მთავარი) ვალდებულების ბათილობას.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებანი უმთავრესად ქმნიან აქცესორულ ვალდებულებებს, კერძოდ, ვალდებულებებს, რომლებიც არსებობენ მხოლოდ ძირითად ვალდებულებებთან ერთად. ზოგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა არ უკავშირდება ძირითადი ვალდებულების არსებობას და ასეთი უზრუნველყოფის საშუალებანი არსებობენ ძირითადი ვალდებულებისგან დამოუკიდებლად, რის გამოც იწოდებიან არააქცესორულ უზრუნველყოფის საშუალებებად.⁷

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები ძირითადად უზრუნველყოფენ მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, თუმცა ვხვდებით ხელშეკრულების ორივე მხარის

⁶ იოსელიანი ნ., მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების შედარებითი დახასიათება დსთ-ს ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, კრებულში: საქართველოს განვითარების პერსპექტივები (მეორე რესპუბლიკური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია), რედ. ჭელიძე დ., თოქმაზიშვილი მ., ესაძე ლ., გეგეშიძე ა., თბ., კავკასიის უნივერსიტეტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2006, გვ. 260.

⁷ რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 546.

ინტერესების დამცველ საშუალებებსა და უფლებებს. მაგ. ბე, კანონით დადგენილი უფლებები უზრუნველყოფის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსით, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს, როგორც საკუთრებით (გირავნობა, იპოთეკა), ასევე მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებებით (პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია), აგრეთვე ხელშეკრულებებით ვალდებულების უზრუნველყოფის შესახებ (საბანკო გარანტია, თავდებობა).

ვინაიდან, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ზემოაღნიშნულ საშუალებებს ვხვდებით სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა წიგნებში, აღნიშნული საფუძვლით ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები იყოფა სანივთოსამართლებრივ (გირავნობა, იპოთეკა) და ვალდებულებითსამართლებრივ (პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია, საბანკო გარანტია, თავდებობა) საშუალებებად. მათგან, გირავნობა და იპოთეკა მიეკუთვნება უზრუნველყოფის ქონებრივ საშუალებებს, პირგასამტეხლო და ბე უზრუნველყოფის ფულად საშუალებებს, ხოლო მოვალის გარანტია, საბანკო გარანტია და თავდებობა უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებებს.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის, როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებითი საშუალებები ემსახურებიან ერთიან მიზანს: სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, თუმცა მათ გააჩნიათ სამართლებრივი რეალიზაციის განსხვავებული მექანიზმები. ვალდებულების შესრულებას სანივთო საშუალებებში უზრუნველყოფს საპირწონე ქონება, ვალდებულებით საშუალებებში მოვალის ქცევაზე ზემოქმედება.⁸

სამოქალაქო კოდექსით, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს (მუხლი 129.1), რომელიც ვრცელდება ყველა სახის სახელშეკრულებო მოთხოვნაზე.⁹ კოდექსითვეა დადგენილი, რომ „მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა

⁸ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 416, გვ. 485.

⁹ კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2017, მუხლი 129, ველი 1, გვ. 729.

ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა“ (მუხლი 145). აღნიშნულ მუხლში კანონმდებელი მოიაზრებს უზრუნველყოფის ყველა საშუალებას,¹⁰ საბანკო გარანტიის გარდა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს ძირითადი ვალდებულებისგან დამოუკიდებელ ვალდებულებას და მისი მოთხოვნის უფლება არ არის დაკავშირებული ძირითადი ვალდებულების მოთხოვნის უფლების ვადის გასვლასთან.¹¹

სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულობა არ აქარწყლებს რაიმე უფლების არსებობს, ის მხოლოდ გამორიცხავს არსებული უფლების მოთხოვნის შესაძლებლობას და მის რეალიზებას. ხანდაზმული უფლების შესრულება დამოკიდებულია, მხოლოდ მოვალე მხარის ნება-სურვილზე.¹²

როგორც უკვე იქნა აღნიშნული, წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია. სამოქალაქო კოდექსით ცნობილი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების ზოგადი მიმოხილვა, შესაძლებლობას იძლევა, რომ კვლევის საგნისგან გამიჯნულ იქნეს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებები.

1.1.1. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება (გირავნობა, იპოთეკა)

საკუთრება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს უფლებას. ის აღიარებული და ხელშეუვალია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით¹³ და მისი კონსტიტუციური გარანტიები ვრცელდება, არამხოლოდ პირსა

¹⁰ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., საია, 2006, გვ. 19.

¹¹ სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2017, მუხლი 145, ველი 5, გვ. 782.

¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1560-1463-2012, 28 დეკემბერი, 2012 წელი, ქ. თბილისი.

¹³ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია, N786-რს, <<https://www.matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36>>, [17.06.2021].

და სახელმწიფოს ურთიერთობებზე, ასევე საკუთრივ კერძოსამართლებრივ პირთა შორის არსებულ ურთიერთობებზეც.¹⁴

სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სანივთოსამართლებრივ საშუალებებს ეხება სამოქალაქო კოდექსის სანივთო სამართლის წიგნის მეექვსე თავი. აღნიშნული თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებით, ნაკისრი სახელმწიფოებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა ხორციელდება საკუთრებაში არსებული ქონებით და ამ საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა.

გირავნობა (მუხლები 254-285¹) არის ისეთი სანივთოსამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალება, რომლითაც მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფა ხდება მოძრავი ნივთებით ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთით, ხოლო ამავე მიზნით უძრავი ნივთის დატვირთვა წარმოადგენს **იპოთეკას** (მუხლები 286-310).

სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, როგორც გირავნობის, ასევე იპოთეკის შემთხვევაში ხდება მოვალის ან სხვა მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ქონებით. მესამე პირის საკუთრებაში არსებული ქონების გირავნობით ან იპოთეკით დატვირთვა საჭიროებს, ამ უკანასკნელის თანხმობას. უძრავი ნივთების შემთხვევაში უფლების გადაცემა საჭიროებს, უფლების რეესტრში რეგისტრაციას, მოძრავი ნივთის დროს ნივთის მფლობელობაში გადაცემას¹⁵, ხოლო არამატერიალური უფლების შემთხვევაში, სხვა პირზე უფლება გადადის იმ ფორმით, როგორი ფორმითაც ის არსებობდა გადასვლამდე.¹⁶

საქართველოს კანონმდებლობით, ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებულია გარკვეული შეზღუდვები რაიმე ქონების გირავნობის ან იპოთეკის საგნად გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგ. საქართველოს ორგანული კანონით,

¹⁴ ფირცხალაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომცემლობა შპს პეტიტი, 2013, მუხლი 21, გვ. 204.

¹⁵ სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლით (რეგისტრირებული გირავნობა), გირავნობა შესაძლებელია წარმოიშვას საჯარო რეესტრში ამ უფლების თაობაზე სათანადო წერილობითი გარიგების რეგისტრაციით, გირავნობის საგნის მფლობელობაში გადაცემის გარეშეც.

¹⁶ შნიტგერი ჰ., საკრედიტო სამართალი, ლუთრინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი, შუშკე ვ., სააღსრულებო სამართალი, ტოლკმიტი ი., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბ., სიესტა, 2011, გვ. 7-8.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, აკრძალულია (დაუშვებელია) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენება (მუხლი 100.2).¹⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეების მიერ გირავნობის ან იპოთეკის საგნად შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ საკუთრებაში მყოფი ისეთი ქონება, რომელიც თავისუფალ მიმოქცევაშია სამოქალაქო ბრუნვაში და კანონით ნებადართულია უზრუნველყოფის სახით მისი გამოყენება. „გირაოუნარიანია ყველა მოძრავი ნივთი, რომელიც სარგებლობაუნარიანია და გასხვისებაუნარიანია.“¹⁸ გირავნობით თანაბრად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ფულადი და არაფულადი მოთხოვნები (თუკი არაფულადი მოთხოვნის გამოხატვა შესაძლებელია ფულადი ფორმით).¹⁹

სახელშეკრულებო ვალდებულების იპოთეკით უზრუნველყოფა კრედიტორს შესაძლებლობას აძლევს, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სხვა კრედიტორებზე ადრე, კერძოდ, დატვირთული უძრავი ნივთიდან პირველ რიგში მიიღოს მოთხოვნის დაკმაყოფილება დატვირთული ნივთის რეალიზაციის გზით ან საკუთრებაში მისი გადაცემით (მუხლი 286.1).

აღნიშნულ აქცესორულ ურთიერთობაში იპოთეკარად იწოდება კრედიტორი, ხოლო მესაკუთრედ პირი, რომელიც თავისი უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვით უზრუნველყოფს ძირითად ვალდებულებას. მესაკუთრე შეიძლება იყოს, როგორც კრედიტორის პირადი მოვალე, ასევე სხვა პირი. იპოთეკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო და პირობით მოთხოვნებთან დაკავშირებით. შესაძლებელია, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ არსებობდეს იპოთეკის დადგენის დროს, თუმცა არსებობს მომავალში ნამდვილად და უტყუარად ამ მოთხოვნათა წარმოშობის საფუძველი.²⁰ უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვა იურიდიულ ძალის მქონეა, შესაბამის ორგანოში შეთანხმების რეგისტრაციის მომენტიდან.²¹

¹⁷ 2014 წლის 5 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, N1958-III, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=55>>, [17.06.2021].

¹⁸ ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბ., გამომცემლობა უფლება, 1999, გვ. 182.

¹⁹ ზარანდია თ., ჯულელი თ., მოძრავი ნივთით მოთხოვნის უზრუნველყოფა ქართულ სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2009, გვ. 28.

²⁰ თუმანიშვილი გ., საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, როგორ შევადგინოთ იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებები, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012, გვ. 18.

²¹ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2018, მუხლი 289, ველი 2, გვ. 481.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სანივთოსამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებები უზრუნველყოფის საგანზე წარმოშობენ უფლებას და უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორი მხარე კმაყოფილდება უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაციით²² ან ამ ქონების საკუთრებაში გადაცემის გზით.

1.1.2. ხელშეკრულებები ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის შესახებ (საბანკო გარანტია, თავდებობა)

საბანკო გარანტიის (მუხლები 879-890) და თავდებობის (მუხლები 891-905) მომწესრიგებელი სამართლის ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის წიგნის სახელშეკრულებო სამართლის კარით. როგორც საბანკო გარანტიის, ასევე თავდებობის შემთხვევაში, კრედიტორის ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს მესამე პირთა გადახდისუნარიანობა.²³

საბანკო გარანტიის ხელშეკრულება საბანკო მომსახურების სახეა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი ვალდებულების შესრულებას.²⁴ საბანკო გარანტიის დროს ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი), სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად ამ პირის (პრინციპალის) კრედიტორს (ბენეფიციარს) გადაუხდის ფულად თანხას, გადახდის თაობაზე ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. გარანტი შეიძლება იყოს, მხოლოდ კანონით განსაზღვრული იურიდიული პირი: ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია.

საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით, მესამე პირი (გარანტი) უზრუნველყოფს მოვალის (პრინციპალის) მიერ კრედიტორის (ბენეფიციარის) წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, „გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის

²² შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 276.

²³ რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 542.

²⁴ შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტ. II, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 879, გვ. 216.

ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე“ (მუხლი 881).²⁵

თავდებობა ვალდებულების შესრულების პიროვნული უზრუნველყოფის უძველესი საშუალებაა. თავდებობის ხელშეკრულებით, თავდები, წერილობითი ფორმით კისრულობს ვალდებულებას, რომ თავდებად დაუდგება კრედიტორის წინაშე მესამე პირს, მოვალის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებაზე,²⁶ ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სრულად იღებს მოვალის პასუხისმგებლობას. თავდებობის ხელშეკრულებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს რეალურად არსებული, სამომავლო და პირობითი ვალდებულებები.

1.1.3. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი კანონისმიერი დათქმები

ზემოთაღნიშნული უზრუნველყოფის საშუალებების გარდა, სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებითი სამართლის წიგნებში ვხვდებით ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფ, კანონისმიერ დათქმებს (ნორმებს), რომლებიც არ ქმნიან ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელ საშუალებათა სახეებს, თუმცა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს მათი მეშვეობით წარმოეშობათ ვალდებულების შესრულებაზე ზემოქმედების მომხდენი უფლებები.

აღნიშნული დათქმები, ზოგჯერ მოქმედებენ ხელშეკრულების მხარეების მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მათი გაუთვალისწინებლობის დროსაც, მაგ. საკუთრივ ხელშეკრულების ტექსტში მათი გაუთვალისწინებლობის დროს. დასახელებული დათქმების ამოქმედებისათვის საკმარისია, მხოლოდ მხარეთა მიერ ამა თუ იმ სახელშეკრულებო ვალდებულებაში შესვლა.

პირობადადებული საკუთრება წარმოადგენს კრედიტორის სანივთო უზრუნველყოფის სახეს. აღნიშნულ შემთხვევაში, მოძრავი ნივთის გასხვისების

²⁵ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., საია, 2006, გვ. 34.

²⁶ მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტ. I, თბ., GIZ, 2020, გვ. 32.

დროს, ნივთის შემძენისათვის გადაცემა არ წარმოშობს გადაცემულ ნივთზე საკუთრების უფლებას.²⁷ საკუთრების უფლება, შემძენს წარმოემობა შეთანხმებული ფასის სრულად დაფარვის მომენტიდან, რაც ამავდროულად იწვევს პირობადადებული საკუთრების შეწყვეტას.²⁸

პირობადადებული საკუთრების დროს, ნივთის გამსხვისებელი, თუ პირობად დებს, რომ გადაცემულ ნივთზე საკუთრების უფლება შემძენზე გადადის, მხოლოდ ნივთის საფასურის სრულად გადახდის შემდგომ, აღნიშნული პირობის შესრულება (თანხის სრულად გადახდა) წარმოშობს საკუთრების შემძენზე გადასვლის საფუძველს. მოცემული პირობა, ასევე მიიჩნევა შესრულებულად, როდესაც გამსხვისებელი კმაყოფილდება საფასურის გადახდისგან განსხვავებული ნებისმიერი გზით ან როცა შემძენი უთითებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე (მუხლი 188.2). „თუ შემძენი გააჭიანურებს საფასურის გადახდას, ხოლო გამსხვისებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, უკვე ორმხრივად განხორციელებული შესრულება მხარეებმა უნდა დააბრუნონ“ (მუხლი 188.1).

სამოქალაქო კოდექსით, ცალკეულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია კრედიტორი მხარის მიერ გირავნობის უფლების გამოყენებაც.²⁹ ასეთი უფლებას ეწოდება **კანონისმიერი გირავნობა**, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსხვავდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად გაფორმებული სახელშეკრულებო გირავნობისგან.

სამოქალაქო კოდექსით, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე შესაძლებელია უკვე არსებული ან მომავალში წარმოსაშობი უფლების დათმობით. ამგვარ შემთხვევას წარმოადგენს **უზრუნველყოფი ცესია**. ამ დროს, მოვალე კრედიტორს უთმობს მესამე პირების მიმართ არსებულ მოთხოვნას, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით.³⁰ უზრუნველყოფი ცესიის საგნად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მოთხოვნა ან უფლება, რომელიც შეიძლება დათმობილ და დაგირავებულ იქნეს

²⁷ რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 544.

²⁸ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 174.

²⁹ იხ. სამოქალაქო კოდექსის 568-ე, 586-ე, 596-ე 634-ე, 685-ე, 796-ე მუხლები.

³⁰ რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 543.

(მუხლი 198.1). მოთხოვნის ან უფლების მფლობელს უნდა გააჩნდეს მათი სხვა პირებისათვის გადაცემის უფლება და მნიშვნელობა არ ენიჭება მოთხოვნის კერძოსამართლებრივ თუ საჯაროსამართლებრივ ხასიათს.³¹ მოთხოვნა ან უფლება უნდა იყოს მოვალის საკუთრება და მათი გადაცემა არ უნდა იყოს აკრძალული, გამორიცხული, ან შეზღუდული კანონით.³²

უზრუნველყოფ კანონისმიერ დათქმებს, ასევე მიეკუთვნება **დაკავების უფლება**, რომლითაც კრედიტორი მასთან მყოფ მოვალის კუთვნილ ნივთს აკავებს მანამდე, ვიდრე მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულება სათანადოდ არ იქნება შესრულებული. სამოქალაქო კოდექსით პირდაპირ არის გათვალისწინებული აღნიშნული უფლების გამოყენების ნებადამრთავი და ამკრძალავი შემთხვევები.³³

საგულისხმოა, რომ დაკავების უფლება საქართველოსგან განსხვავებით ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელ საშუალებად³⁴ აღიარებულია რუსეთის ფედერაციის (მუხლები 359-360),³⁵ მოლდავეთის (მუხლები 637-641),³⁶ ყირგიზეთის (მუხლები 342),³⁷ უზბეკეთის (მუხლები 290-291),³⁸ ტაჯიკეთის (მუხლები 388-389),³⁹ აზერბაიჯანის (მუხლები 468-469),⁴⁰ ბელორუსიის (მუხლები 340),⁴¹ სომხეთის (მუხლები 373-374)⁴² სამოქალაქო კოდექსებით. ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსი დაკავების უფლებას მოიხსენიებს მოთხოვნის

³¹ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 257.

³² დარჯანია თ., უზრუნველყოფითი ცესია და მოვალის გარანტია, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 72.

³³ იხ. სამოქალაქო კოდექსის 500, 556-ე, 565-ე, 776-ე მუხლები.

³⁴ Зарандия Т., Правовое регулирование обеспечения исполнения обязательств в Грузии, <<https://cat.convdocs.org/docs/index-25566.html>>, [17.06.2021].

³⁵ Борисов А.Б., Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, 2-ое издание, М., Книжный мир, 2003, стр. 366-367.

³⁶ Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>, [17.06.2021].

³⁷ Комментарий к гражданскому кодексу Кыргызской республики, части первой, Т.2, ред. Галлямова Н.С., Кучерявая Г.А., Царнаева А.З., Бишкек, Академия, 2005, стр. 306-307.

³⁸ Гражданский кодекс Республики Узбекистан, №163-I, от 21.12.1995 года, <http://fmc.uz/legisl.php?id=k_grajid>, [17.06.2021].

³⁹ Гражданский кодекс Республики Таджикистан, Часть первая, №803 от 30.06.1999 года, <<https://lex.uz/docs/111181>>, [17.06.2021].

⁴⁰ Гражданский кодекс Азербайджанской Республики, №779-IQ от 28.12.1999 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30420111#sub_id=4620000>, [17.06.2021].

⁴¹ Гражданский кодекс Республики Беларусь, №218-3 от 07.12.1998 года, <http://etalonline.by/?type=text®num=НК9800218#load_text_none_1>, [17.06.2021].

⁴² Гражданский кодекс Республики Армения, №ЗР-239 от 28.07.1998 года, <http://www.parliament.am/law_docs/050598HO239rus.html?lang=rus>, [17.06.2021].

უზრუნველყოფის საშუალებათა ჩამონათვალში (მუხლი 292),⁴³ თუმცა არ იძლევა მის დეფინიციას და სათანადო მარეგულირებელ ნორმას.⁴⁴

ამრიგად, კანონით განსაზღვრული ნებისმიერი უფლება ან მოთხოვნა, რომელიც გათვალისწინებულია ვალდებულების ჯეროვნად (შეთანხმებისამებრ) შესრულების უზრუნველსაყოფად, განხილულ უნდა იქნეს, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ხელშემწყობი გარემოება.

⁴³ Гражданский кодекс Республики Казахстан, Общая часть, №269-ХІІ от 27.12.1994 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1006061>, [17.06.2021].

⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები უმთავრესად მიღებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მოდელური სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე. იხ. Курзински-Сингер Е., Зарандия Т., Рецепция немецкого вещного права в Грузии, «Вестник гражданского права», N 1, 2012, стр. 222, <<http://www.library.court.ge/upload/69192015-08-22.pdf>>, [17.06.2021].

თავი II

პირგასამტებლო

2.1. ქართული პირგასამტებლოს განვითარების ისტორიიდან

ქართულ სამოქალაქო სამართალში პირგასამტებლო წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ტრადიციულ საშუალებას. აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალების ისტორიული განვითარების შესწავლა ცხადყოფს, რომ განსხვავებულ პერიოდებში, მის აღსანიშნავად საქართველოში გამოიყენებოდა სხვადასხვა ტერმინები და ქართულ პირგასამტებლოზე გავლენას ახდენდა იმ ქვეყნების სამართლებრივი კულტურა, რომელთა ზემოქმედებასაც განიცდიდა ზოგადად საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება.

2.1.1. რომის სამოქალაქო სამართალი პირგასამტებლოს შესახებ⁴⁵

ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი, უპირველს ყოვლისა, განიცდიდა ძველი ბერძნულ-რომაული სამართლის გავლენას, რის გამოც ქართული პირგასამტებლოს ინსტიტუტის ისტორიის შესწავლას მივყავართ სამოქალაქო სამართლის ანტიკური პერიოდის სათავეებთან.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი პირგასამტებლოს იცნობდა *stipulatio poenae*-ს სახელით. აღნიშნული ტერმინი აერთიანებს ორ ცნებას სტიპულაციას, შეთანხმებას (*stipulatio*) და პოენას, სასჯელს (*poena, poine*). რომის სამოქალაქო სამართალში სტიპულაცია იყო კითხვა-პასუხის ფორმით, ე.წ. ვერბალურად დადებული ხელშეკრულება. მსგავსი სახის ხელშეკრულებები დადებულად ითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ერთი მხარის მიერ დასმულ შეკითხვას, რომელიც როგორც წესი შეიცავდა სამართლებრივი უფლებების წარმომშობ ან შემწყვეტ შინაარსს, მეორე მხარე დადებითად პასუხობდა.

⁴⁵ აღნიშნული ქვეპარაგრაფის ტექსტში გამოყენებულია ლათინური ტერმინები და სახელწოდებები.

რაც შეეხება პოენას, თავდაპირველად ძველ ბერძნულ და რომაულ მითოლოგიაში პოენა განასახიერებდა სასჯელისა და სამაგიეროს მიზღვევის ქალღმერთის ნემსიდას თანმხლებ დამსჯელ არსებას.⁴⁶ მოგვიანებით, პოენა სამართალში აღნიშნავდა სისხლის ფასს, რომელსაც მსხვერპლის ოჯახი მკვლელისგან იღებდა დანაშაულის გამოსყიდვის სანაცვლოდ.⁴⁷ ამრიგად, რომის სამოქალაქო სამართალში, *stipulatio poenae* ეწოდებოდა განსაზღვრულ თანხას, რომელსაც მოვალე უხდიდა კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

სტიპულაცია, ძველ რომში წარმოადგენდა პირგასამტეხლოზე შეთანხმების დადების თითქმის ერთადერთ ფორმას.⁴⁸ აღნიშნული შეთანხმება იღებოდა კითხვა-პასუხის მეშვეობით, რა დროსაც ერთი მხარის შეთავაზებას, მეორე მხარე ეთანხმებოდა მარტივი პასუხით ე.წ. *spondeo*-თი (ვპირდები, ვიღებ ვალდებულებას). კითხვა-პასუხის ფორმით ხელშეკრულებები ფორმდებოდა, როგორც რომის მოქალაქეებს (*cives romani*), ასევე პერეგრინებს⁴⁹ შორის. თავდაპირველად, *spondes - spondeo* (იღებ ვალდებულებას - ვიღებ ვალდებულებას) კითხვა-პასუხი გამოიყენებოდა, მხოლოდ რომის მოქალაქეების მიერ, ხოლო პერეგრინებს შორის მსგავსი ხელშეკრულებები იღებოდა *promittis - promitto* (მპირდები-გპირდები), *dabis - dabo* (გაცევი-მივიღე) და ა.შ. კითხვა-პასუხის ფორმებით. პირველ შემთხვევაში, შეთანხმებას ეწოდებოდა *sponsio*, ხოლო მეორე შემთხვევაში *stipulatio*, თუმცა ისინი არ განსხვავდებოდნენ იურიდიული შედეგებით.⁵⁰ ამავდროულად, შეთანხმების დადების დროს მხარეებს მოეთხოვებოდათ ერთსა და იმავე ადგილას ყოფნა.⁵¹

⁴⁶ Murray A.S., *Manual of Mythology: Greek and Roman, Norse and Old German, Hindoo and Egyptian Mythology*, reprinted from 2nd revised London ed., New York, CHARLES SCRIBNER'S SONS, 1892, p. 186, <https://archive.org/details/manualofmytholog00murr_0/page/n7/mode/2up>, [17.06.2021].

⁴⁷ ულპიანე დომიციუს (ლათ. *Ulpianus*, 170-228 წწ. რომაელი იურისტი) გამოყოფდა შემდეგ ტერმინებს: *Fraus*, *Poena* და *Multa*. პირველი აღნიშნავდა ზოგადად დანაშაულს, მეორე დანაშაულისთვის დაწესებულ სასჯელს, ხოლო მესამე ცალკეული დანაშაულისთვის დადგენილ ფულად საფასურს. იხ. *Dictionary of Greek and Roman Antiquities*, Edited by Smith W., 2nd ed., Boston, Little, Brown and Company, 1865, p. 929, <<https://ia601408.us.archive.org/8/items/dictionaryofgree00smituoft/dictionaryofgree00smituoft.pdf>>, [17.06.2021].

⁴⁸ Пергамент М.Я., *Договорная неустойка и интерес в римском и современном гражданском праве*, Одесса, Экономическая типография, 1899, стр. 78, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/271/88.html>>, [17.06.2021].

⁴⁹ რომის იმპერიის მიერ დაპყრობილი ხალხები (უცხოქვეყნელები), რომლებსაც გააჩნდათ ცალკე სამართალი - *ius gentium*.

⁵⁰ Покровский И.А., *История римского права*, СПб, Издательско торговый дом летний сад, 1998, стр. 397.

⁵¹ Новицкий И.Б., *Римское право*, 6-ое издание, М., Теис, 1998, стр. 157.

რომის სამოქალაქო სამართალში არსებული ზოგადი წესით, პირგასამტეხლოს უმთავრესად გააჩნდა ალტერნატიული ხასიათი და წესდებოდა ძირითად ვალდებულებასთან ერთად, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოვალე თავის თავზე იღებდა ალტერნატიული ვალდებულების შესრულებას. მსგავსი სახის სტიპულაციის მაგალითია, შემდეგი სახის დიალოგი: იღებ ვალდებულებას მონის გადაცემაზე პამფილიუს? იმ შემთხვევაში, თუკი არ გადასცემ, ივალდებულე თავს ასის გადაცემაზე? (*Pamphilium dari spondes? Si non dedaris centum dare spondes?*).⁵²

რადგანაც, ერთ-ერთი ვალდებულება ყოველთვის წარმოადგენდა მეორეზე უფრო მძიმეს, კრედიტორი იმედოვნებდა, რომ მოვალე რთული ვალდებულების თავიდან ასაცილებლად შეასრულებდა ნაკლებად უფრო მძიმეს.⁵³ ნიშანდობლივია, რომ დამატებით ნაკისრი ვალდებულების საგანი განსხვავებული უნდა ყოფილიყო ძირითადი შეთანხმების საგნისგან. რომის სამართალში აღიარებული მოსაზრებით, ის ვინც ერთსა და იმავე ვალდებულების შესრულებას პირდებოდა ორჯერ, არ იყო ვალდებული მის ერთხელ მეტად შესრულებაზე.⁵⁴

ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კუმულატიური პირგასამტეხლოს გამოყენება, რა დროსაც მოვალეს ეკისრებოდა, როგორც პირგასამტეხლოს გადახდა, ასევე უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულება დაიშვებოდა, მხოლოდ განსაკუთრებული მიზეზების არსებობის დროს.⁵⁵ გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომის სამართალში კუმულაციას წარმოადგენდა ის შემთხვევა, როდესაც ვალდებულების სრული შეუსრულებლობის დროს ძირითად ვალდებულებასთან ან ზიანთან ერთად მოთხოვნილი იყო პირგასამტეხლოს გადახდაც. დასახელებული შემთხვევა შეიძლება გამოიხაროს ფორმულით: $(a) + (p_1)$ ან $(b) + (p_1)$, სადაც (a) აღნიშნავს შეუსრულებელ ვალდებულებას, (m) ზიანის ანაზღაურებას, ხოლო (p_1) პირგასამტეხლოს. კუმულაციას ადგილი ქონდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთდროულად იყო მოთხოვნილი არადროული

⁵² Римское частное право, под. ред. Новицкого И.Б., Перетерского И.С., М., Юристъ, 1996, стр. 336.

⁵³ Пухан И., Поленак-Акимовская М., Римское право, пер. с макидонского, под. ред. Томсинова В.А. М., ЗЕРЦАЛО-М, 2003, стр. 297.

⁵⁴ Гарсиа Гарридо М.Х., Римское частное право: Казусы, иски, институты, пер. с испанского, отв. ред. Кофанов Л.Л., М., Статут, 2005, стр. 545-546.

⁵⁵ Пергамент М.Я., Договорная неустойка и интерес в римском и современном гражданском праве, Одесса, Экономическая типография, 1899, стр. 136, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/271/146.html#img147>>, [17.06.2021].

შესრულების (a), შესრულების დაგვიანებისგან დამდგარი ზიანის (m) და პირგასამტეხლოს (p_2) მოთხოვნა, რაც ქმნიდა ფორმულას: $(a) + (m) + (p_2)$.⁵⁶

stipulatio poenae უზრუნველყოფდა ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას და ძირითადი ვალდებულების ნამდვილობა განსაზღვრავდა ამ შეთანხმების სამართლებრივ ძალას. ძირითადი ვალდებულების ბათილად ცნობის დროს, ბათილად მიიჩნეოდა *stipulatio poenae*-ს შეთანხმებაც. ძირითად ვალდებულებაზე შეთანხმება კი ბათილი იყო: როდესაც ის ეწინააღმდეგებოდა კეთილ ნებას (*bonae fidei*),⁵⁷ როდესაც პირი მოითხოვდა საზღაურის მიღებას მამკვიდრებლისგან, მემკვიდრედ არ დასახელების დროს; ბათილად განიხილებოდა მესამე პირების სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებებიც, იმ მოსაზრებით, რომ ყველას თავად უნდა შეეძინა ის, რის მიმართაც გააჩნდა სამართლებრივი ინტერესი;⁵⁸ ძირითად ვალდებულებასთან ერთად პირგასამტეხლო ბათილი იყო, თუკი უზრუნველყოფილი ვალდებულება თავისი არსით იყო შესასრულებლად შეუძლებელი, უზნეო, კანონსაწინააღმდეგო ან გამორიცხავდა მხარეთა თავისუფალი ნებას.⁵⁹

ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, *stipulatio poenae*-ს უპირატესობად მიიჩნეოდა ის გარემოება, რომ აღნიშნული საშუალება ხელშეკრულების დადებისთანავე, წინასწარვე განსაზღვრავდა ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მოსალოდნელი ზიანის ფულად ანაზღაურებას და კრედიტორი მხარე თავისუფლდებოდა მიყენებული ზიანის მტკიცებისგან.⁶⁰

რომის სამოქალაქო სამართალი *stipulatio poenae*-ს განასხვავებდა მასთან სამართლებრივი ბუნებით ახლოს მდგომ სხვა საშუალებებისგან: *Stipulationes de usuris* - შეთანხმებებს პროცენტებზე სესხის ან სხვა საკრედიტო ხელშეკრულებების უზრუნველყოფისათვის; *Constitutum debiti prorii* - პრეტორის პაქტებით დაცულ

⁵⁶ იქვე, სტრ. 109-110, < <http://civil.consultant.ru/reprint/books/271/119.html> >, < <http://civil.consultant.ru/reprint/books/271/120.html> >, [17.06.2021].

⁵⁷ რომის სამართალში განასხვავებდნენ მკაცრი სამართლის (*strict iuris*) და კეთილი ნების (*bonae fidei*) ხელშეკრულებებს. მკაცრი სამართლის ხელშეკრულებებს განმარტავდნენ მათი სიტყვა-სიტყვითი შინაარსის მიხედვით, კეთილი ნების ხელშეკრულებების განმარტების დროს გამოიყენებოდა მორალური კატეგორიები: სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ა.შ.

⁵⁸ Римское частное право, под. ред. Новицкого И.Б., Перетерского И.С., М., Юристь, 1996, стр. 337.

⁵⁹ Барон Ю., Система римского гражданского права, в 6-ти книгах, СПб, Юридический центр пресс, 2005, стр. 552-553.

⁶⁰ Санфилиппо Ч., Курс римского частного права, пер. с итальянского, под общей ред. Дождева Д.В., М., Норма, 2007, стр. 288.

ხელშეკრულებებს, რომლებითაც ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დაწესებული იყო ალტერნატიული ვალდებულების შესრულება; *Jusjurandum* - ფიცით შეპირებულ (განმტკიცებულ) ვალდებულებებს.⁶¹

2.1.2. პირგასამტეხლო ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში

პირგასამტეხლო, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება ცნობილი იყო ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში. აღნიშნულ საშუალებას ვხვდებით, საეკლესიო და ძველ ქართულ სამართლის წერილობით წყაროებში.

საგულისხმოა, რომ ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი უზრუნველყოფის დასახელებულ საშუალებას არ იცნობდა პირგასამტეხლოს სახელწოდებით, თუმცა ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში ცნობილი „სამოსამშლელი“-ს ცნება წარმოადგენს პირგასამტეხლოს შინაარსის მქონე ტერმინს. აღნიშნული მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ ძველ ქართულში ტერმინი „მოშლა“ განიმარტებოდა, როგორც „საქმის აღარა ქ(მ)ნა.“⁶² შესაბამისად, სამოსამშლელი ეწოდებოდა პირის მოშლისათვის, პირის გატეხვისათვის ანუ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაწესებულ თანხას და ის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფართოდ გამოყენებად საშუალებას წარმოადგენდა.⁶³

სამოსამშლელისა და პირგასამტეხლოს ცნებების იდენტურობის დადგენისათვის მნიშვნელოვანი წყაროა კორიდეთის სახარების⁶⁴ მინაწერთა შორის

⁶¹ Пухан И., Поленак-Акимовская М., Римское право, пер. с макидонского, под. ред. Томсинова В.А. М., ЗЕРЦАЛО-М, 2003, стр. 297-298.

⁶² ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., მერანი, 1991, გვ. 511.

⁶³ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, სამოსამშლელი IX-XIII საუკუნეების საქართველოში წარმოადგენდა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფართოდ გამოყენებად საშუალებას. იხ. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984, გვ. 321.

⁶⁴ კორიდეთის სახარება მიეკუთვნება IX საუკუნეს, შესრულებულია ბერძნულ ენაზე ქართველი კალიგრაფის მიერ. სახარება X საუკუნიდან ინახებოდა სოფელ კორიდეთის ეკლესიაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია, ართვინის პროვინცია), XV საუკუნიდან სვანეთში, სოფ. კალაში. დღეისათვის, დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. სახარების არშიებზე შესრულებულია იურიდიული შინაარსის მქონე აქტები. იხ. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XX, გეორგიკა, ტ. VII, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, რედ. ყაუხჩიშვილი ს., თბ., გამომცემლობა მეცნიერება, 1967, გვ. 1-2, <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3428/1/Georgika_1967_Tomi_VII.pdf >.

შესრულებული ორი ნასყიდობის წიგნი. აღნიშნულ ნასყიდობის წიგნებზე, ტექსტის ბოლოს აღნიშნულია: „ვინცა ესე დაწერილი შალოს, ათი ბოტინატი ზღოს და ესე გაგებოლი ჰასრევე იყოს“⁶⁵ და „ვინცა ესე დაწერილი შალოს ლბ დრაჰკანი ზღოს და ესე არცა ეგრე იშალოს.“⁶⁶

ამ მინაწერებით ირკვევა, რომ ვალდებულების დამრღვევს (პირობის მშლელს), ვალდებულების შეუსრულებლობისთვის უნდა გადაეხადა ფულადი თანხა: პირველ შემთხვევაში, ბოტინატით,⁶⁷ მეორე შემთხვევაში, დრაჰკანით.⁶⁸ შესაბამისად, ამ პერიოდის საქართველოში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის უზრუნველყოფის სახით შეთანხმებული ფულადი თანხის გადახდა ითვლებოდა ჩვეულ ფაქტად.

ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში სამოსამშლელს შესახებ, ასევე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის, **ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული**.⁶⁹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შედგენის დროს საქართველო დაყოფილი იყო სამეფო-სამთავროებად, თუმცა კრებული გამოიყენებოდა

[17.06.2021]; კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), თბ., გამომცემლობა მეცნიერება, 1989, გვ. 8-11, 74-87, <<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/150779/1/KoridetiSabutebiX-XIII.pdf>>, [17.06.2021].

⁶⁵ „ქ. სახელითა ღ'თისათა და შოამდგომლობითა წ'სა და ღ'თის მშობელისათა მე ივანე მათემელმან დაგიწერე მიქაელ ხოცესსა კორიკეს ძესა მას ჟამსა, ოდეს ფარსმან გამგებლად იყო შოღლეითი, ივან წმინდასა თანა რლ მიწა იყო მისი ნახევარი ნიგოზითა ვიყიდე გიბედნიერენ ღთმან. ამას დაწერილსა მოწამენი არიან ვაშანაი და იანესა კორიდელი და თადეოვი და ნადირ ბერი და პეტრე და სროლად კორიდეთნი. დაიწერა ნადირის ძისა ხელით და ვინცა ესე დაწერილი შალოს, ათი ბოტინატი ზღოს და ესე გაგებოლი ჰასრევე იყოს“. იხ. Март Н.Я., Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, СПб, Известия Императорской академии наук, VI серия, Т.5, выпуск 4, 1911, стр. 230-231, <<http://www.mathnet.ru/links/c68ae046abc89845c24f3fb0aedbe580/im6876.pdf>>, [17.06.2021].

⁶⁶ „ქ. სახლითა ღ'ისათა ესე დაწერილი მე თიხჩე დაგიწერე შ-ნ ი'ნე და გ-ის ირემეთისა ჩ'მისა კერძისა ნახევარი ღ'ნ გიბედნიერენ თქ'ნ და თქ'ნთა მომავალთა დაიწერა გმგბლბსა ინე ფ'ჩუჭთისსა, ტანოტრობასა კორიდელისსა დორჩელი ი'ეტ'ხრი თავგოგისძე, პ'ე და სროლად კორიდეთი და ვინცა ესე დაწერილი შალოს ლბ დრაჰკანი ზღოს და ესე არცა ეგრე იშალოს“. იხ. Март Н.Я., Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, СПб, Известия Императорской академии наук, VI серия, Т.5, выпуск 4, 1911, стр. 235-236, <<http://www.mathnet.ru/links/c68ae046abc89845c24f3fb0aedbe580/im6876.pdf>>, [17.06.2021].

⁶⁷ ბიზანტიის იმპერატორ ნიკეფორე III ბოტანიატეს (1002-1081წწ.) მმართველობის პერიოდში მოჭრილი მონეტა.

⁶⁸ XI-XVII საუკუნეებში საქართველოში ოქროს ფულის აღმნიშვნელი ტერმინი.

⁶⁹ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული შედგენილია საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705-1708 წლებში ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (1675-1737 წწ.) ინიციატივით და თავმჯდომარეობით, რომელიც შედგება შესავლის და შვიდი წიგნისგან: სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული, სამართალი სომხური, სამართალი კათალიკოსთა, სამართალი მეფისა გიორგისა, სამართალი აღბუღასი, სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.⁷⁰ შესაბამისად, დასახელებულ კრებულში მოცემული რეგულაციები, ფაქტობრივად ასახავს საქართველოში საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის **ბექა-აღბუღას სამართლის წიგნით**,⁷¹ სამოსამშლელო წარმოდგენილია, როგორც ხელშეკრულების პირობათა დარღვევისთვის დადგენილი ფულადი თანხა. „თუ კაცმან კაცსა პაემანითა სახედარი რამე მიყიდოს, პაემანსა შიგნით ზნე რამე გამოაჩნდეს, მოშლა ემართლების უცილებლად, უსამშლელოდ. თუ გარეთ მოეშალოს, ათი თავი მისია, სამშლელოდ მისცეს. თუ დიდსა ხანსა ყოლოდეს, ეხედნოს და ავად გაეხადოს, კაცთა შეტყვევითა იგიცა კიდე შეუზღოს და თუ უსულო სასაქონლო რამე მისცეს, [მისიცა] ასე იქნას. ეს ბჭობა, პაემანსა გარეთ ერთი პაემნის ოდენი გამოსრულიყოს, მანამდი მოიხმარების, მას გარეთ ნულარ მიერჩის“ (მუხლი 89, პაემანით გაყიდვისა ასრე იქნას).⁷²

აღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ სახედრისა და უსულო საქონლის ყიდვა-გაყიდის დროს, ყურადღება ექცეოდა პირობის დროს ე.წ. „პაემანს“. ⁷³ როცა მხარეთა შეთანხმება იდებოდა ნასყიდობის საგნის ნაკლით, შეთანხმება იშლებოდა სამოსამშლელოს (სამამშლელოს)⁷⁴ დაკისრების გარეშე და შექმნილი საგანი უკან ბრუნდებოდა, პირობის გასვლამდე (პაემანსა შიგნით).⁷⁵ თუკი, პირობის დროის დასრულების შემდგომ, მყიდველი უარს ამბობდა შექმნილ საგანზე, გამყიდველის სასარგებლოდ მას ეკისრებოდა ხელშეკრულების მოშლისათვის ფასის მეთადის გადახდა. „ნასყიდობის მოშლა არა გზით არ შეიძლებოდა, თუ სყიდვას შემდეგ პაემანის ოდენი სხვა დრო გავიდოდა. მაგრამ უკეთუ პაემანი გათავდებოდა და ერთი იმოდენა დრო კი ჯერ გასული არ იყო,“⁷⁶ შეთანხმება ექვემდებარებოდა

⁷⁰ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, გვ. 27.

⁷¹ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი მიეკუთვნება XIII-XIV საუკუნეებს და მისი ავტორები არიან სამცხის მმართველები (ათაბაგები): ბექა I ჯაყელი (1240-1306წწ.), რომლის მიერაც შედგენილია „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“, და მისი შვილიშვილი აღბუღა I ჯაყელი (გარდაიცვალა 1395წ.), რომლის მიერ დამატებულ კანონებსაც ეწოდება „აღბუღას სამართლის წიგნი“.

⁷² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, რედ. დოლიძე ი., თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 460.

⁷³ ურბნელი ნ., ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ტფილისი, სტამბა-ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეტაევისა, 1890, გვ. 56,

⁷⁴ <http://www.library.court.ge/upload/atabagni_beqa_da_aghbugha_da_maTi_samartali.pdf>, [17.06.2021].

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე.

მოშლას. ამ შემთხვევაში, მყიდველს სამოსამშლელს გარდა ეკისრებოდა დამდგარი ზიანის ანაზღაურებაც.⁷⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ იქნება გაზიარებული ქართული სამართლის ისტორიაში გამოთქმული მოსაზრება, რომლითაც „ქართული წყაროების მიხედვით ბესა და პირგასამტეხლოს აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი წინდი“,⁷⁸ ხოლო „რაც შეეხება ტერმინ „პირგასამტეხლოს“, იგი ქართული სამართლის ან სხვა სახის ძეგლებში არ გვხვდება, მაგრამ მისი შინაარსი გაიგივებულია წინდთან.“⁷⁹

აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში ტერმინი „წინდი“ თავდაპირველად აღნიშნავდა ნიშნობის დროს მირთმეულ საჩუქარს, მოგვიანებით კი მხარეთა შეთანხმების უზრუნველსაყოფად გადაცემულ ნივთს ან თანხას (ბე), როდესაც სამოსამშლელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში წარმოადგენდა ვალდებულების არშემსრულებელი მხარის მიერ გადასახდელ ფულად თანხას. შესაბამისად, ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ერთმანეთისგან ძირეულად მიჯნავდა სამოსამშლელს (პირგასამტეხლოს) და წინდის (ბეს) ცნებებს და მათ ანიჭებდა განსხვავებულ სამართლებრივ დატვირთვას.

2.1.3. პირგასამტეხლო რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში მონარქიის გაუქმების და საიმპერატორო მმართველობის დამყარების შემდგომ, თავდაპირველად მოსახლეობას უფლება მიეცა სამოქალაქო საქმეებში ეხელმძღვანელათ ქართული ჩვეულებებითა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულით, ხოლო მათი არასაკმარისობის შემთხვევაში რუსეთის იმპერიის საერთო კანონებით.⁸⁰ ამასთანავე,

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბ., მერიდიანი, 2005, გვ. 324.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ Пахман С.В., История кодификации гражданского права, Т.II, СПб, Типография второго отделения собственной Е.П.В. канцелярии, 1876, стр. 475, < <http://civil.consultant.ru/reprint/books/106/477.html> >, [17.06.2021]; Памятники грузинского права, Т.I, Законы Вахтанга VI, пер. Пурцеладзе Д.Л., Тбилиси, Издательство Мецниереба, 1980, стр. 24.

ადგილობრივ მმართველობას დაევალა ქართული ჩვეულებებისა და ადათების შეგროვება, მათი შესაბამისობაში მოყვანა, ასევე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის რუსულ ენაზე თარგმნა. სამთავრობო სენატს, ახალი ქართული კანონების გამოცემაზე საქართველოდან შემოსულ სამოქალაქო საქმეებზე უნდა ეხელმძღვანელა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის რუსული თარგმანით.⁸¹

აღნიშნულის მიუხედავად, მოგვიანებით, ახალი ქართული კანონების მიღების ნაცვლად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა რუსეთის იმპერიის კანონმდებლობა⁸² და სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება დაექვემდებარა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულს (რუს. Свод Законов Российской Империи), რომელშიც თემატურად იყო გაერთიანებული რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედი კანონები. პირგასამტეხლო (რუს. неустойка) რეგულირდებოდა კრებულის 1573-1586 მუხლებით.⁸³

რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული განასხვავებდა კანონით და მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დადგენილ პირგასამტეხლოს. კანონისმიერი პირგასამტეხლო მოიაზრებოდა სამართლებრივ ურთიერთობაში იმის მიუხედავად, რომ მასზე შეთანხმება მხარეთა მიერ სათანადოდ არ იყო გამოხატული⁸⁴ და წესდებოდა კერძო პირთა შორის არსებულ სასესხო ვალდებულებების და ხაზინის მიმართ არსებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე. მაგ. კერძო პირთა შორის არსებული სასესხო ვალდებულებების შემთხვევაში, სესხის ვადაში გადაუხდელობა მსესხებელს აკისრებდა პირგასამტეხლოს გადახდას ერთჯერადი თანხის სახით გადაუხდელი კაპიტალის 3%-ის ოდენობით. ხაზინის მიმართ არსებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე პირგასამტეხლოს სპეციალურ წესებს განსაზღვრავდა დებულება სახაზინო ნარდობებსა და მიწოდებებზე.

⁸¹ საგანგებოდ შექმნილი კომიტეტის მიერ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის საფუძველზე შედგენილ იქნა კიდევ საქართველოსთვის სამოქალაქო სჯულდების პროექტი, თუმცა უცნობია მისი შემდგომი ბედი. იხ. Пахман С.В., История кодификации гражданского права, Т. II, СПб, Типография второго отделения собственной Е.П.В. канцелярии, 1876, стр. 476, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/106/478.html>>, [17.06.2021].

⁸² იქვე, стр. 476-477, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/106/478.html>>, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/106/479.html>>, [17.06.2021].

⁸³ Свод Законов Российской Империи, Т. X., 1900, стр. 134, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/211/135.html#img136>>, [17.06.2021].

⁸⁴ Кавелин К.Д., Права и обязанности по имуществам и обязательствам, СПб, Типография М.М. Стасюлевича, 1879, стр. 135.

სხვა დანარჩენ შემთხვევებში, ხელშეკრულების მხარეები, მათ შორის არსებული ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისა და გამყარებისთვის თავადვე თანხმდებოდნენ პირგასამტეხლოს გამოყენებაზე. ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი იყვნენ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში და პირგასამტეხლოს მოცულობას ადგენდნენ თავიანთი შეხედულებისამებრ.⁸⁵

საგულისხმოა, რომ აღნიშნული პერიოდის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს ცნებას და მის შინაარს განმარტავდა ცივილისტური ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა. პირგასამტეხლო განიმარტებოდა, როგორც ძირითად ვალდებულებასთან დამატებით მიერთებული პირობა, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეთანხმებული თანხის გადახდაზე,⁸⁶ რომელსაც ურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე ან ორივე კონტრაქტენტი იხდიდა იმ მხარის სასარგებლოდ, ვისი უფლებაც ირღვეოდა სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებით.⁸⁷ ჩვეულებრივ, ის წესდებოდა ფულადი სახით, ზოგ შემთხვევაში კი სხვა სახის ქონების მიწოდებით ან რაიმე მოქმედების განხორციელების პირობით.⁸⁸

რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული იცნობდა, მხოლოდ კუმულატიურ პირგასამტეხლოს, რის გამოც პირგასამტეხლოს გადახდა მოვალეს არ ათავისუფლებდა ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან, თუკი უშუალოდ ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის შემთხვევაში ვალდებულების შეწყვეტა.

გამოთქმული იყო მოსაზრებაც, რომ პირგასამტეხლოს შინაარსი არ უნდა გაგებულიყო, მხოლოდ კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით და აშკარა პირობის

⁸⁵ რუსეთის იმპერიის კანონთა კრებით, ჩერნოგორიისა და პოლტავის გუბერნიებში სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ვალდებულების ოდენობაზე მეტი. პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება აღნიშნულ გუბერნიებში გადადიოდა მოვალის მემკვიდრეებზეც, როცა პირგასამტეხლოს მოთხოვნაზე სარჩელის წარდგენა ხდებოდა ჯერ კიდევ მოვალის სიცოცხლეში ან ასეთ ჩანაწერს პირდაპირ შეიცავდა უზრუნველყოფილი ხელშეკრულება.

⁸⁶ Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, 6-ое издание, СПб, Издание Бр. Башмаковых, 1907, стр. 422.

⁸⁷ Договорное право по решениям кассационного сената, 2-ое издание, Владимир, Типография губернского правления, 1880, стр. 297.

⁸⁸ Мейер Д.И., Русское гражданское право, Часть 2, М., Статут, 1997, стр. 184-185.

გარდა, განმარტება უნდა მომხდარიყო ვალდებულების მთელი შინაარსიდან.⁸⁹ მაგ. თუკი პირგასამტეხლოს გადახდა მსახიობს ეკისრებოდა სპექტაკლში სიმღერაზე უარის თქმის დროს, კრედიტორს შეეძლო აენაზღაურებინა პირგასამტეხლოს გადახდა და არა მოთხოვნა გამოტოვებულ სპექტაკლში მონაწილეობაზე.⁹⁰

XX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის იმპერიის მმართველობისთვის თვალისაჩინო გახდა სამოქალაქო ურთიერთობების განვითარების შეუქცევადი პროცესი, რაც თავისმხრივ მოითხოვდა სამოქალაქო ბრუნვის რეგულირებისთვის ახალი წესების შემუშავებას. აღნიშნული საფუძვლით, მომზადდა კიდევ **სამოქალაქო სჯულდების პროექტი**, რომლის ავტორებიც მიზნად ისახავდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნაციონალურ კანონმდებლობებში დიდი ხნით ადრე ასახული ნოვატორული და პროგრესული იდეები სჯულდების ტექსტში თავმოყრას, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო სამოქალაქო სჯულდების პროექტი არ იქნა მიღებული. სამოქალაქო სჯულდების პროექტით განსხვავებულად იყო დანახული პირგასამტეხლოც⁹¹ (მუხლები 1601-1608).⁹²

⁸⁹ Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, 6-ое издание, СПб, Издание Бр. Башмаковых, 1907, стр. 423.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ Гражданское уложение, проект высочайше учрежденной редакционной комиссии по составлению проекта гражданского уложения, 1905, < <http://oldlawbook.narod.ru/proektGU.htm> >, [17.06.2021]; Гуляев А.М., Русское гражданское право, обзор действующего законодательства и проекта гражданского уложения, Киев, Типография Императорского Университета Св. Владимира, 1907, стр. 239-242.

⁹² 1. ჩამოყალიბებული იყო პირგასამტეხლოს ცნება და ის განისაზღვრებოდა, როგორც მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში გადასახდელი ფულადი თანხა, არ გამოირიცხებოდა მისი არაფულადი სახით არსებობაც; 2. პირგასამტეხლოზე შეთანხმების ნამდვილობა საჭიროებდა წერილობით ფორმის დაცვას; 3. უარყოფილი იყო კანონისმიერი პირგასამტეხლოს ცნება; 4. სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან მოვალე თავისუფლდებოდა ძირითადი ხელშეკრულების ბათილობის, ასევე მისი ბრალის გარეშე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების დადგომისას; 5. თუკი ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა კონკრეტულ მითითებას პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის წარმოშობასთან დაკავშირებით, პირგასამტეხლოს მოთხოვნა კრედიტორს წარმოემოზოდა მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების გადაცილებიდან ან იმ მოქმედების შესრულებიდან, რომლის შეუსრულებლობაც იყო უზრუნველყოფილი; 6. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა პირგასამტეხლო ან ვალდებულების შესრულება (ასევე ზიანის ანაზღაურება). თუკი პირგასამტეხლო დაწესებული იყო ვალდებულების არასათანადოდ შესრულებისთვის ან განსაზღვრულ დროში შეუსრულებლობისთვის, კრედიტორს უფლება ჰქონდა მოეთხოვა პირგასამტეხლო, ვალდებულების შესრულებასთან ერთად; 7. პირგასამტეხლოს მიღებაზე კრედიტორის უარად მიიჩნეოდა, მისი მხრიდან არადროულად ან არასათანადოდ შესრულებული ვალდებულების მიღება, როდესაც მხარეთა შორის არ არსებობდა შეთანხმება, აღნიშნულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლების დატოვებაზე; 8. როდესაც პირგასამტეხლოს მიღების სანაცვლოდ კრედიტორი ითხოვდა ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მას შეეძლო მოეთხოვა არანაკლებ პირგასამტეხლოს თანხის მოცულობა. 9. სასამართლოს მინიჭებული ჰქონდა შეუსაბამოდ მაღალი

რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული მოქმედებას განაგრძობდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც,⁹³ კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, რომელმაც ხანმოკლე არსებობის გამო ვერ შეძლო სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირების სფეროში დამოუკიდებელი, ეროვნული კანონმდებლობის მიღება.⁹⁴

2.1.4. პირგასამტეხლო ქართულ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში

საქართველოს გასაბჭოების შემდგომ სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირების სფეროში დამკვიდრდა საჯარო ინტერესების დამცველი პრინციპები, რომლებითაც უმთავრესად უგულვებლყოფილ იქნა კერძო სამართლის ფუნდამენტური იდეები. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში არსებული სამოქალაქო ინსტიტუტები ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდნენ მხოლოდ კერძოსამართლებრივ ცნებათა არსებობის ილუზიას.

ზემოთაღნიშნულის ნათელი დასტურია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1923 წლის და 1964 წლის სამოქალაქო კოდექსები.⁹⁵ კერძოდ, 1923 წლის სამოქალაქო კოდექსი უარს აცხადებდა გასაბჭოებამდე წარმოშობილი სამოქალაქო უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე და სამართლებრივ რეგულირებაში აქცევდა, მხოლოდ საბჭოთა მმართველობის დამყარების დროიდან წარმოშობილ ურთიერთობებს.⁹⁶

პირგასამტეხლოს შემცირების უფლებამოსილება, რა დროსაც მხედველობაში მიიღებოდა მოვალის მდგომარეობა, ასევე კრედიტორის ქონებრივი და სხვა სამართლიანი ინტერესები.

⁹³ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ეროვნული ხელისუფლების მმართველობამ გასტანა 1921 წლის 25 თებერვლამდე, საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა წყობილების დამყარებამდე. იხ. საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801451?publication=0>>, [17.06.2021].

⁹⁴ ზოიძე ბ., ვეროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, გვ. 95.

⁹⁵ 1923 წლის 18 აგვისტოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში - 1923 წლის სამოქალაქო კოდექსი) მოქმედებდა 1923 წლის 1 სექტემბრიდან. აღნიშნული კოდექსი შეცვლილ იქნა 1964 წლის 26 დეკემბრის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსით (შემდგომში - 1965 წლის სამოქალაქო კოდექსი), რომელიც ძალაში იყო 1965 წლის 1 ივლისიდან და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი დღესმოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის თარიღიდან, კერძოდ 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

⁹⁶ საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი, თბ., სახელგამი, 1955, გვ. 3-5.

1964 წლის სამოქალაქო კოდექსი, მართალია უფრო ფართოდ მოიცავდა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს, თუმცა სამოქალაქო ურთიერთობათა შინაარსი, ამ ურთიერთობათა მონაწილეების უფლებები და მოვალეობები, ასევე ზოგადად სამოქალაქო სამართლებრივი ცნებები უმთავრესად შორს იყო კერძო სამართლის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებთან.

1923 წლის სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს იცნობდა „უპირობის ჯარიმის“ (მუხლები 141-142) სახელწოდებით და ასეთად ითვლებოდა ფულადი ან სხვა ქონებრივი საფასური, რომლის გადახდასაც ერთი კონტრაქტი მეორე კონტრაქტისთვის კისრულობდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან მისი არასათანადო შესრულების შემთხვევაში.

ფულადი სახით გადასახდელი თანხა შეიძლებოდა დადგენილიყო ჯარიმის ან საურავის სახით. ჯარიმის სახით დაწესებული პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებლობის დროს მოვალეს აკისრებდა წინასწარ განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დაწესებული საურავი გამოიანგარიშებოდა მთავარი ვალდებულების ღირებულებიდან პროცენტული მაჩვენებლით.

კანონმდებლობით, ასევე შესაძლებელი იყო უპირობის ჯარიმის სხვა ქონებრივი საფასურით დადგენაც, კერძოდ, სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი ნებისმიერი ქონებით: ნივთით ან მოთხოვნის უფლებით, რომელსაც მოვალე თმობდა კრედიტორის სასარგებლოდ.⁹⁷ გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირგასამტეხლოს ასეთი ფართო ცნება შესაძლოა წარმოადგენდეს სამოქალაქო სჯულდების პროექტის გადმონაშთს.⁹⁸

„პირგასამტეხლო“-ს ცნება შემოღებულ იქნა 1964 წლის სამოქალაქო კოდექსით (მუხლები 185-186). პირგასამტეხლოდ (ჯარიმად, საურავად) განიხილებოდა კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდაც

⁹⁷ აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. I, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 520.

⁹⁸ Grishin D.A., The Concept of Forfeit: Basic Principles, “Review of Central and East European Law”, Volume 26, Issue 1, 2000, p. 53.

მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ ეკისრებოდა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დროს, კერძოდ, შესრულების ვადის გადაცილებისათვის.

ამრიგად, ქართული საბჭოთა სამოქალაქო სამართალი იცნობდა როგორც სახელშეკრულებო, ასევე კანონისმიერი პირგასამტეხლოს ცნებებს. საბჭოთა პერიოდში კანონისმიერი პირგასამტეხლოები ფართოდ გამოიყენებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში და მათმა რაოდენობამ კულმინაციას XX საუკუნის 70-80-იან წლებში მიაღწია.⁹⁹ მაგ. ზოგ შემთხვევებში საწარმოთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში პირგასამტეხლო წარმოადგენდა აუცილებელ სახელშეკრულებო პირობას.¹⁰⁰

საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებდა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების არასათანადო შესრულების დროს, პირგასამტეხლოს გადახდისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხსაც. მაგ. 1923 წლის სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისგან მიჯნავდა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში დაწესებული უპირობის ჯარიმის გადახდის და ზიანის ანაზღაურების წესებს: პირველ შემთხვევაში, კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან უპირობის ჯარიმის გადახდა. მეორე შემთხვევაში, კი მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება კრედიტორს ანიჭებდა უფლებას, როგორც უპირობის ჯარიმის, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. მოვალეს უპირობის ჯარიმასთან ერთად ევალეებოდა იმ ზიანის ანაზღაურებაც, რომელსაც კრედიტორი განიცდიდა ვალდებულების არასათანადო შესრულებით ან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით (მუხლი 141.2). გამონაკლისის სახით და მხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით ცალკე გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაშვები იყო ზიანისა და უპირობის ჯარიმის ერთდროულად გადახდევინება (141-ე მუხლის 1-ლი შენიშვნა). ამასთანავე, კრედიტორს წინასწარი შეთანხმებით შეეძლო უპირობის ჯარიმის გადახდასთან ერთად დამატებით მოეთხოვა უპირობის ჯარიმით

⁹⁹ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга I, Общие положения, М., Статут, 2001, стр. 488.

¹⁰⁰ Карапетов А.Г., Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, М., Статут, 2005, стр. 58.

დაუფარავი მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამგვარი უპირობის ჯარიმით წინასწარ ფასდებოდა არა მთელი მოსალოდნელი ზიანი, არამედ მხოლოდ მისი მინიმალური თანხა.¹⁰¹

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა, ძირითადი ვალდებულების შეთანხმების ფორმის მიუხედავად, პირგასამტეხლოზე შეთანხმების ნამდვილობისთვის მოითხოვდა წერილობითი ფორმის დაცვას და მხარეთა მიერ აღნიშნული ფორმის დაუცველობა იწვევდა პირგასამტეხლოზე შეთანხმების ბათილობას.¹⁰²

საგულისხმოა, რომ 1964 წლის სამოქალაქო კოდექსში ვხვდებით მოვალის მიერ ვალდებულების ნატურით შესრულების წესს. კერძოდ, ვადის გადაცილების ან ვალდებულების სხვაგვარი არაჯეროვანი შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოვალეს არ ათავისუფლებდა ნატურით შესრულების ვალდებულებისგან, იმ შემთხვევების გარდა, როცა საგანგებო დავალებაზე დამყარებული ვალდებულება სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის კარგავდა ძალას. ვინაიდან, საბჭოთა პერიოდში საწარმოთა გეგმის შესრულება კონტროლდებოდა სამთავრობო დონეზე, ხელშეკრულების მხარეს არ შეეძლო მისი კონტრაქტის გათავისუფლება ხელშეკრულების შესრულებისგან და ხელშეკრულების შეუსრულებლობა ვალდებულების რეალურ შესრულებასთან ერთად იწვევდა დამატებით, პირგასამტეხლოს გადახდასაც.¹⁰³

ქართული საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობდა პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას. 1923 წლის სამოქალაქო კოდექსით, თუკი უპირობის ჯარიმა კრედიტორის ზიანთან შედარებით მეტისმეტად დიდი იყო, მოვალის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს გააჩნდა მისი შემცირების უფლება. მხედველობაში მიიღებოდა ფაქტები, თუ რამდენად იყო შესრულებული ვალდებულება, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, კრედიტორის ქონებრივი და ყოველგვარი სხვა პატივსადები ინტერესები (მუხლი 142).

¹⁰¹ აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ. I, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, გვ. 521.

¹⁰² იხ. 1923 წლის სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის მე-2 შენიშვნა; 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი.

¹⁰³ დავიდი რ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., გამომცემლობა განათლება, 1993, გვ. 209.

1964 წლის სამოქალაქო კოდექსით¹⁰⁴ კი სასამართლოს ან არბიტრაჟს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების უფლება გააჩნდა განსაკუთრებულ შემთხვევებში და აღნიშნული წესი ვრცელდებოდა, მხოლოდ სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის არსებულ დავებზე, თუკი გადასახდელი პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი) დიდად აღემატებოდა კრედიტორის ზარალს. ყურადღება ექცეოდა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მოცულობას, ვალდებულებაში მონაწილე მოქალაქეთა ქონებრივი მდგომარეობას, კრედიტორის ქონებრივ და სხვა ანგარიშგასაწევ ინტერესებს.

საბჭოთა სამოქალაქო სამართალში, პირგასამტეხლო უზრუნველყოფდა მოვალის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების განუხრელად და სრულყოფილად შესრულებას, რის გამოც მოვალეს ყველა ღონე უნდა ეხმარა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისთვის. პირგასამტეხლოს გადახდისგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენდა, მარტოდენ ის გარემოება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობაში მოვალეს არ გააჩნდა ანგარებიანი და ბოროტი განზრახვა.¹⁰⁵ მოვალის ბრალეული ქმედების გარეშე ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი არაჯეროვანი შესრულების სახით დადგომა, ქმნიდა მოვალის პირგასამტეხლოს დაკისრებისგან გათავისუფლების საფუძველს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს გადახდა მოვალეს ევალობოდა, თუკი მას პასუხისმგებლობა ეკისრებოდა საკუთრივ ძირითადი ვალდებულების დარღვევაზე.

რადგანაც, პირგასამტეხლო უზრუნველყოფდა, მხოლოდ ნამდვილი ვალდებულების შესრულებას, ამა თუ იმ საფუძვლით მთავარი ვალდებულების ბათილობა, მოვალეს ათავისუფლებდა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგანაც.

¹⁰⁴ იხ. 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 214-ე მუხლი.

¹⁰⁵ Краснокутский В.А., Кляцкин М.Г., Рындзюнский Г.В., Практика договоров, выпуск 1, 2-ое издание, М., юридическое издательство наркомюста Р.С.Ф.С.Р., 1926, стр. 76.

2.2. პირგასამტეხლო თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში, ზოგადი დებულებები

პირგასამტეხლო კერძო სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა. კერძო ხასიათის სახელშეკრულებო ურთიერთობები წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. სამოქალაქო კოდექსი გვევლინება უმნიშვნელოვანეს წყაროდ თანამედროვე ქართული პირგასამტეხლოს ინსტიტუტის გარშემო არსებულ საკითხთა შესწავლაში. პირგასამტეხლოს ინსტიტუტის სრულყოფილი კვლევა, ასევე საჭიროებს დოქტრინაში გამოთქმულ მოსაზრებათა განხილვას და სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული განმარტებების მიმოხილვას.

2.2.1. პირგასამტეხლოს ცნება

პირგასამტეხლოს ცნებას განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი, რომლითაც პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელსაც მოვალე იხდის ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების მიზანია მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. პირგასამტეხლო უზრუნველყოფს შეთანხმებული სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ინტერესს.¹⁰⁶ „ჯეროვანი შესრულება ვალდებულების შესრულების პრინციპია. ვალდებულების შესრულების პრინციპად მიჩნეულია, ასევე ვალდებულების ნატურით შესრულება, რასაც ლიტერატურაში რეალურ შესრულებას უწოდებენ“.¹⁰⁷

ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი არაჯეროვნად შესრულება იწვევს შეთანხმებული პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას. პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა კრედიტორს არ გააჩნია, თუ მოვალე პასუხს არა აგებს ვალდებულების შეუსრულებლობაზე ან ვალდებულების არაჯეროვნად

¹⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

¹⁰⁷ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., სამართალი, 1999, გვ. 38.

შესრულებაზე. კერძოდ, როცა ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი არაჯეროვნად შესრულება დგება მოვალის ბრალის (განზრახვის ან გაუფრთხილებლობის) გარეშე.

მაგ. პირგასამტეხლო არ შეიძლება მხარეს დაეკისროს იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების დარღვევას ადგილი აქვს შემთხვევითობის ან დაუძლეველი ძალის ე.წ. ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს. „შემთხვევითობის წინასწარი გათვალისწინება შეუძლებელია, პირმა არ იცის, არ შეეძლო სცოდნოდა და არც უნდა სცოდნოდა არამართლზომიერი შედეგის დადგომის შესაძლებლობა. შემთხვევითობა სუბიექტურად აუცდენელია.“¹⁰⁸ დაუძლეველი ძალა კი წარმოადგენს სიტუაციას, რომლის აცილებაც ვერ ხერხდება სათანადო ინფორმაციის ქონის შემთხვევაში.¹⁰⁹ ასეთი გარემოებებია: საომარი მდგომარეობა, ბუნებრივი და სტიქიური მოვლენები და სხვ.

აღნიშნულ შემთხვევებში, უპირობოდ არ გამოირიცხება მოვალის მხრიდან ნაკისრ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულება. თუმცა, როდესაც ზემოთ მოყვანილ სიტუაციებში, მოვალე ნაკისრ ვალდებულებას ვერ ასრულებს, მისი მხრიდან ვალდებულების „ვერ შესრულება“ არ შეიძლება შეფასდეს, ვალდებულების „არ შესრულებად“ (დარღვევად). შესაბამისად, მოვალის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული ვალდებულების დარღვევისათვის კანონით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგები.

მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, ასევე გამორიცხავს კრედიტორის მოთხოვნას შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდაზე. შეთანხმებული თანხის გადახდა მოვალეს ეკისრება, მხოლოდ ნამდვილი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.¹¹⁰ პირგასამტეხლოს გადახდა მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის, განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა იყოს ჩამოყალიბებული სტანდარტულ ხელშეკრულებებში.¹¹¹

¹⁰⁸ იქვე, გვ. 73.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 74

¹¹⁰ Burrows A., Remedies for Torts and Breach of Contract, 2nd ed., London, Dublin, Edinburgh, Butterworths, 1994, p. 316.

¹¹¹ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 418, ველი 2, გვ. 792.

მეტიც, პირგასამტეხლო მხარეს შეიძლება დაეკისროს, მხოლოდ იმ სახელშეკრულებო პირობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, რომლის დარღვევისათვისაც პირგასამტეხლოს გადახდაზე მხარეები წინასწარ, ხელშეკრულების დადების მომენტში თანხმდებიან. პირგასამტეხლოზე შეთანხმება წინ უნდა უსწრებდეს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას.

თუკი მოვალე არღვევს ისეთ სახელშეკრულებო პირობას, რომელიც არ არის პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულება, ასეთი სახის სახელშეკრულებო პირობის დარღვევის დროს დაუშვებელია პირგასამტეხლოს მოთხოვნა. აღნიშნულ შემთხვევაში, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ან ამ ვალდებულების შესრულება ან მის სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულება მხარეთა ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. პირგასამტეხლოთი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვნად შესრულება. პირგასამტეხლო შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი შინაარსის მქონე სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველყოფად, თუკი ეს უკანასკნელი არ არღვევს საკუთრივ სამოქალაქო სამართლის ძირეულ პრინციპებს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ნამდვილად, როდესაც მისით უზრუნველყოფილია დელიქტური ვალდებულებით წარმოშობილი გადასახდელის გადახდის ვალდებულება.¹¹² შეიძლება თუ არა აღნიშნული მოსაზრების გაზიარება ქართულ სამოქალაქო სამართალში? მაგ. მხარეთა შორის შეიძლება თუ არა დაიდოს შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრული იქნება დამდგარი კანონისმიერი ვალდებულების აღსრულების პირობები და ამ შეთანხმების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად მხარეების მიერ გამოყენებულ იქნეს პირგასამტეხლო?

თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსი, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან (მუხლი 319) გამომდინარე არ გამორიცხავს მსგავსი ტიპის შეთანხმების არსებობას. ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ

¹¹² Гражданское право, в 3-х томах, Т.1, 6-ое издание, под ред. Сергеева А.П., Толстого Ю.К., М., Издательство ПРОСПЕКТ, 2006, стр. 690.

„წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება, ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე სხვა რამ არ გამომდინარეობს“ (მუხლი 326). სამოქალაქო კოდექსით, ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული, რომ პირგასამტეხლო უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას. თუმცა, მისი დაწესება არ უკავშირდება ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსს, რის გამოც სამოქალაქო კოდექსით დასაშვებია პირგასამტეხლოს გამოყენება ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიზნით. აღნიშნული მსჯელობით, პირგასამტეხლომ შეიძლება უზრუნველყოს მხარეთა შორის შეთანხმებული იმ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესრულებაც, რომლის შინაარსიც ეხება კანონისმიერი ვალდებულებების შესრულების პირობებს.

სახელშეკრულებო პირობათა შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულებები იყოფა ცალმხრივად ან ორმხრივად მავალეებელ ხელშეკრულებებად. პირველ შემთხვევაში, ხელშეკრულების ერთ მხარეს გააჩნია, მხოლოდ უფლებები, ხოლო მეორე მხარეს მარტოდენ მოვალეობები. ორმხრივად მავალეებელ ხელშეკრულებებში, მხარეებს გააჩნიათ, როგორც უფლებები, ასევე ვალდებულებები. შესაბამისად, ამგვარ ხელშეკრულებებში თითოეული მხარეა კრედიტორი, ისევე, როგორც მოვალე.¹¹³

პირგასამტეხლო, როგორც ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ცალმხრივ, ასევე ორმხრივად მავალეებელ ხელშეკრულებებში. კერძოდ, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება შეიძლება დაეკისროს კერძო სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე იმ მხარეს, რომელიც ხელშეკრულებიდან გამომდინარე არის უზრუნველყოფილი ვალდებულების შემსრულებელი (მოვალე).

პირგასამტეხლოს გააჩნია ვალდებულებითი ხელშეკრულების ფორმა, რომელიც უკავშირდება რაიმე პირობას.¹¹⁴ პირგასამტეხლო, როგორც მოთხოვნის

¹¹³ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., სამართალი, 1999, გვ. 28.

¹¹⁴ Дернбург Г., Пандекты, Т. II, Обязательственное право, пер. Соколовского П., 3-ое издание, М., 1911, стр. 125.

უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება უზრუნველყოფს ძირითადი ვალდებულების შეთანხმებული სახით შესრულებას.

ძირითადი ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს რაიმე სახის მოქმედების შესრულებას ან მოქმედებისგან თავის შეკავებას. როდესაც, ხელშეკრულებით ნაკისრია რაიმე ვალდებულების შესრულება, პირგასამტეხლო მხარეს ეკისრება, მხოლოდ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის დროს, კერძოდ, უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას. თუკი პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი ვალდებულება გულისხმობს მოქმედებისგან თავის შეკავებას, რაიმეს არ განხორციელებას, ამ ვალდებულების დარღვევად, მის შეუსრულებლობად განიხილება იმ მოქმედების განხორციელება, რომლის არ შესრულებასაც უზრუნველყოფს პირგასამტეხლო. „ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევმა მხარემ უპირობოდ უნდა მოახდინოს პირგასამტეხლოს გადახდა“.¹¹⁵

სამოქალაქო კოდექსით ცნობილია წინარე ხელშეკრულების ცნება, რომელიც მხარეთა შორის წარმოშობს მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას (მუხლი 327.3). ვინაიდან, პირგასამტეხლო უზრუნველყოფს მოვალის მიერ ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მისით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ის წინარე შეთანხმებებიც, რომლებიც ფორმდება ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებათა წარმოშობამდე და ემსახურება მათ განხორციელებას.

პირგასამტეხლო აქცესორული ვალდებულებაა და არსებობს ძირითად ვალდებულებასთან. პირგასამტეხლოს არსებობა არ წარმოშობს დამოუკიდებელ ვალდებულებას.¹¹⁶ პირგასამტეხლოს ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობა თანხვედრაშია ძირითადი ვალდებულების სუბიექტთა შემადგენლობასთან.¹¹⁷ აღნიშნული მიდგომა ნარჩუნდება იმ დროსაც, თუკი ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებებში პირთა სიმრავლეს ან ხელშეკრულება დადებულია მესამე პირთა სასარგებლოდ.¹¹⁸ როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში ადგილი აქვს

¹¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის განჩინება N33/814-01, 26 ოქტომბერი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

¹¹⁶ International Encyclopedia of Comparative law, Vol. VII, Contracts in General, Chief Editor Mehren A.V., Chapter 16, Remedies for Breach of Contract, by Treitel G.H., Tubingen, Mouton, The Hague, Paris, Mohr J.C.B. (Siebeck P.), 1976, p. 94.

¹¹⁷ Гришин Д.А., Неустойка: теория, практика, законодательство, М., Статут, 2005, стр. 28.

¹¹⁸ იქვე.

ხელშეკრულების მხარეთა შეცვლას, პირგასამტეხლო თან მიჰყვება ძირითად ვალდებულებას და განაგრძობს ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას.

ზოგადი წესის თანახმად, პირგასამტეხლოზე შეთანხმება არ იწვევს ალტერნატიული ვალდებულების წარმოშობას, რის გამოც მოვალეს არ შეუძლია მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, საკუთარ თავს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა.¹¹⁹ ვალდებულების შესრულებასა და პირგასამტეხლოს მოთხოვნას შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მინიჭებული აქვს კრედიტორს. კრედიტორს შეუძლია მოითხოვს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის თუ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის დაწესებული პირგასამტეხლო ან მოითხოვოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება. გამონაკლისის სახით, ერთობლივად ორივე მოთხოვნაზე უფლება კრედიტორს ენიჭება, როდესაც პირგასამტეხლო შეთანხმებულია ვალდებულების დადგენილ დროში შეუსრულებლობაზე.¹²⁰

ამრიგად, პირგასამტეხლო გვევლინება მარტივ და მოქნილ საშუალებად მოვალეზე ზემოქმედების მოსახდენად, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. მტკიცების კუთხით, ზიანის ანაზღაურების ფაქტის დადასტურება წარმოადგენს უფრო რთულ პროცესს, ვიდრე პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფაქტის დადგენა.¹²¹ აღნიშნული საფუძვლით, პირგასამტეხლო კრედიტორისათვის წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობით განცდილი ზიანის ანაზღაურების მოხერხებულ საშუალებას.¹²²

¹¹⁹ International Encyclopedia of Comparative law, Vol. VII, Contracts in General, Chief Editor Mehren A.V., Chapter 16, Remedies for Breach of Contract, by Treitel G.H., Tubingen, Mouton, The Hague, Paris, Mohr J.C.B. (Siebeck P.), 1976, p. 94.

¹²⁰ იოსელიანი ნ., პირგასამტეხლო, „საქართველოს ნოტარიატი“, N2-3, 2005, გვ. 19-20.

¹²¹ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга I, Общие положения, М., Статут, 2001, стр. 665.

¹²² Гражданское право, Часть 1, 2-ое издание, под ред. Калпина А.Г., Масляева А.И., М., Юристь, 2002, стр. 473.

2.2.2. პირგასამტეხლოს საგანი

სამოქალაქო კოდექსით პირგასამტეხლო წესდება, მხოლოდ ფულადი თანხის სახით. სამოქალაქო კოდექსი ფულადი თანხის გარდა არ იცნობს სხვა საშუალებებით, კერძოდ, ქონების გადაცემით ან რაიმე სახის ქმედების (მოქმედების, თუ უმოქმედობის) შეპირებით პირგასამტეხლოს დაწესების შესაძლებლობას. ფული ანაზღაურების საყოველთაო საშუალებაა, ხოლო პირგასამტეხლოს ფულადი სახე მნიშვნელოვნად ამარტივებს მის საკომპენსაციო ხასიათს ვალდებულების შეუსრულებლობის დროს.

სამოქალაქო კოდექსით, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში (ქართული ლარი), თუმცა ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულების უცხოურ ვალუტაშიც დადგენაც, თუკი აღნიშნული არ იკრძალება კანონით (მუხლი 383). შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალუტა, განსაზღვრავს უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ეროვნულ თუ უცხოურ ვალუტაში გადახდას, თუკი სხვაგვარ შეთანხმებას არ ითვალისწინებს თავად ხელშეკრულება.¹²³ პირგასამტეხლოს ფულადი ხასიათი აღიარებულია ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც.¹²⁴

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობისგან განსხვავებით, რომელიც პირგასამტეხლოს საგნად აღგენს, მხოლოდ ფულად თანხას, საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში პირგასამტეხლოს საგანი არაერთგვაროვნად არის გაგებული. უმთავრესად ის განიხილება, ფულად თანხად, თუმცა დასაშვებია, ასევე პირგასამტეხლოს საგნად რაიმე ქონების გადაცემა ან ვალდებულების (მოქმედების) შესრულების შეპირებაც.¹²⁵ დოქტინაში, არაფულადი სახით დადგენილ

¹²³ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 417, ველი 11, გვ. 784.

¹²⁴ გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017, გვ. 44.

¹²⁵ საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალში პირგასამტეხლოს საგნის შინაარსთან დაკავშირებით იხ. ნაშრომის 2.3. პარაგრაფი.

პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით გამოიყენება ტერმინი „სასაქონლო პირგასამტეხლო.“¹²⁶

სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილით, პირგასამტეხლოს არ წარმოადგენს საქართველოს კანონის „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ გათვალისწინებული ურთიერთგაქვითვის ან საბოლოო ურთიერთგაქვითვის განხორციელებით მიღებული (გამოთვლილი) მხარის ნეტვალდებულება.¹²⁷ ნეტვალდებულება, ასევე არ არის სხვა, მსგავსი შინაარსის მქონე საჯარიმო სანქცია და არ დაიშვება მისი პირგასამტეხლოდ ან სხვა მსგავსი შინაარსის საჯარიმო სანქციად მიჩნევაც.

2.2.3. პირგასამტეხლოს შეთანხმების მხარეები

პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმება იდება ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველსაყოფად და ამ მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულების მხარეებს შორის. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები, რომლებიც იმყოფებიან სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში.

სამოქალაქო კოდექსით აღიარებულია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რომელიც სრულად ეხმიანება საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შინაარსს. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს განიხილავს სამართლის თანაბარ

¹²⁶Бевзенко Р.С., Неустойка, выраженная в неденежной форме, «Законодательство», №6, 2006, стр. 41; Карапетов А.Г., Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, М. Статут, 2005, стр. 87.

¹²⁷ საქართველოს კანონის „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტით, „ნეტვალდებულება,“ იგივე „სადებეტო ნეტპოზიცია“, განიმარტება, როგორც საქართველოს კანონით „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ გათვალისწინებული ნეტვალდებულება, ხოლო აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სადებეტო ნეტპოზიცია (ნეტვალდებულება) არის სისტემის მონაწილის ნეტპოზიციის დადგენისას მიღებული უარყოფითი სიდიდე“. იხ. 2019 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონი „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“, N5672-რს, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4753907?publication=1#DOCUMENT:1>; >, [17.06.2021]; 2012 წლის 25 მაისის საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, N6304-ილ, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1673253?publication=12> >, [17.06.2021].

სუბიექტებად.¹²⁸ შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა ნებისმიერი სუბიექტები: ფიზიკური და იურიდიული პირები. ფიზიკური პირების ცნება გულისხმობს საქართველოს მოქალაქეებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს. იურიდიული პირების ცნება მოიაზრებს, როგორც საქართველოს კერძო სამართლის არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირებს, ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე უცხო ქვეყნის იურიდიული პირებსაც.

2.2.4. პირგასამტეხლოს შეთანხმების ფორმა

სამოქალაქო კოდექსით, „გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი” (მუხლი 68). მართალია, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ არ არსებობს ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების გარეშე, თუმცა პირგასამტეხლოზე შეთანხმების ფორმა არ განისაზღვრება ძირითადი ვალდებულების ფორმით. კერძოდ, სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეების მიერ მიღწეული შეთანხმება დამატებითი უზრუნველყოფის სახით პირგასამტეხლოს გამოყენებაზე მოითხოვს წერილობითი ფორმის დაცვას (მუხლი 418.2).

სამოქალაქო კანონმდებლობა განასხვავებს მარტივ და რთულ წერილობით ფორმებს. ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ იყენებს უშუალოდ რთული წერილობითი ფორმის ტერმინს. აღნიშნულის მიუხედავად, დოქტრინაში აღიარებული რთული წერილობითი ფორმის შინაარსი ცნობილია სამოქალაქო კოდექსისათვის და მოცემულ ცნებაში ნაგულისხმევი მოთხოვნების დაცვა წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებათა ნამდვილობის მთავარ წინაპირობას (მუხლი 69).

მარტივი წერილობითი ფორმის შეთანხმების ნამდვილობისთვის საკმარისია, მხოლოდ წერილობით შედგენილ ტექსტზე მხარეთა ხელმოწერა, ხოლო რთული

¹²⁸ ბურდული ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., გამომცემლობა შპს პეტიტი, 2013, მუხლი 45, გვ. 601.

წერილობითი ფორმის დროს, წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმება ნამდვილობისათვის საჭიროებს სათანადო ორგანოების მიერ დადასტურებას ან დამოწმებას (სანოტარო წესით).¹²⁹ საკუთრების უფლების წარმოშობისათვის ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა სათანადო რეგისტრაციასაც¹³⁰ (მაგ. უძრავი ნივთის შეძენის დროს, რეგისტრაცია საჯარო რეესტრში; ავტომობილის საკუთრებაში რეგისტრაციისათვის, მისი რეგისტრაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო უწყებაში¹³¹ და სხვა).

მარტივ წერილობით ფორმას უთანაბრდება ელექტრონულად დადებული ხელშეკრულებები.¹³² საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“¹³³ ერთმანეთისგან მიჯნავს მატერიალურ და ელექტრონულ დოკუმენტებს. აღნიშნული კანონით, პირველი წარმოადგენს ქალაქის ან სხვა მატერიალური ფორმით წარდგენილი ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობას (მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო მეორე ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობას (მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). დასახელებული კანონით, ელექტრონული დოკუმენტის სახით შეიძლება შედგენილ იქნეს ნებისმიერი მატერიალური დოკუმენტი, მეტიც

¹²⁹ ქართული სანოტარო სამართალი თავდაპირველად განასხვავებდა ნოტარიულად დადასტურებისა და ნოტარიულად დამოწმების ცნებებს. პირველ შემთხვევაში, ნოტარიუსის მიერ ხდებოდა კანონმდებლობასთან გარიგების შინაარსის შესაბამისობის დადასტურება, ხოლო მეორე შემთხვევის დროს ნოტარიუსის მხრიდან ადგილი ჰქონდა არა გარიგების შინაარსის შემოწმებას, არამედ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის, დოკუმენტის ასლის დედანთან სისწორის ან ერთი ენიდან მეორეზე შესრულებული თარგმანის სისწორის დამოწმებას და ა.შ. დღეისათვის, ნოტარიული დადასტურებისა და დამოწმების ცნებები არ მოიცავენ განსახვავებულ შინაარსებს. იხ. თუმანიშვილი გ., გარიგებები, სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012, გვ. 74-75.

¹³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-875-817-2017, 21 მარტი, 2018 წელი, ქ. თბილისი.

¹³¹ ზარანდია თ., საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე. საკუთრების წარმოშობა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე. ნორმათა კოლიზია, კრებულში: საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ავტორები: ჭანტურია ლ., ზარანდია თ., ცერცვაძე გ., ზოიძე თ., ჩიტაშვილი ნ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გვ. 78, <https://old.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf>, [17.06.2021].

¹³² დარჯანია თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2017, მუხლი 69, ველი 22, გვ. 404.

¹³³ 2017 წლის 21 აპრილის საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“, N639-III, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3654557?publication=1>>, [17.06.2021].

სამოქალაქო ურთიერთობათა სუბიექტების მიერ ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება შესრულებულ იქნეს კანონისგან გასხვავებული პირობების გამოყენებით.¹³⁴

წერილობითი ფორმით შედგენილი დოკუმენტები ქართულ სანოტარო კანონმდებლობაში იყოფა საჯარო და კერძო აქტებად:

1. აქტი საჯაროა, თუ აქტის დასამოწმებლად (გარიგების, მოწმობის და სხვა), მისი ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა. აღნიშნულ შემთხვევაში, ნოტარიუსს ევალება დადგენილი ფორმალბების დაცვა. კერძოდ, საჯარო აქტის ფორმით დოკუმენტის დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუმარტოს სანოტარო აქტის შინაარსი, აგრეთვე მისი სამართლებრივი შედეგები. განმარტება შეიძლება მოხდეს ზეპირადაც და კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ის შესაძლოა არ აისახოს სანოტარო აქტში.

2. აქტი კერძოა, თუ გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს, მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმოწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა.¹³⁵

პირგასამტეხლოზე შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს, როგორც მარტივი, ასევე რთული წერილობითი ფორმის დაცვით. სანოტარო კანონმდებლობაში დამკვიდრებული ცნებებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოზე შეთანხმება თავისი სამართლებრივი ბუნებით არის კერძო აქტი, რაც ამავდროულად არ გამორიცხავს მისი საჯარო აქტის ფორმით გაფორმების შესაძლებლობას.

მხარეებს უფლება აქვთ პირგასამტეხლოზე შეთანხმება ასახონ ძირითადი ვალდებულების პირობათა განმსაზღვრელ ხელშეკრულებაში ან ცალკე შეთანხმებაში. ცალკე შეთანხმების სახით გაფორმებული პირგასამტეხლო არ ქმნის ხელშეკრულების დამოუკიდებელ სახეს. ნებისმიერ შემთხვევაში, პირგასამტეხლოზე

¹³⁴ 2017 წლის 21 აპრილის საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ 1-ლი მუხლის მე-4 ნაწილით, აღნიშნული საკანონმდებლო აქტი არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებად აღიარებულ და დაცულ ინფორმაციაზე.

¹³⁵ იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლი, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=20> >, [17.06.2021].

შეთანხმება მიიჩნევა ძირითადი ხელშეკრულების ნაწილად და მოქმედებს, მხოლოდ ძირითად ვალდებულებასთან ერთად. რადგანაც, პირგასამტეხლო უზრუნველყოფს ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას, მასზე შეთანხმებაც მხარეთა შორის უნდა გაფორმდეს ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების პირობათა შეთანხმების პერიოდში.

სამოქალაქო კოდექსით, „თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა ან მხარეებმა ხელშეკრულებისთვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის, მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ“ (მუხლი 328.1). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოქმედებს, მხოლოდ მისი წერილობით გაფორმების მომენტიდან. „გარიგების ფორმა გარიგების ნების გამოვლენის არსებობის გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს.“¹³⁶

კანონით დადგენილი გარიგების ფორმის დაცვა სავალდებულოა ნებისმიერი კერძოსამართლებრივი შეთანხმების ნამდვილობისათვის, რის გამოც კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაცვის გარეშე დადებული გარიგება, ბათილი გარიგებაა (მუხლი 59.1). წერილობითი ფორმის დაუცველობა განაპირობებს პირგასამტეხლოს შეთანხმების ბათილობას.

კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფორმებული პირგასამტეხლოს სამართლებრივი ბედი დამოკიდებულია, ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების სამართლებრივ სტატუსზე. ნებისმიერი საფუძვლით ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა თავისთავად იწვევს კანონის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული პირგასამტეხლოს შეთანხმების ბათილობას.¹³⁷ რადგანაც, პირგასამტეხლო აქცესორული ვალდებულებაა, მისი ბათილობა არ მოქმედებს ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულების ნამდვილობაზე.

როდესაც, პირგასამტეხლოზე შეთანხმება მხარეთა მიერ გაფორმებულია ცალკე წერილობით აქტში და ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების

¹³⁶ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2000, გვ. 346.

¹³⁷ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 418, გვ. 492.

ნამდვილობისათვის, კანონით დაწესებულია რთული წერილობითი (სანოტარო) ფორმის დაცვა, ამ ფორმის დაცვა პირგასამტეხლოზე შეთანხმებას არ მოეთხოვება.¹³⁸

2.2.5. პირგასამტეხლოს სახეები

ცივილისტიკა, კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს პირგასამტეხლოს სხვადასხვა სახეს. განსხვავებულობას ქმნის პირგასამტეხლოს წარმოშობის წყაროები, ასევე პირგასამტეხლოს ცნებასთან დაკავშირებული სხვადასხვა შინაარსები.

2.2.5.1. პირგასამტეხლოს სახეები დაწესების წყაროების მიხედვით (სახელშეკრულებო და კანონისმიერი /ნორმატიული პირგასამტეხლო)

სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ სახელშეკრულებო და კანონისმიერი (ნორმატიული) პირგასამტეხლოს ცნებებს. სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს დროს, აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება ეფუძნება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ორმხრივად (ან მრავალმხრივად) გამოვლენილ ნებას, როცა კანონისმიერი პირგასამტეხლოს შემთხვევაში, მარტოდენ კანონმდებლის ნება-სურვილს.¹³⁹

სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ოდენობას მხარეები ადგენენ ურთიერთშეთანხმებით. მისგან განსხვავებით, კანონისმიერ პირგასამტეხლოს ახასიათებს კონკრეტულობა (სიზუსტე) და განსაზღვრულობა.¹⁴⁰ კერძოდ, კანონით ზუსტად არის გათვალისწინებული კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მისი გამოყენების შემთხვევები და ზუსტად არის განსაზღვრული ამგვარი პირგასამტეხლოს ოდენობა ან მისი გამომანგარიშების წესი.¹⁴¹

სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლო, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება შეიძლება დაწესდეს,

¹³⁸ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 240.

¹³⁹ Гришин Д.А., Неустойка: теория, практика, законодательство, М., Статут, 2005, стр. 32.

¹⁴⁰ იქვე, 33-34.

¹⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-1158-1104-2014, 6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი აღიარებს მართოდენ სახელმწიფოებო პირგასამტეხლოს არსებობას.¹⁴²

სამოქალაქო კოდექსში კანონისმიერი პირგასამტეხლოს არ არსებობა ქართულ ცივილისტიკაში ახსნილია მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპის მნიშვნელობით.¹⁴³ სახელმწიფოებო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი პირობაა სახელმწიფოებო თავისუფლების პრინციპის პატივისცემა. „ამ თავისუფლებაში კანონმდებელი მოიაზრებს სწორედ კეთილსინდისიერ კერძო სუბიექტს, ვინც კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს თავის უფლებებს და პირგასამტეხლოს განსაზღვრავს გონივრულ ფარგლებში.“¹⁴⁴

საგულისხმოა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში, უმთავრესად დღესაც შენარჩუნებულია კანონისმიერი პირგასამტეხლოს ცნება. სახელმწიფოებო პირგასამტეხლოსთან ერთად კანონისმიერ პირგასამტეხლოს ვხვდებით აზერბაიჯანის (მუხლები 462, 464),¹⁴⁵ ბელორუსიის (მუხლები 311, 313),¹⁴⁶ მოლდავეთის (მუხლები 624, 629),¹⁴⁷ სომხეთის (მუხლები 369, 371),¹⁴⁸ ტაჯიკეთის (მუხლები 355, 357),¹⁴⁹ უზბეკეთის (მუხლები 260, 263),¹⁵⁰ უკრაინის (მუხლები 549, 551),¹⁵¹ ყაზახეთის (მუხლები 293, 295),¹⁵² ყირგიზეთის (მუხლები 320, 321)¹⁵³ და

¹⁴² ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 417, ველი 19, გვ. 786.

¹⁴³ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 416, გვ. 486.

¹⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-23-23-2014, 10 აპრილი, 2014 წელი, ქ. თბილისი.

¹⁴⁵ Гражданский кодекс Азербайджанской Республики, №779-IQ от 28.12.1999 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30420111#sub_id=4620000>, [17.06.2021].

¹⁴⁶ Гражданский кодекс Республики Беларусь, №218-3 от 07.12.1998 года, <https://etalonline.by/document/?regnum=HK9800218#load_text_none_1>, [17.06.2021].

¹⁴⁷ Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>, [17.06.2021].

¹⁴⁸ Гражданский кодекс Республики Армения, №ЗР-239 от 28.07.1998 года, <http://www.parliament.am/law_docs/050598HO239rus.html?lang=rus>, [17.06.2021].

¹⁴⁹ Гражданский кодекс Республики Таджикистан, Часть первая, №803 от 30.06.1999 года, <https://tajtrade.tj/media/3_1gr_kodeks.pdf>, [17.06.2021].

¹⁵⁰ Гражданский кодекс Республики Узбекистан, №163-I от 21.12.1995 года, <http://fmc.uz/legisl.php?id=k_grajd>, [17.06.2021].

¹⁵¹ Гражданский кодекс Украины, №435-IV от 16.01.2003 года, <<http://meget.kiev.ua/kodeks/grazdanskiy-kodeks/glava-49>>, [17.06.2021].

¹⁵² Гражданский кодекс Республики Казахстан, Общая часть, №269-XII от 27.12.1994 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1006061>, [17.06.2021].

¹⁵³ Комментарий к гражданскому кодексу Кыргызской республики, части первой, Т.2, ред. Галлямова Н.С., Кучерявая Г.А., Царнаева А.З., Бишкек, Академия, 2005, стр. 248-250.

რუსეთის ფედერაციის (მუხლები 330, 332)¹⁵⁴ სამოქალაქო კოდექსებში. საქართველოს მსგავსად, კანონისმიერ პირგასამტეხლოს არ ითვალისწინებს თურქმენეთის სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 427).¹⁵⁵

განასხვავებენ იმპერატიული და დისპოზიციული ნორმით დაწესებულ კანონისმიერ პირგასამტეხლოს. დისპოზიციური ნორმით დაწესებული კანონისმიერი პირგასამტეხლოს ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით, როცა იმპერატიული ნორმა კრძალავს რაიმე სახის ცვლილების შეტანას დაწესებული პირგასამტეხლოს მოცულობაში.¹⁵⁶ ნებისმიერ შემთხვევაში, დაუშვებლად მიიჩნევა კანონისმიერი პირგასამტეხლოს ურთიერთშეთანხმებით (ხელშეკრულებით) სრულად გამორიცხვა.¹⁵⁷ უმთავრესად, კანონისმიერი პირგასამტეხლოს მოცულობის ცვლილება გულისხმობს დაწესებული თანხის მხარეთა შეთანხმებით გაზრდას და არა მის შემცირებას. კანონისმიერ პირგასამტეხლოს მიმართ არ გამოიყენება შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს შემცირების წესები.¹⁵⁸

ფულადი სახით დადგენილ სანქციებს, როგორც სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეს ვხვდებით საჯაროსამართლებრივ კანონმდებლობაშიც. მაგ. ადმინისტრაციულ, სამშენებლო, საგადასახადო, საბაჟო, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და ა.შ. აღნიშნული ფულადი სანქციები ემსახურება საჯაროსამართლებრივი ინტერესების დაცვას, რის გამოც, ისინი არ შეიძლება განხილულ იქნეს კანონისმიერ პირგასამტეხლოებად. მათგან განსხვავებით, კანონისმიერი პირგასამტეხლო სახელმწიფოს ნების საფუძველზე უზრუნველყოფს კერძო ხასიათის მქონე სახელშეკრულებო ურთიერთობათა შესრულებას.

შესაბამისად, კანონისმიერი პირგასამტეხლო განსხვავებულ უნდა იქნეს იმ სხვადასხვა სახის საჯაროსამართლებრივი ქონებრივი (ფულადი) სანქციებისგან,

¹⁵⁴ Борисов А.Б., Комментарий к гражданскому кодексу Российской Федераций, 2-ое издание, М., Книжный мир, 2003, стр. 337-339.

¹⁵⁵ Гражданский кодекс Туркменистана, №294-I, от 17.07.1998 года, < <https://minjust.gov.tm/mcenter-single-ru/2> >, [17.06.2021].

¹⁵⁶ Горбачева Л.Н., Гражданское право, М., Академический Проект: Фонд Мир, 2005, стр. 274.

¹⁵⁷ Гражданское право, под ред. Залесского В.В., Рассолова М.М., М., ЮНИТИ-ДАНА: Закон право, 2002, стр. 319.

¹⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nსს-1158-1104-2014, 6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი; ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 420, ველი 24, გვ. 810.

რომლებიც ეფუძნებიან ადმინისტრაციულ, სამშენებლო, საგადასახადო, საბაჟო, სისხლის სამართლის და ა.შ. კანონმდებლობას და წარმოადგენენ პასუხისმგებლობის სახეებს. კანონისმიერ პირგასამტეხლოდ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საჯაროსამართლებრივი კანონმდებლობის დარღვევისათვის დაწესებული ფულადი სახით გადასახდელი თანხები, მაშინაც, როდესაც კანონმდებლობა მათ მიმართ იყენებს ტერმინებს: პირგასამტეხლოს, ჯარიმას ან საურავს.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით კანონისმიერი პირგასამტეხლოს განმარტებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვან მიდგომებს, კერძოდ, კანონისმიერ პირგასამტეხლოდ არის განმარტებული, როგორც კერძოსამართლებრივი, ასევე საჯაროსამართლებრივი კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის, ნორმატიულად დადგენილი სხვადასხვა სახის ფულადი გადასახდელები.

მაგ. სასამართლოს მიერ კანონისმიერ პირგასამტეხლოდ იქნა შეფასებული საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის ის ნორმა, რომლითაც დამსაქმებელს ეკისრებოდა ვალდებულება დასაქმებულისათვის გადაეხადა ანგარიშწორების დაყოვნებისათვის, ყოველ დღეზე თანხის 0.07% (მუხლი 31.3);¹⁵⁹

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N177 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესები“-თ¹⁶⁰ გათვალისწინებული წესი, რომლითაც მზღვეველს ეკისრება ვალდებულება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებისათვის გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის დროს, კერძოდ, ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს და აფთიაქს გადაუხადოს 2014 წლის 8 აგვისტომდე პერიოდზე ასანაზღაურებელი თანხის 0,1%, ხოლო 2014 წლის 8 აგვისტოდან შემდგომ პერიოდზე - ასანაზღაურებელი თანხის 0.02%, ყოველ

¹⁵⁹ აღნიშნულ შემთხვევაში იგულისხმება 2006 წლის 25 მაისის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს (N3132) 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-1158-1104-2014, 6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1298-1318-2011, 7 ნოემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

¹⁶⁰ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N177 დადგენილება „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1654534?publication=9> >, [17.06.2021].

ვადაგადაცილებულ დღეზე. ჯარიმის გადახდა მზღვეველს არ ათავისუფლებს მთლიანი თანხის გადახდისგან (მუხლი 3.3. „ყ“);¹⁶¹

სასამართლოს მიერ კანონისმიერ პირგასამტეხლოდ იქნა შეფასებული საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის გათვალისწინებული საურავი (მუხლი 272), რომელიც შეადგენდა გადაუხდელი გადასახადის თანხის 0.07%-ს,¹⁶² ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.¹⁶³ საგულისხმოა, რომ საგადასახადო სამართალში, საურავი გადასახადის გადამხდელს ერიცხება დადგენილი დროისათვის არგადახდილი გადასახადის თანხაზე და არა სხვა საგადასახადო სანქციების სახით დაკისრებულ თანხათა დროულად გადაუხდელობაზე.¹⁶⁴

2.2.5.2. პირგასამტეხლოს გამოთვლის სახეები (ჯარიმა, საურავი)

პირგასამტეხლო შეიძლება დაწესდეს ჯარიმის ან საურავის ფორმით. ჯარიმა ეწოდება ისეთ პირგასამტეხლოს, რომელსაც ვალდებულების არშემსრულებელი ან არაჯეროვნად შემსრულებელი მხარე იხდის მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრული ფულადი თანხის სახით, ხოლო „პირგასამტეხლოს, რომელიც ითვალისწინებს გადახდევინებას ვალდებულების შესრულების ყოველი გადაცდენილი დღისათვის საურავი ეწოდება“.¹⁶⁵

პირველ შემთხვევაში, პირგასამტეხლო შეთანხმებულია ფიქსირებული თანხის სახით, კერძოდ, ხელშეკრულებაში ჯარიმის ფორმით გადასახდელი პირგასამტეხლო

¹⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-1158-1104-2014, 6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1171-1116, 2 თებერვალი, 2015 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1284-1226-2013, 24 მარტი, 2014 წელი, ქ. თბილისი.

¹⁶² დღეისათვის, საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“-ს 272-ე მუხლის მე-4 ნაწილით, აღნიშნული საურავი შეადგენს 0.05%-ს. იხ. 2010 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, N3591, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=173>>, [17.06.2021].

¹⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-1158-1104-2014, 6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

¹⁶⁴ როგავა ზ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§156-310, ავტორები: ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., თბ., EWMI, 2012, მუხლი 272, გვ. 576-577.

¹⁶⁵ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., სამართალი, 1999, გვ. 78-79.

დადგენილია კონკრეტულ თანხაში ან მოცემულია მისი გამომანგარიშების წესი. ჯარიმის სახით პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე ბრალეულ მხარეს ეკისრება განსაზღვრული (კონკრეტული) ოდენობით ან გადასახდელი თანხა გამომანგარიშებულია სახელშეკრულებო ფასიდან გარკვეული პროცენტით.

მეორე შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა განსაზღვრულია მზარდი პროცენტული მაჩვენებლით, რომელიც წინასწარ წესდება დადგენილ პერიოდში ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულება არ სრულდება დადგენილ დროში. დადგენილ დროში ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საურავის ფორმით შეთანხმებული პირგასამტეხლოს დარიცხვას. საურავის ფორმით დაწესებული პირგასამტეხლოს პროცენტი ძირითადად გამოიანგარიშება შესასრულებელი ვალდებულების ღირებულებიდან ე.წ. სახელშეკრულებო ფასიდან, ვალდებულების შეუსრულებლობიდან ყოველი დღისათვის, იშვიათ შემთხვევაში კი ყოველი კვირისათვის, თვისათვის, კვარტლისათვის, წლისათვის და სხვ. პერიოდებისათვის.

ამრიგად, ჯარიმის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს მოცულობა ხელშეკრულების დადების მომენტშივეა ცნობილი მხარეთათვის, ხოლო საურავის შემთხვევაში, მისი ოდენობა დამოკიდებულია პირგასამტეხლოს პროცენტზე, ასევე იმ გამოსაანგარიშებელ პერიოდზე, რომლიდანაც აითვლება პირგასამტეხლოს გადახდა. შესაბამისად, ჯარიმის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეები პირგასამტეხლოს სახით გადასახდელ თანხას თავიდანვე კონკრეტულად აფიქსირებენ შეთანხმებაში, ხოლო საურავის დროს შეთანხმებულია, მხოლოდ პირგასამტეხლოს გამომანგარიშების პირობები: პროცენტის მაჩვენებელი და მისი გამოსაანგარიშებელი პერიოდი.

პირგასამტეხლო, ჯარიმის სახით ხელშეკრულებებში უმთავრესად წესდება ნაკისრი ვალდებულების მთლიანი მოცულობის შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის (ნაკისრი ვალდებულების შეთანხმებისამებრ შეუსრულებლობისთვის).

პირგასამტეხლოს გადახდა საურავის ფორმით თანხმდება შესასრულებელი ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, კერძოდ, როდესაც ნაკისრი ვალდებულება არ სრულდება დათქმულ დროში და ამ დროიდან საურავი იანგარიშება

ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, კვირაზე, თვეზე და ა.შ. პერიოდებისთვის. შესაბამისად, საურავის სახით შეთანხმებული პირგასამტეხლო მხარეს ერიცხება ვალდებულების შეუსრულებლობის პერიოდში,¹⁶⁶ ათვლება ვალდებულების დარღვევიდან მის შესრულებამდე.¹⁶⁷ შესაბამისად, ის ათვლას განაგრძობს ვალდებულების დარღვევის შემდგომაც.¹⁶⁸ სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადად მოვალეს საურავი ერიცხება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.¹⁶⁹

2.2.5.3. პირგასამტეხლოს სახეები ასანაზღაურებელი ინტერესების მოცულობის მიხედვით: კუმულატიური (საჯარიმო), ალტერნატიული, ჩათვლითი და საგამონაკლისო (ექსკლუზიური) პირგასამტეხლო

იურიდიულ ლიტერატურაში, ასანაზღაურებელი ინტერესების მოცულობის მიხედვით, განასხვავებენ პირგასამტეხლოს ოთხ სახეს: კუმულატიურს, იგივე საჯარიმოს (ერთობლივს), ალტერნატიულს, ჩათვლითს და საგამონაკლისოს (ექსკლუზიურს).

კუმულატიური პირგასამტეხლო საჯარიმო ხასიათისაა. აღნიშნულ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს, როგორც პირგასამტეხლოს გადახდა, ასევე ზიანის სრულად ანაზღაურება. საჯარიმო პირგასამტეხლო წარმოადგენს პირგასამტეხლოს ყველაზე მკაცრ სახეს და კანონისმიერი პირგასამტეხლოს დროსაც, ის გამოიყენება ყველაზე უხემ და მნიშვნელოვან დარღვევებთან დაკავშირებით, მაგ. საკვები პროდუქციისა და საყოველთაო მოხმარების საქონლის მიწოდების ვადის დარღვევებთან დაკავშირებით.¹⁷⁰

გამოთქმულია მოსაზრებები, რომ პირგასამტეხლოს უზრუნველყოფითი პოტენციალი ყოველთვის მაღალია, როცა მასში ჭარბობს საჯარიმო ხასიათი¹⁷¹ და

¹⁶⁶ გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017, გვ. 50.

¹⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი, ქ. თბილისი.

¹⁶⁸ რობაქიძე ი., სახელმწიფოებრივი სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 600.

¹⁶⁹ იქვე.

¹⁷⁰ Гражданское право, под ред. Залесского В.В., Рассолова М.М., М., ЮНИТИ-ДАНА: Закон и право, 2002, стр. 320.

¹⁷¹ Гомила А.И., Гражданское право, М., АCADEMIA, 2003, стр. 213.

კუმულატიურ პირგასამტეხლოსთან შედარებით, სხვა სახის პირგასამტეხლოების უზრუნველყოფითი ხასიათი გაცილებით მცირეა.¹⁷² მართალია, კუმულატიური პირგასამტეხლოს დროს ყველაზე მკაცრად არის წარმოდგენილი ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები, თუმცა აღნიშნული მიდგომა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კუმულატიური პირგასამტეხლოს უალტერნატივო უზრუნველყოფითი ხასიათის დასტურად. პირგასამტეხლოს ჩათვლით, ალტერნატიულ და საგამონაკლისო სახეებს საჯარიმო ხასიათი არ აქვთ.

ჩათვლითი პირგასამტეხლოს დროს, გადასახდელად შეთანხმებული თანხა ითვლება ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ანგარიშში (ე.წ. მინიმალურ ზიანად), ხოლო ზიანის ღირებულება, რომელიც არ იფარება ჩათვლითი პირგასამტეხლოს თანხით, წარმოადგენს დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველს.

ალტერნატიული პირგასამტეხლოს არსებობისას, კრედიტორი მხარის არჩევანზეა დამოკიდებული პირგასამტეხლოს გადახდის ან ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება. ერთ-ერთი მოთხოვნის არჩევა, თავისთავად გამორიცხავს მეორე მოთხოვნაზე კრედიტორის სამომავლო პრეტენზიებს. „რადგან პირგასამტეხლოს ეს ფორმა ზედმეტად ზღუდავს კრედიტორის შესაძლებლობებს, ის პრაქტიკაში არც გამოიყენება“.¹⁷³

საგამონაკლისო, იგივე ექსკლუზიური პირგასამტეხლოთი ანაზღაურდება, მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, პირგასამტეხლოს სახით დაწესებული ფულადი თანხა. საგამონაკლისო პირგასამტეხლოს შემთხვევაში, საერთოდ გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ამ სახის პირგასამტეხლოს დაწესებით, თავიდანვე გამოირიცხება კრედიტორის უფლება, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე ვალდებულების შესრულებაზე. საგამონაკლისო პირგასამტეხლოები გამოიყენება სატრანსპორტო

¹⁷² Гражданское право, в 4-х томах, Т. III, Обязательственное право, 3-е издание, отв. ред. Суханов Е.А., М., Волтерс Клувер, 2007, стр. 76.

¹⁷³ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 238.

ურთიერთობებში.¹⁷⁴ საგამონაკლისო პირგასამტეხლო, თავის მხრივ, ისეთი თანხაა, რომელიც აღემატება მოსალოდნელი ზიანის მოცულობას.¹⁷⁵

სამოქალაქო კოდექსში არსებული პირგასამტეხლოს მარეგულაციური მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ სამოქალაქო სამართალში აღიარებულია პირგასამტეხლოს ჩათვლითი ხასიათი და დაუშვებელია პირგასამტეხლოს გადახდისა და ვალდებულების შესრულების მოთხოვნების ერთდროულად წაყენება. აღნიშნულ მოსაზრება სრულად არის გაზიარებული სასამართლო პრაქტიკაშიც, კერძოდ, პირგასამტეხლო განმარტებულია ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილების და მხარეთა ინტერესების დაცვის მექანიზმად და არა საჯარიმო სანქციად.¹⁷⁶

სამოქალაქო კოდექსით, კუმულატიური პირგასამტეხლოს არსებობა გამონაკლისის სახით დაშვებულია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოვალე ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს დადგენილ დროში. კუმულატიური პირგასამტეხლო მხარეთა მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ ნაკისრი ვალდებულების შეთანხმებულ ვადაში (დროში) შეუსრულებლობისათვის. სამოქალაქო კოდექსით, „კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდევინებაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში“ (მუხლი 419.1).

სამოქალაქო კოდექსით, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება შემთხვევები, როდესაც: ვალდებულება არ სრულდება შესრულებისათვის დადგენილ დროში; შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას (მუხლი 400). მაგ. თუკი პირგასამტეხლო უზრუნველყოფს ბანკის მიერ გაცემული კრედიტის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებით ურთიერთობას და კლიენტი (მოვალე) კრედიტს ან მის ნაწილს არ აბრუნებს დათქმულ ვადაში, ბანკს უფლება აქვს მას მოსთხოვოს, როგორც თანხის დაბრუნება, ასევე დადგენილ დროში

¹⁷⁴ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., საია, 2006, გვ. 29.

¹⁷⁵ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 239.

¹⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-862-828-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი, ქ. თბილისი.

ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაწესებული პირგასამტეხლოს გადახდა. აღნიშნულ შემთხვევაში, პირგასამტეხლო არ ანაცვლებს ვალდებულების შესრულებას.¹⁷⁷

კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება, რომლითაც მას შესაძლებლობა აქვს ერთდროულად მოითხოვს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დადგენილ დროში შეუსრულებლობის გამო დაწესებული პირგასამტეხლო და ძირითადი ვალდებულების შესრულება აღიარებულია ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც. მეტიც, აღნიშნულ მოთხოვნებზე ერთდროულად სამართლებრივი პრეტენზიების განცხადება, არ ქმნის პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით მიჩნევის საფუძველს.¹⁷⁸

2.2.6. პირგასამტეხლოს ფუნქციები

იურიდიულ ლიტერატურაში პირგასამტეხლოს მინიჭებული აქვს ორი ფუნქცია: ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია (ე.წ. პრევენციული) და ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ფუნქცია (ე.წ. რესტიტუციული)¹⁷⁹.

პირველი ფუნქციით, პირგასამტეხლო ემსახურება ნაკისრი ვალდებულების ზედმიწევნით სრულყოფილად შესრულებას. მეორე ფუნქციის მეშვეობით, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლო იძლევა მოსალოდენელი ზიანის ანაზღაურების გარანტიას.

გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ პირგასამტეხლოს გააჩნია სამი ფუნქცია: პირველით, ვალდებულების შესრულების მიზნით, ის წარმოადგენს მოვალეზე ზემოქმედების მოხდენის საშუალებას; მეორეთი, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის, წინასწარ განსაზღვრავს შესაძლო

¹⁷⁷ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 419, ველი 3, გვ. 797; გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017, გვ. 46-47.

¹⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-298-596-04, 15 ივნისი, 2004 წელი, ქ. თბილისი.

¹⁷⁹ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 417, ველი 4, გვ. 782.

ასანაზღაურებელი ზიანის ფარგლებს და მესამეთი, ვალდებულების დარღვევის დროს, ზუსტად ადგენს მოვალის ვალდებულებათა საზღვრებს.¹⁸⁰

2.2.6.1. ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია

პირგასამტეხლოს, ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია ემსახურება ვალდებულების სათანადოდ შესრულებას. აღნიშნული ფუნქციის მთავარ მიზანია მოვალის მიერ ძირითადი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიღწევა. მოცემული ფუნქცია პირგასამტეხლოს გააჩნია ნაკისრი ვალდებულების დარღვევამდე ან მის არაჯეროვნად შესრულებამდე. მოვალისათვის წინასწარ არის ცნობილი, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობის ან მისი არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, იგი ვერ ასცდება ხელშეკრულებით შეთანხმებული ფულადი საზღაურის გადახდას.

სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია ვალდებულების შესრულების პირობები, კერძოდ, ვალდებულების შესრულების ზოგადი დებულებები, რომლებიც საერთოა ყველა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის, თუკი ცალკეულ ვალდებულებათა სპეციფიკიდან გამომდინარე, კოდექსით არ არის დადგენილი განსხვავებული წესები.¹⁸¹ სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში ხაზგასმულია, რომ „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. შესაბამისად, პირგასამტეხლოს, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია სწორედ, ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროს და ადგილას შესრულებას უზრუნველყოფს.

¹⁸⁰ International Encyclopedia of Comparative law, Vol. VII, Contracts in General, Chief Editor Mehren A.V., Chapter 16, Remedies for Breach of Contract, by Treitel G.H., Tubingen, Mouton, The Hague, Paris, Mohr J.C.B. (Siebeck P.), 1976, p. 93; Schwenger I., Hachem P., Kee C., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, 2012, pp. 635-636.

¹⁸¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის მეორე კარის პირველი თავი.

სამოქალაქო კოდექსი არ აწესებს ვალდებულების ჯეროვნად, ასევე კეთილსინდისიერად შესრულების ცნებებს. აღნიშნული ცნებების მიღმა არსებული შინაარსები ჩამოყალიბებულია ცივილისტურ ლიტერატურაში.

მოვალე, სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებს ჯეროვნად, როდესაც ის სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებს ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით ნაგულისხმევი სახით. მაგ. ნარდობის ხელშეკრულების დროს, როცა მენარდეს ევალემა კონკრეტული მასალისგან სამუშაოს შესრულება, შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვს შეთანხმებული მასალით შესრულებული სამუშაოს მიღება. ვალდებულების ჯეროვნად შესრულების პრინციპი მოვალისგან ითხოვს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეთანხმებისამებრ შესრულებას. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება, ასევე კრედიტორი მხარის მისამართით არსებულ ე.წ. საკრედიტორო ვალდებულებებზეც.¹⁸²

კეთილსინდისიერება სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომელიც კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა მხარეებს აკისრებს ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემას. აღნიშნული მიზეზით, „კოდექსის ბევრი ნორმა (მუხლი), რომელიც ნათლად (პირდაპირ) არ უთითებს მასზე, მაინც მას ეფუძნება“.¹⁸³ სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეთა მიერ გამოვლენილი კეთილსინდისიერება ვალდებულების შესრულების დროს ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სიმყარესა და სტაბილურობას. „ვალდებულება სრულდება ჯეროვნად, თუ შემსრულებელი ასრულებს შეთანხმებულ პირობებს, ხოლო თუ პირობები შეთანხმებული არ არის, ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, ანუ ისე, როგორც იგი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში შესრულდებოდა“.¹⁸⁴

რაც შეეხება, ვალდებულების შესრულების დროს, ის შეიძლება განისაზღვროს:

1. კანონით - ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ვადა დაწესებულია საკანონმდებლო აქტით. განსხვავებულ უნდა იქნეს კანონით უშუალოდ ვალდებულის შესრულებისთვის დადგენილი კონკრეტული ვადები და შემთხვევა,

¹⁸² Сарбаш С.В., Исполнение договорного обязательства, М., Статут, 2005, стр. 103.

¹⁸³ იოსელიანი ალ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 30.

¹⁸⁴ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N10/2007-1, გვ. 50.

როცა კანონი არეგულირებს იმ ვითარებას, როდესაც ვერ დგინდება შესრულების ზუსტი ვადა. უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მუხლი, რომლითაც „თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს“ (მუხლი 365).

2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით - სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეები ხელშეკრულების სხვა პირობებთან ერთად, თავადვე საზღვრავენ ვალდებულების შესრულების დროს. ზოგჯერ, შესრულების დრო შეიძლება დადგენდეს ერთი მხარის მიერ (კრედიტორის, მოვალის, მესამე პირის ნებით),¹⁸⁵ რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მეორე მხარის მოთხოვნებს.¹⁸⁶

3. ვალდებულების შესრულების დრო, აგრეთვე შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა გარემოებებიდან, რაც უმეტეს წილად ეფუძვნება სახელშეკრულებო ურთიერთობის ბუნებას. მაგ. როდესაც ბანკს ნაკისრი აქვს ვალდებულება შემნახველ ანაბარზე შეტანილი თანხა პირს სარგებლთან ერთად დაუბრუნოს მისი სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ, ერთმნიშვნელოვანია, რომ ანაბარზე შეტანილი თანხის და სარგებლის უკან დაბრუნების მოთხოვნა მენაბრეს წარმოეშობა სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ.

ვალდებულების შესრულების ადგილია, ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებლად სავალდებულო ბოლო მოქმედებას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ადგილისგან, სადაც დგება შესრულების შედეგი.¹⁸⁷ შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში შესრულების ადგილი და შესრულების შედეგის ადგილი არ არის თანხვედრი და პირიქით.

შესრულების ადგილი სხვადასხვა სახისაა, რის გამოც სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, რომ „თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებათა ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება

¹⁸⁵ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 365, გვ. 288-289.

¹⁸⁶ იქვე, გვ. 288.

¹⁸⁷ პლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., მერიდიანი, 2006, გვ. 49.

უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ა. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა; ბ. გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევის დროს იმ ადგილას, სადაც იმყოფებოდა მოვალის საწარმო, თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით (მუხლი 362).“

2.2.6.2. ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ფუნქცია

ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის ფუნქციის გარდა, პირგასამტეხლოს გააჩნია მეორე მნიშვნელოვანი ფუნქციაც, როგორცაა იმ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება კრედიტორმა განიცადოს მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დროს.

პირგასამტეხლოს მეშვეობით, კრედიტორი მხარე ვალდებულების დარღვევით დამგარ ზიანს ინაზღაურებს მარტივად. პირგასამტეხლოს განსაზღვრით, კრედიტორი მხარე დაზღვეულს ხდის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რითაც უფრო მეტად დაცულს ხდის საკუთარი ინტერესებს.

ზოგადი წესით, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევისათვის შეთანხმებული პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნა არ უკავშირდება მიყენებული ზიანის რეალურად არსებობას ან მის მოცულობას. პირგასამტეხლოს დაწესებით კრედიტორი საერთოდ თავისუფლდება ზიანის არსებობის მტკიცებისგან, ხოლო ზიანის არსებობის შემთხვევაში მისი მოცულობის მტკიცებისგან. ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტის არსებობა საკმარისი საფუძველია შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის წარმოშობისათვის.

აღნიშნული თვისებით, პირგასამტეხლო ფუნდამენტურად განსხვავდება სამოქალაქო ზიანის ანაზღაურებისგან. თუკი, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია პირგასამტეხლოთი, ასეთი ვალდებულების დარღვევა უპირობოდ წარმოშობს პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნას, იმისდა მიუხედავად, ვალდებულების დარღვევით კრედიტორი მხარე განიცდის თუ არა

რეალურ ზიანს. სამოქალაქო სამართალში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობა კი დამოკიდებულია იმ ფაქტის დადგენაზე, კრედიტორმა განიცადა თუ არა რეალურად ზიანი და მისი არსებობის შემთხვევაში, რა მოცულობით. აღნიშნული, თავისმხრივ, უკავშირდება მთელ რიგ ფაქტობრივ და სამართლებრივ სირთულეებს. თუკი, პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა, ვალდებულების დარღვევა ავტომატურად არ გულისხმობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას.¹⁸⁸

სამოქალაქო სამართალში ზიანი გაგებულია, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის შემცირება / განადგურება. სამოქალაქო კოდექსით, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რაც იარსებებდა ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არ დადგომის შემთხვევაში (მუხლი 408.1).

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. პირველს წარმოშობს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, როცა არასახელშეკრულებო ზიანს წინ არ უძღვის სახელშეკრულებო ვალდებულება (მხარეები არ იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში). არასახელშეკრულებო ზიანს წარმოშობს ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეული ქმედება. ამ სახით მიყენებული ზიანი ქმნის კანონისმიერ დელიქტურ ვალდებულებას და ის რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად. დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება, თუ პირი სხვა პირს ზიანს აყენებს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით (მუხლი 992).

როგორც სახელშეკრულებო, ასევე დელიქტური ზიანის ზუსტი განსაზღვრა შესაძლებელია უშუალოდ ზიანის დადგომის შემდგომ. იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენით ან აღნიშნული მოითხოვს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს, კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება (მუხლი 409). ვალდებულების ჯეროვნად

¹⁸⁸ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 417, ველი 28, გვ. 790.

შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზიანი ანაზღაურდება არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, აგრეთვე მიუღებელი შემოსავლისთვისაც, რომელსაც პირი ვერ იღებს და რომელსაც პირი მიიღებდა ვალდებულების ჯეროვნად შესრულების დროს (მუხლი 411). მეტიც, „ანაზღაურებას ექვემდებარება, მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის სავარაუდო იყო წინასწარ და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“ (მუხლი 412).

ამრიგად, სახელშეკრულებო ზიანი არის სახელშეკრულებო ვალდებულების (ვალდებულებათა) დარღვევის საფუძველზე კრედიტორისთვის დამდგარი ნეგატიული შედეგი, რომელიც მოიცავს, როგორც მატერიალურად განცდილ დანაკლისს, ასევე იმ განუხორციელებელ ინტერესს (ინტერესებს), რომლის დადგომის მოლოდინიც გააჩნდა კრედიტორს. შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, როგორც ქონებრივ (ფინანსურ), ასევე არაქონებრივ (რეპუტაციულ, მორალურ) ზიანსაც.¹⁸⁹ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დროს, კრედიტორი მხარე, სურვილისამებრ თავად წყვეტს მოვალეს მოთხოვნის ვალდებულების შესრულება, თუ ზიანის ანაზღაურება.¹⁹⁰

მოვალის მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს ნებაყოფლობით გადახდით ხდება ხანგრძლივი სამოქალაქო დავების თავიდან აცილება. აღნიშნული გარემოებით, აიხსენება კიდევ სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მისი ხშირი გამოყენება. პირგასამტეხლო უზრუნველყოფს, მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას, რის გამოც პირგასამტეხლო უზრუნველყოფილს ხდის, მხოლოდ შეთანხმებული სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურებას. პირგასამტეხლო არ ცვლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორი განიცდის პირგასამტეხლოს თანხაზე უფრო მეტ ზიანს, სამოქალაქო კოდექსით, მას ყოველთვის აქვს უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე (მუხლი 419.2).

¹⁸⁹ ჩიტაშვილი ნ., პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველყოფი ფუნქცია, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, N2/2020, გვ. 18.

¹⁹⁰ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ. სიესტა, 2009, გვ. 33.

2.2.7. პირგასამტეხლო და სამოქალაქო პასუხისმგებლობა

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები პირგასამტეხლოს დანიშნულებასთან დაკავშირებით, კერძოდ, პირგასამტეხლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სახე. ერთ-ერთი მოსაზრებით, ცალსახად სამოქალაქო პასუხისმგებლობის სახეს წარმოადგენს, მხოლოდ კანონისმიერი პირგასამტეხლო, ხოლო სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსთვის დამახასიათებელია ორივე თვისება.¹⁹¹

სამოქალაქო პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა, რომელიც კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ითვალისწინებს სათანადო ზომებს.¹⁹² მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავისმხრივ, მოიცავენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნიშნებს, თუმცა, აღნიშნული ნიშნებით მათ არ ერთმევათ თავიანთი უმთავრესი დანიშნულება, კერძოდ, ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა.

ხელშეკრულების დადების დროს, პირგასამტეხლოზე შეთანხმებით მხარეები უზრუნველყოფენ საკუთარ სახელშეკრულებო ინტერესებს. პირგასამტეხლოს უზრუნველყოფითი ფუნქცია გამოიხატება იმ უარყოფითი ფინანსური შედეგების წინასწარ განსაზღვრაში, რაც შედეგად მოჰყვება ნაკისრი ვალდებულების დარღვევას (ფულადი თანხის დაკისრების გზით).

შესაბამისად, პირგასამტეხლო თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც მხოლოდ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გვევლინება პასუხისმგებლობის ზომად.¹⁹³ აღნიშნულ მიდგომას ამყარებს აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის სისტემაში პირგასამტეხლოსთვის მინიჭებული ადგილიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულად ვერ იქნება გაზიარებული ის

¹⁹¹ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга I, Общие положения, М., Статут, 2001, стр. 662.

¹⁹² Гришин Д.А., Неустойка: теория, практика, законодательство, М., Статут, 2005, стр. 49.

¹⁹³ Гонгалло Б.М., Учение об обеспечении обязательств, М., Статут, 2002, стр. 73.

მოსაზრება, რომლითაც პირგასამტეხლო განიხილულ უნდა იქნეს საჯარიმო სანქციად, ვიდრე უზრუნველყოფად.¹⁹⁴

2.2.8. შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, ზოგადი მიმოხილვა (დავის სუბიექტები, დავის ფარგლები და ეტაპები)¹⁹⁵

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაუხადოს კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის. მისი ნამდვილობა მოითხოვს შეთანხმების წერილობითი ფორმით დადებას, ხოლო მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი, მაგ. მისი ოდენობა, გადახდის ფორმა, გამოანგარიშების წესი და ა.შ. წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების საგანს.

ხელშეკრულების მონაწილეთა აღნიშნული შესაძლებლობები გამყარებულია სამოქალაქო კოდექსით. კერძოდ, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრასთან (მუხლი 319.1) ერთად, მათ შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლოს მოცულობაც, რომელიც კანონით შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს (მუხლი 418.1).

ზემოაღნიშნული მუხლები ადასტურებენ, რომ პირველ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსით, „სახელშეკრულებო თავისუფლება ბრუნვის მონაწილის დამოუკიდებლობის განსაკუთრებული გამოვლინებაა. იგი სამართლის სუბიექტს კერძოსამართლებრივ სივრცეში თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას აძლევს“.¹⁹⁶ მეორე შემთხვევაში, კანონი ხელშეკრულების მონაწილეებს ნაკისრ

¹⁹⁴ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 235.

¹⁹⁵ 2.2.8. ქვეპარაგრაფში გამოთქმული მოსაზრებები გამოქვეყნებულია სტატიაში: იოსელიანი ნ., შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016, გვ. 62-74, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/samartlis%20Jurnali%20%202016.1.pdf>, [17.06.2021]; სტატიის ინგლისური ვერსია: Ioseliani N., Disproportionally High Contract Penalties and Role of the Court in the Sphere of Protection of Civil Interests, “Journal of Law”, N1, 2016, pp. 54-64, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Journal%20of%20Law_Eng.%202016-1..pdf>, [17.06.2021].

¹⁹⁶ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, გვ. 283.

ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის ანიჭებს პირგასამტეხლოს მოცულობის განსაზღვრის თავისუფლებას.

გამონაკლის წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები. აღნიშნული ნორმით, „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში გამსესხებელს ეკრძალება, მის მიერ გაცემული სესხის რეფინანსირების შემთხვევაში ან სესხის მომხმარებლის საკუთარი სახსრებით ან/და მესამე პირის მიერ, ამ კოდექსით დადგენილი წესით დაფარვის შემთხვევაში მომხმარებელს დააკისროს წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო ან ნებისმიერი საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად არის წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო, რომელიც სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 2 პროცენტს აღემატება“. დასახელებული ნორმა წარმოადგენს საგამონაკლისო წესს. აღნიშნული ნორმა იცავს მომხმარებლებს და მისი მიზანია სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარების მომენტიდანვე თავიდან იქნეს აცილებული საფინანსო ორგანიზაციების (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) მხრიდან, სახელშეკრულებო შინაარსის თავისუფლების ბოროტად გამოყენება.¹⁹⁷

სამოქალაქო კოდექსით არ არის დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი (625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა), თუმცა მის ტექსტში აღნიშნულია, რომ ის შეიძლება აღემატებოდეს ვალდებულების შეუსრულებლობიდან ან არაჯეროვანი შესრულებიდან მოსალოდნელ ზიანს. ხელშეკრულების დადების დროს, მხარეთათვის მინიჭებული პირგასამტეხლოს თავისუფლად განსაზღვრის უფლება, ასევე ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო შეიძლება აღემატებოდეს მოსალოდნელ ზიანს არ გულისხმობს პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით დადგენის შესაძლებლობას. ნებისმიერ შემთხვევაში, შეთანხმებული პირგასამტეხლო უნდა პასუხობდეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების, როგორც კრედიტორის, ასევე მოვალის ნებას, აგრეთვე ის უნდა შეესაბამებოდეს დარღვეული ვალდებულებიდან გამომდინარე შედეგებს.

¹⁹⁷ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 418, ველი 5, გვ. 794.

როცა პირგასამტეხლო არ შეესაბამება მხარეთა სამართლიან ინტერესს, „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“ (მუხლი 420). შემცირებას ექვემდებარება, მხოლოდ ისეთი პირგასამტეხლო, რომელიც არა უბრალოდ აღემატება მოსალოდნელ ზიანს, არამედ მასზე შეუსაბამოდ მაღალია. „აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და მხარეებს ხელშეკრულებით არ შეუძლიათ გამორიცხოონ ანდა შეზღუდონ მისი მოქმედება.“¹⁹⁸ აღნიშნული მიდგომა აღიარებულია სასამართლო პრაქტიკაშიც.¹⁹⁹

სასამართლოს მიერ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საკითხი წარმოადგენს პირგასამტეხლოს სამართლებრივი ინსტიტუტის განვითარების შედეგს. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირებას არ იცნობდა რომის სამოქალაქო სამართალი, რომელიც ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას მხარეთა თავისუფალ ნებას, აღნიშნული მიზეზით არ ერეოდა არც მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებათა შინაარსში.²⁰⁰ რომის სამოქალაქო სამართალში, პირგასამტეხლოს მოცულობა შეიძლება შეზღუდულიყო, მხოლოდ ფარული მევახშეობის აკრძალვით. ამ შემთხვევაში, თანხა მცირდებოდა იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ის აღემატებოდა ნებადართულ სიდიდეს.²⁰¹

სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ თანხად მიჩნევა, აგრეთვე მისი შემცირება წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას. პირგასამტეხლოს მოცულობის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით არსებობასთან დაკავშირებით დავის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხის შესწავლა სასამართლოს ვალდებულებაა.²⁰² სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, სასამართლოს მინიჭებული აქვს ლეგიტიმური შესაძლებლობა ჩაერიოს მხარეთა

¹⁹⁸ რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 603.

¹⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nსს-1485-2020, 4 მარტი, 2021 წელი, ქ. თბილისი.

²⁰⁰ The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Edited by Basedow J., Hopt K.J., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, 2012, p. 1260.

²⁰¹ Пергамент М.Я., Договорная неустойка и интерес в римском и современном гражданском праве, Одесса, Экономическая типография, 1899, стр. 271-272, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/271/279.html>>; <<http://civil.consultant.ru/reprint/books/271/280.html>>, [17.06.2021].

²⁰² შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შემთხვევებს ვხვდებით საარბიტრაჟო სასამართლოთა პრაქტიკაშიც. იხ. ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 242.

მიერ გამოვლენილ ნებაში, როდესაც სახეზეა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ბოროტად დარღვევა.²⁰³

ქართულ ცივილისტურ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესით,²⁰⁴ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას სასამართლო ახორციელებს, მხოლოდ დაინტერესებული მხარის მიერ სათანადო მიმართვის საფუძველზე. ასეთ დაინტერესებულ მხარეს, როგორც წესი წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მოვალე,²⁰⁵ რომელსაც საკითხის სადავოდ გახდომის შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით არსებობის მტკიცების ტვირთი.

უზრუნველყოფის სახით დაწესებულ პირგასამტეხლოს, კრედიტორი მხარე, როგორც წესი ითხოვს სრული ოდენობით. პირგასამტეხლოს მიზანს წარმოადგენს დარღვეულ უფლებათა აღდგენა და არა კრედიტორი მხარის გამდიდრება.²⁰⁶ შესაბამისად, პირგასამტეხლოს სახით კრედიტორი არ უნდა იღებდეს არათანაზომიერად დიდ სარგებელს²⁰⁷ და ის უნდა იყოს დარღვეულ ვალდებულებასთან გონივრული და თანაზომიერი.²⁰⁸ თუკი, ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი აღემატება სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს მოცულობას, კრედიტორს ეკისრება მოცემული გარემოების

²⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-831-2019, 30 მარტი, 2020 წელი, ქ. თბილისი.

²⁰⁴ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი არ ადგენს ინიციატორ მხარეს, რომელსაც უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნით. აღნიშნული მუხლის სიტყვა-სიტყვითი შინაარსი ეხება მხოლოდ სასამართლოს შესაძლებლობასა და მის უფლებამოსილებას.

²⁰⁵ გამოთქმულია მოსაზრება, რომლითაც პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა არ წარმოადგენს მართოდ მოვალის უფლებას. იხ. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017, გვ. 284.

²⁰⁶ Гражданское право, в 3-х томах, Т. I, 6-ое издание, под ред. Сергеева А.П., Толстого Ю.К., М., Издательство ПРОСПЕКТ, 2006, стр. 694; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება N2/ზ-584-14, 10 ოქტომბერი, 2014 წელი, ქ. ქუთაისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-506-479-2014, 18 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

²⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1200-1145-2013, 16 მაისი, 2014 წელი, ქ. თბილისი.

²⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1015-1287-09, 4 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-29-26-2015, 27 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

მტკიცების ვალდებულება. ამ შემთხვევაში, „როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზე.“²⁰⁹

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სხვა უფლება-მოვალეობათა სადავოდ გახდომის შემთხვევაში, როდესაც მოვალე სადავოდ არ ხდის პირგასამტეხლოს თანხის მოცულობას, სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით მოახდინოს შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირება. პირგასამტეხლოს მოცულობის საკითხის სადავოდ გახდომის შესაძლებლობა, ასევე გამოირიცხება სასამართლო წარმოების იმ ეტაპზე, როდესაც დაუშვებელია ახალი მოთხოვნის წარდგენა.²¹⁰

მიჩნეულია, რომ საკუთარი ინიციატივით შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირების საკითხის განხილვის სამართლებრივ შესაძლებლობას სასამართლო მოკლებულია საპროცესო კანონმდებლობაშიც. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით,²¹¹ აღიარებულია დისპოზიციურობის პრინციპი, რომლითაც მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყონ საქმის წარმოება სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით და თავადვე განსაზღვრონ დავის საგანი. მოდავე მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება დაამთავრონ მორიგებით, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს ცნოს სარჩელი (მუხლი 30). „დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომელიც სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის – ნების ავტონომიის სრული ანარეკლია, ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგოს არამართო მატერიალური, არამედ საპროცესო უფლებები“.²¹²

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, „სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა“ (მუხლი 248). სასამართლოს გადაწყვეტილება არის

²⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nსს-1015-1287-09, 4 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

²¹⁰ მესხიშვილი ქ., პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III გამოცემა, 2014, გვ. 23.

²¹¹ 1997 წლის 14 ნოემბრის საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, N1106-ის, (შემდგომში - სამოქალაქო საპროცესო კოდექსი), <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=145>>, [17.06.2021].

²¹² ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., გამომცემლობა ჯისიასი, 2005, გვ. 77.

პასუხი მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.²¹³ აღნიშნული ნორმით, სასამართლოს არ შეუძლია, საკუთარი ინიციატივით მხარეს მიაკუთვნოს მოთხოვნილ პრეტენზიაზე მეტი.

ამრიგად, სასამართლო კერძოსამართლებრივ დავას განიხილვას მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში და არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნას. კერძოდ, როგორც შეამციროს, ასევე გაზარდოს სასარჩელო მოთხოვნა ან შეცვალოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი, რის გამოც სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შეუსაბამობის საკითხის განხილვა პირდაპირ უკავშირდება დაინტერესებული მხარის მოთხოვნას და სათანადო წესით ამ მოთხოვნით მიმართვას.²¹⁴

მოვალე, პირგასამტეხლოს თანხის უპირობო გადახდით არც მის შეუსაბამობას ხდის სადავოდ. პირგასამტეხლოს ნებაყოფილობით გადახდით მოვალე ადასტურებს, რომ შეთანხმებული ოდენობა მისთვის არ წარმოადგენს გადასახდელად შეუსაბამოდ მაღალ თანხას.²¹⁵

უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო პირობების ჯეროვნად (შეთანხმებისამებრ) შესრულება, ასევე გამორიცხავს კრედიტორი მხარის უფლებას პირგასამტეხლოს მოთხოვნაზე. „ძირითადი ვალდებულების შესრულება, ლოგიკურია რომ არანაირ უზრუნველყოფას აღარ საჭიროებს.“²¹⁶ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა.“²¹⁷

სამოქალაქო კოდექსით არ არის დადგენილი შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველები, ასევე მისი შემცირების ზღვარი, რის

²¹³ ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორები: ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., თბ., გამომცემლობა სანი, 2004, მუხლი 248, გვ. 416.

²¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ კვლევაში გამოთქმულია მოსაზრება სასამართლოსათვის აღნიშნული უფლების მინიჭების მიზანშეწონილობაზე. იხ. გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017, გვ. 54.

²¹⁵ რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 604.

²¹⁶ იოსელიანი ნ., პირგასამტეხლო, „საქართველოს ნოტარიატი“, N2-3, 2005, გვ. 20.

²¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-303-597-04, 12 ოქტომბერი, 2004 წელი, ქ. თბილისი.

გამოც საქმეში არსებული გარემოებების შესწავლა და მათი შეფასება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარემოებას პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ თანხად მიჩნევისა და მისი შემცირების პროცესში. შესაფასებელი გარემოებები შეიძლება არსებობდეს, როგორც ხელშეკრულების დადების დროს, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობის პერიოდში. ამა თუ იმ სახელშეკრულებო ურთიერთობაში პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ თანხად მიჩნევა და ამ თანხის შემცირება სასამართლოს ინდივიდუალური შეფასების საგანია. პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს გააჩნია, იმ შემთხვევაში, როცა გადახდას დაქვემდებარებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია დარღვეული ვალდებულების შედეგებთან.²¹⁸

აღნიშნული შეფასებითი პროცესის მონაწილეებს წარმოადგენენ სასამართლო, როგორც შემფასებელი, კრედიტორი, რომლის მიმართაც დარღვეულ იქნა პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულება და მოვალე, რომელიც უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან მისი არაჯეროვანი შესრულებისთვის არსებულ პირგასამტეხლოს მიიჩნევს შეუსაბამოდ მაღალ თანხად და ითხოვს მის შემცირებას.

აღნიშნული პროცესის მხარეებმა, კერძოდ, კრედიტორმა და მოვალემ სასამართლოსათვის საყოველთაოდ ცნობილი გარემოებების გარდა, სრულად უნდა შეძლონ მათთვის ხელსაყრელი, ანუ არსებითი და სადავო გარემოებების დადგენა.²¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „კრედიტორმა უნდა ამტკიცოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალის ბრალით არ არის განპირობებული.“²²⁰

²¹⁸ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга I, Общие положения, М., Статут, 2001, стр. 486.

²¹⁹ შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, თბ. GIZ, 2013, გვ. 22.

²²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი, ქ. თბილისი.

სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება მხარეთა მიერ წარმოდგენილ იურიდიულ ფაქტებს და მათ შორის გადანაწილებულ მტიკიცების ტვირთს.²²¹

დასახელებულ პროცესში კრედიტორი და მოვალე მხარეები ერთმანეთს უპირისპირდებიან საკუთარ სამართლებრივ ინტერესთა უპირატესობის წარმოჩენაში, ხოლო ამ ინტერესების შეფასება და მათი დაცვა სასამართლოს უფლებამოსილებაა. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება უნდა ემსახურებოდეს სამართლიანი სამართლის დადგენას. სასამართლო, აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებით იცავს მოვალე მხარეს სამოქალაქო ბრუნვისთვის მიუღებელი უსამართლო ტვირთისგან.²²²

აღნიშნულ პროცესში შეიძლება გამოიწვევს იქნეს შემდეგი ეტაპები:

1. საქმეში არსებულ გარემოებათა დადგენა და მათი შესწავლა;
2. პირგასამტეხლოს მოცულობის გამოანგარიშება;
3. საქმეში არსებული გარემოებების შეწავლის საფუძველზე პირგასამტეხლოს მოცულობის შეუსაბამოდ მაღლად მიჩნევა;
4. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება.²²³

ზემოთაღნიშნული ეტაპების გავლის დროს, სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს კონკრეტული ეტაპის წინაშე არსებულ ამოცანას. შესაბამისად, საქმეზე ამგვარად მიღებული გადაწყვეტილება დაეფუძვნება საქმის გარემოებათა ჯეროვნად შესწავლას და მასში სრულყოფილად იქნება მოცემული დავის, როგორც სამართლებრივი, ასევე მისი სამართლიანი შეფასებაც, რითაც სასამართლოს მიერ დაცული იქნება მოვალის მდგომარეობაც და კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესებიც.²²⁴

²²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ს-991-2020, 18 თებერვალი, 2021 წელი, ქ. თბილისი.

²²² იოსელიანი ნ., პირგასამტეხლო, „საქართველოს ნოტარიატი“, №2-3, გვ. 13.

²²³ ა.გ. კარაპეტოვის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შეუსაბამობის საკითხის გადაწყვეტის დროს შეიძლება გამოყოფილ იქნეს სამი ძირითადი ელემენტი: ვალდებულების დარღვევით გამოწვეული შედეგების შეფასება, პირგასამტეხლოს მოცულობის გამოანგარიშება და მათ შორის აშკარა შეუსაბამობის დადგენა. იხ. Карапетов А.Г., Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, М. Статут, 2005, стр. 188-216.

²²⁴ საგულისხმოა, რომ საქართველოს უმაღლესი საკასაციო სასამართლო (საქართველოს უზენაესი სასამართლო) უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების აღსრულების დროს, საქართველოს კანონის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ შესაბამისად, არ არის უფლებამოსილი შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოები შეამციროს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით. ასეთ

2.2.8.1. საქმეში არსებულ გარემოებათა დადგენა და მათი შესწავლა

აღნიშნულ ეტაპზე ადგილი აქვს საქმეში არსებულ იმ გარემოებათა დადგენას, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობით თუ არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი შედეგების, ასევე საქმის გარშემო არსებული რეალური მდგომარეობის განსაზღვრა. სამოქალაქო კოდექსით დაწესებულია პირგასამტეხლოს შემცირების ზოგადი წესი, რომლის პრაქტიკაში რეალიზებაც უკავშირდება საქმეში არსებულ გარემოებათა გამოკვლევას. აღნიშნული წესი არ აკონკრეტებს იმ გარემოებებს, რომელთა მხედველობაში მიღებით პირგასამტეხლო მიიჩნევა შეუსაბამოდ მაღალ თანხად.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურობის პრინციპთან ერთად აღიარებულია, შეჯიბრებითობის პრინციპიც, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს სამართლიან სამართალწარმოებას.²²⁵ აღნიშნული პრინციპის საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, სამართალწარმოების დროს მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, მათ შეუძლიათ დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ისინი თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (მუხლი 4.1). შესაბამისად, სასამართლო დავაზე გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა მიერ მითითებული გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

„შეჯიბრებითობის პრინციპი გამორიცხავს სასამართლოს მოვალეობას თავისი ინიციატივით შეკრიბოს მტკიცებულებები“.²²⁶ თუმცა, კანონით გათვალისწინებულ

გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე უარი შეიძლება ითქვას საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძველით. იხ. ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 420, ველი 29, გვ. 812.

²²⁵ გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები), დოკუმენტის რედაქტირება: კვაჭაძე მ., ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017, გვ. 118, < <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/konvenciis-me6-muxli.pdf> >, [17.06.2021].

²²⁶ კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., გამომცემლობა საქართველოს მაცნე, 2003, გვ. 43.

შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მოახდინოს მტკიცებულებების შეგროვება და მათი გამოკვლევა. ამ შემთხვევაში სასამართლოს ინიციატივა გამოწვეულია სადავოდ გამხდარი საკითხის გარშემო არსებული გარემოებების მაქსიმალურად უკეთ შესწავლით. აღნიშნული არ გულისხმობს სასამართლოს შესაძლებლობას საკუთარი ნება-სურვილით, დამოუკიდებლად მიიჩიოს ესა თუ ის გარემოება საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებად და მასზე დაყრდნობით მოახდინოს სადავო საკითხის გადაწყვეტა. საქმის გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევისათვის საჭირო მოქმედებები გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. ამ მხრივ, კანონით გაუთვალისწინებელი სასამართლოს ნებისმიერი ინიციატივა წარმოადგენს კანონდარღვევას,²²⁷ შესაბამისად, ამგვარად მიღებულ მტკიცებულებებს არ ექნებათ კანონიერი ძალა.

სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გასარკვევად თავისი ინიციატივით მიმართოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს (მუხლი 4.2): მოახდინოს იმ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა სასამართლოში წარდგენა ამა თუ იმ მიზეზთა გამო შეუძლებელია (მუხლი 120); დანიშნოს ექსპერტიზა, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხის განმარტება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას (მუხლი 162.1); მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოითხოვოს წერილობითი (მუხლი 134.2) ან ნივთიერი (მუხლი 154.2) მტკიცებულებები იმ პირისგან (პირებისგან), თუკი თავად მხარის მიერ ვერ ხერხდება ამ მტკიცებულებების გამოთხოვა და სხვ.²²⁸

„შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნა, რომ სასამართლო ვალდებული არ არის მხარეთა ნების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს საქმის წარმოების პროცესში, ეხება მხოლოდ საქმის ფაქტიურ გარემოებებს, ფაქტიური მასალების შეგროვებას და არა

²²⁷ მესხიშვილი ქ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, ავტორები: ჰაგენლოხი უ., ალავეძე ბ., ბაქაძური ნ., ბერეკაშვილი დ., გასიტაშვილი ე., თოდუა მ., მესხიშვილი ქ., ქათამაძე პ., ძლიერიშვილი ზ., თბ., GIZ, 2020, მუხლი 4, გვ. 89.

²²⁸ საბჭოთა პერიოდის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში აღიარებული იყო ე.წ. „სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპი“, რომლითაც სასამართლოს ევალებოდა დავის გადაწყვეტის დროს თავისი ინიციატივით განეხორციელებინა კანონით გათვალისწინებული ზომები და ის არ უნდა დასჯერებოდა, მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს იხ. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., გამომცემლობა ჯისიაი, 2005, გვ. 83.

იურიდიულ მხარეს, სამართლებრივ შეფასებას²²⁹ შესაბამისად, პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიჩნევის დროს სასამართლო ეყრდნობა, მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მათ მიერ მითითებულ გარემოებებს.

საქმეში არსებული გარემოებები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ უნდა იქნეს გარემოებანი, რომელთა მეშვეობითაც პირდაპირ თუ ირიბად შესაძლებელია ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგებთან პირგასამტეხლოს მოცულობის შეუსაბამობის განსაზღვრა.

2. მეორე ჯგუფში გაერთიანებულ უნდა იქნეს საქმეში არსებული ისეთი გარემოებანი, რომლებიც, თავის მხრივ, უკავშირდებიან სახელშეკრულებო ურთიერთობას, მაგრამ არა პირგასამტეხლოს თანხის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის საკითხის დადგენას.

ამ გარემოებათა ერთმანეთისგან გამიჯვანა თავიდანვე სწორი მიმართულებით წარმართავს სადავოდ გამხდარი პირგასამტეხლოს შეფასების პროცესს და მნიშვნელოვნად გააადვილებს დასახელებული პროცესის წინაშე მდგარი ამოცანების რეალიზებას. სწორედ, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება რა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში არიან მხარეები და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება მართლმსაჯულება.²³⁰

პირგასამტეხლოს მოთხოვნას წარმოშობს უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების ბრალეული დარღვევა და არა ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანის არსებობის ფაქტი. თუმცა, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს მოცულობის განსაზღვრაში ერთ-ერთ მთავარ გარემოებას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევით დამდგარ ზიანთან პირგასამტეხლოს თანხის პროპორციულობა.

ვალდებულების შეუსრულებლობით ან მისი არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი ზიანის რეალური მაჩვენებელი სასამართლოსათვის წარმოადგენს

²²⁹ კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., გამომცემლობა საქართველოს მაცნე, 2003, გვ. 44.

²³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-512-485-2015, 17 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

პირგასამტეხლოს თანხის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით მიჩნევის მნიშვნელოვან საფუძველს. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი ზიანი არის არახელსაყრელი და საზიანო შედეგი, რასაც ადგილი არ ექნებოდა ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. თუკი, მხართა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლო არაგონივრულად აღმატება და შეუსაბამოდ მაღალია ვალდებულების შეუსრულებლობით ან მისი არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ ზიანთან, ასეთი პირგასამტეხლო ექვემდებარება შემცირებას.

„პირგასამტეხლოსათვის დამახასიათებელია, რომ ის შეიძლება გადახდევინებულ იქნეს მაშინაც, როცა ვალდებულების დარღვევას არ გამოუწვევია ზიანის მიყენება, ამიტომ პირგასამტეხლოს შესახებ მოთხოვნის წარდგენისას, კრედიტორი არ არის ვალდებული დაამტკიცოს, რომ მას ზიანი მიეყენა. ასეთი შეიძლება საჭირო შეიქმნას, მაშინ, როცა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს პირგასამტეხლოს შემცირების საკითხი, პირგასამტეხლოს თანხისა და კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანს შორის შეუსაბამოდ დიდი განსხვავების გამო“.²³¹ ამ დროს, მნიშვნელობა ენიჭება ყველა იმ სახელშეკრულებო ინტერესს, რომელთა შეუსრულებლობაც კრედიტორისთვის იწვევს ზიანს და მისთვის წარმოშობს უარყოფით შედეგებს. მაგ. სამოქალაქო კოდექსით, პირდაპირ არის დადგენილი რომ ზიანის მოცულობის განსაზღვრის დროს, მხედველობაში მიიღება ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს გააჩნდა ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დადგენისთვის, ასევე მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი (მუხლი 414).

პირგასამტეხლოს თანხის სადავოდ გახდომის დროს, დამდგარი ზიანის რეალურ მაჩვენებელთან ერთად, მხედველობაში მიიღება ყველა გარემოება, რომელთა მეშვეობით პირგასამტეხლო შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეუსაბამოდ ან გამოირიცხოს მისი ასეთი სახით არსებობა. მაგ. მოვალის მცდელობა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე, არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების შემთხვევაში შესრულების ხარისხი, კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესები,

²³¹ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., სამართალი, 1999, გვ. 78.

მისი მოლოდინი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შედეგად მისაღებ სარგებელზე, მხარეთა ქონებრივი და არაქონებრივი მდგომარეობა და სხვა.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნულ მოსაზრებები გაზიარებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნულია, რომ „სასამართლომ უნდა გამოიკვილოს და მიუთითოს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ პირგასამტეხლოს ოდენობის აშკარა უსამართლობას“.²³² მოცემულ საქმეზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო ისე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, რომ არ ყოფილა დასაბუთებული თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე წარმოადგენდა მოვალისათვის, ვალდებულების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადასახდელად სავალდებულო შეთანხმებული პროცენტი შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს. რადგანაც, გაურკვეველი იყო, თუ რის საფუძველზე იქნა შემცირებული 0.1%-ის პირგასამტეხლო 0.03%-მდე, საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.²³³

2.2.8.2. პირგასამტეხლოს მოცულობის გამოანგარიშება

აღნიშნულ ეტაპზე ხორციელდება სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან მისი არადროული შესრულებისთვის პირგასამტეხლოს სახით რეალურად გადასახდელი თანხის ოდენობის დადგენა. სახელშეკრულებო ვალდებულებებში პირგასამტეხლო განისაზღვრება, მხოლოდ ფულადი სახით და ის დგინდება ჯარიმის ან საურავის ფორმით.

პირველ შემთხვევაში, თავიდანვე ცნობილია გადასახდელი თანხის ოდენობა, ხოლო მეორე შემთხვევის დროს პირგასამტეხლოს თანხის გამოანგარიშების პირობები. სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეუსაბამოდ მაღალი

²³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება Nზს-446-425 (კ-09), 5 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი.

²³³ იქვე.

პირგასამტეხლოს თავიდან ასაცილებლად, ცალსახად რომელიმე ფორმისთვის უპირატესობის მინიჭება მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. კერძოდ, სასამართლო პირგასამტეხლოს თანხას შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად აფასებს არა მისი გამონაგარიშების ფორმის თუ თანხობრივი მოცულობიდან გამომდინარე, არამედ შეთანხმებული თანხის გადაჭარბებული შეუსაბამობის გამო ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგებთან.²³⁴

მაგ. ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე²³⁵ მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის სახელშეკრულებო დავალიანების, ასევე ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დაკისრებას ხელშეკრულების ფასის 0.5%-ის ოდენობით. მოსარჩელეს ხელშეკრულებით ევალეობდა 98376 ლარის საკანცელარიო პროდუქციის მიწოდება, რაც მას ეტაპობრივად ჰქონდა მიწოდებული. კერძოდ, მიწოდებული იყო 35600.80 ლარის ღირებულების პროდუქცია, ხოლო მოპასუხეს გადახდილი ჰქონდა, მხოლოდ მიღებული პროდუქციის 19394 ლარის ღირებულება. შესაბამისად, სახელშეკრულებო დავალიანებას შეადგენდა 16206.80 ლარს. მოპასუხე, თავისმხრივ, არ უარყოფდა სახელშეკრულებო დავალიანების არსებობას, რაც აღიარებული ჰქონდა კიდევ ურთიერთგაანგარიშების შედარების აქტით და აღებული ჰქონდა ვალდებულება აღნიშნული დავალიანების გადახდაზე. ამავდროულად, მოპასუხე უარს აცხადებდა, მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების ფასიდან (98376 ლარიდან) ყოველი ვადაგადაცილებული კვირისათვის გამონაგარიშებული პირგასამტეხლოს 0.5%-ის ოდენობით გადახდაზე, იმ საფუძველით, რომ აღნიშნულზე რაიმე მითითებას არ შეიცავდა ურთიერთგაანგარიშების შედარების აქტი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა, როგორც სახელშეკრულებო დავალიანების სახით არსებული თანხა, ასევე შეთანხმებული პირგასამტეხლო. სასამართლომ პირგასამტეხლოს გამონაგარიშების დროს მიიჩნია, რომ მართალია ხელშეკრულება დაიდო სახელშეკრულებო ფასიდან პირგასამტეხლოს გამონაგარიშების პირობით, თუმცა რეალურად მიწოდებული იყო 35600.80 ლარის ღირებულების პროდუქცია,

²³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება Nბს-302-285 (კ-07), 31 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი.

²³⁵ იქვე.

რომლიდანაც დავალიანებას წარმოადგენდა 16206.8 ლარი. შესაბამისად, პირგასამტეხლო გამოანგარიშებულ უნდა ყოფილიყო ამ უკანასკნელი თანხიდან 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული კვირისათვის და არა სახელშეკრულებო ფასიდან. ის გარემოება, რომ პირგასამტეხლოს გადახდას არ ითვალისწინებდა ურთიერთგაანგარიშების შედარების აქტი არ იქნა შეფასებული პირგასამტეხლოზე მხარეთა შეუთანხმებლობის საფუძვლად, რადგანაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში მის გამოყენებაზე შეთანხმება არსებობდა უშუალოდ მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. დასახელებულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სრულად იქნა გაზიარებული სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ.

პრაქტიკიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს შემცირებაზე დავას ადგილი აქვს უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემდგომ, კერძოდ, პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის წარმოშობის დროიდან. სამოქალაქო კოდექსით, იმ შემთხვევაში, როცა ფულადი ვალდებულების გადახდის დროს ადგილი აქვს ფულადი ერთეულის შეცვლას, „თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულადი ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის“ (მუხლი 389).

ფულადი ვალდებულების შესრულების დროს გამოიყენება ნომინალიზმის პრინციპი, რომლითაც მხარეთა მიერ ნაკისრი ფულადი ვალდებულებები უნდა შესრულდეს მათი რეალური, ნომინალური ღირებულების შესაბამისად, კერძოდ, ფულადი თანხის ნომინალურ ოდენობაში.²³⁶ ნომინალიზმის პრინციპით, ფულადი ვალდებულების საგანია არა ფულის მსყიდველობაუნარიანობა, არამედ ფულადი ერთეულების რაოდენობა.²³⁷ აღნიშნული მიდგომა დაცულ უნდა იქნეს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს შემთხვევაშიც.

²³⁶ ჩანტლაძე მ., ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N5/2002-1, გვ. 174.

²³⁷ მესხიშვილი ქ., ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე (ნომინალიზმის პრინციპი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, V გამოცემა, 2016, გვ. 3.

ფულის ერთეულის ნომინალური ღირებულების შეცვლა წარმოადგენს ფულის ერთეულის გაზრდას ან შემცირებას და ის თავისთავად არ განაპირობებს ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებას სხვა ქვეყნის ფულად ერთეულთან.²³⁸ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ფულის ერთეულის გაზრდის ან შემცირების დროს ადგილი აქვს ფულის რეფორმას, რომელიც ემსახურება ე.წ. გაუფასურებული ფულის მიმოქცევიდან ამოღებას ახალი ფულის შემოღებით, ფულის ერთეულის ან მისი ოქროს შემცველობის შეცვლას, რაც შედეგად იწვევს ფულადი ერთეულის, ფულის ნიშნის და კურსის დადგენას.²³⁹

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია, დემონომინაციის დროს, როდესაც სახეზეა ფულის ერთეულის ნომინალის ცვლილება. მაგ. საბჭოთა კავშირის პერიოდში 10 მანეთის ნომინალის 1 მანეთის ნომინალით შეცვლა.²⁴⁰ ვალუტის ცვლილების ნიმუშად გამოდგება რუსული რუბლის შეცვლა კუპონით, კუპონის შეცვლა ლარით.²⁴¹

2.2.8.3. საქმეში არსებული გარემოებების შეწავლის საფუძველზე პირგასამტეხლოს მოცულობის შეუსაბამოდ მაღლად მიჩნევა

მას შემდგომ რაც საქმეში არსებული გარემოებებით დადგინდება ვალდებულების დარღვევით დამდგარი ნეგატიული შედეგები, ასევე გამოიანგარიშება პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხა, სასამართლო ახორციელებს პირგასამტეხლოს თანხის შესაბამისობის თუ შეუსაბამობის დადგენას ვალდებულების დარღვევით შექმნილ გარემოებებთან.

აღნიშნულ ეტაპზე ადგილი აქვს შეფასებით პროცესს, რომელიც განსაზღვრავს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს **სამართლიანობის, გონივრულობის და კანონიერების** საკითხს. ნებისმიერ შემთხვევაში, შეფასების კრიტერიუმები უნდა ადასტურებდნენ კონკრეტული დავის დროს პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი

²³⁸ წკეპლამე ნ., ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N6/2003-1, გვ. 194.

²³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/467-01, 27 ივნისი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

²⁴⁰ ჩანტლაძე მ., ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N5/2002-1, გვ. 174.

²⁴¹ იქვე.

მოცულობით არსებობას. ამასთანავე, ის რაც ერთ შემთხვევაში შეიძლება არ ქმნიდეს შეთანხმებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით მიჩნევის საფუძველს, სხვა შემთხვევაში შესაძლოა ადასტურებდეს პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი მოცულობით არსებობას. „რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს, სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი“.²⁴²

აღნიშნულ ეტაპზე სასამართლო აფასებს ვალდებულების დარღვევასთან მხარეთა სუბიექტურ დამოკიდებულებას, ასევე ვალდებულების დარღვევით დამდგარ ფაქტობრივ შედეგებს. კერძოდ, სასამართლო ადგენს მხარეთა ბრალეულობას, ყურადღებას აქცევს ვალდებულების დამრღვევის ბრალეულობის ხარისხს,²⁴³ ერკვევა მოვალის ყველა პრეტენზიაში გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის შეუსაბამობაზე, ყურადღებას აქცევს მოვალის მცდელობებს ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე, პირგასამტეხლოს თანხას ადრებს ვალდებულების დარღვევით დამდგარი ზიანის მოცულობას, არკვევს კრედიტორისა და მოვალის სამართლებრივ და ქონებრივ მდგომარეობას, მხარეთა პოზიციებს ბაზარზე, კრედიტორის სახელშეკრულებო მოლოდინს და მის ინტერესს, რომელიც დაკავშირებული იყო ვალდებულების ჯეროვნად შესრულებასთან და სხვა გარემოებებს.

საქმის გარემოებათა შესწავლისა და შეფასებისთვის მნიშვნელოვანი წყაროა საკუთრივ პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი ხელშეკრულებაც. ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებისათვის ხელშეკრულება წარმოადგენს ე.წ. „მოქმედ კანონს“.²⁴⁴ შესაბამისად, ხელშეკრულების შინაარსში გარკვევა უნდა მოხდეს სახელშეკრულებო პირობათა ერთობლიობით, მათი განმარტებითა და ანალიზით. ხელშეკრულების განმარტების შემთხვევაში, სასამართლო აზუსტებს მხარეთა გამონათქვამებს, ან ახდენს ღიად დატოვებული

²⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1060-980-2017, 10 ნოემბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი.

²⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-943-905-2014, 8 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-222-209-2015, 6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

²⁴⁴ ზომიძე ბ., ბურდული ი., თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თბ., გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018, გვ. 18.

ადგილების (ე.წ. ხარვეზების) შევსებას,²⁴⁵ რა დროსაც ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა გარემოებებს.²⁴⁶

მაგ. ერთ-ერთ დავაში შეუძლებელი იყო სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების პირობებით მოვალის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობის დადგენა, ამასთანავე, რეალურად ადგილი ჰქონდა ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას, ხოლო პირგასამტეხლო არ იყო გათვალისწინებული კონკრეტული არაჯეროვანი შესრულების შემთხვევისთვის. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ არსებული ვითარება შეაფასა, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობა და მოცემული მიზეზით მოვალეს პირგასამტეხლო დაეკისრა, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებათა სრულად შეუსრულებლობისათვის, კერძოდ, ვალდებულების სრული შეუსრულებლობის შემთხვევისათვის შეთანხმებული პირგასამტეხლოს მოცულობით.²⁴⁷

მოგვიანებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც სახეზეა სახელშეკრულებო ვალდებულების ნაწილის შესრულების ვადის გადაცილება, სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების, ასევე კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია პირგასამტეხლო გამოანგარიშებულ იქნეს ხელშეკრულების სრული ღირებულებიდან.²⁴⁸

პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით არსებობის საკითხის დადგენისთვის მხედველობაში მისაღებ გარემოებებად უნდა მივიჩნიოთ, ხელშეკრულების დადებიდან პირგასამტეხლოს მოცულობის სადავოდ გახდომამდე არსებული ყველა ის გარემოება, რომლითაც შესაძლებელია პირგასამტეხლოს თანხის შეუსაბამობის განსაზღვრა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოში კანონი იმას კი არ გულისხმობს, რომ პირგასამტეხლოს პროცენტული შეუსაბამობა თავიდანვე შეუსაბამოდ მაღალი თუ იქნებოდა, მხოლოდ ეს გახდებოდა მისი შემცირების საფუძველი, არამედ იმასაც, რომ შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ შეიძლება პირგასამტეხლო იქცეს

²⁴⁵ იოსელიანი ნ., ხელშეკრულების განმარტება, „მართლმსაჯულება“, N3, 2007, გვ. 103.

²⁴⁶ იოსელიანი ნ., ხელშეკრულების განმარტება, რედ. ძლიერიშვილი ზ., თბ., ბონა კაუზა, 2008, გვ. 23.

²⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nბს-1840-1794 (კ-10), 9 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

²⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1485-2020, 4 მარტი, 2021 წელი, ქ. თბილისი.

ვალდებულების შესრულების პროცესშიც, ორივე შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს მოვალის ინტერესები. ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს არა მარტო ქონებრივი, არამედ ყველა პატივსადები ინტერესის გათვალისწინებით, ანუ სასამართლოს შეუძლია პირგასამტეხლოს სამართლიანი შემცირება“.²⁴⁹

სასამართლოს არ შეუძლია განსხვავებული მიდგომები გამოიყენოს ერთგვაროვან საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების დროს. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში (განსაკუთრებით ბოლო წლებში) პირგასამტეხლოს შემცირების საკითხთან დაკავშირებით, უმთავრესად აღიარებულია ერთგვაროვანი სტანდარტები.

2.2.8.4. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება

როცა სასამართლო საქმეში არსებული გარემოებების შეფასების საფუძველზე პირგასამტეხლოს მიიჩნევს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად, ის უფლებამოსილია მის შემცირებაზეც. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების დროს სასამართლო ახდენს ვალდებულების შესრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგებთან პირგასამტეხლოს მოცულობის შესაბამისობაში მოყვანას და არა მის უგულებელყოფას.

პირგასამტეხლოს შემცირების დროს არ არსებობს კანონის მხრიდან რაიმე სახის მითითება პირგასამტეხლოს შემცირების ფარგლებზე. ვინაიდან, პირგასამტეხლო არის სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომელიც გულისხმობს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებლობისთვის დაწესებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის შინაარსაც, მისი შეუსაბამოდ აღიარების შემთხვევაშიც, შემცირება უნდა განხორციელდეს კანონიერად, სამართლიანად და გონივრულად.

სახელშეკრულებო პირგასამტეხლო კანონიერია მაშინ, როდესაც ის შეესაბამება კანონს. კანონთან წინააღმდეგობას ქმნის მხარეთა მიერ პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით დადგენა. სახელშეკრულებო პირობათა სადავოდ

²⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/467-01, 27 ივნისი 2001 წელი, ქ. თბილისი.

გახდომის შემთხვევაში, სასამართლოს ენიჭება განსაკუთრებული შესაძლებლობა სამართლიანი სამართლის დადგენაში, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს სასამართლოს ვალდებულებას. სასამართლო პრაქტიკაში განმარტებულია, რომ სასამართლომ პირგასამტეხლოს შემცირება უნდა მოახდინოს მიზანშეწონილობის შემთხვევაში.²⁵⁰

შეუსაბამოდ მაღალი თანხის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს შემცირების გონივრულობა გულისხმობს ისეთ შემცირებას, რომლითაც დაცული იქნება მოვალის ინტერესები და ასეთი შემცირებით, არც პირგასამტეხლო დაკარგავს თავის სამართლებრივ ფუნქციას. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს უნდა აუნაზღაურდეს სწორედ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ინტერესი.²⁵¹ შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირების შედეგად არ უნდა დაირღვეს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობის, აგრეთვე ხელშეკრულების პირობათა სამართლიანობის პრინციპები.²⁵² დღეისათვის, ქართული სასამართლოები შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების საკითხის განმარტების დროს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებით ხელმძღვანელობენ ერთნაირი სტანდარტებით.²⁵³

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის დაწესებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება შესაძლებელია თუ არა უზრუნველყოფილ იქნეს, ასევე პირგასამტეხლოს გადახდით? ერთი შეხედვით, სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს აღნიშნულის ამკრძალავ ნორმას, თუმცა სამოქალაქო ურთიერთობათა ბუნებიდან გამომდინარე დაუშვებელია ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი მხარე ჩაყენებულ იყოს არასამართლიან და კაბალურ მდგომარეობაში.

ამ კუთხით, მნიშვნელოვან განმარტებებს შეიცავენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც აღნიშნული შემთხვევა შეფასებულია, როგორც შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მაგ. ერთ-ერთი

²⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/1122-01, 1 თებერვალი, 2002 წელი, ქ. თბილისი.

²⁵¹ Гришин Д.А., Неустойка: теория, практика, законодательство, М., Статут, 2005, стр. 100.

²⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nბს-1522-1501 (კ-11), 26 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

²⁵³ კაპანაძე ს., პირგასამტეხლოს შემცირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2016, გვ. 118.

სამინისტროს მიერ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში, ნაკისრ ვალდებულებათა ბრალეული შეუსრულებლობისათვის, დაწესებული იყო ჯარიმის სახით პირგასამტეხლო, რომელიც გადახდილ უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში. ხელშეკრულებითვე, აღნიშნულ 10 დღეში ჯარიმის სახით დაწესებული პირგასამტეხლოს გადაუხდელობისთვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე 0.2%-ის ოდენობით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საქმეებზე განმარტა, რომ მოყვანილ შემთხვევებში გამოყენებული იყო პირგასამტეხლოს ორივე ფორმა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ჯარიმისა და საურავის თანხა, ჯამურად წარმოადგენდა შეუსაბამოდ მაღალ თანხას, რის გამოც გადასახდელად სავალდებულო თანხები შემცირებულ იქნა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს არსებობის საფუძველით.²⁵⁴

სამოქალაქო კოდექსით, სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ პირგასამტეხლოს შემცირებაზე და არა მის სრულ გაუქმებაზე (იმ შემთხვევების გარდა, როცა ადგილი აქვს პირგასამტეხლოს ბათილობის საფუძველებს). სასამართლოს, ასევე არ შეუძლია სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს გაზრდაც. შესაბამისად, სამართლებრივ შესაძლებლობას არის მოკლებული, სასამართლოსათვის მოვალე მხარისგან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს სრულ გაუქმებაზე მიმართვა, ასევე კრედიტორი მხარისგან შეთანხმებული პირგასამტეხლოს გაზრდაზე მოთხოვნის დაყენება.

ამ მხრივ, განსხვავებულ შემთხვევად უნდა იქნეს შეფასებული ვითარება, როდესაც ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებით შემცირებული პირგასამტეხლოს ოდენობა გაზრდილ იქნა ზემდგომი სასამართლოს მიერ. მაგ. სამოქალაქო დავაზე, სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით შემცირებული პირგასამტეხლო შეფასდა

²⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nბს-12-11 (კ-11), 14 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება Nბს-740-734 (კ-11), 17 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება Nბს-735-729 (კ-11), 20 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nბს-335-324 (კ-10), 16 სექტემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება Nბს-1469-1403 (კ-09), 21 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

არადეკვატურად კრედიტორის დარღვეულ ინტერესებთან შედარებით. აღნიშნულის გამო, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა შეიცვალა საქმეში არსებული გარემოებების მხედველობაში მიღებით და მოვალეს დაეკისრა გაზრდილი ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მოგვიანებით გაიზიარა საკასაციო სასამართლომაც.²⁵⁵

აღიარებული წესით, პირგასამტეხლოს გადახდით მოვალე არც მის მოცულობას ხდის სადავოდ. მოვალის მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდა თავისთავად გამოირიცხავს პირგასამტეხლოს თანხის სიდიდესთან დაკავშირებით პრეტენზიებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას, სასჯელს მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ამდენად იგი არ შეიძლება გაიგივდეს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლში მითითებულ შესრულებასთან. მოცემულ ნორმაში იგულისხმება მხარის მიერ უშუალოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა და არა გარიგების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს სახით დამატებითი თანხების გადახდევინება. იმ შემთხვევაში თუ მხარე ნებაყოფლობით გადაიხდიდა პირგასამტეხლოს, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის საფუძველზე შეუძლებელი იქნებოდა მისი უკან დაბრუნება“.²⁵⁶

როდესაც საქმეში არსებული გარემოებებით არ დასტურდება პირგასამტეხლოს იძულებით გადახდის ფაქტი, გადახდილი თანხა მიიჩნევა ნებაყოფლობით გადახდილად და მხარისათვის „ფინანსურად შესაძლებელ გადასახდელ თანხად“, რის გამოც გამოირიცხება სასამართლოს მხრიდან თანხის შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ მიჩნევა და მისი შემცირება.²⁵⁷ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ პრეცედენტებსაც, სადაც სასამართლოს მიერ შემცირებულ იქნა მოვალის მხრიდან უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს თანხაც. ამ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს

²⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-275-259-2014, 5 დეკემბერი, 2014 წელი, ქ. თბილისი.

²⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1015-1289-09, 4 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

²⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1302-2018, 6 ივნისი, 2019 წელი, ქ. თბილისი.

შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით არსებობა არ იქნა გამორიცხული, მხოლოდ იმ ფაქტით, რომ მოვალეს რეალურად სრულად ჰქონდა გადახდილი პირგასამტეხლო. სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მოვალისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ, გზის საფარის დაგება ვერ მოხერხდა უხვი ნალექების გამო წარმოქმნილი გუბეებით.²⁵⁸

2.2.9. პირგასამტეხლო და პროცენტი

სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ცნებისგან (ისევე, როგორც კანონისმიერი პირგასამტეხლოსგან) განსხვავებულ უნდა იქნეს პროცენტის ცნება. პროცენტი თანხმდება მხარეთა მიერ ან წესდება სათანადო სამართლებრივი აქტით (კანონით).²⁵⁹ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პროცენტის ოდენობა, ამავდროულად მოითხოვს კანონით გათვალისწინებულ მოცულობებთან შესაბამისობაში ყოფნას.

სამოქალაქო კოდექსით, მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცენტი შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებთან. ამ დათქმის მიზანია კერძო სამართლის სუბიექტების თავისუფლების შეზღუდვა, მხოლოდ მათივე ინტერესების დაცვისათვის.²⁶⁰

როგორც პირგასამტეხლოს, ასევე პროცენტის შემთხვევაში ადგილი აქვს ფულადი თანხების გადახდას, თუმცა აღნიშნული თანხების დანიშნულებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ისინი სხვადასხვა სამართლებრივი ცნებებია:

1. პირგასამტეხლო, წარმოადგენს გადასახდელად სავალდებულო ისეთ ფულად თანხას, რომელიც წესდება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით დადგენილი

²⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nსს-144-140-2016, 19 აპრილი, 2016 წელი, ქ. თბილისი.

²⁵⁹ Гражданское право, В 4-х томах, Т. I, Общая часть, 3-е издание, отв. ред. Суханов Е.А., М., Волтерс Клувер, 2007, стр. 617.

²⁶⁰ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 384, გვ. 334.

პროცენტი არის გადასახდელი სხვისი ფულადი სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებით.²⁶¹ სხვისი ფულადი სახსრების გამოყენებისათვის არსებული პროცენტი არის კომპენსაცია ან ანაზღაურება კაპიტალის სარგებლობისთვის.²⁶² საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „პროცენტი წარმოადგენს სარგებელს თანხით სარგებლობისათვის, ხოლო პირგასამტეხლო (ჯარიმა) არის სამოქალაქოსამართლებრივი სანქცია ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის“.²⁶³

2. პირგასამტეხლო წესდება ნებისმიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, ხოლო პროცენტი დგინდება ფულად ვალდებულებებზე. სასამართლოს განმარტებით, სარგებელი საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობაა, რომელიც გადახდას ექვემდებარება, იმისდა მიუხედავად ხელშეკრულება სრულდება თუ არა, უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება კი გამორიცხავს პირგასამტეხლოს მოთხოვნას.²⁶⁴ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული პროცენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულად ვალდებულებებთან, კერძოდ, როგორც სასესხო, საკრედიტო, ასევე სამოქალაქო კოდექსით აღიარებულ სხვა ხელშეკრულებებთან.²⁶⁵

3. პირგასამტეხლო და პროცენტი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი სახეებია. როდესაც, ირღვევა პროცენტით დადგენილი ფულადი ვალდებულება, რომელიც ამავდროულად უზრუნველყოფილია პირგასამტეხლოთი, კრედიტორს უფლება აქვს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოითხოვოს დადგენილი პროცენტი და შეთანხმებული პირგასამტეხლო.²⁶⁶

²⁶¹ Гражданское право, В 4-х томах, Т. I, Общая часть, 3-е издание, отв. ред. Суханов Е.А., М., Волтерс Клувер, 2007, стр. 617.

²⁶² Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга I, Общие положения, М., Статут, 2001, стр. 681.

²⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ-480-02, 19 ივლისი, 2002 წელი, ქ. თბილისი.

²⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-373-354-2012, 17 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი.

²⁶⁵ მესხიშვილი ქ., პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, V გამოცემა, 2016, გვ. 12.

²⁶⁶ ამ მოთხოვნათა კუმულაციამ ცხადია, არ უნდა დაარღვიოს სახელშეკრულებო პრინციპები.

4. პირგასამტეხლოსა და პროცენტის განსხვავებული სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ანალოგიის სახით ამ ინსტიტუტების მიმართ არსებულ ნორმათა გამოყენება. მაგ. ხელშეკრულების მონაწილეებს არ მოეთხოვებათ პირგასამტეხლოს მოცულობის საპროცენტო რეგულაციებთან მისადაგება, ხოლო პროცენტის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი).

5. სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლო განსაზღვრულია სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად, როცა პროცენტის ცნება გამოიყენება, როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან.

სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით²⁶⁷ მოცემულია მოვალის მიერ ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევისათვის, მხარეთა მიერ დადგენილი პროცენტის გადახდის წესი: „მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს სხვა საფუძვლიდან გამომდინარე უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია“ (მუხლი 403.1).

სამოქალაქო კოდექსით, მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაშია დასაშვები ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილების დროს პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება. (მუხლი 403.2). შესაბამისად, თუკი ფულად ვალდებულებაზე დადგენილია პროცენტის გადახდა, ამ შემთხვევაში პროცენტი წარმოადგენს სარგებელს, ხოლო აღნიშნული პროცენტის (სარგებლის) თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას, პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება შესაძლებელია, მხოლოდ მხარეთა წინასწარი და სათანადო შეთანხმების არსებობის დროს. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისგან მიჯნავს „პროცენტ-სარგებელს“ და „პროცენტ-სარგებლის გადახდის ვადაგაცილების

²⁶⁷ აღნიშნული ნორმა სისტემურად განთავსებულია სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის მუხლებში, შესაბამისად, ფულადი ვალდებულებებისთვის წარმოადგენს ზოგად წესს, თუკი განსხვავებული რეგულაციები არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილით, ცალკეული ხელშეკრულებებისთვის.

პროცენტს“.²⁶⁸ ორივე მათგანის კაბალური ოდენობით დადგენა, ქმნის ამგვარ გარიგებათა ბათილობის წინაპირობას.²⁶⁹

საგულისხმოა, რომ თუკი ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებას ადგილი აქვს კრედიტორის მხრიდან, მისი ბრალის მიუხედავად, მას აღარ აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება (393-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება შემთხვევა, როდესაც ის არ იღებს მისთვის შეთავაზებულ ისეთ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია. როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელია კრედიტორის მხრიდან რაიმე სახის მოქმედების განხორციელება, ვადის გადაცილებას ქმნის ამ მოქმედების შეუსრულებლობა (მუხლი 390).

სამოქალაქო კოდექსით, მოვალეს უფლება აქვს კრედიტორს მოსთხოვს ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა. ასეთ საბუთს წარმოადგენს ვალის მიღების დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირდება ფულადი ვალდებულების, ასევე პროცენტის მიღების ფაქტი. თუკი, ვალის მიღების შესახებ შედგენილ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი პროცენტის თაობაზე, მოქმედებს პრეზუმცია, რომლითაც პროცენტიც ითვლება გადახდილად და ფულადი ვალდებულება მიიჩნევა სრულად შეწყვეტილად (მუხლი 429.2).

სამოქალაქო კოდექსში, მხარეთა მიერ ცალკეულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში პროცენტის გამოყენების საკითხები მოწესრიგებულია განვადებით ნასყიდობის (506 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), სესხის²⁷⁰ (მუხლები 625-626), გადაზიდვის (მუხლი 695.1), სასესხო შუამავლობის (მუხლი 752.2) და საბანკო კრედიტის (მუხლი 868) ხელშეკრულებათა მარეგულირებელ მუხლებში. აღნიშნულ ხელშეკრულებებში დაწესებული პროცენტის მარეგულირებელი ნორმები გამოიყენება, მხოლოდ კონკრეტულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ.

²⁶⁸ მესხიშვილი ქ., პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, V გამოცემა, 2016, გვ. 18.

²⁶⁹ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 403, ველი 15, გვ. 650.

²⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით შეფასებულია სესხზე დარიცხული პროცენტის ოდენობის გონივრულობის საკითხი, რომელშიც ხაზგასმულა, რომ სესხზე პროცენტის განსაზღვრისას, საკრედიტო ორგანიზაციის სახელშეკრულებო თავისუფლება, საჯარო მართლწესრიგიდან გამომდინარე, არ უნდა ქმნიდეს ამორალური გარიგების მოცემულობას. იხ. გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, თბ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017, გვ. 57.

რაც შეეხება, არასახელმწიფო ვალდებულებთან არსებულ პროცენტს, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ წესებში აღნიშნულია, რომ თუ „მიძღვნი არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძღვლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს“ (მუხლი 981.2).

2.3. პირგასამტეხლო საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში²⁷¹

კონტინენტური ევროპის სამართლისა და საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში განსხვავებულად არის გაგებული პირგასამტეხლოს ცნება და მისი ფუნქცია სახელმწიფო ვალდებულებათა უზრუნველყოფის კუთხით. საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიმოხილვა ნათლად წარმოაჩენს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ქართულ სამოქალაქო სამართალში არსებული სამართლებრივი რეგულაციების მსგავსებასა და განსხვავებას.

2.3.1. პირგასამტეხლო კონტინენტური ევროპის სამართალში

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში, პირგასამტეხლო სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის კარგად ცნობილი საშუალებაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში პირგასამტეხლოს თაობაზე არსებული ზოგადი წესები უმთავრესად აღიარებულია ქართულ სამოქალაქო სამართალშიც, თუმცა ვხვდებით გამონაკლისებსაც.

²⁷¹ ნაშრომის 2.3. პარაგრაფში გამოთქმული მოსაზრებები გამოქვეყნებულია სტატიაში: იოსელიანი ნ., შეუსაბამოდ მაღალი სახელმწიფო ვალდებულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016, გვ. 62-74, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/samartlis%20Jurnali%20%202016.1.pdf>, [17.06.2021]; სტატიის ინგლისური ვერსია: Ioseliani N., Disproportionally High Contract Penalties and Role of the Court in the Sphere of Protection of Civil Interests, „Journal of Law“, N1, 2016, pp. 54-64, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Journal%20of%20Law_Eng.%202016-1..pdf>, [17.06.2021].

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში განსხვავებულ უნდა იქნეს რომანული²⁷² და გერმანული²⁷³ სამართლის ოჯახთა მიდგომები, რომლებიც პირგასამტეხლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ზოგ შემთხვევაში აწესებენ თვისობრივად განსხვავებულ რეგულაციებს.

1. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა და სამეცნიერო ლიტერატურა აღიარებს პირგასამტეხლოს საგნის ფართო გაგებას. უმთავრესად პირგასამტეხლოს საგანია ფულადი თანხა, თუმცა ვხვდებით მისი არაფულადი სახით დადგენის შესაძლებლობებსაც.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს განიხილავს, როგორც მოვალის მიერ კრედიტორისათვის ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის გადასახდელად შეპირებულ ფულად თანხად (§339). კოდექსითვე, არ გამოირიცხება პირგასამტეხლოს დადგენა სხვა შესრულების სახით, ვიდრე ფულადი თანხის გადახდა (§342).²⁷⁴

კონკრეტიკასაა მოკლებული საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, რომლითაც პირგასამტეხლო არის ისეთი პირობა, რომლის მეშვეობითაც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირი იღებს ვალდებულებას რაიმეზე (მუხლი 1226).²⁷⁵ აქედან გამომდინარე, ფრანგული სამოქალაქო სამართლით, პირგასამტეხლო არის ნებისმიერი პირობა (დათქმა), რომლის მიზანია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა.²⁷⁶ ამ ერთგვარი ბუნდოვანების მიუხედავად, ფრანგულ ცივილისტიკაში გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ პირგასამტეხლო დგინდება ციფრებით დადგენილი მყარი ფულადი თანხით.²⁷⁷

²⁷² რომანული სამართლის ოჯახს მიეკუთვნება ის ქვეყნები, რომლებიც განიცდიან საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ე.წ. ნაპოლეონის კოდექსის გავლენას. აღნიშნული კოდექსი მიღებულია 1804 წელს საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ I ბონაპარტის (1769-1821წწ.) თაოსნობით შექმნილი კომისიის მიერ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ფართოდ არის გამოყენებული რომის სამოქალაქო სამართალში აღიარებული მოსაზრებანი.

²⁷³ გერმანული სამართლის ოჯახის სახელწოდებაც მიანიშნებს, რომ სამართლის ამ ოჯახში შემავალი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები განიცდიან გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (1900წ.) გავლენას.

²⁷⁴ Гражданское уложение Германии, пер. с немецкого, 2-ое издание, научный ред. Маковский А.Л., М., Волтерс Клувер, 2006, стр. 83-84.

²⁷⁵ Французский гражданский кодекс, пер. с французского Жуковой А.А., Пашковской Г.А., Санкт-Петербург, Юридический центр пресс, 2004, стр. 690.

²⁷⁶ Bell J., Boyron S., Whittaker S., Principles of French Law, Oxford University press, 1998, p. 351.

²⁷⁷ Морандьер Л. Жюллио де ла, Гражданское право Франции, пер. с французского Флейшиц Е. А., Т. 2, М., Издательство иностранной литературы, 1960, стр. 343-344.

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსით, ნებისმიერი პირობა, რომელიც ვალდებულების არშემსრულებელს აკისრებს ფულადი თანხის გადახდას ან რაიმე ვალდებულების განხორციელებას წარმოადგენს პირგასამტეხლოს, იმისდა მიუხედავად ის ანაზღაურებს ზიანს, თუ უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულებას (მუხლი 91).²⁷⁸

მსგავს ნორმას ვხვდებით საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსშიც, რომლითაც პირგასამტეხლო არის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება ფიქსირებული ფულადი თანხის გადახდაზე ან სხვაგვარი შესრულების მიღება, ვიდრე ფულადი თანხა.²⁷⁹

ხელშეკრულების მხარეთა მიერ პირგასამტეხლოს არაფულადი სახით შეთანხმების შესაძლებლობის შემთხვევებს ვხვდებით პოსტსაბჰოთა სივრცის ქვეყნებშიც: ესტონეთის ვალდებულებითი სამართლის კანონით, პირგასამტეხლო დადგენილია, როგორც დაზარალებული მხარის სასარგებლოდ ხელშეკრულების დამრღვევი მხარისათვის დასაკისრებელი წინასწარ შეთანხმებული ფულადი თანხა ან მოქმედების შესრულება (§158).²⁸⁰

ლატვიის სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლო არის დანაკლისი, რომლის თმენაზეც პირი თანხმდება მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების დროს და ის შეიძლება დაწესდეს, როგორც ფულადი სახით, ასევე სხვა ღირებულებებითაც (მუხლი 1716).²⁸¹

მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსით, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლო უზრუნველყოფს მხარეთა მოსალოდნელ ზიანს და მოვალისათვის იწვევს ფულადი თანხის ან განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულებას (მუხლი 624.1).²⁸²

²⁷⁸ The Civil Code of the Netherlands, translated by Warendorf H., Thomas R., Curry-Summer I., Alphen aan den Rijn, Walters Kluwer Law & Business, 2009, p. 659.

²⁷⁹ Kerameus K.D., Kozyris P.J., Introduction to Greek Law, 3rd revised ed., Alphen aan den Rijn, Kluwer Law International, 2008, p. 114.

²⁸⁰ Law of Obligations Act of Estonia, RT I 2001, 81, 487, passed 26.09.2001, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/506112013011/consolide>>, [17.06.2021].

²⁸¹ Гражданский закон Латвийской республики, Часть IV, Обязательственное право, Рига, Фирма AFS, 2005, стр. 52.

²⁸² Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>, [17.06.2021].

უკრაინის სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლოს საგნად მიჩნეულია ფულადი თანხა ან სხვა ქონება (მუხლი 549),²⁸³ ხოლო ყირგიზეთის სამოქალაქო კოდექსით, ფულადი თანხა ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვაგვარი ქონებრივი ღირებულება (მუხლი 320.1).²⁸⁴

2. ერთდროულად პირგასამტეხლოს გადახდისა და ვალდებულების შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობა უმთავრესაც აღიარებულია ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დროს. სხვა შემთხვევებში, დაუშვებლად არის მიჩნეული ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს კუმულაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებულ მიდგომას ვპოულობთ ესპანეთის სამოქალაქო კოდექსში. კერძოდ, მოვალე პირგასამტეხლოს გადახდით არ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისგან, თუკი ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება არ არის საგანგებოდ შეთანხმებული. კრედიტორს, ასევე არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს გადახდა, თუკი ეს უფლება სათანადოდ არ არის ნებადართული (მუხლი 1153). შესაბამისად, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსით დასაშვებია კუმულატიური პირგასამტეხლო, თუმცა სახელშეკრულებო ვალდებულებებში პირგასამტეხლოს არსებობა უპირობოდ არ იძლევა მისი კუმულატიური ხასიათის პრეზუმციას.²⁸⁵

პირგასამტეხლოს კუმულატიური ხასიათი პირდაპირ არის აღიარებული უკრაინის სამოქალაქო კოდექსით, რომლითაც პირგასამტეხლოს გადახდით (გადაცემით) მოვალე არ თავისუფლდება ვალდებულების ნატურით შესრულებისგან (მუხლი 552.1). მეტიც, პირგასამტეხლოს გადახდა, ასევე არ ართმევს კრედიტორს

²⁸³ Гражданский кодекс Украины, №435-IV от 16.01.2003 года, <<http://meget.kiev.ua/kodeks/grazdanskiy-kodeks/glava-49>>, [17.06.2021]; Слипенченко С.А. Смотров О.И., Кройтор В.А., Гражданское и семейное право, Харьков, 2004, 156.

²⁸⁴ Комментарий к гражданскому кодексу Кыргызской республики, части первой, отв. ред. Галлямова Н.С., Т. 2, Бишкек, Академия, 2005, стр. 248.

²⁸⁵ Garcia I. M., Enforcement of Penalty Causes in Civil and Common Law: A Puzzle to be Solved by the Contracting Parties, "European Journal of Legal Studies", Vol. 5, Issue 1, Spring/Summer 2012, p.95, <<https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/24818/MarinG127UK.pdf?sequence=1&isAllowed=y>>, [17.06.2021].

უფლებას მოითხოვს ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი ზიანის ანაზღაურება (მუხლი 552.2).²⁸⁶

3. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კრედიტორის უფლება ვალდებულების ნატურით შესრულებაზე გამოირიცხება, მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია უზრუნველყოფილი შესრულების მიღება ან კრედიტორმა დაკარგა შესრულების მიმართ ინტერესი. ამ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ალტერნატივად გამოდის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

4. კონტინენტური ევროპის სამართალი პირგასამტეხლოს ერთმნიშვნელოვნად განიხილავს, ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად, რომელიც ამავედროულად ახდენს მიყენებული ზიანის კომპენსაციას. პირგასამტეხლოთი დაუფარავი დამდგარი ზიანი კომპენსირდება, ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმების შესაბამისად.

5. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, მხოლოდ სასამართლო ორგანოებს გააჩნიათ პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიჩნევის უფლებამოსილება, რომლებსაც ამავედროულად მინიჭებული აქვთ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების უფლებაც. შეთანხმებული პირგასამტეხლოს მოცულობის სადავოდ გახდომის ინიციატორად, როგორც წესი, უმთავრესად მოიაზრება მოვალე მხარე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აბსოლუტურად განსახვავებულ მიდგომას ვხვდებით საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში. მაგ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1231-ე მუხლით, ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების დროს ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამტეხლო შეიძლება შემცირდეს მოსამართლის მიერ, მათ შორის საკუთარი ინიციატივით, თანაფარდობაში იმ სარგებელთან, რომელიც კრედიტორმა მიიღო ვალდებულების ნაწილობრივი შესრულებით, რაც არ გამოირიცხავს 1152-ე მუხლის გამოყენებას და ნებისმიერი დათქმა საწინააღმდეგოზე მიიჩნევა დაუშვებლად. მითითებული 1152-ე მუხლი, აგრეთვე ეხება შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირების საკითხს, კერძოდ, როდესაც ხელშეკრულებით, ვალდებულების არშემსრულებელ მხარეს ეკისრება

²⁸⁶ Гражданский кодекс Украины, №435-IV от 16.01.2003 года, <<http://meget.kiev.ua/kodeks/grazdanskiy-kodeks/glava-49>>, [17.06.2021].

ვალდებულება ზიანის შეთანხმებული თანხით ანაზღაურებაზე, მეორე მხარეს არ შეიძლება მიეკუთვნოს, როგორც ნაკლები, ასევე მეტი თანხა.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი თავდაპირველად გამორიცხავდა მხარეთა მიერ გამოხატულ ნებაში ჩარევის შესაძლებლობას და აწესებდა სახელშეკრულებო დათქმათა სიტყვა-სიტყვითი (პირდაპირი) შესრულების სავალდებულო ხასიათს. რადგანაც, აღნიშნული მიდგომა გარკვეულ წილად საფრთხეს უქმნიდა მხარეთა სამართლიან ინტერესებს, 1975 წელს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლს დაემატა ნორმა (სახეცვლილ იქნა 1985 წელს), რომლითაც სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით მოახდინოს შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირება, ასევე მის გაზრდა, თუკი პირგასამტეხლო არის აშკარად გადაჭარბებული და ნებისმიერი დათქმა მოცემულის საპირისპიროდ მიიჩნევა შეუთანხმებლად.

დღეისათვის, საფრანგეთში სასამართლო წარმოადგენს, როგორც პირგასამტეხლოს შეუსაბამობის საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, აგრეთვე აღნიშნული საკითხის სადავოდ გახდომის ერთ-ერთ ინიციატორსაც. პირგასამტეხლოს „შეუსაბამობაში“, ფრანგული სამოქალაქო სამართალი გულისხმობს, მის როგორც მაღალ, ასევე შეუსაბამოდ დაბალ (სასაცილო) მოცულობას. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს, როგორც შეამციროს, ასევე გაზარდოს შეთანხმებული პირგასამტეხლო. ამ შემთხვევაში, სასამართლოს ევალება იმ გარემოებების დადგენა, თუ რასთან დაკავშირებითაა შეთანხმებული თანხა შეუსაბამო ან უმნიშვნელო. განსხვავება უნდა იყოს აშკარად შესამჩნევი და თანხის შემცირება არ შეიძლება მოხდეს რეალურად განცდილი ზიანის ქვემოთ.²⁸⁷

ფრანგული კანონმდებლობის მსგავს ნორმას ვპოულობთ ესპანეთის სამოქალაქო კოდექსშიც, რომლის 1154-ე მუხლით, მოსამართლეს შეუძლია სამართლიანად შეცვალოს პირგასამტეხლო, თუკი მოვალის მიერ ძირითადი ვალდებულება შესრულებულია ნაწილობრივ ან არაჯეროვნად.²⁸⁸ სათანადო

²⁸⁷ Nicholas B., The French law of contract, 2nd ed., Oxford, CLARENDON PRESS, 1996, p. 236.

²⁸⁸ Spanish Civil Code, Madrid, Ministerio de Justicia, 2009,

< <http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/es/es122en.pdf> >, [17.06.2021].

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მოცემული შეცვლა არ გულისხმობს შეუსაბამოდ დაბალი თანხის გაზრდის შესაძლებლობას.²⁸⁹

იტალიის სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლო (მუხლი 1384) შეიძლება სამართლიანად იქნეს შემცირებული სასამართლოს მიერ, როდესაც ძირითადი ვალდებულება შესრულებულია ნაწილობრივ ან პირგასამტეხლო არის შეუსაბამოდ მაღალი, რა დროსაც ყოველთვის მიიღება მხედველობაში ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს გააჩნდა ვალდებულების შესრულების მიმართ.²⁹⁰ აღნიშნული ნორმის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხარის სათანადო მოთხოვნის არსებობის გარეშე, საკუთარი ინიციატივით.²⁹¹

6. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის აღიარების მთავარი საფუძველია ხელშეკრულების შესრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგებთან (დამდგარ ზიანთან, ასევე სხვა გარემოებებთან) პირგასამტეხლოს მაღალი ოდენობით არსებობა. ზოგჯერ მოცემულია შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების ზღვარი და მხედველობაში მისაღებ გარემოებათა ჩამონათვალი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო ექვემდებარება სასამართლოს მიერ შემცირებას შესაბამის მოცულობამდე, კერძოდ, სათანადო თანხამდე (§343.1)²⁹² და პირგასამტეხლოს შესაბამისობის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება კრედიტორის ნებისმიერი სამართლებრივი და არა მხოლოდ ქონებრივი ინტერესი. ეს წესი მოქმედებს, მაშინაც თუ პირგასამტეხლოს გადახდაზე ვალდებული პირი შეასრულებს რაიმე განსაზღვრულ მოქმედებას ან თავს შეიკავებს მისგან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §339 და §342-ით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (§343.2).²⁹³

²⁸⁹ Garcia I. M., Enforcement of Penalty Causes in Civil and Common Law: A Puzzle to be Solved by the Contracting Parties, "European Journal of Legal Studies", Vol. 5, Issue 1, Spring/Summer 2012, p. 94, <<https://cadmus.eu.eu/bitstream/handle/1814/24818/MarinG127UK.pdf?sequence=1&isAllowed=y>>, [17.06.2021].

²⁹⁰ The Italian Civil Code and complementary legislation, Book 4, translated by Beltramo M., Longo G.E., Merryman J.H., N.Y., Oceana Publications INC. Dobbs Ferry, 1991, p. 49.

²⁹¹ European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Edited by Fauvarque-Cosson B., Mazeaud D., Munich, Sellier, European Law Publishers, 2008, p. 316, <https://www.legiscompare.fr/web/IMG/pdf/CFR_I-XXXIV_1-614.pdf>, [17.06.2021].

²⁹² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თარგ, ჭეჭელაშვილი ზ., რედ. ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თბ., GIZ, 2019, გვ. 88-89.

²⁹³ იქვე, გვ. 89.

გერმანულ სამართალში დამკვიდრებული წესით, როდესაც პირგასამტეხლო უზრუნველყოფს სავაჭრო გარიგებას, რომლის ერთ-ერთ მონაწილეს წარმოადგენს მეწარმე, გამოიყენება გერმანიის სავაჭრო კოდექსის §348, რომლითაც კომერსანტის მიერ თავის კომერციულ საქმიანობაში შეპირებული პირგასამტეხლოს მოცულობა არ შეიძლება შემცირებულ იქნეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §343-ით გათვალისწინებული წესების საფუძველზე.²⁹⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლოს გადახდისგან მხარე ასევე თავისუფლდება, როცა ადგილი აქვს ამორალურ გარიგებას (§138) ან კეთილსინდისიერების პრინციპის (§157) დარღვევას.²⁹⁵

კომერციულ ხელშეკრულებებში მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირებას არ იცნობს ავსტრიის კანონმდებლობაც.²⁹⁶ ავსტრიის საერთო სამოქალაქო კოდექსით, ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც მოვალე დაადასტურებს პირგასამტეხლოს გადაჭარბებით არსებობას, პირგასამტეხლო ექვემდებარება შემცირებას, სასამართლოს მიერ შესაძლებლობის შემთხვევაში, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე (§1136 (2)).²⁹⁷

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსით, შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია სამართლიანობის მოთხოვნის სიცხადე, რის გამოც სასამართლოს არ შეუძლია პირგასამტეხლო შეამციროს ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარ ზიანზე ნაკლებად (მუხლი 94).²⁹⁸

მსგავს მიდგომას აღიარებს ბელგიის სამოქალაქო კოდექსიც (მუხლი 1231).²⁹⁹ ბელგიის საკასაციო სასამართლოს 1970 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით დამკვიდრებული განმარტებით, პირგასამტეხლო არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს და მხარეები მასზე შეთანხმების დროს უნდა მოიაზრებდნენ

²⁹⁴ Торговое уложение Германии, Закон об акционерных обществах, Закон об обществах с ограниченной ответственностью, Закон о производственных и хозяйственных кооперативах, пер. с немецкого Дубовицкая Е.А., М., Волтерс Клувер, 2005, стр.183.

²⁹⁵ Benjamin P., Penalties, Liquidated damages and Penal Clauses in Commercial Contracts: A Comparative Study of English and Continental Law, "International and Comparative Law Quarterly", Vol. 9, 1960, p. 619.

²⁹⁶ Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Edited by Basedow J., Klaus J. H., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, 2012, p. 1260.

²⁹⁷ Общее гражданское уложения Австрийской Республики, пер. с немецкого, под ред. Шарингера Л., Шпехта Л., М., Статут, 2013, стр. 290.

²⁹⁸ The Civil Code of the Netherlands, translated by Warendorf H., Thomas R., Curry-Summer I., Alphen aan den Rijn, Walters Kluwer Law & Business, 2009, pp. 659-660.

²⁹⁹ Hubert Bocken H., Bondt W., Introduction to Belgian Law, Bruxelles, Bruylant, The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 2001, p. 241.

ვალდებულების შეუსრულებლობით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურებას.³⁰⁰ აღნიშნულმა მიდგომამ ბელგიაში საფუძველი დაუდო პრინციპს, რომლითაც იკრძალება სასამართლოს მხრიდან განცდილი ზიანის ქვემოთ პირგასამტეხლოს შემცირება.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების თანამედროვე სამოქალაქო კოდექსები, ასევე იცნობენ პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით მიჩნევისა და მისი შემცირების წესებს. ზოგიერთ შემთხვევაში, პირდაპირ არის მითითებული შესაფასებელ გარემოებათა ჩამონათვალი, ასევე შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების ფარგლებიც.

ესტონეთის ვალდებულებით-სამართლებრივი კანონით (მუხლი 162.1), როცა პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხა არაგონივრულად მაღალია, პირგასამტეხლოს გადახდაზე ვალდებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს ის გონივრულ მოცულობამდე. გონივრულ მოცულობამდე შემცირება მოიაზრებს ვალდებულების შესრულების მოცულობის, ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესის და ხელშეკრულების მხარეთა ეკონომიკური მდგომარეობის მხედველობაში მიღებას. ბათილია შეთანხმება, რომელიც ეწინააღმდეგება დასახელებულ წესებს (მუხლი 162.2).³⁰¹

ლიტვის სამოქალაქო კოდექსით, სასამართლოს მხრიდან პირგასამტეხლოს სახით შეთანხმებული თანხის შემცირება დასაშვებია, თუკი პირგასამტეხლო არის აშკარად შეუსაბამო ან კრედიტორს მიღებული აქვს სარგებელი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულებით. ამავდროულად, თანხა არ შეიძლება შემცირდეს ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარ ასანაზღაურებელ ზიანზე ან ნაკლის მქონე შესრულებაზე ქვემოთ (მუხლი 63.2). ეს წესები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ცალკეული სახის ხელშეკრულებებისათვის კოდექსით დადგენილია განსხვავებული რეგულაციები (მუხლი 6.73.3).³⁰²

ლატვის სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ პირგასამტეხლოს მოცულობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და ის არ იზღუდება

³⁰⁰ Herbots J., Contract Law in Belgium, Deventer, Boston, Kluwer Law and Taxation Publishers, 1995, p.149-150.

³⁰¹ Law of Obligations Act of Estonia, RT I 2001, 81, 487, passed 26.09.2001, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/506112013011/consolide>>, [17.06.2021].

³⁰² Civil Code of the Republic of Lithuania, VIII-1864, Adopted in 18.07.2000, <<https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/en/TAD/TAIS.245495>>, [17.06.2021].

ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს გათვალისწინებული ზიანის სიდიდით (მუხლი 1717).³⁰³

აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსით, სასამართლოს შეუძლია შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო შეამციროს საქმის ვითარების გათვალისწინებით. შესაბამისობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კრედიტორის, როგორც ქონებრივი, ასევე ყველა საფუძვლიანი ინტერესი (მუხლი 467).³⁰⁴

მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს შემცირებას განიხილავს გამონაკლისად. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება ყველა გარემოების გათვალისწინებით და პირგასამტეხლოს შემცირება ემყარება კრედიტორის არამართო ქონებრივ, არამედ კანონით დაცულ სხვა ინტერესებსაც (მუხლი 630.1).³⁰⁵

პირგასამტეხლოს შემცირების საკითხი, გამონაკლისი წესის სახითაა წარმოდგენილი უზბეკეთის სამოქალაქო კოდექსში. შემცირების საფუძველს წარმოადგენს კრედიტორისათვის დამდგარ შედეგებთან პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა, მხედველობაში მიიღება მოვალის მხრიდან შესრულებული ვალდებულების ხარისხი, ვალდებულებაში მონაწილე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, კრედიტორის ინტერესები (მუხლი 326).³⁰⁶

სომხეთის სამოქალაქო კოდექსით, სასამართლოს უფლება აქვს პირგასამტეხლოს შემცირებაზე, თუკი ის შეუსაბამოდ მაღალია ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანთან (მუხლი 372).³⁰⁷

უკრაინის სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლოს შემცირების დროს ზიანთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გარემოებებსაც (მუხლი 551.3).³⁰⁸

³⁰³ Гражданский закон Латвийской республики, Часть IV, Обязательственное право, Рига, Фирма AFS, 2005, стр. 56.

³⁰⁴ Гражданский кодекс Азербайджанской Республики, №779-IQ от 28.12.1999 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30420111#sub_id=4620000>, [17.06.2021].

³⁰⁵ Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>, [17.06.2021].

³⁰⁶ Гражданский кодекс Республики Узбекистан, №163-I от 21.12.1995 года, <http://fmc.uz/legisl.php?id=k_grajd>, [17.06.2021].

³⁰⁷ Гражданский кодекс Республики Армения, №3P-239 от 28.07.1998 года, <http://www.parliament.am/law_docs/050598HO239rus.html?lang=rus>, [17.06.2021].

³⁰⁸ Гражданский кодекс Украины, №435-IV от 16.01.2003 года, <<http://meget.kiev.ua/kodeks/grazdanskiy-kodeks/glava-49>>, [17.06.2021].

ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსით, გადახდას დაქვემდებარებული პირგასამტეხლოს მაღალი ოდენობა, დამდგარ ზიანთან მიმართებით, წარმოადგენს პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველს. მხედველობაში მისაღებ გარემოებებად სახელდება მოვალის მიერ შესრულებული ვალდებულების ხარისხი, ასევე მოვალისა და კრედიტორის ანგარიშგასაწევი ინტერესები (მუხლი 297).³⁰⁹

ბელორუსიის (მუხლი 314),³¹⁰ რუსეთის ფედერაციის (მუხლი 333),³¹¹ ტაჯიკეთის (მუხლი 358)³¹² და ყირგიზეთის (მუხლი 323)³¹³ სამოქალაქო კოდექსებით პირგასამტეხლოს შემცირების უფლებამოსილება სასამართლოს მინიჭებული აქვს იმ შემთხვევაში, თუკი პირგასამტეხლო ეწინააღმდეგება ვალდებულების დარღვევით დამდგარ შედეგებს. სარჩელი პირგასამტეხლოს შეუსაბამობაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს მოსარჩელის წმინდა სუბიექტური შეხედულების საფუძველზე.³¹⁴

7. საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში პირგასამტეხლოს გადახდის შემდგომ, მის შემცირების საკითხის განხილვა კანონმდებლობითვე გამორიცხულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსით (§343.1),³¹⁵ ესტონეთის ვალდებულებით სამართლებრივი კანონით (მუხლი 162.3),³¹⁶ ლიტვის (მუხლი 6.73.2),³¹⁷ აზერბაიჯანისა (მუხლი 467)³¹⁸ და მოლდავეთის (მუხლი 630.2)³¹⁹ სამოქალაქო კოდექსებით.

³⁰⁹ Гражданский кодекс Республики Казахстан, Общая часть, №269-ХІІ от 27.12.1994 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1006061>, [17.06.2021].

³¹⁰ Гражданский кодекс Республики Беларусь, №218-3 от 07.12.1998 года, <http://etalonline.by/?type=text®num=HK9800218#load_text_none_1>, [17.06.2021].

³¹¹ Борисов А.Б., Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, 2-ое издание, М., Книжный мир, 2003, стр. 339.

³¹² Гражданский кодекс Республики Таджикистан, Часть первая, №803 от 30.06.1999 года, <<https://lex.uz/docs/111181>>, [17.06.2021].

³¹³ Гражданский кодекс Кыргызской республики, №15 от 08.05.1996 года, <<http://cbd.minjust.gov.kg/act/view/ru-ru/4?cl=ru-ru>>, [17.06.2021].

³¹⁴ Борисов А.Б., Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, 2-ое издание, М., Книжный мир, 2003, стр. 339.

³¹⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თარგ., ჭეჭელაშვილი ზ., რედ. ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თბ., GIZ, 2019, გვ. 88-89.

³¹⁶ Law of Obligations Act of Estonia, RT I 2001, 81, 487, passed 26.09.2001, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/506112013011/consolide>>, [17.06.2021].

³¹⁷ Civil Code of the Republic of Lithuania, VIII-1864, Adopted in 18.07.2000, <<https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/en/TAD/TAIS.245495>>, [17.06.2021].

³¹⁸ Гражданский кодекс Азербайджанской Республики, №779-IQ от 28.12.1999 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30420111#sub_id=4620000>, [17.06.2021].

³¹⁹ Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>, [17.06.2021].

8. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ერთხმად არის აღიარებული, რომ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება არსებობს ძირითადი ვალდებულების ნამდვილობამდე. ეს მიდგომა გაზიარებულია მაშინაც, როდესაც აღნიშნული შინაარსის სათანადო ნორმებს ვერ ვხვდებით პირგასამტეხლოს მარეგულირებელ სამოქალაქო კანონმდებლობაში.

2.3.2. სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალებანი საერთო სამართალში, ზოგადი დასახიათება³²⁰

კონტინენტური ევროპის სამართლისგან განსხვავებით, საერთო სამართლის ქვეყნებში³²¹ სამოქალაქოსამართლებრივ დაცვის საშუალებებს გააჩნიათ საკომპენსაციო ხასიათი და ისინი არ გამოიყენება, როგორც დასჯის საშუალებები ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევის დროს.³²² შესაბამისად, საერთო სამართლისათვის უცნობია პირგასამტეხლოს კონტინენტურ-სამართლებრივი გაგებაც.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესრულების ტოლფასოვან საშუალებებს მიეკუთვნება სასამართლოს ძალით ვალდებულების ნატურით შესრულების (specific performance) დავალება, ასევე ბრძანება რაიმე მოქმედების განხორციელების აკრძალვაზე (injunction). აღნიშნული საშუალებები მიეკუთვნება სასამართლოს მიერ დისკრეციულად გამოსაყენებელ საშუალებებს და მათ გამოყენებაზე გადაწყვეტილებას საქმის განმხილველი სასამართლო იღებს დამოუკიდებლად და საკუთარი მოსაზრებით.

Specific performance განიხილება, „როგორც განსაკუთრებული, ექსტრაორდინალური საშუალება, რომელსაც სასამართლო იყენებს თავისი შეხედულებისამებრ იმ შემთხვევებში, როდესაც მიიჩნევს, რომ ფულადი

³²⁰ აღნიშნულ ქვეპარაგრაფის ტექსტში გამოყენებულია ინგლისური ტერმინები და სახელწოდებები.

³²¹ საერთო სამართლის ქვეყნებში სამართლის წყაროს უმთავრესად წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი, რის გამოც კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირება ეფუძნება არა საკანონმდებლო ნორმებს, არამედ სასამართლო პრეცედენტს (Case Law). ზოგ შემთხვევაში ცალკეული საკითხები, ასევე რეგულირდება სათანადო კანონებითა და დოქტრინით. აღნიშნულ ქვეყნებს მიეკუთვნება ინგლისი, ირლანდია, უელსი, შოტლანდია, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვ.

³²² Байков А.М., Обязательственное право, Часть I, Рига, Балтийский Русский Институт, 2005, стр. 202.

კომპენსაცია, რომელსაც კრედიტორი მიიღებს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვერ დაიცავს ადეკვატურად კრედიტორის ინტერესებს³²³ როდესაც მოდავე მხარე შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებით მოითხოვს specific performance-ის გამოყენებას, მას ამავედროულად ეკისრება მკიცების ტვირთი, დაარწმუნოს სასამართლო ამ ექსტრაორდინალური საშუალების გამოყენების აუცილობლობაზე.³²⁴ სასამართლოს ძალით, ვალდებულების ნატურით შესრულება გამოიყენება, იმ შემთხვევებში, როდესაც მოვალის პიროვნებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, შეთანხმება ეხება უნიკალურ და შეუცვლელ საგნებს,³²⁵ ხელშეკრულების შესრულებას გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობა, მაგ. ბენზინის მიწოდება ნავთობკრიზისის დროს³²⁶ და სხვა.

Injunction არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მოვალეს ნაკისრი აქვს რაიმე მოქმედების შესრულების ვალდებულება. ამ საშუალების გამოყენების დროს მოვალეს დაკისრებული უნდა ჰქონდეს მოქმედებისგან თავის შეკავება.³²⁷ ეს საშუალება გამოიყენება, თუკი იკრძალება ნეგატიური შინაარსი მქონე ხელშეკრულების ან ხელშეკრულების ნეგატიური შინაარსის პირობის დარღვევა.³²⁸ მაგ. როცა მხარეს აღებული აქვს ვალდებულება რაიმეს არ შესრულებაზე, რაიმე მოქმედების აკრძალვაზე, მოქმედებისგან თავის შეკავებაზე და ა.შ.³²⁹

როდესაც ირღვევა ნეგატიური შინაარსის მქონე შეთანხმება ან ხელშეკრულების ნეგატიური შინაარსის პირობა, მოთხოვნის საგანია საპირისპიროზე ვალდებულების დამრღვევის იძულება (mandatory injunction). მაგ. თუკი ხელშეკრულებით შეთანხმებული იყო შენობის აშენების აკრძალვა და ადგილი აქვს პირობის დარღვევას, ამ შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს დამრღვევი მხარისგან შენობის დაშლა.³³⁰ სასამართლოს ძალით შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს,

³²³ ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., მერიდიანი, 2006, გვ. 80.

³²⁴ Fundamentals of American Law, General Editor Morrison A.B., Oxford University Press, 1996, p. 235.

³²⁵ ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., მერიდიანი, 2006, გვ. 81.

³²⁶ Кох Х., Магнус У., Винклер Фон Моренфельс П., Международное частное право и сравнительное правоведение, пер. с немецкого Юмашева Ю.М., М., Международные отношения, 2001, стр. 357.

³²⁷ Mckendrick E., Contract Law, 6th ed., Palgrave Macmillan, 2005, p. 454.

³²⁸ Guest A.G., Anson's law of contract, 26th ed., Oxford, Clarendon Press, 1984, p.520.

³²⁹ იქვე, p.521.

³³⁰ O'Sullivan J., Hilliard J., The Law of Contract, Oxford University Press, 2004, p. 607.

საკუთრივ ვალდებულების დარღვევის პროცესის აკრძალვაც (prohibitory injunction).³³¹ ამ აკრძალვის მოთხოვნაა იმ ქმედებების აკრძალვა ან შეჩერება, რაც შედეგად იწვევს ვალდებულების დარღვევას.

საგულისხმოა, რომ დასახელებულ საშუალებათა ფუნქციონალური დანიშნულების მიუხედავად საერთო სამართლის ქვეყნებში სასამართლოები ყოველთვის ამჯობინებენ გამოიყენებონ სახელშეკრულებო ვალდებულებათა არაპირდაპირი გზით შესრულების საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.³³²

საერთო სამართალი განასხვავებს წინასწარ განსაზღვრული (შეფასებული) ზიანისა (**liquidated damages**) და ჯარიმის (**penalty**) ცნებებს. აღნიშნული ტერმინები განიმარტება განსხვავებული შინაარსით და შესაბამისად ისინი წარმოშობენ სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ცნობილ პირგასამტეხლოს ცნებას უახლოვდება წინასწარ განსაზღვრული ზიანის ცნება. საერთო სამართალში სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისთვის წინასწარ შეთანხმებული ზიანი არ წარმოადგენს შეუსრულებელი ვალდებულების ტოლფასოვან ღირებულებას. ის ახორციელებს წინასწარ, გონივრულად განჭვრეტადი, მოსალოდნელი ზიანის შეფასებას.

აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალება უმთავრესად გამოიყენება გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში და ვხვდებით სამშენებლო, საინჟინრო, საზღვაო, საბითუმო დისტრიბუციის, ფრეშიაზინგის და ა.შ. ხელშეკრულებებში, აგრეთვე ყიდვა-გაყიდვისა და განვადებით ნასყიდობის დროს.³³³

2.3.2.1. წინასწარ განსაზღვრული ზიანი და ჯარიმა ინგლისური სამართლის დოქტრინაში, სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ აქტებში

ინგლისურ სამართალში, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში liquidated damages-ის ცნება გამოიყენება იმ ზიანთან მიმართებით, რომელიც მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებულია ან კანონითაა დადგენილი მხარეთა მიმართ, გაცემული

³³¹ იქვე.

³³² Whincup M.H., Contract Law and Practice, The English System and Continental Comparisons, 4th ed., The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 2001, p. 337.

³³³ Wheeler S., Shaw J., Contract Law, Cases, Materials and Commentary, Oxford, Clarendon Press, 1994., p. 814

ვექსილის / ჩეკის (bill of exchange) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების უგულებელყოფით დამდგარ ზიანთან დაკავშირებით.³³⁴ მისგან განსხვავებით, ტერმინი unliquidated damages (წინასწარ განუსაზღვრელი ზიანი) მიესადაგება ისეთ ზიანს, რომლის შეფასებასაც სასამართლო ან ჟიური ახდენს ე.წ. მიზეზობრიობის ტესტის (remoteness of damage) გამოყენებით.³³⁵

დასახელებული ტესტის მეშვეობით ხორციელდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა ვალდებულების შეუსრულებლობასა და დამდგარ ზიანს შორის. მიზეზობრიობის ფაქტის დადასტურება ქმნის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვალდებულების დარღვევასა და ზიანს შორის არსებულ მიზეზობრივ დაშორებას. რაც უფრო მეტადაა დაშორებული (too remote) დამდგარი ზიანი ვალდებულების შეუსრულებლობასთან, მით უფრო საეჭვოა მათი ურთიერთკავშირი და პირიქით. ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს ვალდებულების შეუსრულებლობიდან ან რომელიც გონივრული ვარაუდით ანაზღაურებადია ხელშეკრულების მხარეთა მიერ.³³⁶

საერთო სამართალში აღიარებული წესით, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შეთანხმებული თანხის გადახდა დასაშვებია, იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულება არ არის ბათილი ან შესასრულებლად შეუძლებელი, ასევე ის არ არის მოშლილი მხარეთა მიერ და მხარეს მიუძღვის ბრალი ნამდვილი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობაში.³³⁷

საერთო სამართალი, წინასწარ განსაზღვრული ზიანის თანხისგან განსხვავებს იმ თანხებს, რომლებსაც ხელშეკრულების მონაწილეები ზოგადად იხდიან ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ან შესრულების მიმართ არსებული ინტერსის დაკარგვის (frustration) სანაცვლოდ და რომელთა გადახდაც ამავდროულად იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლას (ხელშეკრულების შეწყვეტას).³³⁸

წინასწარ განსაზღვრული ზიანი უმთავრესად წარმოადგენს ფულად თანხას, თუმცა ვხვდებით მისი არაფულადი ფორმით შეთანხმების შემთხვევებსაც, კერძოდ,

³³⁴ Chitty J., Chitty on Contracts, Vol. 1, 28th ed., London, Sweet & Maxwell, 1999, p. 1274.

³³⁵ იქვე.

³³⁶ Smith S.A., Contract Theory, Oxford University Press, 2004, pp. 425-246.

³³⁷ English Private Law, Vol. II, Edited by Birks P., Oxford University Press, 2000, p. 865.

³³⁸ იქვე.

ქონების გადაცემის სახით. მაგ. საქმეზე *Jobson v. Johnson* [1989] 1 WLR 1026, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის, წინასწარ განსაზღვრული ზიანი შეთანხმებული იყო საფეხბურთო კლუბის აქციების გადაცემის სახით. კერძოდ, ხელშეკრულების ერთ მხარეს ნაკისრი ჰქონდა საფეხბურთო კლუბის განსაზღვრული ღირებულების აქციათა შეძენა, ამავდროულად დადგენილი იყო პირველი გადასახდელის მოცულობა და დარჩენილი თანხების გადახდის პერიოდი. ხელშეკრულებითვე იყო შეთანხმებული, რომ მეორე და შემდგომი შენატანების გადაუხდელობის შემთხვევაში, შემძენს ევალებოდა წინასწარ განსაზღვრული ზიანის სახით პირველადი შენატანით შეძენილი აქციების დაბრუნება. ვინაიდან, შემძენმა ვერ შეძლო აქციათა სრულად შეძენა, მეორე მხარემ აღძრა სარჩელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, კერძოდ შეძენილ აქციათა უკან გადაცემის მიზნით. თავისმხრივ, შემძენი აღნიშნულ მოთხოვნას მიიჩნევდა შესასრულებლად შეუძლებელ ჯარიმად.³³⁹ სასამართლომ სადავოდ გამხდარი სახელშეკრულებო მოთხოვნა შეაფასა ჯარიმად. ამავდროულად, სასამართლომ მოსარჩელს შესთავაზა ორი ალტერნატივა: სასამართლოს ძალით აქციების გაყიდვა და მიღებული შემოსავლებით გადაუხდელი შენატანების და ინტერესების ანაზღაურება ან აქციების შეფასება და მათი არასაკმარისობის შემთხვევაში სახელშეკრულებო ვალდებულების ნატურით შესრულების დავალება (order for specific performance).³⁴⁰

საერთო სამართლის ქვეყნებში ხელშეკრულების მონაწილეებს უფლება აქვთ თავისუფლად განსაზღვრონ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადასახდელად სავალდებულო თანხის მოცულობა. ორივე მხარის ინტერესებში შედის იმ გარემოებების ზუსტად განსაზღვრა, რა დროსაც გამოიყენება დათქმა წინასწარ შეთანხმებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.³⁴¹ ნებისმიერ შემთხვევაში, გადასახდელი თანხა უნდა ითვალისწინებდეს ვალდებულების შეუსრულებლობით მოსალოდნელი, ნამდვილი ზიანის შეფასებას. დამკვიდრებული წესით, სწორედ ამგვარი დათქმა მიიჩნევა სამართლებრივი ძალის მქონედ, მაშინაც,

³³⁹ Smith J., Smith and Thomas, A Casebook on Contract, 11th ed., London, Sweet & Maxwell, 2000, p. 646.

³⁴⁰ იქვე, p. 649.

³⁴¹ Whincup M.H., Contract Law and Practice, The English System and Continental Comparisons, 4th ed., The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 2001, p. 332.

როდესაც ის ცხადად და მნიშვნელოვნად აღემატება დაზარალებული მხარის მიერ განცდილ დანაკლისს.³⁴²

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინასწარ განსაზღვრული ზიანის სახით შეთანხმებული თანხა ანაზღაურდება რეალურად მიყენებული ზიანის მიუხედავად.³⁴³ მოსარჩელე გათავისუფლებულია ზიანის არსებობის მტკიცებისგან, იმ შემთხვევაშიც, როცა ზიანი არის გაცილებით მცირე ვიდრე შეთანხმებული თანხა. ამავდროულად, როდესაც რეალურად დამდგარი ზიანი აღემატება შეთანხმებულ თანხას, მოსარჩელე შეზღუდულია შეთანხმებული თანხის ოდენობით.³⁴⁴

კონტინენტური სამართლისგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული ზიანის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის საკითხის გარკვევის დროს, საერთო სამართალი ინტერესდება არა ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად დამდგარ ზიანთან შეთანხმებული თანხის შესაბამისობით, არამედ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეთა შორის არსებული განზრახვით. სახელშეკრულებო დათქმა წინასწარ განსაზღვრული ზიანია თუ ჯარიმა, წარმოადგენს განმარტების საკითხს, რომელიც ეფუძვნება მხარეთა მოლაპარაკებების და ხელშეკრულების დადების დროს მოდავე მხარეთა განზრახვას.³⁴⁵ აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების დადების დროს კრედიტორის მიზანს უნდა შეადგენდეს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი დანაკლისის წინასწარ შეფასება და არა მოვალის დასჯა. გადასახდელი თანხა უნდა იყოს მოაზრებული, როგორც კომპენსაცია და არა როგორც მუქარა ან ჯარიმა.³⁴⁶

შეთანხმებული კომპენსაციით, წინასწარ უნდა იყოს შეფასებული ნამდვილად მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება (*genuine pre-estimate of damages*), რომლის მიზანიც არ უნდა იყოს ვალდებულების არშემსრულებელ მხარეზე ზემოქმედება, დაშინებით ან მუქარით ე.წ. *in terrorem* (ლათ.) გზით. თუკი მხარის განზრახვას თავიდანვე შეადგენს მეორე მხარის დასჯა, მასზე ზემოქმედების მოხდენა, სასამართლო ასეთ დათქმას თვლის სასჯელად და ტოვებს მას სამართლებრივი ძალის გარეშე.

³⁴² Treitel G.H., *The Law of Contract*, 10th ed., London, Sweet & Maxwell, 1999, p. 929.

³⁴³ Mckendrick E., *Contract Law, Text, Cases and Materials*, 4th ed., Oxford University Press, 2010, p. 919.

³⁴⁴ Beatson J., *Anson's Law of Contract*, 27th ed., Oxford University Press, 1998, p. 591.

³⁴⁵ Duxbury R., *Contract in a Nutshell*, 7th ed., London, Sweet & Maxwell, 2006, p. 130.

³⁴⁶ Atiyah P.S., *An Introduction to the Law of Contract*, 5th ed., Oxford, Clarendon Press, 1995, p. 434.

საერთო სამართლის ქვეყნებში სახელშეკრულებო დათქმა, რომელსაც სასამართლო მიიჩნევს ჯარიმად, კონტინენტური სამართლისგან განსხვავებით, არ ექვემდებარება შემცირებას. ასეთი დათქმა ითვლება სამართლებრივი ძალის არმქონე და ბათილ პირობად. დაზარალებული მხარისათვის მიყენებული რეალური ზიანი კი ანაზღაურდება ზიანის ანაზღაურების თაობაზე არსებული ზოგადი წესების შესაბამისად.³⁴⁷ კერძოდ, სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის (action for damages) შეტანის გზით.

ხელშეკრულებით დადგენილი თანხების განმარტებისას, სასამართლო არ იზღუდება მხარეთა მიერ გამოყენებული ფრაზეოლოგიით და ყურადღება ექცევა არა მხარეთა მიერ გამოყენებულ ტერმინებს, არამედ შინაარსს.³⁴⁸ შესაბამისად, შეთანხმებული თანხა, რომელიც მხარეთა მიერ შეთანხმებაში მოხსენიებულია წინასწარ განსაზღვრულ ზიანად ან ჯარიმად, საჭიროების სასამართლოსგან ასეთად აღიარებას.

წინასწარ განსაზღვრული ზიანისა და ჯარიმის ერთმანეთისგან განმასხვავებელი წესები ინგლისურ სამართალში ჩამოყალიბებულია, ლორდთა პალატის გადაწყვეტილებით საქმეზე *Dunlop Pneumatic Tyre Co Ltd v New Garage & Motor Co Ltd [1915] AC 79*. სახელშეკრულებო დავის საგანი მდგომარეობდა შემდგომში: აპელანტი Dunlop Pneumatic Tyre Co Ltd წარმოადგენდა ავტომობილების საბურავებით და საავტომობილო ნაწილებით მოვაჭრეს, მოპასუხე New Garage & Motor Co Ltd, კი პროდუქციის დილერს. მოსარჩელესთან გაფორმებული ხელშეკრულებით, მოპასუხეს აღებული ჰქონდა ვალდებულება, არ გაესხვისებინა ან არ შეეთავაზებინა მესამე პირებისათვის პროდუქცია მოსარჩელის მიერ შეთავაზებულ ფასებზე ნაკლებ თანხად. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულებითვე იყო დადგენილი თითოეული პროდუქტისათვის გადასახდელი წინასწარ განსაზღვრული ზიანის ოდენობა. მოპასუხის მიერ დარღვეულ იქნა ზემოაღნიშნული შეთანხმება, კერძოდ მის მიერ გასხვისებულ იქნა მოსარჩელის მიერ შეთავაზებულ ფასზე ნაკლებ თანხად პროდუქცია, რის გამოც მოსარჩელე ითხოვდა შეთანხმებული liquidated damages-ის ანაზღაურებას, რაც სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა სამართლიან და ნამდვილ მოთხოვნად.

³⁴⁷ Dexbury R., Contract in a Nutshell, 7th ed., London, Sweet & Maxwell, 2006, p. 129.

³⁴⁸ Beatson J., Anson's Law of Contract, 27th ed., Oxford University Press, 1998, p. 587.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული სახელშეკრულებო დათქმა, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადასახდელ თანხაზე არის ჯარიმა:

1. თუ ის არის შეუსაბამო და არაგონივრული იმ უდიდეს ზიანთან მიმართებით, რომელიც შესაძლოა დამტკიცდეს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად;

2. დადგენილია ფულადი თანხის გადაუხდელობაზე და თავისი მოცულობით აღმატება ნაკისრ ფულად ვალდებულებას;

3. საკომენსაციო, ერთიანად მოჭრილი თანხა დადგენილია ერთ, რამოდენიმე ან ყველა შესაძლო შემთხვევისათვის, რომელთაგანაც რამოდენიმემ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული, ხოლო სხვა დანარჩენმა მათგანმა უმნიშვნელო ზიანი;

4. თანხა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჯარიმად, თუკი გართულებულია მისი მოცულობის გამოანგარიშება.³⁴⁹

საგულისხმოა, რომ ინგლისის კანონმდებლობა ფულად ანაზღაურებას განიხილავს ვაჭრობის დროს მიცემული გარანტიის ერთ-ერთ სახედ. არაკეთილსინდისიერ სახელშეკრულებო პირობათა აქტით 1977 (Unfair Contract Terms Act 1977), კერძოდ მე-5 მუხლის (1) პუნქტის (b) ქვეპუნქტით, გარანტიად მიიჩნევა წერილობით შეთანხმებული პირობა, თუკი ის მოიცავს ან რომლის მიზანსაც შეადგენს რაიმე პირობის მიცემა ან შეპირება (სიტყვიერად ან გადაცემით), რომ ნაკლოვანებები აღმოიფხვრება ნივთების სრულად ან ნაწილობრივ შეცვლით, შეკეთებით, ფულადი ანაზღაურებით ან სხვაგვარად.³⁵⁰

სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიან პირობათა რეგულაციების 1999 (Unfair Terms in Consumer Contracts Regulations, 1999) 1-ლი მუხლის (e) ქვეპუნქტით, არასამართლიანად მიიჩნევა სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მომხმარებლისგან კომპენსაციის სახით ითხოვს არაპროპორციულად მაღალი თანხის გადახდას.³⁵¹

³⁴⁹ Smith J., Smith and Thomas, A Casebook on Contract, 10th ed., London, Sweet & Maxwell, 1996, p. 622.

³⁵⁰ Unfair Contract Terms Act 1977, < <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/50> >, [17.06.2021].

³⁵¹ Unfair Terms in Consumer Contracts Regulations, 1999, < <http://www.legislation.gov.uk/uksi/1999/2083/made/data.pdf> >, [17.06.2021].

აღნიშნული აქტებიდან, პირველი ვრცელდება ყველა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, ხოლო მეორე მხოლოდ სამომხმარებლო ხელშეკრულებათა პირობებზე.³⁵²

2.3.2.3. წინასწარ განსაზღვრული ზიანი და ჯარიმა ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის დოქტრინაში, სასამართლო პრაქტიკასა და სამართლებრივ აქტებში

ინგლისურ სამართალში ჩამოყალიბებული მოსაზრებები გაზიარებულია ამერიკულ სამართალშიც. თუმცა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ვპოულობთ განსხვავებულ მიდგომებსაც, რაც დასტურდება ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის, სამართლის დოქტრინისა და სამართლებრივი აქტების მიმოხილვით.

ისტორიულად, ამერიკული სასამართლოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რის გამოც მხარეთა მიერ შეთანხმებული სახელშეკრულებო მოთხოვნები ექვემდებარებოდა უპირობო შესრულებას და სასამართლოს მიერ შეთანხმებები განიმარტებოდა, მათი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით.

აღნიშნული კუთხით, მნიშვნელოვან პრეცედენტად ითვლება გადაწყვეტილება საქმეზე *United States v. Bethlehem Steel Corp. 205 U.S. 105 [1907]*. დასახელებულ საქმეში კომპანიას აღებული ჰქონდა იარაღის ლაფეტების მიწოდების ვალდებულება სახელმწიფოსათვის ამერიკა-ესპანეთის ომში. რადგანაც, მიწოდების დროს გააჩნდა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, თითოეული დაგვიანებული დღისათვის, liquidated damages შეთანხმებული იყო განსაზღვრული ოდენობით, ყოველი მიუწოდებელი ერთეულისათვის. იმისდა მიუხედავად, რომ ომი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადგომამდე დასრულდა, მთვარობამ მაინც მიიჩნია, რომ კომპანიის მიერ დარღვეული იყო ობიექტების მიწოდების დრო. აღნიშნულ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ მხარეთა განზრახვა შეაფასა ხელშეკრულების შედგენის მომენტისათვის არსებული

³⁵² Samuel G., Law of Obligations, Cheltenham, Northampton, MA, Edward Elgar Publishing Ltd, 2010, pp.146-147.

მდგომარეობით. სწორედ ამიტომ, რეალური ზიანის არ არსებობის მიუხედავად სასამართლომ liquidated damages დათქმა ჩათვალა სამართლებრივი ძალის მქონე და შესასრულებლად სავალდებულო პირობად.³⁵³

აღნიშნულის მიუხედავად, თანამედროვე პერიოდში ვხვდებით სასამართლო პრეცედენტებს, რომლებშიც ამერიკული სასამართლო ეყრდნობა, არა მხოლოდ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, არამედ თანასწორობის წესსაც (the equitable rule), როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანი არის მცირე ან მას საერთოდ არ აქვს ადგილი.³⁵⁴

ამერიკულ სამართალში აღიარებულია ხელშეკრულების თავისუფლებისა და ეფექტიანობის თეორიები. პირველი თეორიით, ხელშეკრულება ფასდება, როგორც მხარეთა კერძო ავტონომიის გამოხატვა, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების მხარეებისათვის სარგებლიან გარიგებებს.³⁵⁵ ამ თეორიით, განმტკიცებულია ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ სახელშეკრულებო პირობათა თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა. მეორე თეორია, ხელშეკრულების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს ნაკისრი ვალდებულებებისგან გათავისუფლდნენ ხელშეკრულების შესრულების ექვივალენტური ფასის გადახდით, კერძოდ, ფულადი ანაზღაურების გზით.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი ზიანის წინაწარ განსაზღვრისა და მისი შეზღუდვის საკითხებს ეხება ამერიკის შეერთებული შტატების ერთიანი სავაჭრო კოდექსი (Uniform Commercial Code, შემდგომში-UCC).³⁵⁶ UCC-ის §2-718-ის 1-ლი ნაწილით, ნებისმიერი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს შეთანხმებით, მაგრამ მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გონივრულია

³⁵³ Ferris, S.V., Liquidated Damages Recovery Under the Restatement (Second) of Contracts, "Cornell Law Review", Vol., 67, Issue 4, April, 1982, p. 864-865, < <https://core.ac.uk/download/pdf/216747853.pdf> >, [17.06.2021].

³⁵⁴ იქვე, p. 866.

³⁵⁵ ზოიაკი ა.ჯ., სახელშეკრულებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შეერთებული შტატების მაგალითზე, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III გამოცემა, 2014, გვ. 3-4.

³⁵⁶ აღნიშნული აქტი წარმოადგენს შტატების სამართლის უნიფიკაციაზე რწმუნებულთა ნაციონალური კონფერენციის (The National conference of Commissioners on Uniform State Law) და ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (American Law Institute) ერთობლივი მუშაობის შედეგს. დოკუმენტი არ არის სავალდებულო სამართლებრივი ძალის მქონე აქტი, თუმცა ემსახურება ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობების ერთგვაროვან რეგლამენტაციას.

მოსალოდნელ ან ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ ნამდვილ ზიანთან კავშირში, ზიანის მტკიცების სირთულით, არახელსაყრელი პირობების ან უფლების არაადეკვატური დაცვის სხვა საშუალებების მეშვეობით. პირობა, რომელიც გასაზღვრავს არაგონივრულად მაღალ წინასწარ გამოსაანგარიშებელ ზიანს, ბათილია როგორც ჯარიმა.³⁵⁷

მსგავს მოსაზრებას იზიარებს სახელშეკრულებო სამართლის კრებულის (Restatement of the Law of Contracts),³⁵⁸ რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფს წინასწარ განსაზღვრული ზიანისა და ჯარიმის ცნებებს. სახელშეკრულებო სამართლის მეორე კრებულის §356(1)-ით აღნიშნულია, რომ ნებისმიერი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ხელშეკრულებით, თუმცა მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გონივრულია ვალდებულების დარღვევით მოსალოდნელ ზიანთან. პირობა, რომელიც განსაზღვრავს არაგონივრულად მაღალ წინასწარ გამოსაანგარიშებელ ზიანს, არის ჯარიმა და შესაბამისად, ბათილია საჯარო წესრიგის საფუძველზე.³⁵⁹

განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებდა სახელშეკრულებო სამართლის პირველი კრებულის §339(1). ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადასახდელი თანხა არ მიიჩნეოდა სამართლებრივი ძალის მქონედ, იმ შემთხვევების გარდა, როცა დადგენილი თანხა წარმოადგენდა გონივრულად განსაზღვრულ უბრალო ანაზღაურებს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანთან მიმართებით და ამგვარი ზიანი, თავის მხრივ, წარმოადგენდა შეუძლებელ ან ძალიან რთულად შესაფასებელს.³⁶⁰

ამერიკული სამართალი liquidated damages და penalty-ის გამიჯვნისათვის იყენებს სამნაწილიანი ტესტს: 1. ჯარიმად განიხილება სახელშეკრულებო დათქმა,

³⁵⁷ Contract Law: Selected Source Materials, Selected and Edited by Burton S.J., St.Paul, Minn., West Publishing Co. 1995, p. 177; Uniform Commercial Code, <<https://www.law.cornell.edu/ucc>>, [17.06.2021].

³⁵⁸ სახელშეკრულებო სამართლის კრებული (Restatement of the law of contracts) მოიცავს სახელშეკრულებო სამართლის სფეროში მოღვაწე მკვლევარების მიერ შედგენილ მოდელურ პრინციპებს, რომლის პირველი რედაქცია ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (American Law Institute) მიერ შემუშავდა 1932 წელს, ხოლო მისი მეორე რედაქცია 1979 წელს. იმისდა მიუხედავად, რომ კრებული არ ქმნის სამართლის ნორმათა ერთობლიობას და აერთიანებს, მხოლოდ მოდელურ პრინციპებში ასახულ მეცნიერულ მოსაზრებებს, კრებულში აღნიშნულ პრინციპებს ხშირად მიმართავენ იურისტები და მოსამართლეები.

³⁵⁹ Contract Law: Selected Source Materials, Selected and Edited by Burton S.J., St.Paul, Minn., West Publishing Co. 1995, p. 246-247.

³⁶⁰ Ferris, S.V., Liquidated Damages Recovery Under the Restatement (Second) of Contracts, “Cornell Law Review”, Vol., 67, Issue 4, April, 1982, p. 867, <<https://core.ac.uk/download/pdf/216747853.pdf>>, [17.06.2021].

რომელიც მიმართულია ვალდებულების არშემსრულებელი მხარის დასასჯელად; 2. ღირებულება, რომლის დაცვას უზრუნველყოფს შეთანხმებული თანხა არის რთულად შესაფასებელი;³⁶¹ 3. მხარეთა მიერ წინასწარ გასაზღვრული ზიანი უნდა იყოს გონივრულად წინასწარგანჭვრეტადი,³⁶² რადგანაც, გონივრულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია წინასწარ განსაზღვრული ზიანის აღსრულებისთვის.³⁶³

გონივრულობის შესაფასებლად გამოიყენება განსხვავებული მიდგომები, კერძოდ, მოსაზრებები იყოფა იმ საკითხებთან დაკავშირებით, თუ როდის უნდა იყოს გონივრულად განჭვრეტადი ზიანი ხელშეკრულების დადების დროს, ზიანის დადგომის პერიოდში, თუ სასამართლო დავის განმავლობაში. როდესაც შეთანხმებული თანხა არაპროპორციულად დაბალია წინასწარ განსაზღვრულ ან ფაქტობრივად დამდგარ ზიანთან, სახელშეკრულებო პირობა არ განიხილება ჯარიმად, თუმცა ის შესაძლოა სადაოდ იქნეს გამხდარი, არაგონივრულობის საფუძველით.³⁶⁴

ინგლისური სამართლის მსგავსად, ამერიკული სამართალი დაუშვებლად მიიჩნევს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ვალდებულების დამრღვევი მხარის დასჯას. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის გათვალისწინებული გადასახდელი თანხების საჯარიმო ხასიათი განაპირობებს მათ ბათილობას. აღნიშნულ შემთხვევაში, დაზარალებული მხარის მიერ განცდილი ზიანი დგინდება და ანაზღაურდება ზიანის ანაზღაურებისათვის დაწესებული ზოგადი წესების საფუძველზე.³⁶⁵

³⁶¹ Thomas H.R., Smith G.R., Cummings D.J., Enforcement of Liquidated Damages, „Journal of Construction Engineering and Management“, December, 1995, p. 463.

³⁶² ბოიაკი ა.ჯ., სახელშეკრულებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შერთებული შტატების მაგალითზე, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III გამოცემა, 2014, გვ. 9.

³⁶³ Ferris, S.V., Liquidated Damages Recovery Under the Restatement (Second) of Contracts, “Cornell Law Review”, Vol., 67, Issue 4, April, 1982, p. 874-875, <<https://core.ac.uk/download/pdf/216747853.pdf> >, [17.06.2021].

³⁶⁴ Calamari J. D., Perillo J.M., The Law of Contracts, 4th ed., St, Paul, Minn. West Group, 1998, p.593.

³⁶⁵ Chirelstein M.A., Concepts and Case Analysis in the Law of Contracts, 3rd ed., New York, Foundation Press, 1998, p. 180.

2.4. პირგასამტეხლო საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტებში, უნიფიცირებულ ნორმებში, პრინციპებსა და წესებში³⁶⁶

საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობები შიდასახელმწიფოებრივი კანონების გარდა,³⁶⁷ რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან ამ ურთიერთობათა მხარეების მიერ აღიარებული საერთაშორისო წესებითა და პრინციპებით. თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა საერთაშორისო ელემენტის შემცველ, კერძო ხასიათის მქონე სამართლებრივი ურთიერთობების ერთგვაროვანი რეგლამენტაციისკენ. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებში პირგასამტეხლოს ცნებისა და მისი რეგულირების ერთგვაროვანი წესების განსაზღვრაში.

ვინაიდან, პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებას კონტინენტური სამართლისა და საერთო სამართლის ქვეყნებში გააჩნია განსხვავებული ხასიათი, როგორც ტერმინოლოგიური, ასევე შინაარსობრივი კუთხით, ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო დონეზე პირგასამტეხლოს მარეგულირებელ ნორმებთან მიმართებით გამოიყენება სიტყვათა წყობა „შეთანხმებული ფულადი თანხები,” რომლის მიზანია ამ ორ სამართლებრივ სისტემაში არსებული სამართლებრივი მიდგომების გაერთიანება.

2.4.1. ბენილუქსის კონვენცია საჯარიმო თანხებთან დაკავშირებული ერთგვაროვანი სამართლის შესახებ 1973

საერთაშორისო დონეზე, ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევებში, მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული საჯარიმო თანხების ერთიანი რეგულირების პირველ მცდელობას წარმოადგენს 1973 წლის ბენილუქსის კონვენცია საჯარიმო თანხებთან დაკავშირებული ერთგვაროვანი

³⁶⁶ აღნიშნული პარაგრაფის ტექსტში გამოყენებულია ინგლისური ტერმინები და სახელწოდებები.

³⁶⁷ საქართველოში საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობები რეგულირება 1998 წლის 29 აპრილის საქართველოს კანონით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, N1361-III, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> >, [17.06.2021].

სამართლის შესახებ (Benelux Convention Containing a Uniform Law Relating to Penal Sums 18360 (1973) – შემდგომში ბენილუქსის კონვენცია).³⁶⁸

ბენილუქსის კონვენციის ტექსტზე მომუშავე ქვეყნები ვარაუდობდნენ, რომ კანონმდებლობის უნიფიკაცია სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის გამო გათვალისწინებულ წინასწარ შეთანხმებულ საჯარიმო თანხებთან დაკავშირებით, გააძლიერებდა ბენილუქსის ეკონომიკურ კავშირში შემავალი სახელმწიფოების (ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები) სამართლებრივ მდგომარეობას და უზრუნველყოფდა მათ სტაბილურობას.

ბენილუქსის კონვენციის დანართი ითვალისწინებს საჯარიმო თანხებთან დაკავშირებულ, ერთგვაროვან სამართლის წესებს და მოიცავს შვიდ მუხლს. წესები არეგულირებენ მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული საჯარიმო თანხების დაკისრებასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცედურებს, კერძოდ, დეტალურად არის მოცემული სასამართლოს მიერ საჯარიმო თანხების დაკისრების შემთხვევები და მხედველობაში მისაღებ გარემოებათა ჩამონათვალი.

ვინაიდან, აღნიშნული კონვენცია არ იქნა რატიფიცირებული ბენილუქსის ეკონომიკურ კავშირში შემავალი სამივე სახელმწიფოს მიერ, შემუშავებულ ტექსტს არ მიენიჭა სამართლებრივი ძალა და ის დარჩა მუშა პროექტად. თუმცა, აღნიშნულმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს და გაერთიანებებს პირგასამტეხლოს შესახებ სხვა ერთგვაროვანი წესების შემუშავებაში.

2.4.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (1980)

მსოფლიოს მასშტაბით, სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგების კუთხით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

³⁶⁸ ავთენტური ტექსტი ფრანგულ და ჰოლანდიურ ენებზე შეთანხმებულია ჰააგაში 1973 წლის 26 ნოემბერს. ინგლისური ვერსიისათვის იხ. Treaty Series, Treaties and international agreements registered or filed and recorded with the Secretariat of the United Nations, Vol. 1162, New York, United Nations, 1987, pp. 259-262, < <https://treaties.un.org/doc/publication/UNTS/Volume%201162/v1162.pdf> >, [17.06.2021].

(შემდგომში-გაერო)³⁶⁹ კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods 1980, შემდგომში - CISG),³⁷⁰ რომლის მთავარი მიზანია ერთიანი და საყოველთაო წესების დადგენა საერთაშორისო ნასყიდობების დროს. CISG-ის ტექსტში დეტალურად არის მოცემული მისი გამოყენების შემთხვევები³⁷¹ და მოწესრიგებულია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა დადების საკითხები, ასევე აღნიშნული ხელშეკრულების მხარეებისათვის (გამყიდველისა და მყიდველისათვის) წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები.

საგულისხმოა, რომ CISG-ის ტექსტი პირდაპირ არ ითვალისწინებს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევისათვის შეთანხმებული ფულადი თანხების გადახდის რეგულაციებს, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის ტექსტზე მუშაობის დროს ადგილი ჰქონდა არაერთ მცდელობას აღნიშნული საკითხები ასახულიყო კონვენციის ტექსტში.³⁷² გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონვენციის მიერ აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მოცემული შემთხვევები ექვემდებარება კონვენციის რეგულირების სფეროს,³⁷³ კერძოდ, კონვენციის ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი მუხლები (მუხლები 74-79) შეიძლება შეცვლილ იქნეს წინასწარ შეთანხმებული ფულადი თანხების გადახდის დათქმებით. აღნიშნული მოსაზრებით, მხარეებს შეუძლიათ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევებისათვის, წინასწარ გაითვალისწინონ ამგვარი თანხების გამოყენება.³⁷⁴ ამ

³⁶⁹ CISG გაეროს წევრ-სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილ იქნა ვენაში, რის გამოც ის, აგრეთვე ცნობილია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის სახელით. ქართულ ენაზე იხ. < <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4992306?publication=0> >, [17.06.2021].

³⁷⁰ CISG საქართველოში ძალაშია 1995 წლის 1 სექტემბრიდან.

³⁷¹ იხ. CISG-ის 1-6 მუხლები.

³⁷² Komarov A., *The Limitation of Contract Damages in Domestic Legal Systems and International Instruments, Contract Damages Domestic and International Perspectives*, Edited by Saidov D., and Cunnington R., Oxford and Portland, Oregon, Hart Publishing, 2008, p. 263.

³⁷³ იხ. CISG-ის მრჩეველთა საბჭოს მოსაზრება N10 (CISG Advisory Council Opinion No. 10). საბჭო წარმოადგენს სხვადასხვა უნივერსიტეტების კერძო ინიციატივას, კონვენციის ტექსტის გაგების ხელშეწყობისათვის, <https://www.cisgac.com/file/repository/CISG_AC_Opinion_No_10_English.pdf>, [17.06.2021].

³⁷⁴ Гришин Д.А., Неустойка: теория, практика, законодательство, М., Статут, 2005, стр. 24.

მხრივ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავად მხარეთა ნაციონალურ კანონმდებლობასაც.³⁷⁵

CISG-ით, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანი შეადგენს თანხას, რომლითაც ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მეორე მხარე დაზარალებულია, დაკარგული მოგების ჩათვლით. ასეთი ზიანი არ უნდა აღემატებოდეს ზიანს, რომელსაც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ითვალისწინებდა ან უნდა გაეთვალისწინებინა ხელშეკრულების დადების მომენტში, როგორც მისი დარღვევის შესაძლო შედეგი, მხედველობაში უნდა მიეღო რა გარემოებანი, რომელთა შესახებაც მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა (მუხლი 74).

CISG-ის ტექსტი აღიარებს ზიანის ანაზღაურების საკომპენსაციო ხასიათს და ზიანის ცნებაში მოიაზრებს, როგორც რეალურად დამდგარ დანაკლისს, ასევე მიუღებელ შემოსავალსაც.³⁷⁶ ამასთანავე, ხელშეკრულების მხარეს, რომელიც ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, ეკისრება მიყენებული ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, აგრეთვე მიზეზობრიობის მტკიცება ხელშეკრულების დარღვევასა და დამდარ დანაკლის შორის.³⁷⁷

ამრიგად, ზიანის მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი რეგულაციების შეცვლას, ისევე როგორც კონვენციით აღიარებული სხვა წესების შეცვლას ითვალისწინებს საკუთრივ კონვენცია. „მხარეებს შეუძლიათ გამოირიცხონ წინამდებარე კონვენციის გამოყენება, ან მე-12 მუხლის შესაბამისად, თავი აარიდონ ან შეცვალონ კონვენციის ნებისმიერი დებულების გამოყენების შედეგი“ (მუხლი 6).

2.4.3. საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კომისიის ერთგვაროვანი წესები ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელშეკრულებო პირობებით შეთანხმებული თანხის გადახდაზე (1983)

³⁷⁵ Komarov A., *The Limitation of Contract Damages in Domestic Legal Systems and International Instruments, Contract Damages Domestic and International Perspectives*, Edited by Saidov D., and Cunnington R., Oxford and Portland, Oregon, Hart Publishing, 2008, p. 263.

³⁷⁶ Венская конвенция о договорах международной купли-продажи товаров, Комментарий, М., Юридическая литература, 1994, стр. 173.

³⁷⁷ *International Sales Law, United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods, Commentary by Fritz E., Dietrich M.*, New York, London, Rome, Oceana Publications, 1992, p. 300.

საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებში, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ფულადი თანხით შეთანხმებულ საშუალებათა გამოყენებას და მათ რეგულირებას ეხება საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კომისიის³⁷⁸ მიერ შემუშავებული ერთგვაროვანი წესები ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელშეკრულებო პირობებით შეთანხმებული თანხის გადახდაზე (UNCITRAL Uniform Rules on Contract Clauses for an Agreed Sum due upon Failure of Performance 1983 -შემდგომში წესები).³⁷⁹

აღნიშნული წესების ტექსტზე მომუშავე კომისია მიზნად ისახავდა საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებული ყოფილიყო ისეთი ერთგვაროვანი წესები, რომლებიც იქნებოდა კონტინენტური ევროპის სამართალსა და საერთო სამართალში არსებულ განსხვავებათა მომცველი. წესები მიესადაგება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლის მხარეებიც თანხმდებიან, რომ ერთი მხარის (მოვალის) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დროს მეორე მხარეს (კრედიტორს) უფლება აქვს მოითხოვოს შეთანხმებული თანხა ჯარიმის ან კომპენსაციის სახით (მუხლი 1). შესაბამისად, წესებისათვის მისაღებია გადასახდელი თანხის, როგორც საჯარიმო, ასევე უზრუნველყოფითი ხასიათი.

მოცემული წესების მიზნებისათვის ხელშეკრულება მიიჩნევა საერთაშორისოდ, თუკი მხარეებს ხელშეკრულების დადების დროს სხვადასხვა ქვეყანაში გააჩნიათ საქმიანობის ადგილსამყოფელი.³⁸⁰ გარემოება, რომ მხარეებს

³⁷⁸ გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კომისია - United Nations Commission on International Trade Law (შემდგომში - UNCITRAL) დაარსებულია გაეროს გენერალური ასსამბლეის მიერ 1966 წლის 17 დეკემბრის N2205 (XXI) რეზოლუციით. მისი საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სფეროს ჰარმონიზაციას და დაარსების დღიდან წარმოადგენს გაეროს მნიშვნელოვან ორგანიზაციას. იხ. A Guide to UNCITRAL, Basic Facts About the United Nations Commission on International Trade Law, Vienna, United Nations, 2007, p.1, <<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/12-57491-guide-to-uncitral-e.pdf>>, [17.06.2021].

³⁷⁹ 1983 წლის 29 ივნისის წესები დამტკიცებულია გაეროს გენერალური ასსამბლეის 1983 წლის 19 დეკემბრის N38/135 რეზოლუციით, რომლითაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოცემულ წესებს და საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყონ მათი გამოყენება, როგორც მოდელური კანონის, ასევე კონვენციის ფორმით. წესების და რეზოლუციის ტექსტი ინგლისურ ენაზე იხ. United Nations Commission on International Trade Law, New York, United Nations Publication, 1986, pp. 190-192, <<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/uncitral-e.pdf>>, [17.06.2021].

³⁸⁰ წესების ოფიციალური ტექსტის ინგლისურ ვერსიაში გამოყენებულია ტერმინი საქმიანობის ადგილი (place of business), ხოლო რუსულ ვერსიაში კომერციული საწარმო (коммерческое предприятие), იხ. United Nations Commission on International Trade Law, Yearbook, Vol. XIV:1983, New York, United Nations Publication, 1986, pp. 272-273, <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/yb_1983_e.pdf>, [17.06.2021]; Комиссия организации объединенных наций по праву международной торговли, Ежегодник, Том XIV:1983, Нью-Йорк, Организация объединенных наций,

საქმიანობის ადგილი სხვადასხვა ქვეყანაში გააჩნიათ არ გამოიყენება, როცა აღნიშნული არ დასტურდება ხელშეკრულებიდან, რაიმე სხვა ორმხრივი მოლაპარაკებიდან ან მხარეთა მიერ ნებისმიერ დროს მითითებული თუ მიწოდებული ინფორმაციიდან. ამასთანავე, წესების გამოყენებისათვის მხედველობაში არ მიიღება მხარეთა ნაციონალური კუთვნილება და არც მათი სამოქალაქო თუ სავაჭრო სტატუსი, ასევე ხელშეკრულების სამოქალაქო თუ სავაჭრო ხასიათი (მუხლი 2). როდესაც, მხარეს გააჩნია ერთზე მეტი საქმიანობის ადგილი, საქმიანობის ადგილად მიიჩნევა ის, რომელიც ყველაზე ახლო კავშირია ხელშეკრულებასთან და მის შესრულებასთან. მხედველობაში მიიღება გარემოებები, რომლებიც მხარეებისთვის ცნობილი ან მათ მიერ ნაგულისხმევი იყო ხელშეკრულების დადებამდე, ასევე ხელშეკრულების დადების დროს. როცა მხარეს არ გააჩნია საქმიანობის ადგილი, გამოიყენება მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი (მუხლი 3).

აღნიშნული წესები არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებებზე, რომლებითაც საქონლის, სხვა საკუთრების ან მომსახურების მიწოდება ხორციელდება მხარის პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის. გამონაკლისად სახელდება შემთხვევა, როდესაც მეორე მხარისთვის ხელშეკრულების დადებამდე ან ხელშეკრულების დადების დროს არ იყო ცნობილი და მას არ შეიძლება სცოდნოდა მსგავსი მიზნებით ხელშეკრულების დადების შესახებ (მუხლი 4).

წესები დეტალურად ასახავს ასანაზღაურებელი თანხების გადახდის, დარღვეული ვალდებულების შესრულების, ასევე მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებს. კერძოდ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის დროს, კრედიტორს უფლება აქვს მოვალეს მოსთხოვოს ან მხოლოდ ვალდებულების შესრულება ან შეთანხმებული თანხის გადახდა. ორივე მოთხოვნის უფლება კრედიტორს აქვს მხოლოდ ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობის დროს (მუხლი 6).

თუკი შეთანხმებული თანხა არ ფარავს მიყენებულ ზიანს და ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აღემატება შეთანხმებულ თანხას, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს არსებული სხვაობის ანაზღაურება, ხოლო ზიანი რომელიც იფარება

1985, стр. 692-694, <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/ru/yb_1983_r-pages-345-721.pdf>, [17.06.2021].

უზრუნველყოფილი თანხით არ შეიძლება გახდეს დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა (მუხლი 7).

წესებით, კრედიტორს უფლება არ აქვს მოვალეს მოსთხოვოს შეთანხმებული თანხის გადახდა, როდესაც მას საერთოდ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობაზე (მუხლი 5).³⁸¹ შეთანხმებული თანხა სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ ექვემდებარება შემცირებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის მნიშვნელოვნად არაპროპორციულია კრედიტორის მიერ განცდილ ზიანთან (მუხლი 8).

2.4.4. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (78)3 სამოქალაქო სამართალში საჯარიმო დათქმების შესახებ 1978

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სამოქალაქო სამართალში პირაგასამტეხლოს შესახებ ერთიანი რეგულაციის დაწესებას ეხმიანება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (Committee of Ministers of the Council of Europe) მიერ 1978 წლის 20 იანვარს შემუშავებული რეზოლუცია (78)3 სამოქალაქო სამართალში საჯარიმო დათქმების შესახებ (Resolution (78)3 Penal Clauses in Civil Law 1978 –შემდგომში რეზოლუცია).³⁸² აღნიშნული რეზოლუციით რეკომენდირებული წესები ამა თუ იმ ფორმით გამყარებულია ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა ნაციონალურ კანონმდებლობებში.³⁸³

არაიმპერატიული ხასიათის მიუხედავად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს მინიჭებული აქვთ მნიშვნელოვანი დანიშნულება. „ერთის მხრივ, რეკომენდაციები ძალაში შედის მათი მიღებისთანავე და მიმართულია ყველა წევრი ქვეყნისადმი, მეორეს მხრივ, კონვენციებთან შედარებით,

³⁸¹ მე-9 მუხლის საფუძველზე, მხარეებს უფლება აქვთ უარი თქვან ან შეცვალონ და განსხვავებულად ჩამოაყალიბონ წესების მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები.

³⁸² რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა ახალი სამოქალაქო კანონმდებლობის შემუშავების დროს მხედველობაში უნდა მიიღონ რეზოლუციის დამატებაში მოცემული პრინციპები, გაავრცელონ ისინი ნებისმიერ მოდიფიკაციასა და დათქმაზე, რომლებსაც გააჩნიათ პირაგასამტეხლოს ფუნქცია. რეზოლუცია, მისი დამატება და განმარტებითი მემორანდუმი გახადონ ხელმისაწვდომი შესაბამისი ორგანოებისათვის და ქვეყანაში დაინტერესებული სხვა პირებისათვის. ევროპის საბჭოში საქართველო გაწევრიანდა 1999 წელს. რეზოლუცია და პრინციპები ინგლისურ ენაზე იხ. < <https://rm.coe.int/0900001680505599> >, [17.06.2021].

³⁸³ Канашевский В.А., Внешнеэкономические сделки: материально-правовое и коллизионное регулирование, М., Волтерс Клувер, 2008, стр.168.

ისინი მეტი მოქნილობით გამოირჩევიან იმის გამო, რომ მათი განხორციელება სრულად არის დამოკიდებული სახელმწიფოებზე და მათში ცვლილებების შეტანაც შესაძლოა უფრო სწრაფ ტემპებში განხორციელდეს. და ბოლოს, მიუხედავად მათი არასავალდებულო ბუნებისა, კონკრეტული საკითხის გარშემო შემუშავებული რეკომენდაციები ყველა წევრ მთავრობას განუსაზღვრავს მისაღწევი შეთანხმების ფორმას.”³⁸⁴

რეზოლუციით დამტკიცებული წესების გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი სახის ხელშეკრულებებში (მუხლი 8) და პირგასამტეხლო წარმოადგენს ფულად თანხას, რომლის გადახდაც ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალეს ეკისრება ჯარიმის ან კომპენსაციის სახით (მუხლი 1). შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს არსებობის შემთხვევაში დასაშვებია სასამართლოს მიერ მისი შემცირება, რა დროსაც შეთანხმებული თანხა არ შეიძლება შემცირებულ იქნეს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ასანაზღაურებელი ზიანის ქვემოთ. პირგასამტეხლოს შემცირება შესაძლებელია ძირითადი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების დროსაც და ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გამორიცხავს დასახელებულ პირობებს მიიჩნევა ბათილად (მუხლი 7).

კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს ძირითადი ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს გადახდაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადასახდელი თანხა დაწესებულია ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის და ნებისმიერი შეთანხმება რომელიც ეწინააღმდეგება დასახელებულ წესს განიხილება ბათილად (მუხლი 2).

პირგასამტეხლოზე შეთანხმების არსებობა, თავის მხრივ, არ ართმევს კრედიტორს თანხის სანაცვლოდ ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას (მუხლი 3), პირგასამტეხლოს სახით შეთანხმებული თანხა არ შეიძლება იყოს მოთხოვნილი, თუკი შეუსრულებლობის მიუხედავად მოვალეს შეუძლია ძირითადი ვალდებულების შესრულება (მუხლი 4).

კრედიტორს არ შეუძლია ძირითადი ვალდებულების შესრულებასთან ერთად დამატებით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც, პირგასამტეხლოს მოთხოვნის

³⁸⁴ ბენუა-რომერი ფ., კლებესი ჰ., ევროპის საბჭოს სამართალი პანევროპული სამართლებრივი სივრცისკენ, 2005, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, გვ. 1.

არსებობისას. (მუხლი 5). მხარეთა ნებისმიერი შეთანხმების მიუხედავად, კრედიტორს არ შეუძლია გადაჭარბებით მოითხოვს პირგასამტეხლოს გადახდა ან ზიანის ანაზღაურება არსებულზე უფრო მეტი ოდენობით (მუხლი 6).

2.4.5. ევროპის კავშირის საბჭოს დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიან გამონათქვამებთან დაკავშირებით 39/13/EEC 05.04.1993

ევროპის კავშირის საბჭოს (European Union Council) დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიან გამონათქვამებთან დაკავშირებით (Directive 39/13/EEC 05.04.1993 on Unfair Terms in Consumer Contracts, შემდგომში-დირექტივა)³⁸⁵ მიმართულია ევროპის კავშირში შემავალ წევრ სახელმწიფოებში მომხმარებელთა უფლებების დაცვისკენ, განსაზღვრავს სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიან გამონათქვამებს, მათ შედეგებს და ემსახურება ამგვარი პირობების აკრძალვას.

აღნიშნული დირექტივის დანართი, რომელიც აზუსტებს დირექტივის მე-3 მუხლის მოთხოვნებს, ითვალისწინებს არასამართლიან გამონათქვამთა განმარტებებს. დანართის 1-ლი პუნქტის (e) ქვეპუნქტით, არასამართლიანად განიხილება სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მომხმარებლისგან საკომპენსაციოდ აწესებს არაპროპორციულად მაღალი თანხის გადახდის მოთხოვნას. შესაბამისად, ასანაზღაურებელი თანხების პროპორციულობა, განაპირობებს სახელშეკრულებო პირობათა დანიშნულებას და მათ სამართლებრივ ბედს.

2.4.6. უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები 1994, 2004, 2010, 2016

კერძო სამართლის საერთაშორისო უნიფიკაციის ინსტიტუტის (International Institute of the Unification of Private Law, შემდეგში - UNIDROIT) მიერ შემუშავებულ

³⁸⁵ European Union Council Directive 39/13/EEC 05.04.1993 on Unfair Terms in Consumer Contracts, “Official Journal of the European Communities”, Vol. 36, 1993, p.33, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31993L0013&from=EN>>, [17.06.2021].

საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპებში (Principles of International Commercial Contract - შემდგომში უნიდრუას პრინციპები) მოცემულია, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადასახდელად შეთანხმებული თანხების რეგულაცია. ამ შინაარსის მუხლს ვხვდებით უნიდრუას პრინციპების 1994, 2004, 2010 და 2016 წლების რედაქციებში. დასახელებული რედაქციები ერთმანეთისგან განსხვავდება მოწესრიგებულ საკითხთა მოცულობით³⁸⁶ და ადგენენ ზოგად წესებს საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებისათვის.

საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში უნიდრუას პრინციპები გამოიყენება, როდესაც არსებობს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შეთანხმება აღნიშნული პრინციპების გამოყენებაზე; ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როცა ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ მათზე ვრცელდება სამართლის ზოგადი წესები, *lex mercatoria* ³⁸⁷ ან მსგავსი; როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე სამართალი მათი ხელშეკრულების რეგულაციისათვის; პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტების განმარტებისა და შევსებისათვის; შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განმარტებისა და შევსებისათვის; აგრეთვე მათი გამოყენება შესაძლებელია ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის მოდელად.³⁸⁸

თუკი ხელშეკრულების მხარეები მიმართავენ უნიდრუას პრინციპებს კონკრეტული რედაქციის მითითების გარეშე ივარაუდება, რომ მხარეების მიერ გამოყენებულია უკანასკნელი რედაქცია.³⁸⁹ საგულისხმოა, რომ ოთხივე რედაქციაში მუხლი 7.4.13 – ვალდებულების შეუსრულებლობისთვის შეთანხმებული გადასახდელი (agreed payment for non-performance) წარმოდგენილია უცვლელი ნუმერაციით და იდენტური შინაარსით.³⁹⁰

³⁸⁶ 2016 წლის რედაქცია წინა რედაქციებისგან განსხვავებით უფრო ფართოდ მოიცავს საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით საკითხებს.

³⁸⁷ ლათ. აღნიშნავს მეწარმეთა, საქმოსნების სამართალს.

³⁸⁸ იხ. უნიდრუას პრინციპების პრეამბულა.

³⁸⁹ Model Clauses for the Use of the UNIDROIT Principles of International commercial contracts, Rome, Unidroit, 2013, p.3, < <http://www.unidroit.org/english/principles/modelclauses2013/modelclauses-2013.pdf> >, [17.06.2021].

³⁹⁰ ოთხივე რედაქციაში 7.4.13 მუხლის შინაარსისათვის იხ. UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Rome, Unidroit, 1994, p.213, < <https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles1994/1994fulltext-english.pdf> >, [17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2004, Rome, Unidroit, 2004, p. 251,

უნიდრუას პრინციპების მიხედვით, როცა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ვალდებულების არშემსრულებელი მხარის მიერ დაზარალებულისათვის შეთანხმებული თანხის გადახდა, ამ უკანასკნელს უფლება აქვს მიიღოს აღნიშნული თანხა რეალურად გაცდილი ზიანის მიუხედავად (მუხლი 7.4.13.1). ასანაზღაურებელი თანხა გაგებულია, როგორც ფიქსირებული ფულადი თანხა, ასევე ფორმულა, რომლითაც შესაძლებელია მიყენებული ზიანის გამოთვლა.³⁹¹

ნებისმიერი სხვაგვარი შეთანხმების საპირისპიროდ, შეთანხმებული თანხა შეიძლება შემცირდეს გონივრულ მოცულობამდე (reasonable amount), როცა ის გადაჭარბებით აღემატება (grossly excessive) შეუსრულებლობით დამდგარ ზიანს ან სხვა გარემოებებს (მუხლი 7.4.13.2). დასახელებული წესი მიეკუთვნება უნიდრუას პრინციპების სავალდებულო პირობებს, რომელთა ამოღება ან შეცვლა არ შეიძლება მოხდეს მხარეთა სურვილით.³⁹² მოცემული რეგულაცია შეესაბამება კეთილსინდისიერი და სამართლიანი საქმოსნობის პრინციპს (good faith and fair dealing), რის გამოც ხელშეკრულების მხარეებს უფლება არ აქვთ შეთანხმებით გამორიცხონ შეუსაბამოდ მაღალი თანხის შემცირების შესაძლებლობა.

შეთანხმებული თანხა მიიჩნევა შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით დაწესებულად, როცა თანხა ასეთად ნათლად აღიქმება ნებისმიერი ცხადად მოაზროვნე ადამიანის მიერ.³⁹³ მტკიცების ტვირთი ვალდებულების შეუსრულებლობაზე ეკისრება კრედიტორს, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარ ზიანთან ან სხვა არსებულ გარემოებებთან

<<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2004/integralversionprinciples2004-e.pdf>>, [17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2010, Rome, Unidroit, 2010, p. 284, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf>>, [17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2010, Rome, Unidroit, 2016, pp. 289-291, <<https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2016/principles2016-e.pdf>>, [17.06.2021].

³⁹¹ Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Edited by Vogenauer S., Kleinheisterkamp J., Oxford University Press, 2009, p. 923.

³⁹² UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2010, Rome, Unidroit, 2010, p.15, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf>>, [17.06.2021].

³⁹³ UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2004, Rome, Unidroit, 2004, p.252, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2004/integralversionprinciples2004-e.pdf>>, [17.06.2021].

შეთანხმებული თანხის შეუსაბამოდ მაღალი მოცულობით არსებობის დადასტურება მოვალეს.³⁹⁴

2.4.7. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები 1998, 2002

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (The Principles of European Contract Law - შემდგომში PECL) შემუშავებულია ევროპული სახელშეკრულებო სამართლის კომისიის (The Commission of European Contract Law) მიერ. PECL მოიაზრება, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი კერძოსამართლებრივი ხასიათის კანონის მოდელი.³⁹⁵ PECL გამიზნულია გამოყენებულ იქნეს, როგორც სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი წესები ევროპულ გაერთიანებებში (European Communities), როდესაც მხარეები შეთანხმებულნი არიან ხელშეკრულებაში მათ ინკორპორაციაზე ან მათ გავრცელებაზე; ისინი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, მაშინაც როცა არსებობს მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების მიმართ სამართლის ზოგადი პრინციპების (general principles of law), *lex mercatoria*-ს ან მსგავსი წესების გამოყენებაზე; თუკი მხარეებს არ აურჩევიათ ხელშეკრულებისათვის რომელიმე სამართლის სისტემა ან წესები; მათ შეიძლება უზრუნველყონ იმ საკითხების გადაწყვეტაც, როდესაც სათანადო სამართლის სისტემა ან წესები ვერ ახორციელებენ აღნიშნულს (მუხლი 1:101).

PECL-ის ტექსტში ვხვდებით ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის შეთანხმებული ანაზღაურების მარეგულირებელ წესს (მუხლი 9:509 (ძვ. 4.508), agreed payment for non-performance).³⁹⁶ თუკი ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ვალდებულების არშემსრულებელ მხარეს ეკისრება განსაზღვრული თანხის გადახდა, შეუსრულებლობით დაზარალებული მხარისთვის, ამ უკანასკნელს თანხა შეიძლება აუნაზღაურდეს მის მიერ გაცდილი ფაქტობრივი ზიანის მიუხედავად. ამასთანავე, მხარეთა მიერ შეთანხმებული თანხა შესაძლებელია

³⁹⁴ Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Edited by Vogenauer S., Kleinheisterkamp J., Oxford University Press, 2009, p. 926.

³⁹⁵ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგ., რედ. ბუეკალავა ე., ჭალიძე თ., ცერცვაძე ა., გეგენავა დ., თბ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2014, გვ.14, <<http://www.library.court.ge/upload/PECL-Georgian%20Translation-PDIL.pdf>>, [17.06.2021].

³⁹⁶ იქვე, გვ. 64.

შემცირებულ იქნეს გონივრულ მოცულობამდე, როდესაც ის გადაჭარბებით აღმატება (grossly excessive) ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარ ზიანს ან სხვა გარემოებებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მხედველობაში არ მიიღება დასახელებული წესის გამომრიცხავი შეთანხმებები.

როდესაც შეთანხმებული თანხა მოიაზრებს ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად ასანაზღაურებელი თანხის მხოლოდ მინიმუმს, ხოლო რეალურად განცდილია უფრო მეტი ზიანი, დაზარელებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურებაც. ამ სიტუაციაში, დაზარალებულ მხარეს ეკისრება უფრო მეტი ზიანის არსებობის დადასტურების ვალდებულებაც. მასვე შეუძლია წინასწარ შეთანხმებული ზიანის ანაზღაურების ნაცვლად, აირჩიოს დავა უფრო მეტი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.³⁹⁷ ნებისმიერ შემთხვევაში, ზიანი გამოიანგარიშება იმ ვალუტაში, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ასახავს დაზარალებული მხარის მიერ განცდილ დანაკლის (მუხლი 9.510).

2.4.8. ევროპული სახელშეკრულებო კოდექსის პროექტი 2001

ევროპული სახელშეკრულებო კოდექსის პროექტი 2001 (European Contract Code 2001) ე.წ. „პავია პროექტი“ (Pavia project) მომზადებულია ევროპის კერძო იურისტთა აკადემიის (Academy of European Private Lawyers)³⁹⁸ მიერ. აღნიშნულ პროექტში პირგასამტეხლოს მარეგულირებელი ნორმა (მუხლი 170, penal clause) განასხვავებს სამომხმარებლო ხელშეკრულებებსა და სხვა ხელშეკრულებებში პირგასამტეხლოს გამოყენების და მოქმედების წესებს. დოკუმენტის ტექსტით, ყველა სამომხმარებლო ხელშეკრულებაში მომხმარებლისთვის სტანდარტული პირობებით დაკისრებული პირგასამტეხლოები არის სამართლებრივი ძალის არმქონე.

სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, თუკი ხელშეკრულების შედგენის მომენტში მხარეები ათანხმებენ ვალდებულების შეუსრულებლობის, არასათანადო ან

³⁹⁷ The Principles of European Contract Law, Parts I and II, Combined and revised, prepared by The Commission of European Contract Law, Edited by Lando O., Beale H., The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 2000, p. 455.

³⁹⁸ აკადემია დაარსდა 1992 წელს იტალიის ქალაქ პავიაში. აკადემია აერთიანებს მოწინავე იურისტებს და მეცნიერებს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის სფეროში. იხ. European Contract Code, Book One, Contracts in General, <<https://www.eurcontrats.eu/site2/newdoc/Norme%20Libro%20I-inglese .pdf>>, [17.06.2021].

გვიანი შესრულებისთვის მოვალის მიერ გადასახდელ პირგასამტეხლოს, პირგასამტეხლოს თანხა იანგარიშება მოვალის მხრიდან ასანაზღაურებელ ზიანის ანგარიშში, იმ შემთხვევების გარდა, როცა არსებობს შეთანხმება დამატებითი ზიანის კომპენსაციაზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, პირგასამტეხლო ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანის არსებობის მტკიცების გარეშე. კრედიტორს, მხოლოდ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აქვს უფლება ერთდროულად მოითხოვოს ძირითადი ვალდებულების შესრულება და პირგასამტეხლოს გადახდა.

პროექტით დასაშვებად არის მიჩნეული სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს სამართლიანი შემცირების შესაძლებლობა, თუკი მოვალეს განხორციელებული აქვს ნაწილობრივი შესრულება და ამ შესრულებაზე კრედიტორს მხარეს არ აქვს განცხადებული უარი ან როდესაც პირგასამტეხლოს ოდენობა არის აშკარად (ნათლად) გადაჭარბებული (clearly excessive). პირგასამტეხლოს შემცირების დროს ყოველთვის მიიღება მხედველობაში ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს გააჩნია ვალდებულების შესრულების მიმართ.

2.4.9. ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განსაზღვრებანი და მოდელური წესები, საერთო საძიებო სქემის ჩარჩო პროექტი 2009

ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განსაზღვრებანი და მოდელური წესები, საერთო საძიებო სქემის ჩარჩო პროექტი 2009 (Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference 2009, შემდგომში - DCFR)³⁹⁹ აერთიანებს ევროპული კერძო სამართლის პრინციპებს, განსაზღვრებებს და მოდელურ წესებს. მოცემული პროექტი მომზადებულია ევროპული სამოქალაქო კოდექსის შექმნაზე მომუშავე ჯგუფის (Study Group on a European Civil Code) და ევროკავშირის მოქმედი კერძო სამართლის კვლევითი ჯგუფის (Research Group on EC Private Law (Acquis Group)) მიერ.

DCFR მიზნად ისახავს საერთო ევროპული კერძო სამართლის არსებობის დადასტურებას და იმ საგამონაკლისო ნორმების აღწერას, რომლებსაც სხვადასხვა

³⁹⁹ აღნიშნული დოკუმენტის ქართული სახელწოდება წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის ავტორისეულ თარგმანს.

სამართლებრივი წესრიგები, ზოგად საკითხებთან დაკავშირებით იძლევიან განსხვავებული პასუხების სახით.⁴⁰⁰ DCFR-ის რეგულაციები გამიზნულია სახელშეკრულებო და სხვა იურიდიულ აქტებთან, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო უფლებებსა და მოვალეობებთან, ასევე საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებთან გამოსაყენებლად (მუხლი I.-1:101). აღნიშნულ დოკუმენტში პრინციპები განიმარტება, როგორც კანონის ძალის არ მქონე წესები, განმარტებები, როგორც საერთო ევროპული სამართლებრივი ტერმინოლოგიის განვითარებისათვის გამოთქმული შეთავაზებები, ხოლო მოდელური წესები, როგორც ნორმატიული ძალის არმქონე ე.წ. რბილი სამართალი (soft law).

DCFR იცნობს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობისთვის შეთანხმებული თანხის გადახდის მარეგულირებელ წესს (მუხლი III.-3:712, stipulated payment for non-performance). თუკი ვალდებულების მომწესრიგებელი პირობები ითვალისწინებენ, რომ ვალდებულების დამრღვევ მოვალეს ეკისრება ვალდებულება კრედიტორისათვის ამგვარი შეუსრულებლობის გამო თანხის გადახდაზე, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოცემული თანხა ფაქტობრივად მიყენებული ზიანის მიუხედავად.

იმ შეთხვევაშიც, კი როცა დადგენილია საპირისპირო, ხელშეკრულებით ან სხვაგვარი იურიდიული აქტით განსაზღვრული ასანაზღაურებელი თანხა შეიძლება შემცირდეს გონივრულ მოცულობამდე (reasonable amount), როდესაც ის გადაჭარბებით აღემატება (grossly excessive) ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარ ზიანს და სხვაგვარ გარემოებებს. ამასთანავე, PECL-ის მსგავსად, ზიანი იანგარიშება იმ ვალუტაში, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ასახავს კრედიტორის მიერ განცდილ დანაკლისს (III.-3:713).⁴⁰¹

⁴⁰⁰ Модельные правила европейского частного права, пер. с английского, научный редактор Рассказова Н.Ю., М., Статут, 2013, стр. 17.

⁴⁰¹ Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference (DCFR), Outline Edition, Prepared by the Study Group on a European Civil Code and the Research Group on EC Private Law (Acquis Group), Based in part on a revised version of the Principles of European Contract Law, Edited by Bar C., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Veneziano A., Zoll F., Munich, Sellier, European law publishers GmbH, 2009, p. 253, < <https://www.tilolawyers.com/Portals/8/PDF/Conventions/DCFR.pdf> >, [17.06.2021].

თავი III

ბე

3.1. ქართული ბეს განვითარების ისტორიიდან

ქართულ სამოქალაქო სამართალში ბე წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ტრადიციულ ინსტიტუტს, რომლის სამართლებრივ განვითარებაზე მნიშვნელოვნად აისახებოდა ქვეყნის განვითარებაზე მოქმედი საგარეო ფაქტორები. საქართველოში ბე ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სამოქალაქო სამართლებრივ შეთანხმებათა უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, ვალდებულებით და საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში.

3.1.1. რომის სამოქალაქო სამართალი ბეს შესახებ

პირგასამტეხლოს მსგავსად, ბე ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში განიცდიდა ძველი ბერძნულ-რომაული სამართლის გავლენას. რომის სამოქალაქო სამართალში ბეს (*arra, arrha*)⁴⁰² სამართლებრივი ცნება, ასევე მისი შინაარსი დამკვიდრებული იყო ძველი საბერძნეთიდან, თუმცა აღნიშნულ უზრუნველყოფის საშუალებას, ისევე როგორც მის სახელწოდებას ახლოაღმოსავლური (ებრაული) ფესვები გააჩნია და მოხსენიებულია ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტურ სავაჭრო შინაარსის მქონე მანუსკრიპტებში.⁴⁰³

ძველ რომში ბედ ითვლებოდა „გარკვეული ფულადი თანხა ან ნივთი, რომელსაც ხელშეკრულების დამდები ერთი მხარე მეორეს გადასცემდა მომავალ გადასახდელთა ანგარიშში და ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად“.⁴⁰⁴ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების

⁴⁰² აღნიშნული ქვეპარაგრაფის ტექსტში გამოყენებულია ლათინური ტერმინები და სახელწოდებები.

⁴⁰³ Куликов Е. С., Соглашение о задатке в гражданском праве России, М., Волтерс Клувер, 2011, стр.1.

⁴⁰⁴ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., ბონა კაუზა, 2001, გვ. 109.

შემთხვევაში, ფულადი სახით გადაცემული ბე იანგარიშებოდა ხელშეკრულების ფასში, ხოლო არაფულადი სახით გადაცემული ბე უბრუნდებოდა მესაკუთრეს.⁴⁰⁵

რომის სამოქალაქო სამართლის წყაროებში, ბეს შესახებ ინფორმაცია უმთავრესად მოიპოვება კლასიკური პერიოდიდან.⁴⁰⁶ თავდაპირველად, ძველ რომში ბეს გააჩნდა ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი (*arra confirmatoria*) ფუნქცია. კერძოდ, ბეს სახით ფულადი თანხის ან ძვირფასი ნივთის გადაცემით (მაგ. ოქროს ბეჭედი) ხელშეკრულების მხარეები ადასტურებდნენ სამართლებრივ გარიგებაზე შეთანხმების არსებობას და ბეს გადაცემა ადასტურებდა მხარეთა წინარე მოლაპარაკებებიდან საბოლოო შეთანხმებაზე გადასვლას.⁴⁰⁷ კლასიკური პერიოდის რომის სამოქალაქო სამართალი *arra*-ს განასხვავებდა ნაწილობრივი გადახდისგან და ვალდებულების შესრულების დროს, ბედ გადაცემული თანხა ითვლებოდა ხელშეკრულების ფასში.⁴⁰⁸

რომის სამოქალაქო სამართალში, ბეს შესახებ წესები ძირითადად მოცემულია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მარეგულირებელ ნორმებთან. ყველა კონსენსუალური ხელშეკრულების მსგავსად, რომის სამოქალაქო სამართალში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა მხარეთა შეთანხმების მომენტიდან. გაიუსის⁴⁰⁹ ინსტიტუციებით, ნასყიდობის ფასზე შეთანხმება განიხილებოდა, როგორც ხელშეკრულების დადების ფაქტი, მაშინაც როცა თანხა არ იყო გადახდილი ან ბე გადაცემული (*Quod arrae nomine datur, argumentum est emptiois et venditionis contractae* (3.139)).⁴¹⁰ ამავდროულად, დიგესტებში გაიუსი აღნიშნავს, რომ ბეს გადაცემის გარეშე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება არ მიიჩნევა

⁴⁰⁵ Куликов Е.С., Соглашение о задатке в гражданском праве России, М., Волтерс Клувер, 2011, стр. 3.

⁴⁰⁶ კლასიკურ პერიოდამდე ბეს შესახებ წერილობით მონაცემებს ვხვდებით რომაელი კომედიოგრაფის ტიტუს მაკციუს პლავტუსის (ძველი წელთაღრიცხვის 254-184 წწ.) კომედიებში, სადაც ბე მოხსენიებულია იმ პერიოდის ბერძნულ სამართალში გავრცელებული რეგულაციით, რომლითაც ნასყიდობაზე შეთანხმება ატარებდა რეალურ ხასიათს, ხოლო ბეს ეკისრებოდა აღნიშნული შეთანხმების დადების დამადასტურებელი ფუნქცია. ბერძნული სამართლისგან განსხვავებით, რომის სამართალში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა ნასყიდობის ფასზე შეთანხმების დროიდან. იხ. McAuley M., One Thousand Years of Arra, "McGill Law Journal", Issue 23, N4. 1977, p. 693-698, < <http://lawjournal.mcgill.ca/userfiles/other/5406538-mcauley.pdf> >, [17.06.2021].

⁴⁰⁷ Herman S., The Contribution of Roman Law to the Jurisprudence of Antebellum Louisiana, "Louisiana Law Review", Vol. 56, N2, 1996, p. 311, < <https://lawjournal.mcgill.ca/wp-content/uploads/pdf/5406538-mcauley.pdf> >, [17.06.2021].

⁴⁰⁸ Hebert P.M., The Function of Earnest Money in the Civil Law of Sales, "Loyola Law Journal", Vol. XI, №3, 1930, p. 122.

⁴⁰⁹ გაიუსი (ლათ. *Gaius*, 130-180 წწ.), რომაელი იურისტი.

⁴¹⁰ Римское частно еправо, под. ред. Новицкого И.Б., Перетерского И.С., М., Юристь, 1996, стр.336.

სამართლებრივი ნაკლის მქონედ, მისი გადაცემა, მხოლოდ ნათლად უსვამს ხაზს ხელშეკრულების დადებას (*Quod saepe arrae nomine pro emptione datur, non eo pertinet, quasi sine arra conventio nihil proficiat, set ut evidentius probari possit convenisse de pretio 18.1.35 pr*).⁴¹¹

მოგვიანებით, ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურებასთან ერთად, ბემ შეიძინა უზრუნველყოფითი (საჯარიმო) ფუნქცია (*arra poenalis*). კერძოდ, ბე ახდენდა ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბრალეული მხარისათვის დგებოდა არახელსაყრელი შედეგები. სწორედ აღნიშნული შედეგების წინასწარი განსაზღვრა უზრუნველყოფდა ნაკისრ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებას. არსებული წესით, ბეს მიმცემის ბრალით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის დროს გადაცემული ბე რჩებოდა მის მიმღებს. თავად ბეს მიმღები, შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, ბეს აბრუნებდა ორმაგი ოდენობით.

რომაელ იურისტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები შემდგომში გაზიარებულ იქნა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის⁴¹² მიერ 528 წელს მიღებული წესით (C.4.21.17). ბეს სამართლებრივ რეგულაციას ვხვდებით, აგრეთვე იუსტინიანე I-ის თაოსნობით შემუშავებულ სამართლის სახელმძღვანელო პრინციპებში: ინსტიტუციების ყიდვა-გაყიდვის შესახებ ტიტულში (*De Emptio et venditio*, Inst. III, 23 pr),⁴¹³ რომელიც განასხვავებს წერილობითი და არაწერილობითი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების დროს ბეს სამართლებრივ სტატუსს.

ტექსტის დასაწყისში იუსტინიანე I უცვლელად იმეორებს რომის სამოქალაქო სამართლის კლასიკურ პერიოდში აღიარებულ მიდგომას, რომ არაწერილობითი ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულებაზე შეთანხმება დადებულად ითვლება ნასყიდობის ფასზე მხარეთა შეთანხმების მომენტიდან, თანხის გადაუხდელობის ან

⁴¹¹ რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები, ლათ. თარგ. სურგულაძე ნ., თბ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 159; Zimmermann R., *The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford, Clarendon Press, 1996, p. 231.

⁴¹² იუსტინიანე I (482-565წწ.), ბიზანტიის იმპერატორი, რომლის სახელთან არის არის დაკავშირებული სამოქალაქო სამართლის კრებულის *Corpus Iuris Civilis* შედგენა. კრებული შედგება ოთხი ნაწილისგან: ინსტიტუციები, დიგესტები, იუსტინიანეს კოდექსი, ნოველები.

⁴¹³ Thomas J.A.C., *Arra in Sale in Justinian's Law*, "Tijdschrift voor Rechtsgeschiedenis / Revue d'Histoire du Droit / The Legal History Review", Vol. 24, Issue 3, 1956, pp.262-263; რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათ. თარგ. სურგულაძე ნ., თბ., მერიდიანი, 2002, გვ. 185-186.

ბეს არ არსებობის დროსაც. ბედ რაიმეს გადაცემა კი წარმოადგენს შეთანხმების არსებობის დასტურს.

ტექსტის შემდგომ ნაწილში, იუსტინიანე I-ს შემოაქვს წერილობითი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების რეგულაცია, რომლითაც ამგვარი შეთანხმება ნამდვილობისთვის მოითხოვდა შეთანხმების ტექსტზე მხარეთა ხელმოწერას, ხოლო თავად დოკუმენტის ტექსტი შეიძლება შედგენილი ყოფილიყო ხელშეკრულების მხარეების, სხვა პირების ან ნოტარიუსის (ტაბელიონის) მიერ. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმებაზე უარის მთქმელი მხარე თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისგან, თუკი ადგილი არ ჰქონდა ბეს გადაცემის ფაქტს.

სამართლებრივ ბუნდოვანებას ადგილი აქვს ტექსტის დასკვნით ნაწილში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბეს არსებობის დროს წერილობითი თუ არაწერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების დარღვევისას, დამრღვევი, კერძოდ, მყიდველი კარგავს გადაცემულ ბეს, ხოლო გამყიდველი მას ორმაგად აბრუნებს, იმ შემთხვევაშიც როდესაც ბეს შესახებ არაფერია ნახსენები.

რომის სამართლის მკვლევარები აღიარებენ, რომ აღნიშნული რეგულაციის არაერთგვაროვანი ტექსტი, ნასყიდობის შეთანხმების დადების სავალდებულო ფორმასთან დაკავშირებით იძლევა ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. უდავოა, რომ მოყვანილი ნორმის განმარტების ბუნდოვანებას იწვევს ის ფაქტი, რომ მასში გაერთიანებულია რომის სამოქალაქო სამართალში აღიარებული ნასყიდობის ხელშეკრულების კონსენსუალური და ძველ ბერძნულ სამართალში არსებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების რეალური ხასიათი.

რომის სამოქალაქო სამართალში ცნობილი იყო, ასევე ბეს განსაკუთრებული სახე *arra poenitentialis* (ე.წ. საჯარიმო თანხა, გასამცლელი). წინასწარი შეთანხმების არსებობის დროს, ხელშეკრულების დამღვევი პირები ამგვარი ბეს გადაცემით თავისუფლდებოდნენ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან და ამავდროულად ბეს გადაცემა ახდენდა ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას. ამ მნიშვნელობით

ბე უფრო ასუსტებდა ვიდრე აძლიერებდა ხელშეკრულებას,⁴¹⁴ კერძოდ, ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინტერესს.

ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებთან ერთად, ძველ რომში ბე უზრუნველყოფდა ქორწინებაზე მხარეთა შეთანხმების შესრულებასაც. მაგ. *arra sponsalicia (sponsalia)* ეწოდებოდა დანიშნულების მიერ ერთმანეთისთვის მიძღვნილ საჩუქრებს, რაც უზრუნველყოფდა მომავალ ქორწინებაზე შეთანხმებას.⁴¹⁵ ნიშნობის დარღვევის შემთხვევაში, მირთმეული საჩუქრების ბედი წყდებოდა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის დროს ბრალეული მხარის მიმართ არსებული წესების მსგავსად. სერიოზული მიზეზის გარეშე ნიშნობის დარღვევის დროს საქმრო კარგავდა ნიშნობის საწინდრად გადაცემულ თანხას, ხოლო საცოლე მას ორმაგად აბრუნებდა.⁴¹⁶ რომის სამოქალაქო სამართალში ბესგან განსხვავებით, დაუშვებლად მიიჩნეოდა ნიშნობის პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფა.⁴¹⁷

3.1.2. ბე ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში

ძველ ქართულ სამოქალაქო სამართალში ბე წარმოადგენდა ფართოდ გავრცელებულ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და სამოქალაქო ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე აღინიშნებოდა განსხვავებული ცნებებით, თუმცა მის ყველაზე გავრცელებულ სახელწოდებას წარმოადგენდა ტერმინი „წინდი“. წინდის მნიშვნელობაც ყოველთვის არ იყო ერთგვაროვანი და მოცემული ტერმინი გამოიყენებოდა, როგორც ვალდებულებითსამართლებრივ, ასევე საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში.

ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში თავდაპირველად წინდს გააჩნდა გირაოს მნიშვნელობა და მიიჩნეოდა, როგორც „ვალისათვის მძევალი“.⁴¹⁸ ამ შემთხვევაში, წინდი წარმოადგენდა საქართველოში დამკვიდრებული უცხოური

⁴¹⁴ Zimmermann R., *The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford, Clarendon Press, 1996, p. 234.

⁴¹⁵ Mousourakis G., *Fundamentals of Roman Private Law*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2012, p. 98.

⁴¹⁶ ალექსიძე ლ., გაგუა ი. დანელია მ. კობახიძე ე., რუხაძე ნ., *ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია*, თბ., მერიდიანი, 2015, გვ. 65.

⁴¹⁷ Барон Ю., *Система римского гражданского права*, в 6-ти книгах, СПб, Юридический центр пресс, 2005, стр. 551.

⁴¹⁸ ორბელიანი ს.ს., *ლექსიკონი ქართული*, ტ. II, თბ., მერანი, 1993, გვ. 379.

ტერმინის გირაოს ანალოგს.⁴¹⁹ მოგვიანებით, ტერმინმა წინდმა შეიძინა ბეს მნიშვნელობა და აღნიშნავდა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისთვის გადაცემულ ნივთს.⁴²⁰

ტერმინ ბეს შესახებ წერილობით მონაცემებს ვხვდებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის **ბერძნული სამართლის წიგნში** (მუხლი 4), რომლითაც: „ყოვლისა კაცისა ჯერ არს სყიდვა და გასყიდვა. და მსყიდველი და განმსყიდველი იგი უნდა იყოს შერიგებულნი და დაჯერებულნი ფასზედა. რომელიც, რომ იყიდის რასმე, პირველად ცოტას მისცემს რასმე ბესა. ხოლო ბეს მიმცემმა თუ შეინანოს და აღარ იყიდოს ის საქონელი, რომელიც რომ ბედ მისცა, ბევრი თუ ცოტა, დაეკარგების მას. და უკეთუ განმსყიდველმან ბე აღილოს და მასუკან შეუშალოს, აღარ მიჰყიდოს, რადგან ბაზარი მოშალა, თავისი ბე ისევ მისცეს, და ერთი იმდენი კიდევ სხვა მისცეს.“⁴²¹

ბეს, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას იცნობდა **ქართული ჩვეულებითი სამართალიც**.⁴²² შეთანხმებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ბე გამოიყენებოდა სვანეთში, თუშეთში, ხევსურეთსა⁴²³ და ფშავში:

სვანეთში მიღებული წესით, თუკი მხარეები არ თანხმდებოდნენ მედიატორების დანიშვნაზე და მათ არ გადასცემდნენ ქონებრივი ზიანის განსაზღვრის შესაძლებლობას, დაზარალებული თავის მოთხოვნას ინაზღაურებდა, მხოლოდ ბეს დაკავებით.⁴²⁴

⁴¹⁹ ს.ს. ორბელიანი ტერმინ გირაოს იხსენიებს უცხოური (სომხური) წარმომავლობის სიტყვად, რომლის ქართულ სინონიმად თვლიდა წინდს. იხ. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., მერანი, 1991, გვ. 161; ამ მოსაზრებას იზიარებდა ივ. ჯავახიშვილიც, რომელიც გირაოს სომხურში სპარსულიდან ნასესხებ ტერმინად მიიჩნევდა, ხოლო ქართულ წინდს არ განიხილავდა შემოტანილ ტერმინად. იხ. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984, გვ. 331-332.

⁴²⁰ საქართველოში ბე არაონადაც იწოდებოდა. ორბელიანი ს.ს. მონაცემებით, „არაონი არს მცირე საწინდარი, რომელსაც თურქნი ბეს უწოდებენ“. იხ. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., მერანი, 1991, გვ. 60.

⁴²¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, რედ. დოლიძე ი., თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 134-135.

⁴²² ქართული ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენს იმ დაუწერელი ქცევების ერთობლიობას, რომელიც სავალდებულო ძალის მქონე წესებად იყო აღიარებული ისტორიულად სვანეთში, ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში.

⁴²³ Ковалевский М.М., Закон и обычай на кавказе, Т. 2, М., Типография А.И. Мамонтова и Ко, 1890, стр. 61, 113-114.

⁴²⁴ იქვე, стр. 61.

ხევსურეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართალი არ იცნობდა სასარჩელო ხანდაზმულობის ცნებას, რის გამოც გარიგებით წარმოშობილი ვალდებულებები არასდროს კარგავდნენ ძალას.⁴²⁵ რადგანაც, უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენება უშუალო და პირდაპირ კავშირშია ძირითადი ვალდებულების ნამდვილობასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი არსებობა, ასევე განაპირობებდა აქცესორული ვალდებულებების მოქმედებასაც.

ფშავში, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების დროს ბეს ამღები (გამყიდველი) ვალდებული იყო წინასწარ შეთანხმებულ ვადამდე არ გაეყიდა ე.წ. „დაბევებული“ საქონელი სხვა პირებზე. იმ შემთხვევაში, როცა გამყიდველი არღვევდა აღნიშნულ შეთანხმებას, მას ეკისრებოდა ვალდებულება მიღებული ბეს ორმაგად დაბრუნებაზე, ხოლო თუკი ბეს მიმცემი (მყიდველი) დათქმული ვადის გასვლამდე არ შეიძენდა საქონელს, ვადის გასვლის შემდგომ გამყიდველს შეეძლო ბეს დაბრუნების გარეშე საქონელი გაეყიდა ნებისმიერ პირზე.⁴²⁶ შესაბამისად, ბეს აღება გამყიდველს გარკვეული ვადით ზღუდავდა ხელშეკრულების საგნის (ქონების) სხვა პირებზე გასხვისებისგან. შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, ბეს ამღები მიღებულ ბეს აბრუნებდა ორმაგი ოდენობით, ხოლო ბეს მიმცემი თანხას სრულად კარგავდა.

რაც შეეხება, საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში ტერმინ წინდის გამოყენებას, ამ ურთიერთობებში ბე წარმოადგენდა ნიშნობის დროს მირთმეულ საჩუქარს, ხოლო დაწინდვის წესი (ნიშნობა) მიიჩნეოდა ქორწინების წინა საფეხურად. დაწინდვის შესახებ მონაცემებს გვაწვდის რუის-ურბნისის საკლესიო კრებაზე შედგენილი „ძეგლისწერა“,⁴²⁷ რომლითაც ნებადართული იყო ქალ-ვაჟის მშობლების მიერ არასრულწლოვან პირთა (ჩვილ ქალ-ყრმათა) დანიშნვა (დაწინდვა), ხოლო ქორწინება დაიშვებოდა, მხოლოდ საქორწინო ასაკის მიღწევის შემდგომ.⁴²⁸

⁴²⁵ იქვე, სტრ. 110.

⁴²⁶ ქართული ჩვეულებითი სამართალი, მთავარი რედ. კეკელია მ., ტ. IV, თბ., მეცნიერება, 1993, გვ. 101.

⁴²⁷ ძეგლისწერა მიღებულია მეფე დავით IV აღმაშენებლის (1073-1125წწ.) თაოსნობით მოწვეულ რუის-ურბნისის საკლესიო კრებაზე (1103-1104წწ.). კრებაზე მიღებულ დადგენილებებს გააჩნდათ კანონის ძალა. დაწინდვის (ნიშნობის) წესი განსაზღვრულია მე-10 კანონით, <http://library.church.ge/index.php?option=com_content&id=307%25> [17.06.2021].

⁴²⁸ ძეგლისწერის მიხედვით, საქორწინო ასაკად დაწესებული იყო ქალებისათვის 12, ხოლო ვაჟებისათვის 15-16 წელი. იხ. ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომცემლობა სამთავისი, 1996, გვ. 22.

მოცემული შინაარსით, ბე ცნობილი იყო ქართულ ჩვეულებით სამართალშიც, როგორც ქალ-ვაჟის „ნიშნობის ნიშანი“, რომელიც ვაჟის ოჯახს მიჰქონდა ქალის ოჯახში. ნიშნობის დარღვევა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ნიშნობის შემდგომ დანიშნულ ვაჟს ეკრძალებოდა სხვა ქალის შერთვა, ხოლო ქალს სხვა ვაჟზე გათხოვება.⁴²⁹

ნიშნობის ინსტიტუტს იცნობს თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართალიც. სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლით დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას და ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი. დაუქორწინებლობის შემთხვევაში, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები მხარეებს უკან უბრუნდებათ.

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნიშნობის მთავარი მოთხოვნაა უშუალოდ დასაქორწინებელ პირთა თანხმობა ქორწინებაზე, ისევე როგორც ნებისმიერი სამოქალაქო გარიგებისას.⁴³⁰ რადგანაც, მხარეთა ნება მომავალ ქორწინებაზე არის გადაწყვეტი სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციისათვის, ნიშნობა არ იწვევს მომავალში დაქორწინების აუცილებელ ვალდებულებას.⁴³¹ ნიშნობის დარღვევის დროს, სასამართლოს მეშვეობით შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ ნაჩუქარი ნივთების უკან გამოთხოვა,⁴³² მათი ნებაყოფლობით არ დაბრუნების შემთხვევაში.

3.1.3. ბე რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში

საქართველოში რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში მოქმედი რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის, ბე (რუს. *закон*) არ იყო აღიარებული მოთხოვნის უზრუნველყოფის დამოუკიდებელ საშუალებად, თუმცა ბეს

⁴²⁹ ქართული ჩვეულებითი სამართალი, მთავარი რედ. კეკელია მ., ტ. IV, თბ., მეცნიერება, 1993, გვ. 136-137.

⁴³⁰ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბ., მერიდიანი, 2000, გვ. 64-65.

⁴³¹ შენგელია რ., საოჯახო სამართალი, თბ., მერიდიანი, 1999, გვ. 15.

⁴³² შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთ წიგნად, წიგნი მეხუთე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებები, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2000, მუხლი 1109, გვ. 34.

მარეგულელებელი წესები მოცემული იყო სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებთან და მას მინიჭებული ჰქონდა არაერთგვაროვანი მნიშვნელობა.⁴³³

ბეს, სახელშეკრულებო ურთიერთობათა უზრუნველყოფითი ხასიათი აღიარებული იყო აღნიშნული პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში. ბეს გადახდა განიხილებოდა, როგორც ვალდებულების შესრულების დასაწყისი და ხელშეკრულების დადების მომენტისთვის გადაცემული ბე ემსახურებოდა უზრუნველყოფილი ვალდებულების მომავალში შესრულებას.⁴³⁴

რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულთა კრებულთა, ბეს მარეგულირებელი ნორმები დადგენილი იყო მოძრავი და უძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულებებთან (უძრავი ნივთების ნასყიდობაზე წინარე შეთანხმებების მომწესრიგებელ ნორმებთან), ასევე სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებთან (აუქციონის წესით ვაჭრობის, სახაზინო ნარდობების და მიწოდებების ნორმებთან).⁴³⁵

მოძრავი ნივთების ნასყიდობის დროს, მყიდველს ნივთზე საკუთრების უფლება წარმოეშობოდა გამყიდველის მიერ მისთვის ნივთის გადაცემის ან მის განკარგულებაში გადასვლის მომენტიდან (მუხლი 1510). თუკი მყიდველს შეთანხმებული საფასური სრულად ჰქონდა გადახდილი ან ადგილი ჰქონდა ბეს გადაცემის ფაქტს, ხოლო გამყიდველი ითხოვდა ნასყიდობის საგნის გადაცემისთვის დამატებით საფასურს, სასამართლოს ძალით შეიძლება მოთხოვნილიყო საგნის მიღება, დამატებითი თანხის გადახდის გარეშე (მუხლი 1513). როდესაც გაყიდული მოძრავი ნივთი სასამართლოს მიერ მიიჩნეოდა შეთანხმებასთან ან ნიმუშთან შეუსაბამოდ, ნივთი უზრუნველბოდა გამყიდველს, ხოლო მიღებული ბე მყიდველს (მუხლი 1518). შესაბამისობის შემთხვევაში, მყიდველს ევალებოდა მოძრავი ნივთის უპირობო მიღება და გამყიდველის შეთანხმებული თანხით დაკმაყოფილება (მუხლი 1519).⁴³⁶

⁴³³ Победоносцев К.П., Курс гражданского права, Часть 3, Договоры и обязательства, М., Статут, 2003, стр. 283.

⁴³⁴ Кавелин К.Д., Избранные произведения по гражданскому праву, М., Центр юринфор, 2003, стр.333.

⁴³⁵ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга I, Общие положения, М., Статут, 2001, стр. 599; Анненков К.Н., Система русского гражданского права, Т.3, Право обязательственные, СПб, Типография М.М. Стасюлевича, 1898, стр. 229.

⁴³⁶ Свод Законов Российской Империи, Т. X., 1900, стр. 129-130,

<<http://civil.consultant.ru/reprint/books/211/130.html>>;

< <http://civil.consultant.ru/reprint/books/211/131.html> > [17.06.2021].

უძრავ ნივთებზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმება მოითხოვდა წერილობითი ფორმის დაცვას. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებამდე, მხარეთა შორის შეიძლება დადებულიყო მომავალში უძრავი ნივთის გაყიდვაზე წინარე შეთანხმებაც და ბეთი უზრუნველყოფილიყო უძრავი ნივთის გაყიდვის ვალდებულება.⁴³⁷ ამგვარ დოკუმენტში სრულად უნდა ასახულიყო მოსალოდნელი ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, გადაცემული ბეს ბედი ნაკისრი ვალდებულების შეუსრულობის დროს (მუხლი 1681).

ნასყიდობამდე ან ნასყიდობაზე წინარე შეთანხმების გაფორმებამდე, მხარეებს შეეძლოთ ბეთი უზრუნველყოთ აგრეთვე თავიანთი სხვა წინარე მოთხოვნებიც, რა დროსაც გაიცემოდა „ბეს მიღების ჩანაწერი“ (რუს. расписка о задатке, მუხლი 1685). ბეს მიღების ჩანაწერი არ წარმოადგენდა საკუთრივ ნასყიდობაზე წინარე შეთანხმებას და მისი გამოყენება მხარეებს შეეძლოთ, როგორც ნასყიდობის გაფორმებამდე, ასევე ნასყიდობაზე წინარე შეთანხმების მიღწევამდე.⁴³⁸ კანონმდებლობით განსაზღვრული იყო ბეს მიღების ჩანაწერში დასაფიქსირებელ გარემოებათა ჩამონათვალი.⁴³⁹ ბეს მიღების ჩანაწერი ბათილად მიიჩნეოდა, როცა ნასყიდობა ან ნასყიდობაზე წინარე შეთანხმება არ ფორმდებოდა დათქმულ ვადაში ან ბეს მიღების ჩანაწერის გაცემიდან ერთი წლის განმავლობაში არ ხდებოდა აღნიშნული აქტების გაფორმების ვადის განსაზღვრა.⁴⁴⁰

⁴³⁷ ნასყიდობაზე წინარე შეთანხმება ე.წ. запродажа (რუს.) წარმოადგენდა შეთანხმებას, რომლითაც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებამდე მხარეთა მიერ თანხმდებოდა მოსალოდნელი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ნასყიდობის ფასი. იხ. Свод Законов Российской Империи, Т. X., 1900, стр. 139-140, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/211/140.html#img141>>; <<http://civil.consultant.ru/reprint/books/211/141.html>>, [17.06.2021].

⁴³⁸ Кассо Л.А., Запродажа и задаток, М., Издание книжного магазина И.К. Голубева, под фирмою Проведение, 1904, стр. 35.

⁴³⁹ ბეს მიღების ჩანაწერში უნდა აღნიშნულიყო: 1. ჩანაწერის შედგენის თარიღი (წელი, თვე და რიცხვი); 2. გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მხარეები ათანხმდებდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას; 3. ნასყიდობის აქტის (რუს. купчая крепость) და ნასყიდობაზე წინარე შეთანხმების ჩანაწერის (რუს. запродажная запись) გაფორმების ვალდებულება, რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფდა ბე. აღნიშნული აქტების შედგენის თარიღი, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ წელზე მეტი ბე მიღების ჩანაწერის გაცემის დღიდან; 4. ბეს ოდენობა; 5. მხარეთა პირადი ხელმოწერა, წერა-კითხვის არცოდნის ან სხვადასხვა მიზეზთა გამო ხელმოწერის შეუძლებლობის შემთხვევაში, დასტური შეთანხმებაზე მოქმედი კანონმდებლობის დაცვით (მუხლი 1686).

⁴⁴⁰ ბეს მიღების ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში აგრძელებდა მოქმედებას კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შედეგების (1688-1689 მუხლებით გათვალისწინებული გარემოებების) მიმართ (მუხლი 1687).

თუკი გამყიდველი უარს აცხადებდა ძირითადი ან წინარე ხელშეკრულების გაფორმებაზე ან მისი ბრალით არ ხდებოდა დათქმულ ვადაში ხელშეკრულების გაფორმება (ასეთი ვადის არ არსებობის შემთხვევაში, ბეს მიღების ჩანაწერის გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში), მყიდველს ბე ორმაგად უბრუნდებოდა, ხოლო მყიდველის ბრალეულობის შემთხვევაში, ბე რჩებოდა გამყიდველს (მუხლი 1688). თუკი შეთანხმებები არ ფორმდებოდა ორივე მხარის ურთიერთშეთანხმებით, ასევე შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ბეს დაბრუნებით, შეთანხმება კარგავდა ძალას (მუხლი 1689).⁴⁴¹

სამოქალაქო სჯულდების პროექტი ერთმანეთისგან მიჯნავდა ბეს და გასამცლელს (ე.წ. ჯარიმას ხელშეკრულებიდან გასვლისათვის) და მათი რეგულირების წესებს (მუხლები 1593-1600). ბეს რეგულაციები არ განსხვავდებოდა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის დადგენილისგან, ხოლო ხელშეკრულებაზე უარის მიქმელ მხარეს, გასამცლელს მიღების შემდგომ არ შეეძლო მოეთხოვა ვალდებულების შესრულება ან სხვა რაიმე უფლება.

3.1.4. ბე ქართულ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში

საქართველოს საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო სამართალში ბე მიიჩნეოდა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად, რომლის მარეგულირებელ მუხლებს ვხვდებით 1923 წლის და 1964 წლის სამოქალაქო კოდექსებში. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ბეს გადაცემით დასტურდებოდა ხელშეკრულების დადების ფაქტი. ამასთანავე, გადაცემული ბე უზრუნველყოფდა ნაკისრი ვალდებულების შესრულებას იმ გადასახდელის ანგარიშში, რომლის გადახდაც მხარეს ევალებოდა ხელშეკრულებით.

საბჭოთა სამოქალაქო სამართალში ბე გამოიყენებოდა, მხოლოდ მოქალაქეთა შორის არსებულ ვალდებულებებთან.⁴⁴² მაგ. 1964 წლის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ადგენდა, რომ „ვალდებულებანი მოქალაქეთა შორის ან მათი

⁴⁴¹ შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებზე მიიჩნეოდა თავისუფლების აღკვეთა; კავშირგაბმულობის შეფერხება ინფექციების, მტრის თავდასხმის, მდინარეთა ადიდების და სხვა დაუძლეველ უსიამოვნებათა დროს; უბედური შემთხვევა; უეცარი გაკოტრება; ავადმყოფობა, რომლითაც იზღუდებოდა სახლიდან გამოსვლა; ოჯახის წევრების გარდაცვალება ან სასიკვდილო ავადმყოფობა (მუხლი 1689).

⁴⁴² Soviet Statutes and Decisions, Vol. 21, Issue 3, 1985, p. 213.

მონაწილეობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ბეთი, ხოლო ვალდებულებანი სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის – გარანტიით“ (მუხლი 184).⁴⁴³ აღნიშნულ პერიოდში არსებული მოსაზრებით, ბე, როგორც წინასწარი გადახდა, თავის მხრივ, წარმოადგენდა კომერციული დაკრედიტების ფორმას, რის გამოც დაუშვებელი იყო სოციალისტური ორგანიზაციების მიერ ამ საშუალებით ვალდებულების უზრუნველყოფა.⁴⁴⁴

1923 წლის სამოქალაქო კოდექსით, ბეს საგანი შეიძლება ყოფილიყო, როგორც ფულადი თანხა, ასევე სხვა ქონებრივი საფასური (მუხლი 143), ხოლო 1964 წლის სამოქალაქო კოდექსი, ბედ მიიჩნევა მარტოოდენ ფულად თანხას და თანხის ოდენობის მიუხედავად, ბეს შეთანხმება საჭიროებდა წერილობითი ფორმის დაცვას (მუხლი 204).

ხელშეკრულების შეუსრულებლობის დროს, გადაცემული ბეს ბედი წყდებოდა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი მხარის მიხედვით: ბე მიმცემის ბრალეულობის შემთხვევაში, ბე რჩებოდა ამდებს, ხოლო შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი მიმღები მხარე, ბეს ორმაგად აბრუნებდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოთხოვნათა არშემსრულებელ მხარეს ეკისრებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. პასუხისმგებლობის დაკისრების დროს მხედველობაში მიიღებოდა ბრალის გამომრიცხველი გარემოებებიც. 1923 წლის სამოქალაქო კოდექსით, გადაცემული ბე გასამცლელად (ე.წ. ჯარიმად ხელშეკრულებიდან გასვლისთვის) ითვლებოდა, მხოლოდ მხარეთა შორის სათანადო შეთანხმების არსებობის დროს. 1964 წლის სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულების დარღვევაზე პასუხისმგებელ მხარეს ეკისრებოდა ვალდებულება ზარალის ანაზღაურებაზე ბეს ჩათვლით, თუ საკუთრივ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა სხვა რაიმეს (მუხლი 204).

საბჭოთა სამოქალაქო სამართალში ბეს გააჩნდა სამი ფუნქცია: დამადასტურებელი ფუნქციით, წერილობითი ფორმით გაფორმებული ბეს გადაცემის ფაქტი აფიქსირებდა მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადებას. რადგანც, ბე შედიოდა და იანგარიშებოდა სახელშეკრულებო გადასახდელთა ანგარიშში, ბე

⁴⁴³ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ., გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1965, გვ. 123-124.

⁴⁴⁴ Советское гражданское право, Часть 1, 3-ое издание, отв. ред. Рясенцев В.А., М., Юридическая литература, 1986, стр. 505.

ასრულებდა საგადამხდელო ფუნქციასაც. უზუნველყოფითი ფუნქციით, ბე ქმნიდა ძირითადი ვალდებულების შესრულების გარანტიას, რაც წარმოადგენდა მის მთავარ დანიშნულებასაც.⁴⁴⁵

3.2. ბე თანამედროვე ქართულ სამოქალაქო და საჯარო სამართალში, ზოგადი ვალდებულებანი

სახელშეკრულებო ურთიერთობათა უზრუნველყოფის მიზნით, ბე ხშირად გამოყენებადი მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა. სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ინსტიტუტის გარშემო ღიად დარჩენილი საკითხები მოწესრიგებულია სასამართლო პრაქტიკით. სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებულ ბეს ცნებას ვხვდებით სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების განკარგვის მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

3.2.1. ბეს ცნება

სამოქალაქო კოდექსით, ბე არის ქონებრივი (ფულადი) სახის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება. ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს, რითაც დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი (მუხლი 241). ხელშეკრულების ერთი მხარე მეორეს ბეს აძლევს არა მომავალი ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, არამედ უკვე შემდგარი ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად.⁴⁴⁶

ბეს სამართლებრივი მომავალი ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულების სამართლებრივ ბედზეა დამოკიდებული და შესაბამისად, ბე არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე. აღნიშნულ გარემოებას განაპირობებს ბეს აქცესორული ხასიათი, რომლითაც ბე უშუალო კავშირშია ძირითადი, უზრუნველყოფილი ხელშეკრულების არსებობასა და მის ნამდვილობასთან.

⁴⁴⁵ Иоффе О.С., Обязательственное право, М., Юридическая литература, 1975, стр. 167.

⁴⁴⁶ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 421, გვ. 499.

ბეთი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების შესრულება. მეტიც, ხელშეკრულების მონაწილეებს ბეს გამოყენება შეუძლიათ, მხოლოდ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისათვის.⁴⁴⁷ ფულად ვალდებულების საგანს წარმოადგენს განსაზღვრული ფულადი თანხა, ფულით გადასახდელი ვალდებულება. ამ დროს კრედიტორის უფლებას გადახდის მოთხოვნაზე, შეესაბამება მოვალის ვალდებულება განსაზღვრული თანხის გადაცემაზე.⁴⁴⁸ ფულად ვალდებულებას არ ქმნის შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების საგანია ინდივიდუალური ნიშნის მქონე ბანკნოტი ან მონეტა. ამ დროს ინდივიდუალური ნიშნის მქონე ბანკნოტი ან მონეტა არის საქონელი და არა გადახდის საშუალება.⁴⁴⁹

თუკი მხარეთა შეთანხმებით არ არის დადგენილი საპირისპირო, ხელშეკრულების დადების დროს გადაცემული ბე ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, წარმოადგენს გადასახდელი მთლიანი ფულადი თანხის (ფულადი ვალდებულების) გადახდილ ნაწილს, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილის გადახდა ხდება მხარეთა შეთანხმებისამებრ.

3.2.2. ბეს საგანი

სამოქალაქო კოდექსში მკაფიოდ არის განსაზღვრული ბეს საგანი. ბეს საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფულადი თანხა. შესაბამისად, ბეს საგნად დაუშვებელია სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი სხვა ქონების გამოყენება. სამოქალაქო კოდექსით, არ არის დადგენილი ბეს შესაძლო ოდენობა და მისი მოცულობის დადგენა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საკითხია. ხელშეკრულების მხარეებმა ბეს ოდენობის განსაზღვრის დროს უნდა დაიცვან სახელშეკრულებო კეთილსინდისიერების პრინციპი.⁴⁵⁰

⁴⁴⁷ Гришаев С.П., Гражданское право: в вопросах и ответах, Часть 1, М., Юрист, 2002, стр. 127.

⁴⁴⁸ Белов В.А., Гражданское право: Общая и особенная части, М., АО Центр ЮрИнфор, 2003, стр. 731.

⁴⁴⁹ Лунц Л.А., Деньги и денежные обязательства в гражданском праве, 2-ое изд., М., Статут, 2004, стр. 108.

⁴⁵⁰ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 423, გვ. 503.

ვინაიდან, უმთავრესად ბე წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ნაწილს (როდესაც ბე იანგარიშება ხელშეკრულების ფასში), ბეს მოცულობა ნაკლები უნდა იყოს ხელშეკრულებით გადასახდელ სრული თანხის ოდენობაზე.⁴⁵¹ საპირისპირო შემთხვევაში, ადგილი ექნება არა ვალდებულების უზრუნველყოფას, არამედ ვალდებულების შესრულებას.⁴⁵²

პირგასამტეხლოსგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსისათვის უცნობია უშუალოდ შეუსაბამოდ მაღალი ბეს ცნება და შესაბამისად, მისი სამართლებრივი რეგულირების წესი. ქართულ ცივილისტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეუსაბამოდ მაღალი ბეს მიმართ, ანალოგიის წესით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით განსაზღვრული შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს წესები.⁴⁵³ თავისმხრივ, სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგო სამართლის ნორმას.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართლით, ბეს საგანი ფულადი თანხის გარდა, შეიძლება იყოს რაიმე ნივთი. ზოგჯერ, გამოყენებულია ჩანაწერი „ბეს სახით რაიმეს გადაცემა“. არაფულადი სახით დადგენილ ბეში მოიზარება მარტოოდენ გვაროვნული ნიშნის მქონე საგნები.⁴⁵⁴

3.2.3. ბეს შეთანხმების მხარეები

სახელშეკრულებო ფულადი ვალდებულების შესრულება ბეს მეშვეობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს, მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ბეს შესახებ შეთანხმებაში მონაწილეობენ ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების

⁴⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-287-2020, 16 სექტემბერი, 2020 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁵² Гув А.Н., Гражданское право, Т. I, М., Инфра-М, 2003, стр. 379.

⁴⁵³ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 423, გვ. 503; გაწერელია ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 421, ველი 5, გვ. 814.

⁴⁵⁴ იხ. წინამდებარე ნაშრომის 3.3 პარაგრაფი.

მხარეები: ძირითადი ვალდებულების მოვალე, როგორც ბე მიმცემი და ძირითადი ვალდებულების კრედიტორი, როგორც ბეს მიმღები.⁴⁵⁵

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ბეს გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად შეუძლიათ, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. აღნიშნული საშუალებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შორის არსებული ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების გადახდა.

მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა ქართულ საბჭოთა სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ წესზე,⁴⁵⁶ რომლითაც ბეს შეთანხმების მხარეებად დაიშვებოდნენ, მხოლოდ ფიზიკური პირები (მოქალაქეები). შესაბამისად, იურიდიული პირებისათვის არ არსებობს ბეს გამოყენებაზე ხელისშემშლელი საკანონმდებლო ბარიერები. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, ბეს თაობაზე დავებს თანაბარი პროპორციულობით ვხვდებით სასამართლო პრაქტიკაშიც.

3.2.4. ბეს შეთანხმების ფორმა

სამოქალაქო კოდექსი არ აწესებს ბეს შეთანხმების სავალდებულო ფორმას. შესაბამისად, ბეს თაობაზე შეთანხმება შეიძლება დაიდოს, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. სამოქალაქო კოდექსით, ბე არ მიეკუთვნება ფორმასავალდებულო გარიგებას,⁴⁵⁷ რაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში განაპირობებს მთელ რიგ სირთულეებს, რისი დასტურიცაა სასამართლო პრაქტიკა.

ბეს შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განმარტებულ იქნეს თავად ბეს შეთანხმების დანიშნულება: ბე წარმოადგენს წინარე ხელშეკრულებას, თუ ბე ადასტურებს ძირითადი, უზრუნველყოფილი ხელშეკრულების დადებას და აქედან ის წარმოადგენს მთავარი ხელშეკრულების

⁴⁵⁵ Гражданское право, Часть I., под ред. Толстого Ю.К., Сергеева А.П., Издательство Теис, СПб, 1996, стр. 534.

⁴⁵⁶ იხ. 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1965, გვ. 123-124.

⁴⁵⁷ მესხიშვილი ქ., წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, VI გამოცემა, 2017, გვ. 35.

ნაწილს. საგულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში აღიარებულია ორივე მიდგომა. არაერთგვაროვან განმარტებებს, ძირითადად ადგილი ჰქონდა ადრეული წლების სასამართლო პრაქტიკაში, ხოლო უკანასკნელი წლების სასამართლო გადაწყვეტილებებში, ბე მიიჩნევა ძირითადი ხელშეკრულების დადების დასტურად.

იურიდიული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ორივე შემთხვევაში ბე საჭიროებს ძირითადი ხელშეკრულებისათვის დაწესებული ფორმის დაცვას. თუმცა, ბეს ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ბე უნდა განვიხილოთ ძირითადი ხელშეკრულების დადების დასტურად, როდესაც ძირითადი ხელშეკრულებისათვის სავალდებულო ფორმა დაცულია ბეს შეთანხმების დადების დროს და ბეს სახით თანხა რეალურად გადაცემულია მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულებისათვის დადგენილი ფორმის დაცვით.

წინარე ხელშეკრულებით ადგილი აქვს მომავალში ხელშეკრულების დადების ვალდებულების აღებას. მომავალში დასადები ხელშეკრულების ფორმა, ასევე დაცულ უნდა იქნეს წინარე ხელშეკრულების გაფორმების დროსაც (მუხლი 327.3). გადაცემული ბე ადასტურებს არა მომავალში წარმოსაშობ ვალდებულებას, არამედ მხარეთა მიერ უკვე შეთანხმებული ძირითადი ხელშეკრულების დადების ფაქტს და უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.⁴⁵⁸

შეუძლიათ თუ არა მხარეებს წინარე ხელშეკრულებით შეთანხმონ ბეს შეთანხმების პირობები? მაგ. გადასაცემი ბეს ოდენობა, მისი გადაცემის თარიღი და სხვა საკითხები? სამოქალაქო კოდექსით, აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან (მუხლი 319.1) გამომდინარე, უდავოა, რომ ბეს გადაცემამდე მხარეთა შორის შეიძლება წინარე ხელშეკრულებით შეთანხმებულ იქნეს ზემოაღნიშნული საკითხები. შესაბამისად, სწორედ ასეთ წინარე შეთანხმებაზე შეიძლება გავრცელებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ის მოთხოვნა,

⁴⁵⁸ აღნიშნული საფუძვლით, დამაბნეველია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ბე [] ხელშეკრულების ნაწილია, მისი გადაცემით დასტურდება მხარეთა შორის [] ხელშეკრულების დადება და ამიტომ იგი გაფორმებულ უნდა იქნეს ისეთივე ფორმით, როგორც [] ხელშეკრულება. ბეს გადაცემა წარმოადგენს წინარე ხელშეკრულებას, რომელიც წინ უსწრებს ძირითად [] ხელშეკრულებას.“ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-867-917-2011, 15 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

რომლითაც ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება, ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც.

მას შემდგომ რაც ერთი მხარისგან ბეს სახით ფულადი თანხა გაეცემა მეორე მხარეს, ბე ადასტურებს ძირითადი ხელშეკრულების დადების ფაქტს. ამ შემთხვევაში, გადაცემული ბე ხდება ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების განუყოფელი ნაწილი. შესაბამისად, ბეს სახით თანხა გადაცემულ უნდა იქნეს მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულებისათვის დაწესებული ფორმის დაცვით. „რადგან, ბე ძირითადი ხელშეკრულების ნაწილია, იგი იმ ფორმით უნდა გაფორმდეს, როგორ ფორმასაც კანონი ითვალისწინებს ძირითადი ხელშეკრულებისათვის“.⁴⁵⁹

თუკი სამოქალაქო კოდექსით ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმით, ამ ფორმით გადაცემული ბე მიიჩნევა კანონშესაბამისად და შეთანხმებისათვის სავალდებულო ფორმის დაცვით დადებულად. ზეპირ გარიგებებში ბე განსაკუთრებულად უზრუნველყოფს მხარეთა შეთანხმების სიმტკიცეს.⁴⁶⁰

იმ შემთხვევაში, როდესაც მარტივი ან რთული წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულოა მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულების ნამდვილობისათვის, ბეს შეთანხმება ნამდვილობისათვის, ასევე მოითხოვს აღნიშნული ფორმების დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია სადავო საკითხის განხილვის დროს, სავალდებულო ფორმის დაცვის გარეშე დადებული ბეს შეთანხმება თავადვე მიიჩნიოს დადგენილი ფორმის დარღვევით შეთანხმებულად და გარიგება ცნოს ბათილად. „ფორმის დაუცველად დადებული გარიგება იურიდიულად შედეგუუნაროა, ასეთ შემთხვევაში არაა სავალდებულო მხარე სარჩელით მოითხოვდეს მის ბათილობას“.⁴⁶¹

ბეს მემუვობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების შესრულება, თუმცა ბეს სამართლებრივი ბუნება პრაქტიკაში მეტ აქტუალობას იძენს ნასყიდობის ხელშეკრულების დროს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას

⁴⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/1147-01, 6 თებერვალი, 2002 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁶⁰ იოსელიანი ნ., ბე, „საქართველოს ნოტარიატი“, N4, 2005, გვ. 15.

⁴⁶¹ იქვე.

იპყრობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც განმარტებულია ნასყიდობის, უმთავრესად კი უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის დაუცველად ბეს სახით გადაცემული თანხების სამართლებრივი ბედი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი იძლევა შემდეგი სახის დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

1. „ნასყიდობის დროს თანხის ბეს სახით გადაცემის შემთხვევაში დასტურდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი“.⁴⁶² სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან მის ყველა არსებით პირობაზე სათანადოდ გათვლისწინებული ფორმით (მუხლი 327.1). შესაბამისად, „ამ ხელშეკრულების დამადასტურებლად ბედ თანხის გადაცემა, ამავე წესით უნდა გაფორმდეს“.⁴⁶³

2. ნასყიდობის შეთანხმების დროს, მხარეთა მიერ გადაცემული ბე განიხილება ხელშეკრულების ნაწილად, რის გამოც ბეს შესახებ შეთანხმება უნდა გაფორმდეს ისეთივე ფორმით, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება.⁴⁶⁴

3. უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, ბეს შესახებ შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით ფორმით. ეს მოსაზრება ემყარება სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნას, რომ ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას (მუხლი 323).⁴⁶⁵ შესაბამისად, „საცხოვრებელი ბინის

⁴⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N33/865, 24 იანვარი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁶³ იქვე.

⁴⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 48.

⁴⁶⁵ საგულისხმოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია, უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის ან შეძენისათვის მოითხოვდა წერილობითი შეთანხმების სანოტარო წესით დადასტურებას, რის გამოც მოცემულ პერიოდში უძრავი ნივთის ყიდვა-გაყიდვის უზრუნველსაყოფად წერილობით, თუმცა სანოტარო წესის დაცვის გარეშე გადაცემული ბე, სასამართლო პრაქტიკით განიხილებოდა ბათილ გარიგებად. ეს ნორმა სამოქალაქო კოდექსში შეცვლილ იქნა 2006 წლის 8 დეკემბრის N3879 ცვლილებით (მოქმედებს 2007 წლის 15 მარტიდან). დღეისათვის, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, უძრავი ნივთების ნასყიდობის შეთანხმების გასაფორმებლად (მისი ნადვილობისთვის) მხარეებს მოეთხოვებათ, მხოლოდ წერილობითი ფორმის დაცვა და აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს, როგორც მარტივი, ასევე რთული წერილობითი ფორმით.

ყიდვის მიზნით შინაურული წესით გაფორმებული ხელწერილის საფუძველზე გადახდილი თანხა არ ჩაითვლება ბედ“.⁴⁶⁶

4. სამოქალაქო კოდექსით, ბათილად ითვლება კანონის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმის დაცვის გარეშე დადებული გარიგება (მუხლი 59.1). უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის დაუცველად დადებული ბეს შეთანხმება, ასევე ბათილი გარიგებაა.

5. უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის დაუცველად გადაცემული ბე წარმოადგენს, სავალდებულო ფორმის დაცვის გარეშე გადაცემულ თანხას და თანხის გადაცემის ფაქტის დადასტურების დროსაც, ის არ შეიძლება ჩაითვალოს ბედ.⁴⁶⁷ „უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მოქმედებები უნდა დადასტურდეს წერილობითი ხასიათის მტკიცებულებებით, კერძოდ „ბეს“ ხელშეკრულებითა და ნასყიდობის ხელშეკრულებებით და არა მოწმეთა ჩვენებებით.“⁴⁶⁸

6. სათანადო ფორმის დაუცველად გადაცემული ბე არ წარმოადგენს უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დასტურს. როდესაც თანხის გადაცემის ფაქტი დასტურდება სხვა გარემოებებით: მოწმეთა ჩვენებებით, თანხის გადაცემის თაობაზე აღიარებითი ჩანაწერით, საბანკო გადარიცხვის ქვითრით და ა.შ. ეს გარემოებები გამოყენებულ უნდა იქნეს გადაცემული თანხის დაბრუნების საფუძველად, მათი სამართლებრივი შეფასების შემდგომ. მაგ. სასამართლოს მიერ მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებულ გარემოებად იქნა მიჩნეული ზეპირი ფორმით დადებული უძრავი ქონების ნასყიდობაზე თანხის გადაცემის ფაქტი. ვინაიდან, მხარეთა ურთიერთობა შეფასებულ იქნა, როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, ვითომ კრედიტორს (თანხის მიმღებს) დაევალა მისი უკან დაბრუნება.⁴⁶⁹ ამავდროულად, მოწმეთა ჩვენებები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი და ისინი

⁴⁶⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2017, მუხლი 59, ველი 19, გვ. 350.

⁴⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება N3კ/80-01, 17 იანვარი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-623-584-10, 7 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის განჩინება Nას-474-822-07, 26 დეკემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი; მოწმეთა ჩვენების საფუძველზე თანხის გადაცემის ფაქტის დადასტურების საკითხთან დაკავშირებით მსგავს პოზიციას ვხვდებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის განჩინებაში Nას-288-652-05, 4 ოქტომბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი.

განსხვავებულად არ უნდა გადმოცემდნენ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს.⁴⁷⁰

7. უძრავი ნივთის ნასყიდობის ფორმის დაუცველად ბეს სახით გადაცემული თანხა დაბრუნებას ექვემდებარება უსაფუძვლო გამდიდრების წესების საფუძველზე. პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშვა ან შეწყდა შემდგომში (976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

8. სასამართლოს მიერ ბეს მარეგულირებელი ნორმები გამოყენებულ უნდა იქნეს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ბეს ხელშეკრულება დადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ის არ წარმოადგენს ბათილ გარიგებას.⁴⁷¹ ბეს შეთანხმების ბათილობა თავისთავად გამორიცხავს ბეს მარეგულირებელი ნორმების მისადაგებას მხარეთა ფაქტიური ურთიერთობისათვის.

9. ვინაიდან, ბე არ არსებობს მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულების გარეშე, უზრუნველყოფილი ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა განაპირობებს ბეს შეთანხმების ბათილობას, იმისდა მიუხედავად, საკუთრივ ბეს შეთანხმება შეესაბამება თუ არა ძირითადი ხელშეკრულების სავალდებულო ფორმას.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თუკი მხარეთა შორის არ დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, „ვერც გადახდილი თანხა ჩაითვლება ბედ, რადგან იგი ვერ იქნება ხელშეკრულების დადების ფაქტის დამადასტურებელი“⁴⁷² ხოლო „თანხა, რომელიც ამ ხელშეკრულების დადების დასადასტურებლად გადაეცა მხარეს, არ შეიძლება ფორმის დაცვით გადაცემულად ჩაითვალოს“.⁴⁷³ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას, ბე ადასტურებს, მხოლოდ წერილობითი ფორმით შეთანხმების დროს. საჯარო

⁴⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-216-205-2010, 31 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-445-1140-03, 17 თებერვალი, 2004 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/182-01, 6 აპრილი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/68-01, 7 მარტი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

რეესტრში უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაცია ადასტურებს, მარტოოდენ საკუთრების უფლების გადასვლის მომენტს.⁴⁷⁴

3.2.5. ბეს ფუნქციები

თანამედროვე ცივილისტიკაში ბეს ძირითადად მინიჭებული აქვს ოთხი ფუნქცია: დამადასტურებელი, უზრუნველყოფითი, საგადამხდელო და საკომპენსაციო.⁴⁷⁵ გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ ბეს აგრეთვე გააჩნია „სერიოზულობის ინდიკატორის“ ფუნქცია, რომლითაც ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებში, ბეს არსებობა ადასტურებს მხარეთა განზრახვის სერიოზულობას.⁴⁷⁶

3.2.5.1. დამადასტურებელი ფუნქცია

სათანადო ფორმის დაცვით ბეს გადაცემა ადასტურებს ძირითადი ხელშეკრულების დადების ფაქტს. „ბე წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცებულებას.“⁴⁷⁷ ამ ფუნქციას ასრულებას, მხოლოდ გადაცემული და არა შეთანხმებული ბე. „გადაცემულად უნდა ჩაითვალოს ბე, რომელიც გადაეცა კრედიტორს. ქონების გადაცემა ხელშეკრულების დადებისას არის გარიგება, რომელიც იწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობას. ზოგადი წესის მიხედვით, ქონების გადაცემის ფაქტის დადასტურება რეალური ხელშეკრულების დადებისას ექვემდებარება ამ ხელშეკრულების ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს“.⁴⁷⁸

⁴⁷⁴ ნაჭყებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), თბ., GIZ, გვ. 89-90.

⁴⁷⁵ ცივილისტიკაში ზოგჯერ ბეს უზრუნველყოფით და საკომპენსაციო ფუნქციებს ერთ ფუნქციად მოიაზრებენ.

⁴⁷⁶ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ. 2010, გვ. 23, მითითებულია: ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 251.

⁴⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-501-828-05, 28 სექტემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁷⁸ რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2007, გვ. 74.

ბეს თანხის გადაცემის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებებით,⁴⁷⁹ კერძოდ, არსებული მტკიცებულებებით უნდა იკვეთებოდეს ბეს მიმცემი მხარისგან თანხის რეალურად მიღება ბეს მიმღების მიერ. მართოდენ მხარეთა მორიგება ან ერთი მხარისგან ბეს სახით რაიმე თანხის გადაცემაზე შეპირება არ წარმოადგენს ბეს. აღნიშნულ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თანხის ფაქტობრივ გადასვლას ხელშეკრულების ერთი მხარიდან მეორე მხარის განკარგულებაში. როდესაც მხარეები სადავოდ არ ხდიან ბეს გადაცემა-მიღების ფაქტს, იგულისხმება, რომ ისინი თავისმხრივ, ასევე სადავოდ არ ხდიან ხელშეკრულების დადების ფაქტს.⁴⁸⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი მხარისგან ბედ გადაცემული თანხის მეორე მხარის მიერ მიღება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებათა წარმოშობის დასტურს და სათანადო ფორმის დაცვით გადაცემული ბე წარმოადგენს, მხარეთა შორის ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის მტკიცებულებას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დამადასტურებელი ფუნქციით, ბე ადასტურებს, მხოლოდ ფორმათავისუფალი ხელშეკრულების დადებას, რომლისთვისაც კანონით არ არის დადგენილი წერილობითი ფორმის ან სხვაგვარი პროცედურების დაცვა.⁴⁸¹ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, ფულის გადახდით არ შეიძლება დადასტურებულ იქნეს ფორმასავალდებულო ხელშეკრულების დადების ფაქტი.⁴⁸²

3.2.5.2. უზრუნველყოფითი ფუნქცია

ბე არამხოლოდ ადასტურებს ხელშეკრულების დადების ფაქტს, ის ამავდროულად უზრუნველყოფს წარმოშობილი სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. „თუ მოვალემ დაიწყო ძირითადი ვალდებულების

⁴⁷⁹ Фоков А.П., Попонов Ю.Г., Черкашина И.Л., Черкашин В.А., М., Гражданское право, Общая и особенная части, М., КНОРУС, 2007, стр. 292.

⁴⁸⁰ Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга I, Общие положения, М., Статут, 2001, стр. 603.

⁴⁸¹ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2021, გვ. 248-249.

⁴⁸² იქვე, გვ. 249.

შესრულება, თუნდაც არაჯეროვნად ბე ხდება შესრულების ნაწილი და აქედან გამომდინარე, უნდა ჩაითვალოს ნაწილობრივ გადახდად.⁴⁸³

ბეს უზრუნველყოფითი ფუნქცია ემსახურება, როგორც ბეს მიმცემი, ასევე ბეს ამღების მხარის სამართლებრივ ინტერესებს. აღნიშნული მოსაზრების საფუძველს გვაძლევს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ბეს მომწესრიგებელი ნორმები. კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ბეს სამართლებრივი რეგულირების წესი: როდესაც ბეთი უზრუნველყოფილია ძირითადი ვალდებულების შესრულება, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს ბეს მიმცემი და ბეს მიმღები მხარეებისათვის. თუკი ბეს მიმცემი, ბრალეულად არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს (მუხლი 423.1), როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღები მხარის ბრალით, ეს უკანასკნელი ბეს თანხას ორმაგად აბრუნებს (მუხლი 423.2).

ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა დგება მხარის ბრალეული ქმედებით და არა იმ შემთხვევებში, როდესაც შეუსრულებლობა გამოწვეულია ბრალის გამომრიცხველი გარემოებებით. მაგ. სასამართლომ ბეს მიმცემი არ გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან იმ მიზეზით, რომ ის არ იმყოფებოდა საქართველოში, ვინაიდან, მას მესამე პირზე გაცემული ჰქონდა სათანადო მინდობილობა გარიგების დადების თაობაზე.⁴⁸⁴

ამრიგად, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაწესებული უარყოფითი შედეგები, ვალდებულების მკისრებელ მხარეს აიძულებს მის მიერ აღებული ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. კერძოდ, ხელშეკრულების მხარეებს გათვიცნობიერებული აქვთ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მოსალოდნელი შედეგები და მათთვის წინასწარი არის ცნობილი ბეს სამართლებრივი ბედი.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ერთი მხარის მიერ მეორისათვის ბეს თანხის გადაცემა უზრუნველყოფს არსებული და შემდგარი ხელშეკრულების

⁴⁸³ იქვე, გვ. 74.

⁴⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-610-991-06, 5 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი.

შესრულებას.⁴⁸⁵ მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა დამატებითი საშუალებებისგან განსხვავებით, ბეს შემთხვევაში უზრუნველყოფის საგნის გადაცემა ხდება ხელშეკრულების დადების მომენტში. შესაბამისად, ამ მომენტიდან გადაცემული ბე როგორც მოვალე, ასევე კრედიტორ მხარეზე ახდენს ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას. უზრუნველყოფითი ფუნქციით ბე ახორციელებს ხელშეკრულების ორივე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების სტიმულირებას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბეს უზრუნველყოფით ფუნქციას შეიძლება მიენიჭოს ხელშეკრულების შესრულების, როგორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი სტიმულირების მნიშვნელობა. ცალმხრივი სტიმულირების შინაარსი ბეს უზრუნველყოფის ფუნქციას გააჩნია მოვალის ბრალით ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, როდესაც გადაცემული ფულადი თანხა რჩება კრედიტორს. ორმხრივი სტიმულირების დანიშნულება, კი ბეს უზრუნველყოფით ფუნქციას აქვს მამინ, როდესაც ბეს მიმღები ბრალეული მხარე, თანხას აბრუნებს ორმაგად (კანონით).⁴⁸⁶

3.2.5.3. საგადამხდელო ფუნქცია

სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს ბეს რეგულაციის წესებს იმ შემთხვევებისათვის, როცა ბე ითვლება ან არ ითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში. სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო თუ არ ჩაითვლება, ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს (მუხლი 422). ნებისმიერ შემთხვევაში, ამ საკითხზე მხარეთა ნება ნათლად უნდა იყოს გამოხატული ბეს შესახებ შეთანხმების ტექსტში.

ბეს საგადამხდელო ფუნქცია გააჩნია, როდესაც მხარეთა სურვილით ის იანგარიშება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში. აღნიშნულმა ფუნქციამ შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი შეუქმნა ბეთი, მხოლოდ ფულადი სახის ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის მოსაზრებას.

⁴⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის განჩინება №ს-288-652-05, 4 ოქტომბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁸⁶ Синайский В.И., Русское гражданское право, Выпуск II, Обязательственное, семейное и наследственное право, Киев, Типография Р.К. Лубковского, 1915, стр. 39-40.

როდესაც ბე ითვლება გადასახდელის ანგარიშში, ნაკისრი ვალდებულების შემსრულებელს ევალება გადასახდელად დარჩენილი თანხის ნაწილის შეთანხმებისამებრ გადახდა. შესაბამისად, ამ სახით გადაცემული ბე არის სრულად გადასახდელი თანხის ნაწილი და ვიდრე არ მოხდება ვალდებულების სრულად შესრულება, ბე არ მიიჩნევა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებად.⁴⁸⁷ იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა შეთანხმებით, ბე არ იანგარიშება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ვალდებულების შესრულების შემდგომ გადაცემული ბე ექვემდებარება უკან დაბრუნებს.

სამოქალაქო კოდექსით, ბე საგანი მხოლოდ გასაზღვრული ფულადი თანხაა. შესაბამისად, ბე წარმოადგენს გვაროვნული ნიშნით გასაზღვრულ ქონებას და მის მიმღებს თანხის დაბრუნების დროს არ ევალება ბეს სახით მიღებული იგივე ბანკნოტების თუ მონეტების დაბრუნება. თანხის მიღების შემდგომ, ბეს მიმღები ხდება მისი მესაკუთრე, და არა სხვისი საკუთრების შემნახველი, რის გამოც ბეს მიმღების მიერ საკუთარი მიზნებისათვის თანხის გამოყენება, ასევე არ წარმოადგენს სხვისი ქონების გაფლანგვას.⁴⁸⁸

გარდა აღნიშნულისა, ბე ასევე არ ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში და უკან უნდა დაბრუნდეს, როცა ძირითადი ვალდებულება მის შესრულებამდე შეწყვეტილ იქნება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ძირითადი ვალდებულება შეწყდება მხარეებისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რაც გამორიცხავს ვალდებულების შემდგომ შესრულებას. მხარეს ან მხარეებს ექნებათ კანონიერი საფუძველი ხელშეკრულებაზე უარის სათქმელად და სხვა.

3.2.5.4. საკომპენსაციო ფუნქცია

ბეთი უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აქტიურდება ბეს საკომპენსაციო ფუნქცია. უზრუნველყოფილი ვალდებულების

⁴⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1476-2019, 7 თებერვალი, 2020 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁸⁸ Дернбург Г., Пандекты, Т. II., Обязательственное право, пер. Соколовского П., 3-ое издание, М., 1911, стр. 32.

დარღვევის შემდგომ, მოცემული ფუნქცია განსხვავებულ შედეგებს აკისრებს ბეს მიმცემ და ბეს ამღებ მხარეებს.

თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა დგება ბეს მიმცემის ბრალით, ბე რჩება მიმღებს (მუხლი 423.1). შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების დარღვევისათვის ბეს მიმცემის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება, მხოლოდ გადაცემული ბეს დაკარგვით.⁴⁸⁹ როდესაც, ბეს მიმცემს არ მიუძღვის ბრალი ვალდებულების დარღვევაში, მას უფლება აქვს მოითხოვოს გადაცემული თანხის უკან დაბრუნება.

ბეს საკომპენსაციო ფუნქცია უფრო მკაცრი ხასიათისაა იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობას ადგილი აქვს ბეს მიმღები მხარის ბრალით. ამ დროს, ბეს მიმღები ფულად თანხას აბრუნებს ორმაგად (მუხლი 423.2). ნაკისრი ვალდებულებათა მხოლოდ ბრალეულად დარღვევა განაპირობებს მიღებული თანხის ორმაგად დაბრუნებას.⁴⁹⁰ ამ შემთხვევაში, ბეს მიმღები მხარის მიერ მიღებული ბეს იმავე ოდენობაში დაბრუნების შესაძლებლობა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

3.2.6. ბე და ზიანის ანაზღაურება

ბეთი უზრუნველყოფილი ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი. ამ შემთხვევაში, მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით დამდგარი ზიანის ანაზღაურება, არაბრალეული მხარის დამოუკიდებელი მოთხოვნაა.

სამოქალაქო კოდექსით, თუკი ვალდებულება ირღვევა ბეს მიმცემის ბრალით, ბე ითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში (მუხლი 423.1). ბეს მიმცემი მხარისგან გადაცემული თანხის დაკარგვა უზრუნველყოფს ზიანის ე.წ. მინიმალურ ანაზღაურებას. ბეს მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ზიანის იმ მოცულობის ანაზღაურებაც, რაც არ იფარება მისთვის უკვე ბეს სახით გადაცემული თანხით.

⁴⁸⁹ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., სამართალი, 1999, გვ. 80.

⁴⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-346-748-06, 14 დეკემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გააჩნია თავად ვალდებულების შეუსრულებლობაზე არაბრალეულ, ბეს მიმცემ მხარესაც, როდესაც უზრუნველყოფილი ვალდებულება ირღვევა ბეს მიმღებისგან. სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (მუხლი 423.2). თუმცა ამ ნორმაში არ არის ნათლად ჩამოყალიბებული საკითხი იმის თაობაზე, ორმაგად დაბრუნებული ბე შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ზიანის მოცულობაში, ან ბეს ორმაგი ოდენობით დაბრუნების გარდა ზიანი შესაძლოა თუ არა მოთხოვნილ იქნეს სრულად? შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის ლეგალური განმარტება ითვალისწინებს, მხოლოდ ბეს მიმცემის უფლებას ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ზიანის მოთხოვნაზე და არა მისი გამომანგარიშების ფარგლებს.

ამრიგად, ბეს მიმცემი მხარის შემთხვევაში, კანონით დაწესებულია ე.წ. მინიმალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი. უჯობესი იქნება, თუკი აღნიშნული წესი, ასევე გავრცელდება ბეს მიმღების მხარის ბრალეულობის შემთხვევაზე და ორმაგად დაბრუნებული ბე ჩაითვლება მიყენებული ზიანის ანგარიშში, ხოლო ზიანი, რომელიც არ დაიფარება ამ ორმაგი ოდენობის ბეთი, ანაზღაურდება დამოუკიდებლად.

3.2.7. ბე და ავანსი (წინასწარი გადახდა)

ბესგან უნდა განვასხვაოთ ავანსი⁴⁹¹ ანუ წინასწარი გადახდა. იქიდან გამომდინარე, რომ ბეც და ავანსიც ფულადი სახით გაიცემა, ხშირად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ამ ორ ცნებას აიგივებენ. აღნიშნული ცნებები სხვადასხვა სამართლებრივ მიზნებს ემსახურება და ხელშეკრულების მონაწილეებისათვის იწვევს განსახვავებულ შედეგებს. ამ მსჯელობის საფუძველს იძლევა თავად ბესა და ავანსის ცნებების ურთიერთშეპირისპირება:

1. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორისათვის ავანსის სახით ფულადი თანხის გადაცემა უპირობოდ არ ადასტურებს ხელშეკრულების დადების ფაქტს და სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ავანსი არ

⁴⁹¹ საგულისხმოა, რომ თავად სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს უშუალოდ „ავანსი“-ს განმარტებას, თუმცა მისი შინაარსი განსაზღვრულია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

ატარებს ბეს მნიშვნელობას. ავანსის გადაცემა განიხილება, როგორც ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი მტკიცებულება, სხვა მრავალი მტკიცებულების მსგავსად.⁴⁹² ავანსის გადაცემა არ ხდება, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

2. ავანსი წარმოადგენს წინასწარი გადახდის საშუალებას, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს, ერთი მხარისგან მეორეს გადაეცემა შემხვედრი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებამდე. წინასწარ გადაცემული ავანსი წარმოადგენს შესასრულებლად ნაკისრი ფულადი ვალდებულების ნაწილს (იშვიადად მის სრულ ოდენობას). ამრიგად, თუკი სახელშეკრულებო ფასის სრულად ან მისი ნაწილის გადახდა წინ უსწრებს მეორე მხარის მხრიდან ნაკისრი შემხვედრი ვალდებულების შესრულებას, სახეზეა ავანსი. გადაცემული ბე, შესრულების ორგანული ნაწილი ხდება, მხოლოდ ვალდებულების შესრულების შემდგომ, რის გამოც, ვიდრე არ მოხდება ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ბეს მიცემა არ ქმნის ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების შემადგენლობას.⁴⁹³

3. ბესგან განსხვავებით, მოვალის ბრალით ხელშეკრულების დარღვევა არ ქმნის ავანსის კრედიტორთან დარჩენის საფუძველს, ისევე როგორც კრედიტორის ბრალით ხელშეკრულების დარღვევა არ წარმოადგენს ავანსის ორმაგი ოდენობით დაბრუნების პირობას. აღნიშნულ შემთხვევებში, ავანსის სამართლებრივი ბედი რეგულირდება ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის დადგენილი ზოგადი წესებით, რის გამოც სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაცემული საავანსო თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ავანსის სახით გადაცემული თანხა განიხილება, როგორც კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრება. შესაბამისად, აღნიშნული თანხა უკან ბრუნდება გადაცემული თანხის ოდენობით, ანუ იმ სიდიდით, რომლითაც განხორციელდა თავდაპირველად მისი გადაცემა.

4. ბე ყოველთვის მიიჩნევა ავანსად, როცა ვერ დგინდება გადაცემული თანხის სამართლებრივი ბუნება. საპირისპირო ვარაუდი დაუშვებელია, ვინაიდან, აღნიშნული გამოიწვევს მხარეთა მდგომარეობის დამძიმებას მათი ნების

⁴⁹² Гражданское право, в 4-х томах, Т. III, Обязательственное право, 3-е издание, под ред. Суханова Е.А., М., Волтерс Клувер 2007, стр. 79.

⁴⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-875-817-2017, 21 მარტი, 2018 წელი, ქ. თბილისი.

საწინააღმდეგოდ.⁴⁹⁴ ამ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ ხელშეკრულების მხარეებს არჩეული ექნებოდათ ავანსის უფრო მარტივი და არა ბეს რთული სახე.⁴⁹⁵ გადაცემული თანხის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების საგანია მხარეთა გამოხატული ნების ნამდვილობის დადგენა ხელშეკრულების დადების დროს არსებულ მათ ნება-სურვილთან. ხშირად, ამ გარემოების დადგენას ართულებს სამოქალაქო კოდექსით ბეზე შეთანხმების სავალდებულო ფორმის დაუწესებლობა. დღეისათვის, ბეს ფორმის ნამდვილობის საკითხი უკვე მყარი პრაქტიკის სახითაა ჩამოყალიბებული საქართველოს საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებებში.⁴⁹⁶

ამ მხრივ, ქართული სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას სრულად ეწინააღმდეგება სასამართლოს გადაწყვეტილება,⁴⁹⁷ რომლითაც ავანსად იქნა მიჩნეული ავტომობილების ნასყიდობის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად წერილობითი ფორმით შეთანხმებული და გადაცემული ბე მარტოდენ იმ საფუძვლით, რომ გადაცემული თანხა, შეადგენდა ხელშეკრულების ფასის 40%-ს და ეს მოცულობა მიჩნეულ იქნა ბესთვის დიდ ოდენობად.⁴⁹⁸

5. ბესგან განსხვავებით ავანსს გააჩნია, მხოლოდ საგადამხდელო ფუნქცია. როცა ბე განიხილება ავანსად, გადაცემული თანხა ასრულებს, მხოლოდ საავანსო გადახდის დანიშნულებას და კარგავს ბეს სხვაგვარ ფუნქციებს.

6. სამოქალაქო კოდექსით, ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის გადახდით, ასევე პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად მოთხოვნის არსებობის აღიარებით, ადგილი აქვს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას (მუხლი 137).

7. ბეს მსგავსად, ავანსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფულადი ვალდებულების შესრულებისთვის.

⁴⁹⁴ რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, საქართველოს უზენაესი სასამართლო, გვ. 73.

⁴⁹⁵ Гражданское право, в 3-х томах, Т.1., 6-ое издание, под ред. Толстого Ю.К., Сергеева А.П., М., Издательство ПРОСПЕКТ, 2006, стр. 740.

⁴⁹⁶ იხ. ნაშრომის 3.2.4 ქვეპარაგრაფი.

⁴⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-287-2020, 16 სექტემბერი, 2020 წელი, ქ. თბილისი.

⁴⁹⁸ ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების ფასის 40% შეადგენდა 2 000 000 ლარს. აღნიშნული საქმეზე, სასამართლოს მიერ კანონის ანალოგიის სახით არ იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი.

სამოქალაქო კოდექსში ვხვდებით ნორმებს, რომლებშიც მოცემულია ავანსის მოთხოვნის სპეციალური წესები, ასევე წესები ავანსის მოთხოვნის დაუშვებლობასთან დაკავშირებით:

* ნარდობის ხელშეკრულების დროს, როცა მენარდე არათანაზომიერი ხარჯების გამო არ ამბობს უარს დამატებით შესრულებაზე, თუმცა ადგილი აქვს ნაკეთობის ნაკლის გამო დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გავლას, შემკვეთს შეუძლია თავადვე აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია მენარდეს მოსთხოვოს ავანსი ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებისათვის (მუხლი 643);

* დავალების ხელშეკრულების დროს მარწმუნებელს ევალება რწმუნებულისათვის მინდობილი მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, იმ შემთხვევების გარდა, როცა ხარჯები იფარება გასამრჯელოთი. ამასთანავე, რწმუნებულს შეუძლია მარწმუნებელს მოსთხოვოს ავანსი იმ ხარჯებისათვის, რომლებიც მას უნდა აუნაზღაურდეს (მუხლი 717.3.);

* შუამავლობის დროს მაკლერს არ შეუძლია დათქვას ავანსი ან მიიღოს ის თავისი საშუამავლო საქმიანობის განხორციელებამდე (მუხლები 744-745).

3.2.8. გასამცლელი ე.წ. საჯარიმო თანხა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის

თანამედროვე ქართულ ცივილისტურ ლიტერატურაში ტერმინი „გასამცლელი“ დიდი ხანია რაც მივიწყებულია და მის ნაცვლად ხელშეკრულებიდან გასვლისათვის გადასახდელი თანხის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვათა წყობა „საჯარიმო თანხა“. ქართულ სამოქალაქო ბრუნვაში, ხშირად გასამცლელს მაგივრად მხარეთა შორის მიღებულ ტერმინს წარმოადგენს მისი რუსული შესატყვისი „отступной“.⁴⁹⁹

გასამცლელი ე.წ. საჯარიმო თანხა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას. სამოქალაქო სამართალში გასამცლელი გვევლინება ისეთი მიზნით გადაცემულ თანხად, რომელიც

⁴⁹⁹ აქედან, რუს. „отступные деньги“ – გასამცლელი ფული. იხ. ჟვანია გ., ფურცელაძე დ., ქავთარაძე პ., წერეთელი თ., იურიდიული ტერმინოლოგია, რუსულ-ქართული ნაწილი, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 186.

ხელშეკრულების მხარეს (მხარეებს) შესაძლებლობას აძლევს ამგვარად შეთანხმებული თანხის გადახდის შემდგომ უარი თქვას ხელშეკრულებაზე, კერძოდ, გავიდეს ხელშეკრულებიდან. შეთანხმებული თანხის მიღების შემდგომ გამოირიცხება ხელშეკრულების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

ტერმინი გასამცლელი სრულად და ლაკონურად გამოხატავს მასში ნაგულისხმევ შინაარსს, კერძოდ, შეთანხმებული თანხის გადახდის შემდგომ ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას, უფრო მარტივად, რომ ვთქვათ სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის გაცლას, რის გამოც, უმჯობესი იქნება, თუკი აღნიშნული ტერმინი კვლავ იქნება გამოყენებული სათანადო ლიტერატურასა და სამოქალაქო ბრუნვაში. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად დაეხმარება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს სამართლებრივი ცნებების ერთმანეთისგან გარჩევაში. მაგ. ჯარიმის ცნება, როგორც საჯაროსამართლებრივ, ასევე კერძოსამართლებრივ კანონმდებლობაში წარმოადგენს მოსალოდნელი ფულადი პასუხისმგებლობის გამომხატველ ზოგად ტერმინს, რამაც სამართლებრივ ტერმინოლოგიაში არასათანადოდ ინფორმირებულ მხარეს შეიძლება შეუქმნას გაურკვევლობა სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით.

ინდივიდუალური სამართლებრივი ტერმინების დამკვიდრება არამარტო სრულყოფილს გახდის ქართულ სამართლებრივ ლექსიკონს, არამედ სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს დაიცავს არაერთგვაროვანი განმარტებების ალბათობისგან და გაამარტივებს სამოქალაქო ბრუნვას.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალსა და ცივილისტურ ლიტერატურაში, გასამცლელს ცნება, მისი შინაარსი და დანიშნულება გამიჯნულია პირგასამტეხლოსა და ბეს ცნებებისგან (მიუხედავთ იმისა, რომ ზოგჯერ გასამცლელს მარეგულირებელი ნორმები მოცემულია სისტემურად ბესა და პირგასამტეხლოს მარეგულირებელ ნორმებთან).⁵⁰⁰

ნებისმიერ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის სანაცვლოდ შეთანხმებული თანხა, მეორე მხარეს გადაეცემა ხელშეკრულებიდან გასვლამდე. თანხის გასამცლელს შინაარსით არსებობას უნდა შეიცავდეს თავად მხარეთა

⁵⁰⁰ აღნიშნული მიზეზით, წინამდებარე ნაშრომში გასამცლელი განხილულია ბეს მარეგულირებელ თავში, როდესაც უკვე წარმოჩენილია პირგასამტეხლოს და ბეს სამართლებრივი მახასიათებლები.

შეთანხმება. ძალზედ იშვიათად, გასამცლელოს დანიშნულებით რაიმე თანხის არსებობას ადგენს კანონი.⁵⁰¹ როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის მხარეები ითვალისწინებენ გასამცლელოს, ისინი თავიდანვე თანხმდებიან ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის დაუშვებლობაზე (გასამცემლოს სახით შეთანხმებული თანხის მიღება ზღუდავს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას).

გასამცლელოზე მხარეთა შეთანხმება გარკვეულ წილად ამცირებს ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მოვალეობას და ამასთანავე, გამორიცხავს დაზარალებული მხარის უფლებას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. გასამცლელოზე შეთანხმებით მხარეები წინასწარ ათავისუფლებენ ვალდებულების დარღვევაზე ბრალეულ მხარეს პასუხისმგებლობისგან. თანხის მიღება, თავისმხრივ, გამორიცხავს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა რაიმე სახის პრეტენზიას ან მოთხოვნას და ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეწყვეტას.

ვინაიდან, გასამცლელოზე შეთანხმება ხელშეკრულების მონაწილეებს ართმევს სახელშეკრულებო უფლებებზე მოთხოვნის უფლებას, მხარეთა შეთანხმების ბუნდოვანების შემთხვევაში, ბე და პირგასამტეხლო არ განიხილება გასამცლელოდ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს გასამცლელოს ე.წ. საჯარიმო თანხის ცნებას,⁵⁰² თუმცა, კოდექსით აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ გამორიცხავს მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების დროს, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევისათვის გარკვეულ თანხაზე შეთანხმებას, ორივე ან რომელიმე მხარისათვის მოცემული უფლების მინიჭებით.⁵⁰³ ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ გასამცლელოს თანხის ოდენობაც, მაგრამ რადგანც აღნიშნული ე.წ. საჯარიმო თანხა არ წარმოადგენს პირგასამტეხლოს, დაუშვებელია გასამცლელო მოცულობის მიმართ გამოყენებულ

⁵⁰¹ მაგ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით, ბე შეიძლება შეთანხმებულ იქნეს, მხოლოდ გასამცლელოს შინაარსით. იხ. წინამდებარე ნაშრომის 3.3.1. ქვეპარაგრაფი,

⁵⁰² მესხიშვილი ქ., პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, 2014, გვ. 21; ჯორბენაძე ს., საჯარიმო თანხის არსებობის პერსპექტივა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, N2/2019, გვ. 60; ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 417, ველი 29, გვ. 790.

⁵⁰³ ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 417, ველი 29, გვ. 790; ჯორბენაძე ს., „საჯარიმო თანხის არსებობის პერსპექტივა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, 2/2019, გვ. 63.

იქნეს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით განსაზღვრული შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების წესი.⁵⁰⁴

პირგასამტეხლო და ბე წარმოადგენენ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში, ისინი ბრალეულ მხარეს, აკისრებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას. შესაბამისად, აღნიშნულ უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა გადახდით ადგილი არ აქვს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან გამოსყიდვას და ხელშეკრულებიდან გასვლას.

გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ გასამცლელს უნდა მიენიჭოს უფრო ფართო მნიშვნელობა, კერძოდ, გასამცლელოდ მიჩნეული უნდა იქნეს ყველა იმ სხვა შესრულების მიღება, რომელსაც კრედიტორი იღებს ნაკისრი ვალდებულების სანაცვლოდ და რაც იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.⁵⁰⁵

აღნიშნული მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული ქართულ სამოქალაქო სამართალში შემდეგი გარემოებების გამო: სამოქალაქო კოდექსით, ვალდებულების შესრულება სხვა შესრულების მიღებით ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია და განიხილება ვალდებულების შესრულების სახედ. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსით, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (მუხლი 427). ამასთანავე, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როცა კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების სანაცვლოდ იღებს სხვა შესრულებას (მუხლი 428).⁵⁰⁶ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა ახალი ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობას, არამედ მხოლოდ შესრულების საგნის შეცვლას.

⁵⁰⁴ ჯორბენაძე ს., საჯარიმო თანხის არსებობის პერსპექტივა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, 2/2019, გვ. 63; ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2019, მუხლი 417, ველი 27, გვ. 789.

⁵⁰⁵ Шилохвост О.Ю., Отступное в гражданском праве, М., Статут, 1999, стр. 11.

⁵⁰⁶ სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია (ვალდებულების შეწყვეტა ნოვაციით) ქმნიდა სამართლებრივ ბუნდოვანებას, კერძოდ, აღნიშნული იყო რომ: ვალდებულებითი ურთიერთობა წყდებოდა მაშინაც, როცა კრედიტორი ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად, შესრულებად იღებდა სხვა ვალდებულების შესრულებას (ნოვაცია).

შესაბამისად, სხვაგვარი შესრულების მიღება ქართულ სამოქალაქო სამართალში ქმნის ვალდებულების შესრულებას და აქედან ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს. მისგან საპირისპიროდ, გასამცლელოზე შეთანხმებით, მხარეები წინასწარ თანხმდებიან, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში, შეთანხმებული თანხის გადახდა იწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასამცლელი ე.წ. საჯარიმო თანხა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის, ის არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, შესაბამისად, არც პირგასამტეხლოს და ბეს ან მათ ნაირსახეობას.⁵⁰⁷ გასამცლელს გადახდით ხდება ზიანის მოთხოვნის სამართლებრივი შესაძლებლობის გამორიცხვა,⁵⁰⁸ ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლას, რასაც შედეგად მოჰყვება ხელშეკრულების შეწყვეტა. აღნიშნული შედეგები წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული ხელშეკრულების მხარეების მიერ, კერძოდ, გასამცლელს გამოყენებაზე შეთანხმების გაფორმების დროს. სამოქალაქო კოდექსით აღიარებული ხელშეკრულების დადების თავისუფლების და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის პრინციპები არ გამორიცხავენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ამ ინსტიტუტის გამოყენებას.

3.2.9. ბეს ცნება და მისი რეგულაციები სახელმწიფო და მუნიციპალური (თვითმმართველი ერთეულის) ქონების განკარგვის წესებში

ბეს ცნებას ვხვდებით სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზების ან სხვა ფორმით განკარგვის წესებშიც. ბეს ცნებას და მის მარეგულირებელ ნორმებს იცნობს 2014 წლის 5 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი

⁵⁰⁷ გასამცლელოზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსა და ბეს მარეგულირებელი ნორმები.

⁵⁰⁸ სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლით, „ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარი დასაშვებია, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით“. აღნიშნული მუხლი, გარკვეულ წილად შეიცავს ქართულ სამოქალაქო სამართალში გასამცლელს შეთანხმების სამართლებრივ შესაძლებლობაზე მითითებას.

თვითმმართველობის კოდექსი“ და 2010 წლის 21 ივლისის საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“.⁵⁰⁹

აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებში, ბეს მარეგულირებელი ნორმები გამოირჩევა ერთგვაროვანი მიდგომით და სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებული მთელი რიგი თავისებურებებით⁵¹⁰, რომლებიც ქმნიან ბეს განსაკუთრებულ, სპეციალურ მომწერიგებელ ნორმებს.

მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო ან მუნიციპალურ ქონებაზე (მომრავი ან უძრავი) საკუთრების, სარგებლობის ან მართვის უფლება სათანადო პირს შეიძლება გადაეცეს საჯარო / ელექტრონული აუქციონის ფორმით. სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ აუქციონში, ბე ეწოდება აუქციონში მონაწილეობის მიღების საფასურს. პირი, რომელსაც გააჩნია აუქციონში მონაწილეობის სურვილი, ბეს მეშვეობით ახორციელებს მომავალი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას, რომელიც გადაიხდევინება სათანადო ანგარიშზე შეტანით. ბეს გადახდას უთანაბრდება აუქციონში მონაწილის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რომელიც აუქციონის განმახორციელებელ სუბიექტს გადაერიცხება მონაწილის აუქციონში გამარჯვებისთანავე ან კანონით დადგენილი წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

გამოცხადებულ საჯარო / ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველების მიერ აღნიშნული პირობების დაცვა სავალდებულო მოთხოვნაა. სასამართლო პრაქტიკით, აუქციონში მონაწილეობის მსურველების მიერ დადგენილი მოთხოვნების არ დაცვა განმარტებულია, როგორც აუქციონში მონაწილე იმ სხვა კონკურსანტების უფლებების დარღვევა, რომელთა მიერაც შესრულებულია კანონმდებლობით აუქციონში მონაწილებისათვის დაწესებული მოთხოვნები.⁵¹¹

საგულისხმოა, რომ ბეს მოცულობას განსაზღვრავს აუქციონის განმახორციელებელი ორგანო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სახელმწიფოს ქონების შემთხვევაში, ბეს დადგენის პარამეტრები წესრიგდება სათანადო

⁵⁰⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, N3512–რს, < <https://matsne.gov.ge/document/view/112588?publication=45> >, [17.06.2021].

⁵¹⁰ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, N1958-III, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=54> >, [17.06.2021].

⁵¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-1234-1493-09, 10 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და მათი გათვალისწინება სავალდებულოა აუქციონის მომწყობისათვის. თვითმმართველი ერთეულის (მუნიციპალიტეტის) ქონების აუქციონის ფორმით განკარგვის დროს, საწყისი საპრივატიზაციო ფასი განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (დადგენილებით).

არსებული წესებით, აუქციონში გამარჯვებულად მიიჩნევა პირი, რომელიც საჯარო/ ელექტრონულ აუქციონში, ვაჭრობის პროცესში აუქციონის ორგანიზატორს შესთავაზებს ყველაზე მაღალ საფასურს. თუკი აუქციონი ცხადდება პირობებით, გამარჯვებულად ცხადდება ის მონაწილე, რომელიც ყველაზე მაღალ საფასურთან ერთად ვალდებულებას იღებს მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილებაზეც.

კანონმდებლობით აუქციონის შედეგები შეიძლება გაუქმდეს, როდესაც აუქციონში გამარჯვებული, აუქციონის განმახორციელებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად არ მოახდენს საფასურის გადახდას, განაცხადებს უარს სათანადო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, აგრეთვე როცა აუქციონის მონაწილის მიერ დარღვეულ იქნება ნორმატიული აქტებით განსაზღვრული აუქციონში მონაწილეობის წესები. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, გამარჯვებულის ან მონაწილის მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია / ბეს თანხა ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

იმ შემთხვევაში, როცა ქონების მმართველი გადაავადებს აუქციონის ჩატარებას ან მის ჩატარებამდე მოახდენს აუქციონის მოწყობაზე გადაწყვეტილების გაუქმებას, გადახდილი ბე, ასევე წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ექვემდებარება მონაწილისათვის უკან დაბრუნებას.

შესაბამისად, აუქციონში მონაწილეობის მსურველის ან აუქციონში გამარჯვებული პირის პასუხისმგებლობა (როდესაც მის მიერ არ სრულდება კანონით დადგენილი მოთხოვნები) შემოიფარგლება, მხოლოდ ბეს ერთმაგი ოდენობის დაკარგვით, ხოლო აუქციონის ორგანიზატორის შემთხვევაში, მარტოოდენ მიღებული ბეს თანხის უკან დაბრუნებით.⁵¹²

⁵¹² კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის (თანხების) გამოკლებით.

3.3. ბე საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში

კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში, ბეს მარეგულირებელ ნორმებში ვხვდებით განსხვავებულ მიდგომებს. ამავდროულად, სამართლის ორივე სისტემა ერთხმად აღიარებს მხარეთა განზრახვის მნიშვნელობას სახელშეკრულებო ურთიერთობებში წინასწარ გადაცემული თანხების სამართლებრივი დანიშნულებისთვის. კერძოდ, რა მიზნით ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეთანხმებული თანხის წინასწარ გადაცემა: ხელშეკრულების არსებობის დასტურად, ვალდებულების შესრულებლობის საკომპენსაციოდ, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე უარის უფლების დატოვებისთვის ან სხვა მიზნით.⁵¹³

3.3.1. ბე კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაში ბეს მარეგულირებელი ნორმები უმთავრესად ხასიათდება ერთგვაროვანი სტანდარტებით, თუმცა სათანადო სამოქალაქო კანონმდებლობის ანალიზი, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ცხადყოფს განსხვავებული პოზიციების არსებობას:

1. ზოგ შემთხვევაში ბეს ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან ერთად და ბე წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეს. ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ბეს ინსტიტუტი მოწესრიგებულია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით და შესაბამისად, აღნიშნული სამართლებრივი საშუალება მოიზარება ნასყიდობის ხელშეკრულებასთან.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში უმთავრესად გაზიარებულია პირველი მიდგომა და მას იზიარებს გერმანული სამართლის ოჯახი. მეორე მიდგომის მაგალითებს ვპოულობთ რომანული სამართლის ოჯახში შემავალ

⁵¹³ International Encyclopedia of Comparative law, Vol. VII, Contracts in General, Chief Editor Mehren A.V., Chapter 16, Remedies for Breach of Contract, by Treitel G.H., Tubingen, Mouton, The Hague, Paris, Mohr J.C.B. (Siebeck P.), 1976, p. 105.

ქვეყნებში: მაგ. საფრანგეთისა (მუხლი 1590) და ესპანეთის (მუხლი 1453) სამოქალაქო კოდექსებში.

2. კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში განსხვავებულად არის გაგებული ბეს საგანი. ძირითადად, ბე ფულადი თანხაა, არ გამოირიცხება ბეს არაფულადი სახით დადგენის შესაძლებლობაც. ბეს საგნის ფართო შინაარს ვხვდებით პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო სამართალშიც.

მაგ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, თუკი ხელშეკრულების დადების დროს ბეს სახით გადაიცემა რაიმე, აღნიშნული ითვლება ხელშეკრულების დადების დასტურად (§336.1). შესაბამისად, ბეს საგანი შეიძლება იყოს, როგორც ფულადი თანხა, ასევე ნივთი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, გერმანულ სამართალში ბე არ მოიზარება, მხოლოდ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით.⁵¹⁴

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ბეს საგნის განმარტებას, თუმცა ფრანგული სამოქალაქო სამართლის დოქტრინა, ბედ განმარტავს ფულად თანხას ან მოძრავი ნივთების განსაზღვრულ რაოდენობას.⁵¹⁵

საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსით მოცემული ბეს ლეგალური განმარტება შეიცავს ზოგად განსაზღვრებას და ხელშეკრულების დადების დროს ბედ მოიაზრება რაიმეს გადაცემა (მუხლი 402).⁵¹⁶

იტალიის სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულების დადების დროს ბედ შეიძლება გადაცემულ იქნეს ფულადი თანხა ან გვაროვნული (ცვლადი) ნივთების რაიმე რაოდენობა (მუხლი 1385).⁵¹⁷

უნგრეთის სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულების დადებისას გადაცემული ფულადი თანხა ან ნივთი განიხილება ბედ, თუკი აღნიშნული განზრახვა ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს თავად შეთანხმებიდან (მუხლი 243).⁵¹⁸

⁵¹⁴ Куликов Е.С., Соглашение о задатке в гражданском праве России, М., Волтерс Клувер, 2011, стр. 9.

⁵¹⁵ Гражданский кодекс Франции (Кодекс Наполеона), Code civil des Français (Code Napoléon), пер. с французского Захватаева В.Н., М., Берлин, Инфотропик Медиа, 2012, стр. 573.

⁵¹⁶ Kerameus, K.D., Kozyris P., Introduction to Greek Law, 2nd ed., Deventer, Boston, Kluwer Law and Taxation Publishers, 1993, p. 85.

⁵¹⁷ The Italian Civil Code and Complementary Legislation, Book IV, Translated by Beltramo M, Longo G.E., Merryman J.H., Oceana Publications INC., Dobbs Ferry, N.Y. 1996, p. 49.

⁵¹⁸ Гайдаенко Н.И., Грачев Д.О., Залесский В.В., Меркулова Т.А., Сакович О.М., Семилютин Н.Г., Соловьева С.В., Терновая О.А., Шрам В.П., Обеспечение обязательств по договорам: неустойка, поручительство, задаток (часть вторая), «Журнал зарубежного законодательства и сравнительного правоведения», N3/2005, стр. 141.

ბეს საგნის ფართო მნიშვნელობა აღიარებულია პოლონეთის სამოქალაქო სამართლის დოქტრინაშიც, რომელიც ბედ მოიაზრებს ფულად თანხას ან ნივთს.⁵¹⁹

სლოვენის ვალდებულებითი კოდექსით, ბეს სახით შეიძლება გადაცემულ იქნეს ფულადი თანხა ან ასანაზღაურებელ საგანთა გარკვეული რაოდენობა (მუხლი 64).⁵²⁰

ლატვიის სამოქალაქო კოდექსი ბედ მიიჩნევს არამხოლოდ ფულს, არამედ სხვა ფასეულობებს (მუხლი 1726),⁵²¹ რომლებიც სათანადო ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც ცვლადი საგნები.⁵²²

უკრაინის სამოქალაქო კოდექსით, ბე არის ფულადი თანხა ან მოძრავი ქონება (მუხლი 570),⁵²³ ხოლო მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსით, ბეს საგანი შეიძლება იყოს ფულადი თანხა ან სხვაგვარი ქონება (მუხლი 631).⁵²⁴

3. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ბეს შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით შეინიშნება ორგვარი მიდგომა. ზოგ შემთხვევაში, სათანადო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ბეს შეთანხმების ფორმის მარეგულირებელ ნორმებს. ამ მიდგომას იზიარებენ უმთავრესად დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ნორმატიულ დონეზე, წერილობითი ფორმის სავალდებულო ხასიათი უმთავრესად დაწესებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობაში, სადაც აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა ბეს შეთანხმების ბათილობის საფუძველია. ამ მოსაზრებას ვხვდებით ბელორუსიის (მუხლი 312),⁵²⁵ მოლდავეთის (მუხლი 631.2),⁵²⁶ ტაჯიკეთის (მუხლი 409.2),⁵²⁷ ყირგიზეთის (მუხლი 354.2),⁵²⁸ უზბეკეთის (მუხლი 311),⁵²⁹

⁵¹⁹ იქვე, სტრ. 142.

⁵²⁰ Obligations Code of the Republic of Slovenia, №001-22-117/01, adopted in 03.10.2001, <<http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/si/si044en.pdf>>, [17.06.2021].

⁵²¹ Гражданский закон Латвийской республики, Часть IV, Обязательственное право, Рига, Фирма AFS, 2005, стр. 57.

⁵²² Байков А.М., Обязательственное право, Часть I, Рига, Балтийский Русский Институт, 2005, стр. 228.

⁵²³ Гражданский кодекс Украины, №435-IV от 16.01.2003 года, <<http://meget.kiev.ua/kodeks/grazdanskiy-kodeks/glava-49>>, [17.06.2021].

⁵²⁴ Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>, [17.06.2021].

⁵²⁵ Гражданский кодекс Республики Беларусь, №218-3 от 07.12.1998 года, <http://etalonline.by/?type=text®num=HK9800218#load_text_none_1>, [17.06.2021].

⁵²⁶ Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>, [17.06.2021].

⁵²⁷ Гражданский кодекс Республики Таджикистан, Часть первая, №803 от 30.06.1999 года, <<https://lex.uz/docs/111181>>, [17.06.2021].

⁵²⁸ Гражданский кодекс Кыргызской республики, №15 от 08.05.1996 года, <<http://cbd.minjust.gov.kg/act/view/ru-ru/4?cl=ru-ru>>, [17.06.2021].

აზერბაიჯანის (მუხლი 491.2),⁵³⁰ რუსეთის ფედერაციის (მუხლი 380.2)⁵³¹ სამოქალაქო კოდექსებში. საგულისხმოა, რომ ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 337.2)⁵³² წერილობით ფორმასთან ერთად, ბეს შეთანხმებას უწესებს ნოტარიულად დადასტურების მოთხოვნასაც, ხოლო სომხეთის⁵³³ სამოქალაქო კოდექსით, წერილობითი ფორმის დარღვევით გადაცემული თანხა განიხილება ავანსად (მუხლი 395).

4. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში უმთავრესად აღიარებული წესით, ბე წარმოადგენს ხელშეკრულების დადების დასტურს. თუკი ბე მოიაზრება ვალდებულების შესრულების ანგარიშში, ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, ბეს თანხა იანგარიშება ხელშეკრულების ფასში, საპირისპირო მსჯელობის დროს, ის ექვემდებარება უკან დაბრუნებას. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბეს მიმცემის მიერ ვალდებულების დარღვევა, მის მიმღებს შესაძლებლობას ანიჭებს მიღებული ბე დაიტოვოს თავისთან. როდესაც, ვალდებულების შეუსრულებლობას ადგილი აქვს ბეს მიმღები მხარის მხრიდან, ბე ბრუნდება ორმაგად. ბეს ორმაგი ოდენობით დაბრუნების წესი არ არის აღიარებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსით. გერმანულ სამოქალაქო სამართალში, როგორც ბეს მიმცემის, ასევე ბეს ამღების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება, მხოლოდ გადაცემული ან მიღებული ბეს ერთმაგი ოდენობით.

5. კონტინენტურ სამართალში დასაშვებია ბესთან ერთად, ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება. პირგასამტეხლოს მსგავსად, ამ შემთხვევაში ბე მოიაზრებს განცდილი ზიანის მინიმალურ ოდენობას.

6. ბეს არსებობა უკავშირდება ძირითადი ვალდებულების არსებობას, ბე არ არსებობს ძირითადი ვალდებულებისგან დამოუკიდებლად და ძირითადი

⁵²⁹ Гражданский кодекс Республики Узбекистан, №163-I от 21.12.1995 года, <http://fmc.uz/legisl.php?id=k_grajd>, [17.06.2021].

⁵³⁰ Гражданский кодекс Азербайджанской Республики, №779-IQ от 28.12.1999 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30420111#sub_id=4620000>, [17.06.2021].

⁵³¹ Гражданский кодекс Российской Федерации, Часть первая, N51-ФЗ, от 30.11.1994 <<https://www.zakonrf.info/gk/380/>>, [17.06.2021].

⁵³² Гражданский кодекс Республики Казахстан, Общая часть, №269-XII от 27.12.1994 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1006061>, [17.06.2021].

⁵³³ Гражданский кодекс Республики Армения, №3P-239 от 28.07.1998 года, <http://www.parliament.am/law_docs/050598HO239rus.html?lang=rus>, [17.06.2021].

ვალდებულების სამართლებრივი მდგომარეობა განაპირობებს ბეს შეთანხმების სამართლებრივ ბედს.

7. კონტინენტური სამართლის ქვეყნები ბეს განასხვავებენ ავანსისგან და რაიმე ეჭვის არსებობის დროს, გადაცემული თანხა ყოველთვის ითვლება ავანსად. როდესაც სადავოა გადაცემული თანხის მიზანი, გამოირიცხება ბეს ცნებაში ნაგულისხმევი, კერძოდ, ავანსზე უფრო მძიმე შინაარსის მქონე სამართლებრივი ტვირთი.

8. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ცნობილია ბეს გასამცლელოს სახით დაწესების შემთხვევები. ზოგიერთ ქვეყანაში ბეს ცნება მოიაზრებს მარტოდენ გასამცლელოს შინაარს. მაგ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით, თუკი გასხვისების (გაყიდვის) შეპირება მიცემულია ბეს გადახდით, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ენიჭება უფლება დაიხიოს ამ შეპირებიდან. ამ შემთხვევაში, ბეს მიმცემი კარგავს ბეს, ხოლო მიმღები მას ორმაგად აბრუნებს (მუხლი 1590).⁵³⁴ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი უშუალოდ არ იყენებს გასამცლელოს (ფრანგულად - *dedit*) ტერმინს, თუმცა მის შინაარსს მოიაზრებს კოდექსისათვის ცნობილი ბეს (ფრანგულად - *arrhes*) ცნება. ფრანგულ სამართალში ბე წარმოადგენს გასამცლელოს სახით შეთანხმებულ წინასწარ განსაზღვრულ ოდენობას.⁵³⁵ ფრანგული დოქტრინით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ უნდა იქნეს გამოყენებული ბოროტი განზრახვით. მაგ. აღნიშნული უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იყოს დასაშინებლად უკეთესი მოთხოვნების შეთავაზების სანაცვლოდ.⁵³⁶

მსგავსი შინაარსის ნორმას იცნობს ესპანეთის სამოქალაქო კოდექსიც (მუხლი 1453), რომლითაც თუკი ბე ან ავანსი განსაზღვრულია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, ხელშეკრულება შეიძლება მოშლილ იქნეს მყიდველის მიერ ჯარიმის სახით შეთანხმებული ბეს ან ავანსის გადახდით, ხოლო გამყიდველის მხრიდან მისი ორმაგად დაბრუნებით.⁵³⁷

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, ვხვდებით ისეთ სამართლებრივ რეგულაციებსაც, როდესაც მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული ბეს ზოგადი

⁵³⁴ Гражданский кодекс Франции (Кодекс Наполеона), Code civil des Français (Code Napoléon), пер. с французского Захватаева В.Н., М., Берлин, Инфотропик Медиа, 2012, стр. 420.

⁵³⁵ Куликов Е.С., Соглашение о задатке в гражданском праве России, М., Волтерс Клувер, 2011, стр. 10-11.

⁵³⁶ Beale H., Fauvarque-Cosson B., Rutgers J., Tallon D., Vogenauer S., Cases, Materials and Text on Contract Law, 2nd ed., Oxford and Portland, Hart Publishing, 2010, p.1061.

⁵³⁷ Spanish Civil Code, Madrid, Ministerio de Justicia, 2009, p. 166,

< <http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/es/es122en.pdf> >, [17.06.2021].

თუ გასამცლელოს შინაარსით დადგენის საკითხი. მაგ. შვეიცარიის ვალდებულებითი კანონით, ბეს გადახდა განიხილება ხელშეკრულების დადების ნიშნად და არა გასამცლელოდ (მუხლი 158.1.). ამასთანავე, როცა შეთანხმებულია გასამცლელო, თითოეულ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე: ფულადი თანხის გადამხდელს მის დაბრუნებაზე უარით, ხოლო მიმღებს მისი ორმაგი ოდენობით დაბრუნებით (მუხლი 158.3).⁵³⁸

იტალიის სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს ბეს და გასამცლელოს ცნებებს: ზოგადი მნიშვნელობის გარდა ბე შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს, როგორც კომპენსაცია ხელშეკრულებიდან გასვლისათვის. მსგავსი შინაარსით ბე შეიძლება შეთანხმდეს, როგორც რომელიმე, ასევე ორივე მხარისათვის. ამ შემთხვევაში, ბეს ენიჭება მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის ანაზღაურების ფუნქცია. ხელშეკრულებიდან გამსვლელი, ბეს მიმცემი მხარე კარგავს ბეს, ხოლო მისი მიმღები, მიღებულ თანხას აბრუნებს ორმაგად (მუხლი 1386).⁵³⁹

კონტინენტურ სამართალში ბე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გასამცლელოდ, თუკი მხარეთა შეთანხმება არ იძლევა პირდაპირ მითითებას მისი გასამცლელოს მნიშვნელობით შეთანხმებაზე. მაგ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი საექვოობისას (დავის შემთხვევაში) ბეს არ განიხილავს საჯარიმო თანხად (გერმანულად - reugeld, §336.2).⁵⁴⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულებიდან გასვლა საჯარიმო თანხის სანაცვლოდ დასაშვებია, თუკი აღნიშნულ უფლებაზე არსებობს მხარეთა წინასწარი შეთანხმება. „თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შეთანხმებულია საჯარიმო თანხის სანაცვლოდ, ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ საჯარიმო თანხა არ იქნა გადახდილი განცხადების წარდგენამდე ან განცხადების წარდგენისას და ხელშეკრულების მეორე მხარე აღნიშნული საფუძვლით დაუყოვნებლივ უარს ამბობს განცხადებაზე. თუმცა, განცხადება

⁵³⁸ Швейцарский обязательственный закон, Федеральный закон о дополнении Швейцарского гражданского кодекса, Часть пятая: Обязательственный закон, пер. с немецкого и французского Гайдаенко Шер Н.И., Шер М., М., Берлин, Инфотропик Медиа, 2012, стр. 51.

⁵³⁹ The Italian Civil Code and Complementary Legislation, translated by Beltramo M., Longo G.E., Merryman J.H. N.Y, Oceana Publications INC. Dobbs Ferry, 1991 / Loose Leaf Edition, release 96-1, Issued May, 1996, pp. 49-50.

⁵⁴⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თარგ., ჭეჭელაშვილი ზურაბ, თბ., სიესტა, 2010, გვ. 67; კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., GIZ, IRZ, 2014, გვ. 239.

სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ საჯარიმო თანხა გადაიხდება დაუყოვნებლივ უარის შემდეგ“ (§353).⁵⁴¹

3.3.2. ბე საერთო სამართალში⁵⁴²

საერთო სამართლის ქვეყნებში ბეს სამართლებრივ შინაარს უახლოვდება ტერმინები: **earnest money** და **deposit**. ისტორიულად, ინგლისურ სამართალში რაიმეს გადაცემა earnest money-ის სახით წარმოადგენდა ზეპირად შეთანხმებული ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ერთგვარ დასტურს და უთანაბრდებოდა ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების მტკიცებულებას, რაც მოგვიანებით აკრძალულ იქნა.⁵⁴³ ამ უკანასკნელ მოსაზრებას იზიარებს ამერიკული სამართალიც. კერძოდ, UCC დაუშვებლად მიიჩნევს earnest money განხილულ იქნეს ხელშეკრულების წერილობითი ფორმის არსებობის ალტერნატივად.⁵⁴⁴

ჩამოყალიბებული ჩვეულების თანახმად, earnest money-ის სახით რაიმეს გადაცემა მიიჩნევა ხელშეკრულებაზე შეთანხმების არსებობის და ხელშეკრულების გაფორმების ნიშნად და ამგვარად გადაცემული თანხა წარმოაჩენს მყიდველის განზრახვას ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.⁵⁴⁵ როდესაც, ხელშეკრულების ორივე მხარე ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებს სრულყოფილად, მიღებული თანხა ითვლება ნასყიდობის ფასში.⁵⁴⁶

თანამედროვე პერიოდის საერთო სამართლის ქვეყნების დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში earnest money-ის სინონიმი და უფრო ხშირად გამოყენებადი ცნებაა, ტერმინი deposit, რომლის უპირატესობად სახელდება ის გარემოება, რომ ამ სახით გადაცემული თანხა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაბრალეულ, თანხის მიმღებს მხარეს შესაძლებლობას ანიჭებს ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურების აღძვრის გარეშე მიიღოს შეთანხმებული

⁵⁴¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თარგ. ჭეჭელაშვილი ზ., რედ. ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თბ., GIZ, 2019, გვ. 91.

⁵⁴² აღნიშნულ ქვეპარაგრაფის ტექსტში გამოყენებულია ინგლისური ტერმინები და სახელწოდებები.

⁵⁴³ International Encyclopedia of Comparative law, Vol. VII, Contracts in General, Chief Editor Mehren A.V., Chapter 16, Remedies for Breach of Contract, by Treitel G.H., Tubingen, Mouton, The Hague, Paris, Mohr J.C.B. (Siebeck P.), 1976, p. 107.

⁵⁴⁴ იქვე.

⁵⁴⁵ Larsen J. E., Core Concepts of Real Estate Principles and Practices, Wiley, 2003, p. 183.

⁵⁴⁶ იქვე.

ანაზღაურება მარტივი გზით, კერძოდ, მისთვის უკვე წინასწარ გადახდილი თანხით.⁵⁴⁷

საერთო სამართალი deposit-ისგან განასხვავებს წინასწარ გადახდას ე.წ. ავანსს (advance payment, part payment, instalment). ავანსად გადაცემული თანხა განიხილება შეთანხმებული ფასის ნაწილად და ის არ ატარებს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების მნიშვნელობას. მისგან საპირისპიროდ, deposit უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულებას.⁵⁴⁸ ვალდებულების შეუსრულებლობის დროს, deposit-ად მიღებული თანხა მიმღებისგან არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, თუკი ხელშეკრულება არ იცნობს სხვაგვარ შეთანხმებას.⁵⁴⁹ ავანსის სახით გადაცემული თანხა, არის ხელშეკრულების ფასის ნაწილი და ზოგადად აღირებული წესით, დაბრუნებადია ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავად ხელშეკრულებაში საპირისპიროზე მითითების გარდა.⁵⁵⁰

თუკი ხელშეკრულებას არღვევს, თანხის მიმღები მხარე, არაბრალეულ მხარეს შეუძლია გადაცემული თანხა დაიბრუნოს ზიანის ანაზღაურების სარჩელით (an action for damages) ან სარჩელით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ (an action for restitution). როცა ხელშეკრულებას არღვევს თანხის გამცემი მხარე, გადაცემული თანხის დანიშნულება განსაზღვრავს თანხის დაბრუნების პირობებს.⁵⁵¹

გადაცემული თანხის მიზნობრიობის საკითხის სადავოდ გახდომის შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა განზრახვას თანხის გადაცემა-მიღების დროს. მტკიცების ტვირთი გადაცემული თანხის დანიშნულებასთან დაკავშირებით ეკისრება თანხის მიმცემს.⁵⁵² შესაბამისად, ხელშეკრულების მხარეთა განზრახვა განაპირობებს გადაცემული თანხის სამართლებრივ დანიშნულებას. არსებული წესით, წინასწარ გადაცემული თანხა

⁵⁴⁷ Mckendrick E., Contract Law, Text, Cases and Materials, 4th ed., Oxford University Press, 2010, p. 925.

⁵⁴⁸ Treitel G.H., The Law of Contract, 9th ed., London, Sweet & Maxwell, 1995, p. 906

⁵⁴⁹ იქვე.

⁵⁵⁰ იქვე, გვ. 906-907.

⁵⁵¹ Contract: Cases and Materials, by Beale H. G., Bishop W. D., Furmston M. P., 2nd ed., London, Edinburgh, Butterworths, 1990, p.522.

⁵⁵² Mckendrick E., Contract Law, Text, Cases and Materials, 4th ed., Oxford University Press, 2010, p. 925.

ყოველთვის ითვლება ავანსად, როდესაც ვერ დასტურდება მისი ბედ გადაცემის ფაქტი.⁵⁵³

საერთო სამართლის ქვეყნებში deposit-ი, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება უმთავრესად გამოიყენება უძრავი ნივთების ნასყიდობის, ასევე ქირავნობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. დამკვიდრებული წესით, deposit-ის ფორმით გადაცემული თანხა წარმოადგენს სახელშეკრულებო ფასის 10%-ს.⁵⁵⁴ როდესაც, გამყიდველი ითხოვს უფრო მეტი ოდენობით თანხის გადაცემას, თანხის გონივრულობაზე მითითებით, მასვე ეკისრება აღნიშნული მსჯელობის გამამართლებელი გარემოებების მოყვანის ვალდებულება.⁵⁵⁵ მაგ. საქმეში *Workers Trust and Merchant Bank Ltd v Dojap Investments Ltd* [1993] AC573, deposit-ი შეთანხმებული იყო სახელშეკრულებო ფასის 25%-ის ოდენობით, რაც საკითხის განმხილველი ორგანოს (Privy Council) მხრიდან შეფასებულ იქნა, როგორც არაგონივრული.⁵⁵⁶

ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, deposit-ად შეთანხმებული თანხა მიმღებ მხარეს რჩება გადაცემული ოდენობით, ხოლო მიმცემ მხარეს უბრუნდება ერთმაგი ოდენობით. შესაბამისად, საერთო სამართლისათვის უცნობია გადაცემული deposit-ის ორმაგი ოდენობით დაბრუნების წესი.

ნიშანდობლივია, რომ როდესაც საერთო სამართალი კრძალავს საჯარიმო პირგასამტეხლოებს, ის ამავდროულად ნებას რთავს გამყიდველს დაიტოვოს მიღებული deposit-ი იმ შემთხვევებშიც, თუკი აღნიშნულით მხარე შედეგად იღებს უფრო მეტ თანხას, ვიდრე მისთვის მოსალოდნელი იქნებოდა ზიანის გონივრულად გამოანგარიშების დროს.⁵⁵⁷

Deposit-ის მარეგულირებელ ნორმებს ვპოულობთ საერთო სამართლის ქვეყნებში არსებულ სამართლებრივ აქტებშიც. ინგლისის საკუთრების სამართლის აქტით 1925 (Law of Property Act 1925),⁵⁵⁸ სასამართლოებს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილება მიწის ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით

⁵⁵³ იქვე.

⁵⁵⁴ Treitel G.H., *The Law of Contract*, 9th ed., London, Sweet & Maxwell, 1995, p. 907; Fosbrook D., Laing A.C., *The A-Z Contract Clauses*, 3rd ed., London, Sweet & Maxwell, 2006, p. 249.

⁵⁵⁵ Lewison K., *Interpretation of Contracts*, 3rd ed., London, Sweet & Maxwell, 2004, 498.

⁵⁵⁶ Poole J., *Textbook on Contract Law*, 7th ed., Oxford University press, 2004, p. 453.

⁵⁵⁷ *Economic Analysis of Law*, by Posner R.A., Boston, Toronto, London, Little, Brown and Company, 1992, p. 129.

⁵⁵⁸ Law of Property Act 1925, <<http://www.legislation.gov.uk/ukpga/Geo5/15-16/20/data.pdf>>, [17.06.2021].

გადახდილი deposit-ების დაბრუნების მიზნით სასამართლო დავალებების გაცემაზე.⁵⁵⁹ კერძოდ, დასახელებული აქტის 49-ე მუხლის (2) პუნქტით, როდესაც სასამართლო უარს აცხადებს ხელშეკრულების მიმართ ნებადართულ იქნეს specific performance-ის გამოყენება ან როდესაც ადგილი აქვს გადაცემული deposit-ის უკან დაბრუნების მოთხოვნას, სასამართლოს შეუძლია საჭიროებისამებრ გასცეს დავალება ნებისმიერი deposit-ის უკან დაბრუნებაზე.

კონტინენტური სამართლის მსგავსად, საერთო სამართალი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, იცნობს შეთანხმებული თანხის სანაცვლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების (withdrawal) შესაძლებლობას, თუკი ასეთი პირობას ითვალისწინებს საკუთრივ მხარეთა შეთანხმება. აღნიშნული უფლების დასაშვებობასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი ოთხი პრინციპი:

1. პროპორციულობის პრინციპი (the principle of proportionality), რომელიც არასამართლიანად მიიჩნევს ხელშეკრულების დამრღვევ მხარესთან მიმართებით, არაბრალეული მხარისთვის შესაძლებლობის მიცემას ხელშეკრულებიდან გასვლაზე იმ დარღვევისათვის, რასაც გააჩნია მარტივი შედეგები. ასეთ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლა არაპროპორციულად მიიჩნევა დარღვევის სიმძიმესთან.

2. არაკეთილსინდისიერების პრინციპი (the bad faith principle), რომლითაც აკრძალულია მხარეს მიეცეს შესაძლებლობა მარტივი დარღვევა გამოიყენოს გამართლებად ხელშეკრულებიდან გასვლისათვის, თუკი ხელშეკრულებიდან გასვლის რეალურ მიზეზი არ არის საკუთრივ ვალდებულების დარღვევა.

3. უტყუარობის პრინციპი (the certainty principle), რომლითაც იკრძალება არაბრალეული მხარის დატოვება ექვებში იმ საშუალებებთან (remedies) დაკავშირებით, რაც მას ექნებოდა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

4. სახელშეკრულებო ხელშეუხებლობის პრინციპი (the principle of sanctity of contract), რომელიც ეწინააღმდეგება შეთანხმებული სახელშეკრულებო პირობებისგან მხარის მსუბუქად გათავისუფლებას.⁵⁶⁰

⁵⁵⁹ Furmston M.P., Cheshire, Fifoot, and Furmston's Law of contract, 13th ed., London, Edinburgh, Dublin, Butterworth, 1996, p. 642.

⁵⁶⁰ Adams J., Brownsword R., Understanding Contract Law, 4th ed., Sweet & Maxwell, 2004, p. 164.

3.4. ბე საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტებში, უნიფიცირებულ ნორმებში, პრინციპებსა და წესებში

პირგასამტეხლოსგან განსხვავებით, საერთაშორისო დონეზე ვერ ვხვდებით ბეს მარეგულირებელ დამოუკიდებელ აქტებს.⁵⁶¹ აღნიშნულის მიუხედავად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტრუმენტებში პირგასამტეხლოს მარეგულბელი ნორმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ანალოგიის სახით ბესთან მიმართებით.⁵⁶² ზოგ შემთხვევებში, კი სათანადო აქტებით ადგილი აქვს პირგასამტეხლოსა და ბეს მარეგულირებელი ნორმების ერთმანეთისგან გამიჯვნას და აკრძალულია აღნიშნულ საშუალებათა მიმართ ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენება. საერთაშორისო დონეზე, ასევე ვხვდებით გადაცემული თანხის დაკარგვით ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობის ნებადამრთავ დათქმებს.

3.4.1. ევროპის კავშირის საბჭოს დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიან გამონათქვამებთან დაკავშირებით 39/13/EEC 05.04.1993

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დირექტივის დანართით ზუსტდება მისი მე-3 მუხლის მოთხოვნები არაკეთილსინდისიერ პირობებთან დაკავშირებით. დირექტივის დანართის 1-ლი პუნქტის (d) ქვეპუნქტი, არაკეთილსინდისიერად განიხილავს სახელშეკრულებო პირობას, რომელიც მყიდველს ან მიმწოდებელს ნებას რთავს დაიტოვოს (დააკავოს) მომხმარებლისგან მიღებული თანხები, მომხმარებლის მხრიდან ხელშეკრულების არდადების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუკი თავად მომხმარებელს არ რჩება უფლება მიიღოს ექვივალენტური თანხით კომპენსაცია, მყიდველის ან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დროს.⁵⁶³

⁵⁶¹ Beale H., Fauvarque-Cosson B., Rutgers J., Tallon D., Vogenauer S., Cases, Materials and Text on Contract Law, 2nd ed., Oxford and Portland, Hart Publishing, 2010, p.1066.

⁵⁶² იქვე.

⁵⁶³ European Union Council Directive 39/13/EEC 05.04.1993 on Unfair Terms in Consumer Contracts, “Official Journal of the European Communities”, Vol. 36, 1993, p.33, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31993L0013&from=EN>>, [17.06.2021].

3.4.2. უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები 1994, 2004, 2010, 2016

უნიდრუას პრინციპების 1994, 2004, 2010 და 2016 წლების რედაქციების კომენტარებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 7.4.13 მუხლით განსაზღვრული წესები გამოიწვევს უნდა იქნეს საჯარიმო (forfeiture) ან იმ მსგავსი წესებისგან, რომლებიც მხარეს ნებას რთავენ ხელშეკრულებიდან გასვლაზე (withdraw from a contract), განსაზღვრული თანხის სანაცვლოდ ან უკვე გადაცემული deposit-ის დაკარგვით.⁵⁶⁴

უნიდრუას პრინციპების ოთხივე რედაქციაში წარმოდგენილი 7.1.6 მუხლით, მოცემულია პასუხისმგებლობისგან გამანთავისუფლებელ პირობათა (exemption clauses) დეფინიცია. აღნიშნული მუხლი, ერთ-ერთ ასეთ პირობად განიხილავს დათქმას, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განსაზღვრავს მხარის პასუხისმგებლობის ფარგლებს ან გამორიცხავს მას. უნიდრუას პრინციპების 7.1.6 მუხლის კომენტარებში ხაზგასმულია, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარის პასუხისმგებლობისგან გამანთავისუფლებელი პირობები შეიძლება გამოხატულ იქნეს განსხვავებული სახით: მაგ. ფიქსირებული თანხით, ვალდებულების შესრულების მოცულობით (ფარგლებით), მიღებული deposit-ის დატოვებით. ამავდროულად, აღნიშნულია, რომ აღნიშნული მუხლი არ მოიცავს იმ სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ნებას რთავენ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლაზე შეთანხმებული ანაზღაურების (indemnity) მიღების გზით. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას უნიდრუას პრინციპების 7.4.13 მუხლის მსგავსად, მოახდინოს ამგვარი პირობების ცვლილება.⁵⁶⁵

⁵⁶⁴ UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Rome, Unidroit, 1994, p. 215, <<https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles1994/1994fulltext-english.pdf>>, [17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2004, Rome, Unidroit, 2004, p. 253, <<https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2004/integralversionprinciples2004-e.pdf>>, [17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2010, Rome, Unidroit, 2010, p. 286, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf>>, [17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2016, Rome, Unidroit, 2016, pp. 289-291, <<https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2016/principles2016-e.pdf>>, [17.06.2021].

⁵⁶⁵ UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Rome Unidroit, 1994, pp. 166-168, <<https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles1994/1994fulltext-english.pdf>>, [17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2004, Rome, Unidroit, 2004, pp. 204-206, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2004/integralversionprinciples2004-e.pdf>>, [17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2010, Rome, Unidroit, 2010, pp. 233-236, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf>>.

3.4.3. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები 1998, 2002

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, PECL-ის 9:509 მუხლი არეგულირებს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადასახდელად შეთანხმებული თანხის რეგულირების წესს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული მუხლი არ უნდა იქნეს გამოყენებული ვალდებულების შესრულების ნაცვლად ალტერნატიული შესრულების მიღების დროს, კერძოდ, საჯარიმო თანხებთან მიმართებით (forfeiture clause).⁵⁶⁶

3.4.4. ევროპული სახელშეკრულებო კოდექსის პროექტი 2001

ევროპული სახელშეკრულებო კოდექსის პროექტის 202-ე მუხლი განსაზღვრავს ნასყიდობის დროს გადასახდელი ფასის რეგულაციას. აღნიშნული მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ გარემოებათა შორის, “ხ” ქვეპუნქტი ადგენს, რომ თუკი ნივთები საჭიროებს წარმოებას, შეცვლას ან გაგზავნას, deposit-ი გადახდილ უნდა იქნეს ხელშეკრულების დადების მომენტში, ხოლო დანარჩენი თანხა მხარეთა მიერ შეთანხმებული მიწოდების დროს ან დადგენილი ჩვეულების შესაბამისად. მყიდველს შეუძლია დააკავოს ფასის ნაწილი ნივთების გადმოცემამდე.

კოდექსის პროექტის 220-ე მუხლით, აუქციონის გზით ნასყიდობის დროს, როდესაც აუქციონში მონაწილეობა მოითხოვს deposit-ის შეტანას, მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალური შესაძლებელი ღირებულის 5%-ს, რაც გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოიაზრება ღირებულის ფასში ან დაუყოვნებლივ ბრუნდება გადაწყვეტილების არ მიღების დროს.⁵⁶⁷

[17.06.2021]; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2016, Rome, Unidroit, 2016, pp. 289-291, < <https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2016/principles2016-e.pdf> >, [17.06.2021].

⁵⁶⁶ The Principles of European Contract Law, Parts I and II, prepared by The Commission On European Contract Law, Edited by Lando O., Beale H., The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 2000, p.455.

⁵⁶⁷ European Contract Code, Book Two, Sale, < <https://www.eurcontrats.eu/site2/newdoc/Norme%20LibroII-inglese.pdf> >, [17.06.2021].

3.4.5. ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განსაზღვრებანი და მოდელური წესები, საერთო საძიებო სექმის ჩარჩო პროექტი 2009

DCFR-ის II.-9:410 მუხლი იძლევა არასამართლიან პირობათა ჩამონათვალს საქმოსანსა და მომხმარებელს შორის არსებულ ხელშეკრულებებში.⁵⁶⁸ კერძოდ, აღნიშნული მუხლის I-ლი პუნქტის (f) ქვეპუნქტით, ამგვარად განიხილება პირობა, რომელიც უფლებას ანიჭებს საქმოსანს გავიდეს ან შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა დისკრეციული გადაწყვეტილების საფუძველზე, მომხმარებლისათვის ანალოგიური უფლების მინიჭების გარეშე, ან უფლებას აძლევს საქმოსანს დაიტოვოს მისთვის გადახილი ფული მიუწოდებელი სერვისებისათვის იმ შემთხვევაში, როცა საქმოსანი გადის ან წყვეტს სახელშეკრულებო ურთიერთობას.

⁵⁶⁸ DFCR-ის ტექსტში გამოყენებულია ტერმინი “business”, რაც მოიცავს ნებისმიერ ფიზიკურ და კერძო თუ საჯარო კუთვნილების იურიდიულ პირს, რომელიც საქმიანობს თვითდასაქმების მიზნით ვაჭრობით, სამუშაოს შესრულებით ან პროფესიით, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მის განზრახვას არ წარმოადგენს ამ აქტივობებიდან სარგებლის მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში ტერმინი “business”-ის ქართულ შესატყვისად გამოყენებულია ტერმინი „საქმოსანი“. იხ. Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference (DCFR), Outline Edition, Prepared by the Study Group on a European Civil Code and the Research Group on EC Private Law (Acquis Group), Based in part on a revised version of the Principles of European Contract Law, Edited by Bar C., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Veneziano A., Zoll F., Munich, Sellier, European law publishers GmbH, 2009, p. 549, < <https://www.tilolawyers.com/Portals/8/PDF/Conventions/DCFR.pdf> >, [17.06.2021].

თავი IV

მოვალის გარანტია⁵⁶⁹

4.1. ქართული მოვალის გარანტიის ისტორიიდან

ძველი საბერძნეთის და ძველი რომის სამოქალაქო სამართლისათვის ცნობილი სახელმწიფოებო ვალდებულებათა უზრუნველყოფის საშუალებები, უმთავრესად, უცვლელად ან მხოლოდ მცირედი განსხვავებებითაა წარმოდგენილი თანამედროვე პერიოდის სამოქალაქო კანონმდებლობებში და მათ შორის საქართველოს სამოქალაქო სამართალში.

სამოქალაქო კოდექსით მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად აღიარებული მოვალის გარანტიის ცნება, ამ მხრივ, წარმოადგენს გამონაკლის. სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, მოცემული უზრუნველყოფის საშუალება უცნობი იყო ქართული სამოქალაქო სამართლისათვის. შესაბამისად, სახელმწიფოებო ვალდებულებათა უზრუნველყოფის საშუალების სახით, მის ისტორიას საფუძველი დაუდო მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა, რომლის ავტორებიც სწორედ რომ გვევლინებიან მოვალის გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის შემქმნელებად.

სამოქალაქო კოდექსი მიეკუთვნება გერმანული სამართლის ოჯახს. მოცემული გარემოებიდან გამომდინარე ითვლება, რომ სამოქალაქო კოდექსში მოვალის გარანტია წარმოადგენს გერმანული სამოქალაქო სამართლის რეცეპციის შედეგს.⁵⁷⁰

4.2. მოვალის გარანტია თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში, ზოგადი დებულებები

⁵⁶⁹ აღნიშნული თავი სრულად არის გამოქვეყნებული სტატიის სახით: იხ. იოსელიანი ნ., მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2015, გვ. 130-143, <http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sj1y2015.pdf>, [17.06.2021]; სტატიის ინგლისური ვერსია: Ioseliani N., Debtor's Guarantee, "Journal of Law", N1, 2015, pp. 107-117, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/2015.%201%20Journal%20of%20Law.pdf>, [17.06.2021].

⁵⁷⁰ Иоселиани Н., Сравнительная характеристика средств обеспечения требований, установленных гражданским кодексом Грузии и гражданскими кодексами стран СНГ, Закон: стабильность и динамика, отв. ред. Хабриева Т.Я., М., Юрид. фирма КОНТРАКТ, 2007, стр. 395.

კერძო სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალის გარანტია არ წარმოადგენს ხშირად გამოყენებად მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას (განსხვავებით პირგასამტეხლოსა და ბესგან). აღნიშნული მარტივად შეიძლება აიხსნას ამ ინსტიტუტის სიახლით, ასევე მოვალის გარანტიის მიმართ არსებული ინფორმაციული სიმცირით.

4.2.1. მოვალის გარანტიის ცნება

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ტერმინი „მოვალე“ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს აღნიშნავს. რაც შეეხება, ტერმინ „გარანტია“, აღნიშნული სიტყვა ფრანგული წარმოშობისაა (Garantie) და ნიშნავს უზრუნველყოფას, დაცვას. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დასახელებული საშუალების მიზანი მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დაცვაა, კერძოდ, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.

მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნული საშუალებაა, რომლითაც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა მოვალის მხრიდან ხორციელდება სხვადასხვა სახის მოქმედების შესრულების შეპირებით. მაგ. რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს. პიროვნული უზრუნველყოფა წარმოიშობა ვალდებულებითი ხელშეკრულებიდან.⁵⁷¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, ის არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე და წარმოადგენს აქცესორულ ვალდებულებას. სხვა პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებებისგან განსხვავებით (მაგ. თავდებობისგან და საბანკო გარანტიისგან), მოვალის გარანტიის მეშვეობით მოვალე უზრუნველყოფს მის მიერ ნაკისრი პირადი ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოვალე თავადვე ახორციელებს შეპირებულ მოქმედებას.

მოვალის გარანტია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა და ყოველთვის არსებობს ძირითად სახელშეკრულებო

⁵⁷¹ Вебер Х., Обеспечение обязательств Kreditsicherungsrecht, пер. с немецкого Алексева Ю., Иванова О., М., Волтерс Клувер, 2009, стр. 10.

ვალდებულებასთან ერთად. უზრუნველყოფის სხვა დამატებითი საშუალებების ანალოგიურად, ძირითადი ვალდებულების არსებობა და მისი ნამდვილობა მოვალის გარანტიის სამართლებრივი ბედის განმსაზღვრელია.

ამრიგად, მოვალის გარანტია მხარეთა შორის თანხმდება მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიზნით, დამატებითი მოქმედების შეპირების სახით, რომლის შესრულების მოთხოვნაც კრედიტორს წარმოეშობა ნაკისრი ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული კრედიტორის მიერ მსგავსი ვალდებულების შეპირება.⁵⁷²

ვინაიდან, მოვალის გარანტიის მარეგულირებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ მცირედი სახით არის წარმოდგენილი, აღნიშნული მიზეზით, ხშირ შემთხვევაში მოვალის გარანტიის გარშემო არსებულ საკითხთა შესწავლა მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის სხვა მუხლების და ძირეული პრინციპების მხედველობაში მიღებას.

4.2.2. მოვალის გარანტიის საგანი

სამოქალაქო კოდექსით, მოვალის გარანტიად განიხილება შემთხვევა, როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს (მუხლი 424). შესაბამისად, ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალის გარანტიის საგანი შეიძლება იყოს:

1. რაიმე უპირობო მოქმედების შესრულება;⁵⁷³ 2. სხვა იმგვარი მოქმედების შესრულება, რაც არ არის ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების საგანი და წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობის საგნისგან დამოუკიდებელ მოქმედებას. შესრულების საგანი ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული, ან როგორც წესი მისი დადგენა იყოს შესაძლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში სათანადო

⁵⁷² რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 617.

⁵⁷³ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოვალის გარანტიით, უპირობო მოქმედების შესრულების შეპირება ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც ირღვევა ძირითადი ვალდებულებით ნაკისრი ნივთის თვისობრიობასთან დაკავშირებული გარანტიები. იხ. დარჯანია თ., უზრუნველყოფითი ცესია და მოვალის გარანტია „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 76.

ვალდებულების შესრულება შესაძლოა გართულდეს, ან საერთოდ შეუძლებელი გახდეს.⁵⁷⁴

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით⁵⁷⁵ განმარტა მოვალის გარანტიის ცნება, მისი საგანი და ის გამიჯნულ იქნა მოთხოვნის დათმობის ცნებისგან. დავის საგანს წარმოადგენდა სასყიდლიანი საკრედიტო ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქვიშა-ხრემის მომპოვებელ კარიერზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლების ჩამორთმევა, კარიერის კრედიტორის სარგებლობაში და მასზე უფლების მოთხოვნის გადაცემა. კერძოდ, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხე შპს-სგან, სასყიდლიანი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ორ ეტაპად გადაცემული თანხის დაუბრუნებლობის სანაცვლოდ კარიერზე საკუთრების უფლების გადასვლას, რაც გათვალისწინებული იყო მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ვალდებულების შეუსრულებლობის დროს. თავდაპირველად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული მოსარჩელის მოთხოვნა და გაზიარებულ იქნა მოპასუხე მხარის პოზიცია, რომ მათი დირექტორი არაკეთილსინდისიერად უძღვებოდა საქმეებს.

მოგვიანებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი და გაუქმებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. კერძოდ, შპს-ს ჩამოერთვა კარიერზე უფლება და კარიერი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებით მფლობელობაში გადაეცა აპელანტს, ხოლო საკუთრივ კარიერზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მოთხოვნა მიჩნეულ იქნა მოვალის გარანტიად. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მართალია, აპელანტის მიერ შპს-ს ანგარიშზე თანხების ჩარიცხვები წინ უძღოდა დასახელებული ლიცენზიის მოპოვებას და მის რეგისტრაციას შესაბამისი ლიცენზიების უწყებრივ რეესტრში, ხელშეკრულებით კრედიტის გადაუხდელობის შემთხვევაში შპს კარგავდა კარიერზე უფლებას და ის გადადიოდა აპელანტის საკუთრებაში. შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ სასყიდლიანი საკრედიტო

⁵⁷⁴ Гражданское право, Т. 3, Обязательственное право, 3-е издание, отв. ред. Суханов Е.А., М. Волтерс Клувер, 2007, стр. 53.

⁵⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nსს-379-352-2010 19 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეთა მიერ შეთანხმებული იყო კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მყოფი მოვალის გარანტია. მხარეთა შეთანხმება გარანტიის სახით განხორციელებული იყო იმ სამომავლო უფლებაზე, რომლის რეალურ პრეტენდენტსაც წარმოადგენდა შპს, ლიცენზიისთვის საჭირო თანხა გადარიცხული იყო სათანადო წესით და ლიცენზიის გადაცემა შეფერხდა ტექნიკური თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმების მოთხოვნით შპს-ს მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ კანონის მოთხოვნათა დაცვით დაადგინდა ფაქტობრივი გარემოებები, მიიღო არსებითად სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ არასწორი სამართლებრივი შეფასებით. საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოვალის გარანტიის საგნად ლიცენზიის განხილვა. კერძოდ, სადავოდ გამხდარ ხელშეკრულების ტექსტში არ იყო მოხსენიებული ლიცენზია, არც სამომავლო შესაძენი უფლების დატვირთვაზე რაიმე დებულება და შესაბამისად, არც მოსარჩელე უთითებდა ასეთზე. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო მხოლოდ, რომ შპს კარგავდა კარიერზე უფლებას და ის ავტომატურად გადადიოდა მეორე მხარის მფლობელობაში, რის გამოც სააპელაციო პალატამ კარიერზე უფლებაში არასწორად იგულისხმა ლიცენზია, რომლის ავტომატურად გადასვლას არ იცნობს კანონი და მისი გადაცემა რეგულირდება სათანადო წესით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოვალის გარანტია განმარტა, როგორც პიროვნული უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც მოვალეს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამატებით, კონკრეტულად განსაზღვრულ და მხარეთა შორის შეთანხმებული მოქმედების შესრულებას აკისრებს. მეტიც, მოვალის გარანტია შეპირებული მოქმედების შესრულების მეშვეობით ახორციელებს მოვალის „იძულებას“ ვალდებულების დროულად შესრულებაზე.⁵⁷⁶

მოყვანილ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან მოცემულ სადავო საქმეზე მხარეთა შორის არ ყოფილა ნაკისრი უპირობო ან ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს, ისინი არც მოვალის გარანტიაზე შეთანხმებულან. სადავოდ გამხდარ სესხის სასყიდლიან

⁵⁷⁶ ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში 2000-2013, თბ., GIZ, 2014, გვ. 169.

ხელშეკრულებაში, უფლების გადაცემაზე დათქმა დაკავშირებულია გარკვეული პირობის დადგომასთან, კერძოდ ვალდებულების შეუსრულებლობასთან. შესაბამისად, კრედიტორმა მოთხოვნა სესხის დაბრუნებაზე უზრუნველყო მოვალის მიერ შეთავაზებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე უფლების დათმობით, რომელსაც საკასაციო სასამართლომ „უზრუნველყოფითი ცესია“ უწოდა.

სამოქალაქო კოდექსით, მოცემული ცნება არ წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელ საშუალებას. უზრუნველყოფი ცესია წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, რომლითაც მოთხოვნის მფლობელი (ცედენტი), სხვა პირს კრედიტორს (ცესიონერს) გადასცემს მოთხოვნის უფლებას.⁵⁷⁷ გადაცემულ შეიძლება იქნეს ნებისმიერი კერძოსამართლებრივი თუ საჯაროსამართლებრივი მოთხოვნა, ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც არის შესაძლებელი.⁵⁷⁸

ამრიგად, მოვალის გარანტიის საგნად განხილულ უნდა იქნეს, ისეთი მოქმედების შესრულების შეპირება, რომლის დადგომაც არ უკავშირდება რაიმე პირობას, განსხვავდება ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებისგან, ან სცილდება ხელშეკრულების საგანს. მაგ. შემთხვევა, როცა ავიაკომპანია საჰაერო ფრენის შეუსრულებლობის შემთხვევაში მგზავრს უზრუნველყოფს სასტუმროთი და კვებით.

სამოქალაქო კოდექსით, მოვალის გარანტიის საგნად დაწესებულია, მხოლოდ მოქმედების შესრულების შეპირება და არა ზოგადად ქმედების შეპირება, რის გამოც დასახელებული უზრუნველყოფის საშუალების საგნად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოქმედებისგან თავის შეკავება.

4.2.3. მოვალის გარანტიის შეთანხმების მხარეები

მოვალის გარანტიის შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების სუბიექტები. შესაბამისად, აღნიშნული უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებაზე შეთანხმების მხარეებად შეიძლება

⁵⁷⁷ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 257.

⁵⁷⁸ იქვე.

მოგვევლინონ კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა ნებისმიერი პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ მოვალის გარანტიის შეთანხმებით შესაძლებელია კანონისმიერ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფაც.⁵⁷⁹ თავის მხრივ, კანონისმიერ ვალდებულებათა წარმოშობა არ საჭიროებს მხარეთა წინასწარ შეთანხმებას, რის გამოც ისინი ძირეულად განსხვავდებიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან. მოცემული საფუძვლით, ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობა მოვალის გარანტიის არსებობის მთავარი წინაპირობაა. მოვალის გარანტიით კანონისმიერ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის დროს კანონისმიერ ვალდებულებათა წარმოშობის ალბათობის წინასწარ გასაზღვრა, რომელთა სახეცვლილებას დასაშვებად მიიჩნევა თავად კანონი.

კანონმდებლობით არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა კერძო სამართლის სუბიექტების მიერ მოვალის გარანტიის გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მისით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება. ამ შემთხვევაში ფიზიკურ პირების გულისხმობს, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, იურიდიული პირების ცნება, საქართველოს კერძო სამართლის არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიულ პირებს, ასევე იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს, რომლებიც იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

4.2.4. მოვალის გარანტიის შეთანხმების ფორმა

სამოქალაქო კოდექსით მოვალის გარანტიის ნამდვილობისთვის დაწესებულია წერილობითი ფორმის დაცვა. კერძოდ, კანონმდებლობით, იმპერატიულად არის მოთხოვნილი, რომ გარანტია უნდა გაფორმდეს წერილობით (მუხლი 426).

⁵⁷⁹ რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., თბ., მერიდიანი, 2014, გვ. 617.

ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების ფორმის მიუხედავად, მოვალის გარანტია, მხოლოდ წერილობით გაფორმების შემდგომ იძენს სავალდებულო ძალას.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ როგორც მარტივი, ასევე რთული (სანოტარო) წერილობითი ფორმები და მოვალის გარანტია გაითვალისწინონ ძირითადი ვალდებულების შეთანხმების ტექსტში, ასევე ცალკე შეთანხმებაშიც. ცალკე წერილობითი ფორმით შეთანხმებული მოვალის გარანტია წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ემსახურება ამ მთავარი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას.

მოვალის გარანტიის შეთანხმების ფორმის დაუცველობა მისი ბათილობის საფუძველია. მოვალის გარანტიაზე შეთანხმების ფორმის დაუცველობა არ იწვევს ძირითადი ვალდებულების ბათილობას, მისგან განსხვავებით, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა იმავდროულად განაპირობებს მოვალის გარანტიის შეთანხმების ბათილობას.

4.2.5. მოვალის გარანტიის ფუნქციები

მოვალის გარანტიას გააჩნია ორგვარი ფუნქცია: მოვალის გარანტია ძირითადი ვალდებულების შესრულებამდე ემსახურება ამ ვალდებულების შესრულების სტიმულირებას და მას შეიძლება ვუწოდოთ მთავარი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია. ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოვალის გარანტია უზრუნველყოფს შეპირებული სხვაგვარი მოქმედების შესრულებას.

4.2.5.1. მთავარი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია

მოვალის გარანტია უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, მოვალის გარანტია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად.⁵⁸⁰

⁵⁸⁰ გამოთქმულია მოსაზრება, რომლითაც მოვალის გარანტია წარმოადგენს მხოლოდ ძირითად ვალდებულებასთან ერთად არსებულ დამატებით ვალდებულებას და არა უზრუნველყოფის

სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს მოვალის გარანტიის გამოყენების ფარგლებს მთავარი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის მოცულობის მიმართ, კერძოდ, საკითხს შესაძლებელია თუ არა მოვალის გარანტიის გამოყენება ნაკისრი ვალდებულების სრული შეუსრულებლობის შემთხვევაში? თუ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების დროსაც?

ბუნებრივია, რომ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება გულისხმობს მის სრულად და ჯეროვნად შესრულებას. მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობათა მიზანს და მის ლოგიკურ დასასრულს ვალდებულებათა ჯეროვნად (შეთანხმებისამებრ) შესრულება წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, უდავოა, რომ მოვალის გარანტია ემსახურება ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას და უზრუნველყოფას ნაკისრი ვალდებულების ამგვარად შესრულების.

„ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა განუხრელად დაცვას, რომელიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან“.⁵⁸¹ მაგ. როდესაც მოვალე ვალდებულია გარკვეული ხარისხის ნივთის მიწოდებაზე, მხოლოდ შესაბამისი ხარისხის ნივთის გადაცემა იქნება მიჩნეული ჯეროვან შესრულებად. როდესაც ვალდებულება სრულდება ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპის დაცვით, იგულისხმება, რომ გათვალისწინებული და დაცულია ვალდებულების შესრულების ყველა პრინციპი.⁵⁸² იმავდროულად, ვალდებულების შესრულების რომელიმე პრინციპის დაუცველობა ვერ ქმნის ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მოცემულობას.⁵⁸³

აღნიშნულთან ერთად, მოვალის გარანტიის ლეგალური განმარტება, ასევე იძლევა შესაძლებლობას, რომ მოცემული დამატებითი უზრუნველყოფის საშუალება გამოყენებულ იქნეს არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაშიც. კერძოდ, ლეგალურ განმარტებაში არ არის მითითებული, რომ მოვალის გარანტია გამოიყენება, მხოლოდ ვალდებულების სრული შეუსრულებლობის დროს, რის გამოც ის არც გამორიცხავს მოვალის გარანტიის გამოყენების შესაძლებლობას არაჯეროვანი შესრულების დროს.

დამატებით საშუალებას. იხ. როგავა რ., უზრუნველყოფითი ცესია და მოვალის გარანტიის სამართლებრივი ბუნება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 40.

⁵⁸¹ ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., მერიდიანი, 2006, გვ. 12.

⁵⁸² Сарбаш С.В., Исполнение договорного обязательства, М., Статут, 2005, 104-105.

⁵⁸³ იქვე, 105.

შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი ადგენს მხოლოდ მოვალის გარანტიის შინაარსს და არა მისი გამოყენების შემთხვევებს. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების დროს მოვალის გარანტიის გამოყენების შესაძლებლობის ვარაუდს აძლიერებს, აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსით აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიც.

ნებისმიერ შემთხვევაში, იმისათვის, რომ არ დაირღვეს მოვალის სამართლებრივი და სამართლიანი ინტერესები, დაცულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმის მოთხოვნები, რომლითაც გარანტია ითვლება ნამდვილად, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ წესებს, ან ზედმეტად არ ავალდებულებს მოვალეს (მუხლი 425). აღნიშნული კუთხით, დიდ მნიშვნელობას იძენს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დღეისათვის, სამწუხაროდ, არ იძლევა დასახელებული საკითხებზე ოფიციალურ განმარტებებს.

4.2.5.2. შეპირებული სხვაგვარი მოქმედების შესრულების უზრუნველყოფის ფუნქცია

მოვალის გარანტიის შეთანხმების არსებობის დროს, მოვალის მიერ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს უფლებას ანიჭებს წინასწარ შეთანხმებული სხვაგვარი მოქმედების შესრულების მოთხოვნაზე. შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი, საკმარისია მოვალის მხრიდან უზრუნველყოფის სახით შეპირებული დამატებითი: უპირობო ან ხელშეკრულების საგანს დაცილებული მოქმედების შესრულებისათვის.

ამგვარ უპირობო ან ხელშეკრულების საგნისგან დაშორებულ მოქმედებებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, მაგ. პროდუქციის დამამზადებლის ან მწარმოებლის მიერ მოვაჭრისათვის მიცემული გარანტია იმის თაობაზე, რომ იგი თვითონ აგებს პასუხს მომხმარებლის წინაშე საქონლის ხარისხზე.⁵⁸⁴ კერძოდ, მოვალე თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას გარკვეულ შედეგებზე, რაც წარმოიშობა მესამე პირთან ურთიერთობაში.

⁵⁸⁴ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., სამართალი, 1999, გვ. 81.

მოვალის გარანტიასთან გვექნება საქმე, როდესაც მოვალე კრედიტორს აძლევს გარანტიას ფულის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით.⁵⁸⁵ ასევე, მოვალის გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს ვაჭრობის დროს მოვალის მიერ კრედიტორისათვის მიცემული გარანტია თამასუქის თუ აქციის კურსთან დაკავშირებით.⁵⁸⁶ მოვალის გარანტიას ექნება ადგილი, როცა მოვალე კისრულობს პასუხისმგებლობას, თვითონ გაიღოს მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯები.⁵⁸⁷ მოვალის მიერ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება, ასევე შეიძლება განხილულ იქნეს მოვალის გარანტიად.⁵⁸⁸ ბანკის მიერ გაცემული კრედიტის სანაცვლოდ, კომპიუტერული კომპანიისგან თანხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევისათვის, მოვალის გარანტია შეიძლება შეპირებულ იქნეს კომპიუტერული ტექნიკის ნაწილის უსასყიდლო განახლების სახით.⁵⁸⁹

საგულისხმოა, რომ მოვალის გარანტიის შემადგენლობას არ ქმნის უბრალოდ რაიმე მოქმედების შესრულების შეპირება. რაიმე მოქმედების შესრულების შეპირების დროს ადგილი აქვს ახალი დამოუკიდებელი ვალდებულების კისრებას და არა მოვალის გარანტიის შემადგენლობას. მოვალის მხრიდან ნაკისრი ნებისმიერი უპირობო და ხელშეკრულების საგანს დაშორებული მოქმედების შეპირება არის მოვალის გარანტია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეპირებული მოქმედება ემსახურება ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას. უზრუნველყოფილი ვალდებულების დარღვევა კრედიტორი მხარისათვის წარმოშობს მოთხოვნას შეპირებული მოქმედების შესრულებაზე.

აღნიშნული მჯელობას ამყარებს ის გარემოებაც, მოვალის გარანტია სამოქალაქო კოდექსით მიკუთვნებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები კი, თავის მხრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა მიერ გამოიყენება მარტოოდენ

⁵⁸⁵ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001, მუხლი 424, გვ. 506.

⁵⁸⁶ იქვე.

⁵⁸⁷ იქვე.

⁵⁸⁸ იქვე.

⁵⁸⁹ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 255.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფისთვის. უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების ბრალეული შეუსრულებლობა არაბრალეული მხარისათვის წარმოშობს მოთხოვნის უფლებებს დამატებითი უზრუნველყოფის სახით შეთანხმებულ საშუალებათა შესრულებაზე.

მოვალის გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებას. აღნიშნული საფუძვლიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოიშვას კითხვა, თუკი ადგილი ექნება უზრუნველყოფილ ხელშეკრულებაში მოვალე მხარის ცვლილებას, შესაძლებელია თუ არა მოვალის გარანტიით ნაკისრი მოქმედება გადავიდეს ახალ მოვალეზე? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა პასუხს. მოვალის გარანტიის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე უდავოა, რომ ის ექვემდებარება ახალ მოვალეზე გადასვალს. თუმცა, შეპირებული მოქმედების შესრულება შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს ახალი მოვალისათვის. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვალის გარანტიით შეპირებული მოქმედების შინაარსს. კერძოდ, ისეთ საკითხებს შესაძლებელია თუ არა შეპირებული მოქმედების შესრულება ახალი მოვალის მხრიდან, შეპირებული მოქმედების შესრულება უკავშირდება თუ არა მოვალის პიროვნულ, ინდივიდუალურ, პროფესიულ უნარებს და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსით, თუ შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე, მოვალის გარდაცვალება განაპირობებს ვალდებულების შეწყვეტას (მუხლი 453.1). სამოქალაქო კოდექსიდან მოყვანილი აღნიშნული ნორმა კანონის ანალოგიის სახით უნდა გავრცელდეს მოვალის გარანტიაზეც.

სამოქალაქო კოდექსში, ასევე აღნიშნულია, რომ კრედიტორის გარდაცვალება განაპირობებს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის (მუხლი 453.1.), რაც საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე კანონის ანალოგიის სახით უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ უზრუნველყოფილ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე.

4.2.6. ზიანის ანაზღაურების საკითხი მოვალის გარანტიის შეთანხმების დროს

სამოქალაქო კოდექსში მოვალის გარანტიის მარეგულირებელი ნორმების მიღმა არის დატოვებული მოვალის გარანტიით უზრუნველყოფილი მთავარი ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, მოვალის მხრიდან ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის დროს, შეპირებული სხვაგვარი მოქმედების შესრულების მოთხოვნასთან ერთად, კრედიტორს უფლება აქვს თუ არა მოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება? სხვაგვარი მოქმედების შესრულება ჩათვლილ უნდა იქნეს თუ არა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში? შეპირებული მოქმედების შესრულება ართმევს თუ არა კრედიტორს უფლებას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე?

ნაკისრი ძირითადი ვალდებულების შესრულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობათა მთავარ მიზანს, ხოლო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენება ემსახურება ამ მიზნის მიღწევას. შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ შეიძლება შეზღუდულ იქნეს, მხოლოდ უზრუნველყოფის სახით შეთანხმებული საშუალებებით. ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები, არ წარმოადგენს ძირითადი ვალდებულების სრულ ალტერნატივას, თუმცა უზრუნველყოფის სახით განსაზღვრული საშუალებები, გარკვეულ წილად, მოიაზრებს განცდილი ზიანის მინიმალურ ოდენობას, თუკი სხვაგვარ რეგულირებას არ აწესებს კანონი.

რადგანაც სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნული საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ კოდექსი საერთოდ გამორიცხავს კრედიტორის უფლებას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორისთვის წარმოშობს ზიანს. ზიანის დადგომის ფაქტის გასარკვევად არაბრალეული მხარე ჩაყენებულ უნდა იქნეს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის იქნებოდა ვალდებულების ჯეროვნად

შესრულების დროს.⁵⁹⁰ კრედიტორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა იყოს ვალდებულების შეუსრულებლობით განცდილი დანაკლისის ტოლფასოვანი კომპენსაცია. ვალდებულების შეუსრულებლობასა და დამდგარ ზიანს შორის სავალდებულოა ადეკვატური მიზეზობრიობის ჯაჭვის არსებობა.⁵⁹¹

მსგავს სიტუაციებში, კრედიტორის სამართლებრივ პრეტენზიებთან ერთად, დაცულ იქნეს მოვალის მდგომარეობაც. შესაბამისად, მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულების შესრულება და ზიანის ანაზღაურება ერთდროულად. კერძოდ, ზიანის ანაზღაურება მოვალეს შეიძლება დაეკისროს ძირითადი ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ და არა მასთან ერთად, თუკი საპირისპირო დათქმას არ იცნობს კანონი. ზოგ შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობა, თავის მხრივ, საერთოდ გამორიცხავს მისი შესრულების შესაძლებლობას. მაგ. პერსონალური მომსახურების ხელშეკრულებების დროს.⁵⁹² აღნიშნულ შემთხვევებში, კრედიტორს უფლება აქვს მიიღოს ფულადი კომპენსაცია იმ ინტერესების სანაცვლოდ, რაც მას გააჩნდა ვალდებულების რეალურად, ნატურით შესრულების დროს.⁵⁹³

მოცემული საფუძვლით, მოვალის გარანტიით შეპირებული მოქმედება, პირგასამტეხლოს (მუხლი 419) და ბეს (მუხლი 423) მსგავსად, შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს სამოქალაქო კოდექსიც, რომლითაც „კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა“ (მუხლი 5, კანონის ანალოგია). აღნიშნულ შემთხვევაში, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი ზიანის ანაზღაურებაში მოიაზროს მოვალის გარანტიით შეპირებული მოქმედება.

სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკა ჯერჯერობით არ იძლევა პასუხს დასმულ საკითხებზე. ყველა შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საკითხის განხილვის დროს, დაცულ უნდა იქნეს პროპორციულობა ასანაზღაურებელი ზიანის

⁵⁹⁰ Horn N., Kötz H., Leser H.G., German Private and Commercial Law: An introduction, translated by Weir T., Oxford, CLARENDON PRESS, 1982, p. 110.

⁵⁹¹ Introduction to German law, Edited by Ebke W.F., Finkin M.W., The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 1996, p. 184.

⁵⁹² Smith J.C., The Law of Contract, 4th ed., London, Sweet & Maxwell, 2002, p. 235.

⁵⁹³ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., სამართალი, 1999, გვ. 39.

მოცულობასა და სხვაგვარი მოქმედების შესრულების სამართლებრივ ტვირთს შორის. სამოქალაქო კოდექსში სათანადო საკანონმდებლო ცვლილების შეტანა, რომლითაც ხაზი გაესმევა მოვალის გარანტიის დროს ზიანის ანაზღაურების საკითხის დასაშვებობას, ხელს შეუწყობს ამ საკითხის სიცხადეს (მართებული იქნება მოვალის გარანტიის ჩათვლითი ხასიათის დამკვიდრება, მოვალის გარანტიით შეპირებული მოქმედების ხასიათის გათვალისწინებით).

4.2.7. სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში კანონსაწინააღმდეგო და ზედმეტადმაგალებელი მოვალის გარანტიის დროს

მოვალის გარანტიის ნამდვილობა მოითხოვს მის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. სათანადო ფორმის დაცვის გარდა, მოვალის გარანტია ნამდვილია ორ შემთხვევაში: როდესაც ის შესაბამისობაშია კანონით გათვალისწინებულ წესებთან, ან ის ზედმეტად არ ავალდებულებს მოვალეს (მუხლი 425).

აღნიშნული მუხლი, თავისმხრივ, ეხმიანება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილ წესებს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსით, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებული ნემისმიერი მოქმედება (მუხლი 10.2.), ხოლო გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობრივ ნორმებს წარმოადგენს ბათილ გარიგებას (მუხლი 54).

მოვალის გარანტიის შესაბამისობა კანონით გათვალისწინებულ წესებთან გულისხმობს, რომ გარანტიად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ისეთ მოქმედებაზე შეთანხმება, რაც წინააღმდეგობრივია საკუთრივ კანონთან. აღნიშნულ შემთხვევაში, მოიაზრება ნებისმიერი კანონი, რომელსაც გარიგების შინაარსის განსაზღვრის დროს გააჩნია მნიშვნელობა და გვევლინება მისი მართლზომიერების საზომად,⁵⁹⁴

⁵⁹⁴ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2000, გვ. 356.

კერძოდ, კანონის ცნება მოიცავს ყველა ნორმატიულ აქტს: კანონს, როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური გაგებით.⁵⁹⁵

ხელშეკრულებაში გამოხატული ინდივიდუალური ნება უნდა პასუხობდეს საჯარო წესრიგით დაცულ საყოველთაო კეთილდღეობის მოთხოვნას,⁵⁹⁶ რის გამოც კანონით გათვალისწინებულ წესებში მოაზრებულ უნდა იქნეს, როგორც კერძოსამართლებრივი, ასევე საჯაროსამართლებრივი ნორმები.

შეპირებული მოქმედების შესრულება ნებადართული უნდა იყოს კანონით. დაუშვებელია მოვალის გარატიად ისეთი მოქმედების შეპირება, რომელიც თავისი არსით კანონის მიერ არ მიიჩნევა ნებადართულად, ან გარანტია ითვალისწინებს მოქმედების განხორციელებას კანონით დაწესებულისგან განსხვავებული სახით. მაგ. კანონშეუსაბამოდ უნდა იქნეს მიჩნეული ისეთი მოქმედების შესრულების შეპირება, რომელიც აღიარებულია სამართალდარღვევად, კანონით დადგენილია მოქმედების განხორციელების ფარგლები და გარანტიის სახით შეთანხმებულია მისი სხვაგვარად შესრულება და ა.შ.

რაც შეეხება, მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სახით ზედმეტადმავალელებელი მოქმედების კისრებას, ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება თავად კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა რაობას. ხელშეკრულების მონაწილეთა ნება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კერძო სამართლის ძირეულ პრინციპებს. სამოქალაქო კოდექსით აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი და სახელშეკრულებო ურთიერთობათა მონაწილეების თავისუფალი ნება იზღუდება სამოქალაქო წესრიგით, როდესაც მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება ადგენს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა არათანაბარ მდგომარეობაში ყოფნას.

ძირითადი ვალდებულების მსგავსად, უზრუნველყოფის სახით შეპირებული მოქმედება, მოვალის მიერ უნდა იყოს შესრულებადი და ის არ უნდა იწვევდეს მოვალის კაბალურ, ზედმეტადმავალელებელ მდგომარეობაში ჩაგდებას. თავის მხრივ, ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულება არის სამართლებრივი ტვირთი,

⁵⁹⁵ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ჭანტურია ლ., თბ., მერიდიანი, 2017, მუხლი 54, ველი 13, გვ. 316.

⁵⁹⁶ Мережко АА., Договор в частном праве, Киев, Юстиниан, 2003, стр. 88.

თუმცა ვალდებულება, რომლითაც მოვალე განიცდის მის მდგომარეობასთან შეუსაბამოდ დიდ სამართლებრივ ტვირთს, არის ზედმეტადმავალელებელი.

მოვალის გარანტიის კანონით დადგენილ წესებთან შესაბამისობის, ასევე მისი ზედმეტადმავალელებელი ხასიათის დადგენა მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა. „სამართლის შემფარდებელს, როგორც წესი, უხდება რამდენიმე ღირებულების შეფასება, რომლის დროსაც უპირატესობა უნდა მიანიჭოს კანონით დაცულ რომელიმე ფასეულობას. ღირებულებათა შეფასების ერთმნიშვნელოვანი სქემა არ არსებობს“.⁵⁹⁷

შესაბამისად, მოვალის გარანტიით შეთანხმებული მოქმედების სადავოდ გახდომის შემთხვევაში, მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი, კრედიტორისთვის შეპირებული გარანტია განიხილოს და მიიჩნიოს კანონშეუსაბამო თუ კანონშესაბამის, ზედმეტადმავალელებელ ან შესასრულებლად შესაძლებელ მოქმედებად.

სამოქალაქო კოდექსით არ არის მოცემული მოვალის გარანტიის დროს ზედმეტადმავალელებელ მოქმედებათა ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალის არსებობის შემთხვევაშიც, ის ვერ იქნებოდა სრულყოფილი, ვინაიდან ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში ზედმეტად ავალდებულებს თუ არა მოვალეს რაიმე მოქმედება, მოითხოვს ინდივიდუალურ შეფასებას საქმეში არსებული გარემოებების დადგენისა და შესწავლის შემდგომ.

ამრიგად, მოვალის გარანტიის კანონთან შესაბამისობის საკითხის სადავოდ გახდომის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონით დადგენილი წესებით. კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა დასტურდებოდეს მოვალის გარანტიით შეპირებული მოქმედების შესაბამისობით საკანონმდებლო რეგულაციებთან. შეპირებული მოქმედების კანონთან წინააღმდეგობა ქმნის მოვალის გარანტიის კანონშეუსაბამოდ მიჩნევის საფუძველს.

მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა კომპანიის დირექტორის მოთხოვნა ბონუსის ბლოკირებული თანხისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე, კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომი სასამართლოს მიერ აღნიშნული ვალდებულება არ იქნა შეფასებული

⁵⁹⁷ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., მერიდიანი, 2004, გვ. 92.

სათანადოდ (მოვალის გარანტიად) და შესაბამისად არ ყოფილა შეფასებული მოვალის გარანტიის ნამდვილობისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნები, ხოლო საქმეში არსებული გარემოებებით არ დასტურდებოდა შეპირებული მოქმედების კანონთან შეუსაბამობა ან მისი ზედმეტადმავალეული ხასიათი.⁵⁹⁸

თუკი სადავოდ იქნება გამხდარი მოვალის გარანტიის ზედმეტადმავალეული ხასიათი, შეფასების უმთავრეს კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს შეპირებული დამატებითი მოქმედების ადეკვატურობა. მოცემული საკითხის განხილვის დროს, ასევე მხედველობაშია მისაღები საქმეში არსებული ყველა ის გარემოება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მოვალის გარანტია შეფასდეს ზედმეტადმავალეულ სახელშეკრულებო პირობად. მაგ. თუკი მოვალე კისრულობს მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის ცვლილებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, აღნიშნული ცვლილებები უნდა დასტურდეს სათანადო მტკიცებულებებით და ის არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ვარაუდს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოვალის ქონებრივი მდგომარეობა, კრედიტორის სამართლიანი ინტერესი, კრედიტორისა და მოვალის პოზიციები ბაზარზე და სხვა. ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად დაკარგული სარგებელი შეიძლება დამოკიდებული იყოს ბევრ ჰიპოთეტურ ფაქტორზე, თუმცა სასამართლო ყოველთვის უნდა შეეცადოს, შეაფასოს განცდილი ზიანი.⁵⁹⁹

სამოქალაქო კოდექსი კანონშეუსაბამო და ზედმეტადმავალეულ მოვალის გარანტიას განიხილავს მისი ბათილობის საფუძლად, რის გამოც ის საერთოდ გამორიცხავს შეპირებული მოქმედების ფარგლების შემცირებას. „გარიგების ბათილობა ნიშნავს, რომ გარიგება არ არსებულა. როგორც წესი, ბათილი გარიგება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს მისი დადების მომენტიდანვე, ე.ი. ის ბათილად ითვლება თავიდანვე“.⁶⁰⁰

⁵⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-164-164-2018, 25 იანვარი, 2019 წელი, ქ. თბილისი.

⁵⁹⁹ Chitty J., Chitty on Contracts, Vol. 1, General Principles, 28th ed., London, Sweet & Maxwell, 1999, p. 1272.

⁶⁰⁰ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., შპს გაზეთ საქართველოს მაცნეს სტამბა, 2001, გვ. 289.

4.3. მოვალის გარანტია საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში

ქართულ სამოქალაქო სამართალში მოვალის გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობა გერმანული სამართლის რეცეპციის დასტურია. ვინაიდან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს უშუალოდ მოვალის გარანტიის ცნებას,⁶⁰¹ გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ვერ ვხვდებით მის არათუ იდენტურ, არამედ მსგავს ინსტიტუტს.⁶⁰²

აღნიშნულის მიუხედავად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §342-ის შინაარსი საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ ქართული მოვალის გარანტიის გერმანულ წარმომავლობაზე. კერძოდ, მოცემული ნორმა ითვალისწინებს სხვაგვარი, ვიდრე ფულადი სახით დადგენილი პირგასამტეხლოს რეგულირებას, რომლითაც პირგასამტეხლოდ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვაგვარი შეპირებული შესრულება, ვიდრე ფულადი თანხის გადახდა.⁶⁰³ ამგვარი პირგასამტეხლოს გადახდა, თავის მხრივ, გამორიცხავს კრედიტორის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურებაზე.⁶⁰⁴

შესაბამისად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, სათანადო შეთანხმების არსებობის დროს, შესაძლებელია პირგასამტეხლოს სახით სხვაგვარი შეპირებული შესრულების მიღება, რომელშიც თავისუფლად შეიძლება მოაზრებულ იქნეს სხვაგვარი მოქმედების შესრულებაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არ არის აღიარებული პირგასამტეხლოს სახით შეთანხმებული ფულადი თანხის სხვაგვარი შესრულებით შეცვლის შესაძლებლობა. მოვალის გარანტიის მარეგულირებელ ნორმებში მხოლოდ აღიარებულია ძირითადი ვალდებულებისგან განსხვავებული შესრულების შეპირების შესაძლებლობა.⁶⁰⁵

პირგასამტეხლოს საგნად რაიმე მოქმედების შესრულების შეპირებას ვხვდებით ევროპის სხვა ქვეყნების სამოქალაქო სამართალშიც. მაგ. ესტონეთის

⁶⁰¹ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ., GIZ, IRZ, 2014, გვ. 868-869.

⁶⁰² ქეჟელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., ბონა კაუზა, 2008, გვ. 201.

⁶⁰³ Гражданское уложение Германии, пер. с немецкого, 2-ое издание, научный ред. Маковский А.Л., М., Волтерс Клувер, 2006, стр. 84

⁶⁰⁴ იქვე.

⁶⁰⁵ მესხიშვილი ქეთევან, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტ. I, თბ., GIZ, 2020, გვ. 91.

ვალდებულებითი სამართლის კანონი პირგასამტეხლოს განსაზღვრავს, როგორც დაზარალებული მხარის სასარგებლოდ ხელშეკრულების დამრღვევი მხარისათვის დასაკისრებელ წინასწარ შეთანხმებულ ფულად თანხას ან მოქმედების შესრულებას (§158).⁶⁰⁶ ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლოს სახით შესაძლებელია შეთანხმებულ იქნეს ფულადი თანხა ან რაიმე ვალდებულების შესრულება, იმის მიუხედავად აღნიშნული მიზნად ისახავს ზიანის ანაზღაურებას, თუ შესრულების ხელშეწყობას (მუხლი 91).⁶⁰⁷

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოვალის გარანტიის ინსტიტუტი წარმოადგენს საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში არაფულადი სახით, კერძოდ, მოქმედების შესრულების შეპირების სახით შეთანხმებულ პირგასამტეხლოსთან ახლოს მდგომ სამართლებრივ ინსტიტუტს. აღნიშნული ინსტიტუტი ქართულ სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულია გერმანული სამართლის რეცეპციის შედეგად, კერძოდ, მისი ერთგვარი მოდიფიკაციის სახით და მას მინიჭებული აქვს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამოუკიდებელი საშუალების სტატუსი.

სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, მოვალის გარანტიის სამართლებრივი რეგულაცია მოცემულია თურქმენეთისა (მუხლები 434-436)⁶⁰⁸ და მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსებში (მუხლები 634-636).⁶⁰⁹ თურქმენეთის სამოქალაქო კოდექსით, მოვალის გარანტია წარმოადგენს ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას, ხოლო მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსით, ის განიხილება, როგორც ვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახე.⁶¹⁰

დასახელებულ კოდექსებში სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებულად არის დანახული მოვალის გარანტიის ცნება და მისი შინაარსი. კერძოდ, თურქმენეთის სამოქალაქო კოდექსით, მოვალის გარანტიად დადგენილია „რაიმე უპირობო მოქმედება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს“ (მუხლი 434), ხოლო

⁶⁰⁶ Law of Obligations Act of Estonia, passed RT I 2001, 81, 487, 26.09.2001, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/506112013011/consolide>>, [17.06.2021].

⁶⁰⁷ The Civil Code of the Netherlands, by Warendorf H., Thomas R., Curry-Summer I., Alphen aan den Rijn, Wolters Kluwer, 2009, p. 659.

⁶⁰⁸ Гражданский кодекс Туркменистана, №294-I, от 17.07.1998 года, <<https://minjust.gov.tm/mcenter-single-ru/2>>, [17.06.2021].

⁶⁰⁹ Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>, [17.06.2021].

⁶¹⁰ მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებების კლასიფიკაციას სანივთო, ვალდებულებითი და ა.შ. სახით.

მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსით, მოვალის გარანტია წარმოადგენს „მოვალის ვალდებულებას უპირობო შესრულებაზე ან შესრულებაზე, რომელიც აღემატება ხელშეკრულების საგანს“ (მუხლი 634).

შესაბამისად, პირველ შემთხვევაში მოვალის გარანტიად მიიჩნევა უპირობო მოქმედება, რომელიც ამავედროულად სცილდება ხელშეკრულების საგანს, ხოლო მეორე შემთხვევაში მოვალის გარანტიის ცნება მოიცავს დამატებითი ვალდებულების და არა მოქმედების შეპირებას, რაც თავის მხრივ, იძლევა უფრო ფართო შინაარსით განმარტების წინაპირობას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქმენეთისა და მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსებში ამ ინსტიტუტის გაჩენას საფუძველი შეუქმნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა. აღნიშნული მოსაზრების საფუძველს კი ამყარებს ზემოაღნიშნული კოდექსების მიღების თარიღთა თანმიმდევრობის ფაქტიც. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებულია 1997 წელს, თურქმენეთის 1998 წელს, ხოლო მოლდავეთის 2002 წელს.⁶¹¹

⁶¹¹ გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს, თურქმენეთისა და მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსების ტექსტებზე მუშაობის დროს გამოყენებულია ერთი სახელმძღვანელო კოდექსი. იხ. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართულის სამართლის საფუძველზე), მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ. ბონა კაუზა, 2016, გვ. 198.

დასკვნა

სამოქალაქო კოდექსში კერძო სამართლის ინსტიტუტები და ნორმები განლაგებულია სისტემურად სათანადო სამართლის წიგნებში, კარებსა და თავებში, რაც ემსახურება სამართლის ნორმათა კოდიფიკაციას ფუნქციონალური და შინაარსობრივი დანიშნულებით. სამოქალაქო კოდექსის ერთ კარში, სისტემურად როგორც ერთადმოქცეულ უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებთან დაკავშირებით, პირგასამტეხლოს, ბეს და მოვალის გარანტიასთან მიმართებით, რიგ საკითხებზე გამოყენებულ უნდა იქნეს ერთგვაროვანი მიდგომები, ცხადია იმ მოცულობით, რითაც უგულებელყოფილი არ იქნება თითოეულ ამ საშუალებაში ნაგულისხმევი ძირეული სამართლებრივი დანიშნულებები.

სამეცნიერო კვლევაში სრულყოფილად არის შესწავლილი სახელშეკრულებო მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია. კვლევით მიღებული დასკვნები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი შემაჯამებელი თეზისების, საკანონმდებლო ცვლილებებისთვის საჭირო რეკომენდაციების და სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებისთვის აუცილებელი მიდგომების⁶¹² სახით:

პირგასამტეხლო.

რომის სამოქალაქო სამართალში ცნობილ *stipulatio poenae*-ს (ლათ.) ინსტიტუტს ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი იცნობდა „სამოსამშლელო“-ს სახელით. ამ მსჯელობის საფუძველს ქმნის ძველი ქართული საერო და საეკლესიო წყაროების შესწავლა. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობაზე ფულადი საზღაურის გადახდა მოვალეს ეკისრებოდა, მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმების არსებობის დროს. საქართველოში რუსეთის იმპერიის მმართველობის დამყარების შემდგომ, პირგასამტეხლომ დაკარგა სახელშეკრულებო ბუნება და კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმებში დამკვიდრდა საჯაროსამართლებრივი ინტერესების გამომხატველი წესები. მაგ. ამ პერიოდში

⁶¹² რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებებისთვის, ასევე სასამართლო პრაქტიკაში გასათვალისწინებელი მიდგომები გამოყოფილია „•“ სიმბოლოთი.

შემოღებულ იქნა კანონისმიერი პირგასამტეხლოს ცნება, პირგასამტეხლოს კუმულატიული შინაარსი და სხვ. აღნიშნული მიდგომა, კიდევ უფრო იქნა განმტკიცებული საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომ.

მოქმედი სამოქალაქო კოდექსი იცნობს მხოლოდ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს და სახელშეკრულებო ურთიერთობებში პირგასამტეხლოს გამოყენება შესაძლებელია, მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.⁶¹³ პირგასამტეხლო თანხმდება წერილობითი ფორმით და გამოიყენება, როგორც ვალდებულების სრული შეუსრულებლობის, ასევე არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მხარეებს შეუძლიათ პირგასამტეხლო შეათანხმონ ჯარიმის ან საურავის სახით).

სამოქალაქო კოდექსით კუმულატიური (საჯარიმო) პირგასამტეხლოს გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ვინაიდან, დადგენილ დროში ვალდებულების შესრულების ინტერესს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა (კრედიტორ მხარეს უფლება აქვს ერთდროულად მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ასევე პირგასამტეხლო). სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსით, პირგასამტეხლოს გააჩნია ჩათვლითი ხასიათი. სამოქალაქო კოდექსით აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ პირგასამტეხლოს ალტერნატიული და საგამონაკლისო სახეებიც.⁶¹⁴

პირგასამტეხლოს გააჩნია მარტივად ანაზღაურებითი ბუნება. ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი მხარისათვის წინასწარ არის ცნობილი ის ნეგატიური ფინანსური შედეგი, რასაც ადგილი ექნება მისი მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რაც თავის მხრივ, ზრდის მის მოტივაციას ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე. პირგასამტეხლო და ზიანის ანაზღაურება განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია, რომლებიც წარმოშობენ დამოუკიდებელ სამართლებრივ მოთხოვნებს. პირველი, შეიცავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნიშნებს, მეორე,

⁶¹³ იმისდა მიუხედავად, რომ სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს კანონისმიერი პირგასამტეხლოს ცნებას, ქართულ კანონმდებლობაში ვხვდებით კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა დარღვევისათვის კანონით დაწესებული პირგასამტეხლოს გამოყენების მაგალითებს, რაც დასაშვებად არის აღიარებული სასამართლო პრაქტიკაშიც.

⁶¹⁴ აღნიშნული მოსაზრების საფუძველს ქმნის ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსში ვერ ვხვდებით მოცემული მსჯელობის ამკრძავ რაიმე ნორმას.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი ტერმინია. ვალდებულების შეუსრულებლობის დროს, ზიანის ანაზღაურებით ხორციელდება იმ სიტუაციის აღდგენა, რასაც ადგილი ექნებოდა ვალდებულების ჯეროვნად (შეთანხმებისამებრ) შესრულების შემთხვევაში.

- სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილით, „კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება“. ცივილისტიკა და ქართული სასამართლო პრაქტიკა, პირგასამტეხლოში მოიაზრებს ზიანის ე.წ. მინიმალურ ოდენობას, თუკი ზიანი აღემატება პირგასამტეხლოს, არსებული სხვაობა შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილის სრულყოფისათვის სასურველია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს პირგასამტეხლოს ცნებაში ნაგულისხმევი ე.წ. „მინიმალური ზიანის“ შინაარსის მკაფიოდ განსაზღვრა, რაც სამოქალაქო კოდექსშივე დააზუსტებს პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურებას შორის არსებული კავშირის ფარგლებს. შესაბამისად, საჭიროა სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს სამართლის ნორმა, შემდეგი წინადადების სახით: „პირგასამტეხლო ითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში“.

პირგასამტეხლოს მსგავსად ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით დაწესებული პროცენტი, ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნიშნებს, თუმცა პროცენტი არ უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას, ის სარგებელია გამოყენებულ ფულად თანხაზე. პირგასამტეხლოს მოთხოვნას წარმოშობს ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი არაჯეროვნად შესრულება, როცა მოთხოვნა პროცენტის გადახდაზე კანონიერია ვალდებულების შესრულების დროსაც. სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მხოლოდ მხარეთა პირდაპირი შეთანხმებითაა შესაძლებელი პროცენტის ვადაში გადაუხდელობაზე დამატებითი პროცენტის დადგენა.

- პირგასამტეხლოსა და პროცენტთან მიმართებით, ყურადსაღებია სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 417-ე მუხლის შინაარსების ერთობლიობაში განხილვის საკითხი. სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, როდესაც მოვალის მხრიდან ადგილი აქვს ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებას, მოვალეს ეკისრება ვადაგადაცილებული დროისათვის

შეთანხმებული პროცენტის გადახდა, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე არ შეუძლია უფრო მეტის მოთხოვნა. აღნიშნული ნორმით განსაზღვრული მოცემულობა: „უფრო მეტის მოთხოვნა“, საჭიროებს ზუსტ სამართლებრივ განმარტებას, რომელსაც სამწუხაროდ, დღეისათვის, არ იძლევა სასამართლო პრაქტიკა.⁶¹⁵ მაგ. კრედიტორს აქვს თუ არა უფლება ფულადი ვალდებულების გადახდის ვადის დარღვევის დროს, სრული ოდენობით მოითხოვოს პირგასამტეხლო და სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დადგენილი პროცენტიც?

სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ უნდა იქნეს გაგებული კაბალური ფულადი ვალდებულებების ნებადამრთავ ნორმად. სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კრედიტორს ანიჭებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას „უფრო მეტი მოთხოვნის სასარგებლოდ“ და ის არ ანიჭებს კრედიტორს პროცენტთან ერთად ყველა შესაძლო მოთხოვნის უპირობოდ და სრული ოდენობით ანაზღაურების ლეგიტიმაციას. თუკი კრედიტორს, სხვა მოთხოვნით აქვს პროცენტის თანხაზე „უფრო მეტის მოთხოვნის“ შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში, უფრო მეტი ღირებულების მქონე მოთხოვნას არ შეიძლება დაემატოს ამგვარი პროცენტის მოცულობა. როცა შეთანხმებული პირგასამტეხლოს თანხა (რომელიც შეიძლება აღემატება შესაძლო ზიანს, თუმცა არ წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს) მეტია 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე შეთანხმებულ პროცენტზე, ორივე მოთხოვნის კომულაცია, ფულად ვალდებულებას გახდის კაბალურ ვალდებულებად. საკითხის სადავოდ გახდომის დროს, სასამართლომ კრედიტორს უნდა დაუკმაყოფილოს „უფრო მეტი მოცულობის მოთხოვნა“, ამ მოთხოვნათა კუმულაციურად დაკმაყოფილება წინააღმდეგობაში იქნება სახელშეკრულებო სამართალში არსებულ ყველა პრინციპთან.

პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი ფულადი თანხა არ უნდა იყოს შეუსაბამოდ მაღალი საქმეში არსებულ გარემოებებთან. ქართული სასამართლო

⁶¹⁵ ერთ-ერთ სამოქალაქო დავაში ადგილი ჰქონდა აღნიშნული საკითხის განმარტების შესაძლებლობას, რადგანაც მხარემ საკუთარი სურვილით შეწყვიტა დავა მოცემულ საკითხზე, სასამართლოს არ მიეცა სათანადო განმარტების გაკეთების საშუალება. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-269-256-2016, 12 დეკემბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი.

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებებში უმთავრესად დაცულია ერთგვაროვანი სტანდარტები, თუმცა ზოგიერთ საქმეებზე, სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს ინდივიდუალურ განმარტებებსაც, რაც თავის მხრივ, ახსნილია ამ საქმეთა სპეციფიკით.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი წარმოადგენს განსაკუთრებული სამართლებრივი დანიშნულების მქონე ნორმას, რომლითაც სასამართლოს მინიჭებული აქვს შესაძლებლობა შეამციროს მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუკი ის შეუსაბამოდ მაღალია საქმეში დადასტურებული გარემოებებით. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს მიდგომები უნდა იყოს მაქსიმალურად ერთგვაროვანი სტანდარტების დამდგენი.

მოქმედი კანონმდებლობით, მართლმსაჯულებას (მათ შორის სამოქალაქო საქმეებზე) ახორციელებენ სასამართლო ორგანოები.⁶¹⁶ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შინაარსი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის დანიშნულებას. ქართულ სამოქალაქო ლიტერატურაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნის საკითხი შესაძლებელია სადავოდ იქნეს გამხდარი, მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის მოვალის მიერ და სამოქალაქო პროცესში აღიარებული დისპოზიციურობისა და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მიიჩნიოს შეთანხმებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად. აღნიშნულის მიუხედავად, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ვხდებით პრეცედენტებს, როდესაც შეთანხმებული პირგასამტეხლო, სასამართლოს მიერ შემცირებულია მხარის მიმართვის გარეშე, ვინაიდან, შეთანხმებული თანხა მიჩნეულ იქნა შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის პირგასამტეხლოდ.

- სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მოქმედ რედაქციაში არსებული დეფინიცია „სასამართლოს შეუძლია,“ თავის მხრივ, გარკვეულ წილად არც გამორიცხავს აღნიშნული საკითხის სასამართლოს მხრიდან ინიცირებას, თუმცა,

⁶¹⁶ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი.

საკანონმდებლო დონეზე ამ შესაძლებლობის მკაფიოდ აღნიშვნა, კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინს 420-ე მუხლის პრაქტიკული გამოყენების პროცედურას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი „პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ“ საჭიროა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სასამართლოს შეუძლია სათანადო მიმართვის ან განსაკუთრებულ შემთხვევებში საკუთარი ინიციატივით, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“.

სასამართლოს მხრიდან, საკუთარი ინიციატივით (მხარის სათანადო მიმართვის არ არსებობის დროს), პირგასამტეხლოს შემცირება შესაძლებელი უნდა იყოს უკიდურესად განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ამ შესაძლებლობის არ გამოყენება დანიშნულებას უკარგავს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების იდეას. მაგ. ასეთ უკიდურეს, განსაკუთრებულ შემთხვევად უნდა შეფასდეს ვითარება, როდესაც სამოქალაქო დავაში არსებული გარემოებებით უდავოდ იკვეთება პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით არსებობა და ამგვარი პირგასამტეხლოს გადახდა ევალება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ სუსტ მხარეს, ფიზიკურ პირს (მომხმარებელს), რომელსაც არ გააჩნია სათანადო ფინანსური შესაძლებლობა ჰყავდეს იურიდიული კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი სასამართლოში, თავად ვერ ერკვევა კანონმდებლობაში, არ გააჩნია იურიდიული განათლება და არ არსებობს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის⁶¹⁷ შესაბამისად, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით, ადვოკატის დანიშვნის შესაძლებლობა.

ამ და მსგავს შემთხვევებში, როდესაც საქმეში არსებული გარემოებებით ცალსახად გამოიკვეთება პირგასამტეხლოს თანხის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობით არსებობა, სასამართლოს შესაძლებლობა ექნება (რაც, თავის მხრივ, არ გამოირიცხება 420-ე მუხლის მოქმედი რედაქციის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით), საკუთარი ინიციატივით მოახდინოს აღნიშნული საკითხის ინიცირება. აღნიშნულ შემთხვევებში, ცხადად უნდა ვლინდებოდეს, რომ სასამართლოს მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების საკითხის განხილვის გარეშე დატოვება, პირგასამტეხლოს გადამხდელ მხარეს ჩააყენებს უკიდურესად მძიმე ფინანსურ

⁶¹⁷ იხ. 2007 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“ N4955-ის, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21604?publication=25> >, [17.06.2021].

მდგომარეობაში. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან საკუთარი ინიციატივით პირგასამტეხლოს თანხის შემცირების საკითხის ინიცირება ნაკარნახები უნდა იყოს, მხოლოდ სამართლიანი მართლმსაჯულების დადგენის მიზნით და დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული სათანადო დასაბუთების გარეშე სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში ინტერვენცია.

ქართული პირგასამტეხლო უმთავრესად კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალში აღიარებული პრინციპების და დაწესებული რეგულაციების შესაბამისია. აღნიშნულის მიუხედავად, ქართული სამოქალაქო სამართალი არ იზიარებს იმ მიდგომებს, რომლებითაც მაგ. დასაშვებია პირგასამტეხლოს საგნის ფართო გაგება: მისი როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით (ქონებით, მოქმედებით) დადგენის შესაძლებლობა და სხვ.

საერთო სამართლის ქვეყნებში პირგასამტეხლოს გააჩნია, მხოლოდ საკომპენსაციო ხასიათი და აკრძალულია მისი გამოყენება ვალდებულების დამრღვევი მხარის დასჯის მიზნით. ნამდვილ, სამართლებრივი ძალის მქონე სახელშეკრულებო პირობად მიიჩნევა წინასწარ განსაზღვრული ზიანი (ინგ. liquidated damages) და არა მხარის დასჯის მიზნის მქონე შეთანხმებული ჯარიმა (ინგ. penalty).

საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ინსტრუმენტებში სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევებზე, მხარეთა მიერ წინასწარი შეთანხმების გზით განსაზღვრული ფულადი თანხები მოიაზრებს, როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებულ მიდგომებს და არ გამოიყენება განსხვავებული განმარტების მქონე ტერმინები (მაგ. პირგასამტეხლო, ჯარიმა და სხვა). სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის გადასახდელი ფულადი საზღაური მოიხსენიება, როგორც „ვალდებულების დარღვევისათვის წინასწარ შეთანხმებული ანაზღაურება“ (ინგ. agreed payment for non-performance).

ბე.

ქართულ სამოქალაქო სამართალში ბე სახელშეკრულებო უზრუნველყოფის ტრადიციული საშუალებაა. ძველ ქართულ სამოქალაქო სამართლის წყაროებში და ქართულ ჩვეულებით სამართალში დამკვიდრებული ტერმინი „წინდი“ ძველი

საბერძნეთის და რომის სამოქალაქო სამართალში ცნობილი *arra, arrha*-ს (ლათ.) მსგავსი ცნებაა. „წინდი“ გამოიყენებოდა, როგორც ვალდებულებით, ასევე საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში და გააჩნდა მსგავსი სამართლებრივი შინაარსი, როგორც ძველ ქართულ სამართლებრივ და საეკლესიო წყაროებში, ასევე ჩვეულებით სამართალში. საქართველოში რუსეთის იმპერიის მმართველობის დამყარების შედეგად შემოღებულ კანონმდებლობაში, ბე არ მიიჩნეოდა ხელშეკრულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელ საშუალებად და ბეს მარეგულირებელი წესები მოცემული იყო სხვადასხვა ურთიერთობათა მომწესრიგებელ ნორმებში. საქართველოს საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო კანონმდებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად ბეზე შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობას ანიჭებდა, მხოლოდ მოქალაქეებს და აკრძალული იყო ბეს გამოყენება სამოქალაქო ურთიერთობათა სხვა მონაწილეების (მაგ. იურიდიულ პირებს) მიერ.⁶¹⁸

მოქმედი სამოქალაქო კოდექსით ბეთი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს კერძო სამართლის ნებისმიერ პირთა შორის არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებები. ბე დგინდება ფულადი თანხით.⁶¹⁹ სამოქალაქო ურთიერთობებში ბეს ფართოდ გამოყენებას განაპირობებს მისი ფუნქციები: ბეს არსებობა ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობის დასტურია; ის უზრუნველყოფს ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას; ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, ბე ითვლება ძირითადი სახელშეკრულებო თანხის ანგარიშში და აკლდება სრულად გადასახდელ თანხას, რაც ამცირებს ვალდებულების შესრულების შემდგომ გადასახდელი თანხის ოდენობას (თუკი მხარეები არ თანხმდებიან სხვაგვარ წესზე); ბე უზრუნველყოფს ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესებს და ფინანსურ შედეგებს აკისრებს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელს მხარეს: როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელია ბეს მიმცემი მხარე, გადაცემული ბე რჩება ამღებს, თუკი ვალდებულების დარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბეს ამღებ მხარეს, ეს უკანასკნელი მიღებულ თანხას ორმაგად აბრუნებს.

⁶¹⁸ 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლი.

⁶¹⁹ ქართული სამოქალაქო სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ბეს საგნად უმთავრესად გამოიყენებოდა ფულადი თანხა, ზოგ შემთხვევაში ძვირფასი ნივთებიც (სამკაული).

ბესგან გამიჯნულ უნდა იქნეს ავანსი. ავანსი არ უზრუნველყოფს სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულებას და მხოლოდ ადასტურებს შემხვედრ სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულებამდე ფულადი საზღაურის წინასწარ გადახდას. შემხვედრი სახელმწიფოებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თანხა ბრუნდება უსაფუძვლო გამდიდრების წესების საფუძველზე, გადაცემული ოდენობით. როდესაც ვერ დასტურდება თანხის ბეს სახით გადაცემა, თანხა მიიჩნევა ავანსად.

ქართულ კანონმდებლობაში, ბეს ცნებას ვხვდებით სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების განკარგვის წესებში და აუქციონის ჩატარების დროს ბეს სახით თანხის გადახდა წარმოადგენს აუქციონში მონაწილეობის დასტურს. ამგვარი ბეს ოდენობა განისაზღვრება არა მხარეთა შეთანხმებით, არამედ სათანადო სამართლებრივი აქტებით. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც აუქციონის ჩამტარებლის, ასევე აუქციონის მონაწილეების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება, მხოლოდ ბეს სახით გადახდილი ან მიღებული თანხის (ერთმაგი) ოდენობით დაბრუნება-დატოვებით.

სამოქალაქო კოდექსის ბეს მომწესრიგებელი მუხლებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზით, ვლინდება მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა აღმოფხვრა საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს სამოქალაქო კოდექსში, ასევე სასამართლოს მხრიდან გარკვეულ მიდგომათა დანერგვას, ზოგ შემთხვევაში კი უკვე ჩამოყალიბებული განმარტებების დაცვას:

- სამოქალაქო კოდექსით, არ არის დაწესებული ბეს შეთანხმების სავალდებულო ფორმა. სამოქალაქო კოდექსის ტექსტში, ღიად დარჩენილი ეს საკითხი წლებია იწვევს მთელ რიგ სამართლებრივ პრობლემებს, რასაც მოწმობს მდიდარი სასამართლო პრაქტიკა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ბეს შეთანხმებას ნამდვილობისათვის ესაჭიროება იმ ხელშეკრულების ფორმის დაცვა, რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფს ბე. დადგენილი პრაქტიკით, თუკი სამოქალაქო კოდექსით, ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საკმარისია ზეპირი შეთანხმება, ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მხარეებს არ მოეთხოვებათ ბეს შეთანხმების წერილობით გაფორმება და პირიქით, როდესაც სამოქალაქო კოდექსით, წერილობითი ფორმა

(მარტივი ან რთული, ნოტარიული) აუცილებელი მოთხოვნაა ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, ასეთი ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ბეზე შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმის დაცვით.

საგულისხმოა, რომ სასამართლოს მხრიდან არაერთგზის განმარტებული ეს საკითხი სამოქალაქო ბრუნვაში კვლავ რჩება სამართლებრივი ბუნდოვანების საგნად სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყოფი პირებისათვის. შესაბამისად, იკვეთება სამოქალაქო კოდექსში ბეს შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ცვლილების შეტანის საჭიროება. ბეს ფორმასთან დაკავშირებით, კანონმდებლის მიერ მკაფიო პოზიციის დაფიქსირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელშეკრულებო ურთიერთობათა სიცხადეს და მათ განვითარებას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სამოქალაქო კოდექსში შესულ იქნეს ცვლილება სათანადო სამართლის ნორმის (მუხლის) დამატებით, რომლითაც დაწესდება ბეს შეთანხმების სავალდებულო ფორმა და ასეთ ფორმად მითითებულ უნდა იქნეს წერილობითი ფორმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა სამოქალაქო კოდექსს დაემატოს 421¹ მუხლი - „ბეს ფორმა“, შემდეგი შინაარსით: „შეთანხმება ბეს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.“

დასახელებული ცვლილებით, ერთიან რეგულაციაში იქნება მოქცეული მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა შეთანხმების ფორმები. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით გაამარტივებს იმ ფიზიკურ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო იურიდიული განათლება და მათ თავად, იურიდიული კვალიფიკაციის მქონე პირების გარეშე უწევთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა. ცხადია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებამდე, სამოქალაქო კოდექსის ტექსტის გაცნობა წარმოადგენს უფრო ნავარაუდევ მოქმედებას, ვიდრე სასამართლო პრაქტიკის ძიება.

მოცემული ცვლილება, ასევე შეუწყობს ხელს სასამართლო სისტემის მუშაობას. კერძოდ, მომავალში მნიშვნელოვნად იქნება შემცირებული ბეს შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებული დავების რაოდენობა და სასამართლოს არ მოუწევს უკვე დადგენილ პრაქტიკაზე მითითებით, დაუსრულებლად სამართლებრივი დავების გადაწყვეტა, რაც განტვირთავს, გადატვირთულ

სასამართლო სისტემას, ხოლო ხელშეკრულების მონაწილეებს თავიდან ააცილებს ბეს შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებულ დავებს და დაზოგავს მათ ხარჯებს.

- სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლით (ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში) მოწესრიგებულია ზიანის ანაზღაურების საკითხი ბეთი უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის დროს.

სამოქალაქო კოდექსით, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არაბრალეულ მხარეს გააჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ბეს თანხისგან დამოუკიდებლად. ბეს მიმცემის ბრალეულობის დროს, ბე მოიაზრებს ზიანის მინიმალურ ოდენობას და ის ითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. ბეს ამდები მხარის ბრალეულობის დროს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გააჩნია ბეს მიმცემ მხარესაც, თუმცა სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ უთითებს აღნიშნულ შემთხვევაში ბეს მინიმალურ ოდენობაზე.

ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებით არ იცვლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. სამოქალაქო კოდექსით, ბეთი უზრუნველყოფილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი დამოუკიდებელი მოთხოვნის საგანია. სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში“. შესაბამისად, ბეს მიმცემი მხარისგან ხელშეკრულების ბრალეულად დარღვევის დროს, მიღებული ბე მოიაზრება ე.წ. მინიმალური ზიანად (მიმღები მხარისათვის) და ის ითვლება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. აღნიშნულით, არ გამოირიცხება ანაზღაურების მოთხოვნა ზიანის იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება და არ იფარება ბეს თანხით.

სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულების დარღვევა ბეს მიმღები მხარის მიერ შეფასებულია უფრო მკაცრად, რის გამოც თუკი ვალდებულებას არღვევს ბეს მიმღები მხარე, მას ეკისრება მიღებული ბეს ორმაგად დაბრუნება. ამასთანავე, თუკი ბეს მიმცემი ვალდებულების დარღვევით განიცდის ზიანს, ბეს მიმღებს, ასევე ეკისრება ამ ზიანის ანაზღაურებაც. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მართებული იქნება, თუკი საკანონმდებლო ცვლილების სახით სამოქალაქო კოდექსში აღინიშნება, რომ ამ შემთხვევაში ორმაგად დასაბრუნებელი ბე ჩაითვლება მიყენებული ზიანის

ანაზღაურების ანგარიშში და ის აგრეთვე იქნება მოაზრებული ე.წ. მინიმალურ ზიანად. შესაბამისად, საჭიროა სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს სამართლის ნორმა, შემდეგი წინადადების სახით: „ორმაგად დასაბრუნებელი ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში“.

- სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთგვაროვანი ხასიათი წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა მიღწევადია გამართული საკანონმდებლო რეგულაციების არსებობით, ასევე სამართლის ნორმათა ერთგვაროვანი განმარტებებით ერთგვაროვან სამოქალაქო საქმეებზე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება),⁶²⁰ ერთ-ერთ ასპექტად მოიზარებს სასამართლო გადაწყვეტილებათა განჭვრეტადობას. რაიმე საკითხის სადავოდ გახდომის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებებით, განჭვრეტადი უნდა იყოს დავის მოსალოდნელი შედეგი. სასამართლის მიერ დადგენილი პრაქტიკა ერთგვაროვნად უნდა იქნეს გამოყენებული ერთგვაროვან საქმეებთან დაკავშირებით. აღნიშნული პოზიცია დაფიქსირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში - სტრასბურგის სასამართლო) არაერთ გადაწყვეტილებაში.

სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, როდესაც ადგილი აქვს მყარად დამკვირდებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლას, უზენაეს სასამართლოებს ეკისრებათ ამ გადახვევის გასამართლებელი არგუმენტების მოყვანა, რომელთა არ არსებობაც შეიძლება განხილულ იქნეს, საკუთრივ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დარღვევად.⁶²¹ გარემოებები, რომლებიც შეიძლება გახდეს დამკვირდებული პრაქტიკის შეცვლის მიზეზი უნდა იყოს განსაკუთრებული და უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე, ვიდრე სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება.⁶²² შესაბამისად, ერთგვაროვანი სტანდარტების დაცვა

⁶²⁰ ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> >, [17.06.2021].

⁶²¹ სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები), < [http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samartliani-sasamartlo-ganxilvis-upleba\(samoqalaqo\).pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samartliani-sasamartlo-ganxilvis-upleba(samoqalaqo).pdf) >, [17.06.2021].

⁶²² ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, GTZ, 2009, გვ. 103.

განაპირობებს მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას, ასევე ნდობით განაწყობს კერძო სამართლის სუბიექტებს სასამართლო ინსტიტუციებისადმი.

როცა კანონმდებლობაში არსებული რეგულაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანონის ან სამართლის ანალოგიით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ ანალოგიის ჯეროვნად გამოყენებას. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებთან მიმართებით, ამ მხრივ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის კანონის ანალოგიით გამოყენების საკითხი.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი კანონის ანალოგიის საფუძველზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს „შეუსაბამოდ მაღალი ბე“-ს არსებობის შემთხვევაში. მაგ. როგორც უკვე იქნა აღნიშნული სასამართლოს მიერ ერთ-ერთ სამოქალაქო დავაში,⁶²³ ბე, მიჩნეულ იქნა ავანსად, იმ საფუძველით, რომ გადაცემული თანხა შეადგენდა ნასყიდობის ხელშეკრულებით გადასახდელი თანხის 40%-ს და სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო, თანხა არ იქნა განხილული ბედ, როცა სახელშეკრულებო ურთიერთობაში გადაცემული თანხა შეთანხმებული იყო ბეს სახით და ბეს შეთანხმების მიმართ დაცული იყო ძირითადი ვალდებულების შეთანხმების ნამდვილობისათვის სავალდებულო წერილობითი ფორმაც (დადგენილი სასამართლო პრაქტიკით). თავისმხრივ, სამოქალაქო კოდექსში ვერ ვხვდებით, როგორც პირგასამტეხლოს, ასევე ბეს ოდენობის განსაზღვრის რაიმე კრიტერიუმს ან მათი ოდენობის განსაზღვრის მაქსიმალურ ან მინიმალურ ზღვარს. სამოქალაქო კოდექსით აღიარებულია, მხოლოდ მათი ფულადი ხასიათი.

ზემოაღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში, ადგილი აქვს სამართლებრივი ინსტიტუტების არასათანადო განმარტებას და მათ აღრევას, რაც ეწინააღმდეგება უკვე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას. აღნიშნულ შემთხვევაში, ძირითადი ვალდებულების სავალდებულო ფორმის დაცვით შეთანხმებული ბე, ავანსად მიჩნეულ იქნა, მხოლოდ იმ საფუძველით, რომ სასამართლოს მსჯელობით, ბეს სახით შეთანხმებული თანხა იყო შეუსაბამოდ მაღალი. ამ შემთხვევაში, მართებული იქნებოდა „შეუსაბამოდ მაღალი ბე“ შემცირებულიყო სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის კანონის ანალოგიის საფუძველზე.

⁶²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nსს-287-2020, 16 სექტემბერი, 2020 წელი, ქ. თბილისი.

სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოსთან მიმართებით გამოიყენება, როდესაც მხარეთა მიერ გამოხატულ ნებაში ჩარევა აუცილებელია სამოქალაქო ბრუნვის სიმტკიცის შესანარჩუნებლად.⁶²⁴ პირგასამტეხლოს მსგავსად, თუკი ბეს თანხა არის შეუსაბამოდ მაღალი, სასამართლოს მიერ ის შემცირებულ უნდა იქნეს ე.წ. სათანადო ოდენობამდე სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის ანალოგიით და ცხადია, ის არ უნდა იქნეს მიჩნეული წინასწარ გადახდად ე.წ. ავანსად (ან სხვა სამართლებრივ ინსტიტუტად), მხოლოდ მისი სიდიდის გამო. ბეს თანხის „შეუსაბამოდ მაღალ ბედ“ მიჩნევის დროს დაცულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები.

- ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებაში, აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. სასამართლომ ბეს სახით შეთანხმებული თანხა, რომელიც შეადგენდა სახელშეკრულებო თანხის 40%-ს, მიიჩნია ბესთვის დიდ მოცულობად.⁶²⁵ შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ბეს ოდენობა არ შეიძლება შეადგენდეს ან აღემატებოდეს ძირითადი ფულადი ვალდებულების 40%-ს. სასურველი იქნება, თუკი მოყვანილი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები შეფასება აისახება სამოქალაქო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილების სახით და 421-ე მუხლის ტექსტს დაემატება შემდეგი წინადადება: „ბე არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 25%-ს“.⁶²⁶

ბესგან, ისევე როგორც პირგასამტეხლოსგან განსხვავებულ უნდა იქნეს „გასამცლელი“, ე.წ. საჯარიმო თანხა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის.⁶²⁷ მისასაღმებელი იქნება, თუკი ქართულ სამართლებრივ ლიტერატურასა და სამოქალაქო ბრუნვაში კვლავ დაბრუნდება ხელშეკრულებიდან გასვლისათვის შეთანხმებული ჯარიმის აღმნიშვნელი, ეს მივიწყებული ტერმინი („გასამცლელი“). პირგასამტეხლო და ბე მიეკუთვნებიან სახელშეკრულებო ვალდებულების

⁶²⁴ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი გამოყენებულია არასათანადოდ და მხარეთა მიერ დადგენილი პირგასამტეხლოს თანხა არის შეუსაბამოდ მაღალი სასამართლო დავაში დადასტურებული გარემოებებით.

⁶²⁵ იმის მიუხედავად, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს ბეს თანხის ოდენობის განსაზღვრის პარამეტრებს და სამოქალაქო კოდექსით, აღნიშნული საკითხი თანხმდება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

⁶²⁶ ხელშეკრულების ღირებულების 25%, ანუ ხელშეკრულების ღირებულების მეოთხედი, ამ შემთხვევაში იქნება გონივრული და სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნის შესაბამისი.

⁶²⁷ იხ. ნაშრომის 3.2.7 ქვეპარაგრაფი.

უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს. გასამცლელი არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, ის წინასწარ განსაზღვრავს ვალდებულების შეწყვეტის შედეგს. ხელშეკრულების მონაწილეები გასამცლელი შეთანხმებით გამორიცხავენ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლებებს სამოქალაქო მოთხოვნებზე, მაგ. ზიანის ანაზღაურებაზე. სამოქალაქო კოდექსისათვის, უცნობია საკუთრივ „გასამცლელი“, ასევე „ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჯარიმო თანხის“ ცნება, თუმცა კოდექსით აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი არ გამორიცხავს ამგვარ შესაძლებლობას.

სამოქალაქო კოდექსი ბესთან მიმართებით უმთავრესად იზიარებს კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში არსებულ მიდგომებს, გარდა რიგი გამონაკლისებისა. მაგ. კონტინენტური სამართლის ზოგ ქვეყანაში ბე არ განიხილება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამოუკიდებელ საშუალებად და მისი მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია ცალკეულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა მარეგულირებელ ნორმებში; კონტინენტური სამართლის ქვეყნებში აღიარებულია ბეს საგნის ფართო გაგება (ფულადი, ქონებრივი) და მისი ოდენობის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა;⁶²⁸ ბეს შეთანხმების ნამდვილობისთვის წერილობითი ფორმის სავალდებულო ხასიათი უმთავრესად აღიარებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობაში; კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები არ გამორიცხავენ მხარეთა უფლებას ბეს გასამცლელი შინაარსით შეთანხმებაზე;⁶²⁹ კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში უმთავრესად შენარჩუნებულია ანტიკური პერიოდის სამართალში ჩამოყალიბებული პრინციპები ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ბეს თანხის სამართლებრივ ბედთან დაკავშირებით.⁶³⁰

საერთო სამართლის ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა განზრახვას სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეთანხმების

⁶²⁸ ზოგიერთ ქვეყანაში შეუსაბამოდ მაღალი ბე მცირდება შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების განმსაზღვრელი სამართლის ნორმის ანალოგიით.

⁶²⁹ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით, ბეს ცნება მოიაზრებს მხოლოდ გასამცლელი შინაარს.

⁶³⁰ ამ შემთხვევაში, გამონაკლისია გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის ნებისმიერი შემთხვევისათვის აწესებს, ბეს ერთმაგი ოდენობით ანაზღაურების შესაძლებლობას.

მომენტისათვის. როდესაც წინასწარ გადაცემული თანხა მოაზრებულია ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, თანხა მიიჩნევა ბედ (ინგ. earnest money, deposit), სხვა შემთხვევაში ავანსად (ინგ. advance payment, part payment, instalment). საერთო სამართალი იცნობს, მხოლოდ ბეს ერთმაგი ოდენობით დატოვების ან დაბრუნების შესაძლებლობას.⁶³¹ საერთო სამართალში, ასევე ცნობილია მხარეთა მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის ე.წ. ხელშეკრულებიდან გამოსყიდვის შესაძლებლობასაც (ინგ. withdrawal).

საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ინსტრუმენტებში იშვიათია ბეს მარეგულირებელი ნორმები, თუმცა ერთხმად არის აღიარებული რომ შეთანხმების დადების დროს, მხარეთა მიერ გამოხატული ნება განაპირობებს გადაცემული თანხების სამართლებრივ დანიშნულებას.⁶³²

მოვალის გარანტია.

მოვალის გარანტია საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში მოქმედების შესრულების შეპირების ფორმით შეთანხმებულ პირგასამტეხლოსთან ახლოს მყოფი სამართლებრივი ინსტიტუტია,⁶³³ რომელიც სამოქალაქო კოდექსში დამკვიდრდა გერმანული სამართლიდან.⁶³⁴ დღეისათვის, მოვალის გარანტია არ წარმოადგენს ფართოდ გამოყენებად საშუალებას. სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მოვალის გარანტიისადმი უნდობლობა და მისი არაპოპულარობა შეიძლება ახსნილ იქნეს ამ ინსტიტუტის სიახლით, სამართლებრივი ინფორმაციის სიმცირით და სასამართლო პრაქტიკის არ არსებობით.

მოვალის გარანტიით, ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს ძირითადი ვალდებულებისგან განსხვავებული ან უპირობო მოქმედების შეპირებით (და არა მოქმედებისგან თავის

⁶³¹ ბეს ოდენობა თანხმდება მხარეთა მიერ და დამკვიდრებული წესით ის ხელშეკრულების ფასის 10%-ია.

⁶³² მხარეთა მიერ გამოხატული ნებით განიმარტება, თანხების გადაცემა ხდება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესაძენად.

⁶³³ იოსელიანი ნ., მოვალის გარანტია, „სამართლი ჟურნალი“, N1, 2015, გვ. 142.

⁶³⁴ ქართული სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს წყაროს თურქმენეთისა და მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსებისათვის: მოვალის გარანტიის ცნება ჯერ დამკვიდრდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (1997 წელს), შემდგომ თურქმენეთისა (1998 წლის) და მოლდავეთის (2002 წლის) სამოქალაქო კოდექსებში.

შეკავებით). სამოქალაქო კოდექსში მოცემულია მოვალის გარანტიის სახით შესასრულებელ მოქმედებათა მახასიათებლები და არა მისი ჩამონათვალი. უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, მოვალის გარანტიას გააჩნია განსაკუთრებული უპირატესობა, მოვალის გარანტიით შეიძლება შეპირებულ იქნეს მხარეთათვის მისაღები ნებისმიერი არაკანონსაწინააღმდეგო ან მოვალისათვის არაზედმეტადმავალელებელი მოქმედება.

სამოქალაქო კოდექსში მოვალის გარანტიის მომწესრიგებელი ნორმების სიმცირის გამო, ამ ინსტიტუტის გარშემო არსებული სხვადასხვა საკითხები განმარტებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა ანალოგიით, ხოლო ზოგ შემთხვევაში საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა:

- სამოქალაქო კოდექსით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მოვალის გარანტიის გამოყენების უფლება მხარეებს აქვთ ვალდებულების სრული შეუსრულებლობის თუ არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში? სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული ორივე შემთხვევის გამოყენების შესაძლებლობა, თუკი მოვალის გარანტიით შეპირებული მოქმედება არ იქნება მოვალისათვის ზედმეტადმავალელებელი ვალდებულება.

- სამოქალაქო კოდექსის მოვალის გარანტიის მარეგულირებელ მუხლებში, ასევე ვერ ვხვდებით ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ წესებს. საკანონმდებლო დონეზე, ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ნორმების არ ქონა, გარკვეულ წილად, სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებისათვის ბუნდოვანს ხდის მოვალის გარანტიით უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ მექანიზმებს.

სამოქალაქო კოდექსით, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით დამდგარი ზიანის ანაზღაურება დამოუკიდებელი სამოქალაქო მოთხოვნაა (რაც საკანონმდებლო დონეზეა აღიარებული პირგასამტეხლოსა და ბეს მარეგულირებელ მუხლებში). აუცილებელია, რომ სამოქალაქო კოდექსში ამ სამართლებრივ შესაძლებლობაზე აღნიშნულ იქნეს მოვალის გარანტიასთან დაკავშირებითაც. პირგასამტეხლო და ბე წესდება ფულადი სახით, რაც გარკვეულ წილად ამარტივებს

ე.წ. მინიმალური ზიანის გამოთვლისა და ზიანის ანაზღაურების საკითხს. თუკი მოვალის გარანტიით ნაკისრი მოქმედების „ღირებულება“ შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს ფინანსურად (არ უკავშირდება მოვალის პიროვნულ, პროფესიულ ან სხვა უნარებს), ამგვარი მოვალის გარანტიის მიმართ, ასევე უნდა დაწესდეს ე.წ. მინიმალური ზიანის ანაზღაურების სტანდარტი.

შესაბამისად, საჭიროა სამოქალაქო კოდექსს დაემატოს 426¹ მუხლი „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოვალის გარანტიის დროს“, შემდეგი შინაარსით: „კრედიტორს შეუძლია მოვალეს მოთხოვოს ზიანის ანაზღაურება. მოვალის გარანტია ითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში“.

- მოვალის გარანტია უზრუნველყოფს კრედიტორი მხარის ინტერესებს. სახელშეკრულებო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ხელშეკრულების მხარეთა თანასწორუფლებიანობა, რის გამოც, სამოქალაქო კოდექსით, მოვალისათვის ზედმეტადმავალელებელი გარანტია ბათილი გარიგებაა. მოვალის გარანტიის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, ასევე წარმოადგენს, ამ გარიგების ბათილობის წინაპირობას. მოვალის გარანტიის ზედმეტადმავალელებელ და კანონშეუსაბამო ხასიათს ადგენს სასამართლო, რომელსაც გააჩნია მოვალის გარანტიის ბათილად ცნობის უფლებამოსილება. სამოქალაქო კოდექსით, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო და ზედმეტადმავალელებელი მოვალის გარანტიით ნაკისრი მოქმედების ფარგლების შემცირება. ამ შემთხვევაში, კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული ზედმეტადმავალელებელი და კანონსაწინააღმდეგო მოვალის გარანტიის სამართლებრივი ბედი და ცხადია, რომ კანონსაწინააღმდეგოცაა სამართლის ნორმის ანალოგიის გამოყენება. შესაბამისად, ზედმეტადმავალელებელი მოვალის გარანტიის დროს დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის კანონის ანალოგიის წესით გამოყენება.

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა ქართულ ენაზე

აგარკოვი მ.მ., ბრატუსი ს.ნ., გენკინი დ.მ., სერებროვსკი ვ.ი., შკუნდინი ზ.ი., სამოქალაქო სამართალი, ტ.1, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946.

ალექსიძე ლევან, გაგუა იამზე, დანელია მაია, კობახიძე ეკატერინე, რუხაძე ნინო, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, თბ., მერიდიანი, 2015.

ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., სამართალი, 1999.

ბენუა-რომერი ფლორანს, კლებესი ჰაინრიხ, ევროპის საბჭოს სამართალი პანევროპული სამართლებრივი სივრცისკენ, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2005.

ბიოლინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., სიესტა, 2009.

ბოიაკი ანდრეა ჯ., სახელშეკრულებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შეერთებული შტატების მაგალითზე, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III გამოცემა, 2014.

გზამკვლევითი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები), დოკუმენტის რედაქტირება: კვაჭაძე მარინა, ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017, < <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/konvenciis-me6-muxli.pdf> >.

დავიდი რენე, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ., გამომცემლობა განათლება, 1993.

დარჯანია თორნიკე, უზრუნველყოფითი ცესია და მოვალის გარანტია „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012.

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, Principles of European Contract law, საერთო რედ. ბუეკელავა ეროსი, ჭალიძე თამარ, ცერცვაძე არჩილ, გეგენავა დიმიტრი, თბ. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

ვაშაკიძე გიორგი, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N10/2007-1.

ზარანდია თამარ, ჯუღელი თეა, მოძრავი ნივთით მოთხოვნის უზრუნველყოფა ქართულ სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2009.

ზოიძე ბესარიონ, ბურდული ირაკლი, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის აქტუალური საკითხები, თბ., გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018.

ზოიძე ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005.

ზოიძე ბესარიონ, სანივთო სამართალი, თბ., გამომცემლობა უფლება, 1999.

ზოიძე ბესარიონ, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N6/2003-1.

თოდუა მზია, ვილემსი ჰუუბ, ვალდებულებითი სამართალი, თბ., საია, 2006.

თუმანიშვილი გიორგი, გარიგებები, სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.

თუმანიშვილი გიორგი, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, როგორ შევადგინოთ იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებები, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.

იოსელიანი ალექსანდრე, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი გამოკვლევა), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007.

იოსელიანი ნინო, ბე, „საქართველოს ნოტარიატი“, N4, 2005.

იოსელიანი ნინო, მოვალის გარანტია, „სამართალი ჟურნალი“, N1, 2015, <http://press.tsu.ge/data/file_db/elzhurnalebi/sjly2015.pdf>.

იოსელიანი ნინო, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების შედარებითი დახასიათება დსთ-ს ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, კრებულში: საქართველოს განვითარების პერსპექტივები (მეორე რესპუბლიკური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია), რედ. ჭელიძე დავით, თოქმაზიშვილი მიხეილ, ესაძე ლონდა, გეგეშიძე არჩილ, თბ., კავკასიის უნივერსიტეტი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2006.

ოსელიანი ნინო, პირგასამტეხლო, „საქართველოს ნოტარიატი“, N2-3, 2005.

ოსელიანი ნინო, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/samartlis%20Jurnali%20%202016.1.pdf>.

ოსელიანი ნინო, ხელშეკრულების განმარტება, „მართლმსაჯულება“, N3, 2007.

ოსელიანი ნინო, ხელშეკრულების განმარტება, რედ. ძლიერიშვილი ზურაბ, თბ., ბონა კაუზა, 2008.

კაპანაძე სულხან, პირგასამტეხლოს შემცირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2016.

კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., შპს გაზეთ საქართველოს მაცნეს სტამბა, 2001.

კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., გამომცემლობა საქართველოს მაცნე, 2003.

კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), თბ., გამომცემლობა მეცნიერება, 1989, <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/150779/1/Koridetis_Sabutebi_X-XIII.pdf>.

კროპკოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., GIZ, IRZ, 2014.

ლილუაშვილი თენგიზ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., გამომცემლობა ჯისიასი, 2005.

ლილუაშვილი თენგიზ, ხრუსტალი ვალერი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომცემლობა სანი, 2004.

მესხიშვილი ქეთევან, ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე (ნომინალიზმის პრინციპი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, V გამოცემა, 2016.

მესხიშვილი ქეთევან, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტ. I, თბ., GIZ, 2020.

მესხიშვილი ქეთევან, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III გამოცემა, 2014.

მესხიშვილი ქეთევან, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, V გამოცემა, 2016.

მესხიშვილი ქეთევან, წინასახელმეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელმეკრულება, ბე (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, VI გამოცემა, 2017.

მეტრეველი ვალერიან, ქართული სამართლის ისტორია, თბ., მერიდიანი, 2005.

ნადარეიშვილი გიორგი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., გამომცემლობა სამთავისი, 2001.

ნადარეიშვილი გიორგი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომცემლობა სამთავისი, 1996.

ნაჭყებია ალექო, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., GIZ, 2014.

ნაჭყებია ალექო, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), თბ., GIZ, 2019.

ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., მერანი, 1991.

ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., მერანი, 1993.

ჟვანია გ., ფურცელაძე დ., ქავთარაძე პ., წერეთელი თ., იურიდიული ტერმინოლოგია, რუსულ-ქართული ნაწილი, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2007.

როგავა რუსუდან, უზრუნველყოფითი ცესია და მოვალის გარანტიის სამართლებრივი ბუნება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012.

რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები, ლათ. თარგ. სურგულაძე ნუგზარი, თბ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ჭანტურია ლადო, ავტორები: ბურდული ირაკლი, გაწერელია

აკაკი, დარჯანია თორნიკე, ეგნატაშვილი დემეტრე, ზოიძე ბესარიონ, ზუბიტაშვილი ნონა, კვანტალიანი ნუნუ, კორძია თამარ, მახარობლიშვილი გიორგი, რუსიაშვილი გიორგი, სვანაძე გიორგი, ტაკაშვილი სიმონი, ჩაჩავა სოფიო, ჭანტურია ლადო, ჯორბენაძე სერგი, თბ., მერიდიანი, 2017.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, რედ. ჭანტურია ლადო, ავტორები: თოთლაძე ლევან, რუსიაშვილი გიორგი, ჭეჭელაშვილი ზურაბ, შოთაძე თამარ, თბ., გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლადო, ავტორები: ვაშაკიძე გიორგი, გელაშვილი ირმა, ბალიშვილი ეკატერინე, რუსიაშვილი გიორგი, ალადაშვილი აკაკი, მესხიშვილი ქეთევან, მოწონელიძე ნატალია, ბათლიძე გიორგი, ჯორბენაძე სერგი, გაწერელია აკაკი, სვანაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, თბ., გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2019.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, ავტორები: ჰაგენლოხი ულრიხ, ალავიძე ბესარიონ, ბაქაქური ნინო, ბერეკაშვილი დიანა, გასიტაშვილი ეკატერინე, თოდუა მზია, მესხიშვილი ქეთევან, ქათამაძე პაატა, ძლიერიშვილი ზურაბ, თბ., GIZ, 2020.

სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში, თბ., მერიდიანი, 2003.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორები: ბურდული ირაკლი, გოცირიძე ევა, ერქვანია თინათინ, ზოიძე ბესარიონ, იზორია ლევან, კობახიძე ირაკლი, ლორია არჩილ, მაჭარაძე ზურაბ, ტურავა მერაბ, ფირცხალაშვილი ანა, ფუტყარაძე იაკობ, ქანთარია ბექა, წერეთელი დავით, ჯორბენაძე სანდრო, თბ., გამომცემლობა შ.პ.ს. პეტეტი, 2013.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§156-310, ავტორები: ნადარაია ლევან, როგავა ზვიად, რუხაძე კახა, ბოლქვაძე ბონდო, თბ., EWMI, 2012.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტ. II, რედ. ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ხუთ წიგნად, წიგნი მეხუთე, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებები, რედ. ჭანტურია ლადო, ზოიძე ბესარიონ, ნინიძე თედო, შენგელია რომან, ხეცურიანი ჯონი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2000.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლოს საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011.

სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6 მუხლთან დაკავშირებით სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები), <[http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samartliani-sasamartlo-ganxilvis-upleba\(samoqalaqo\).pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samartliani-sasamartlo-ganxilvis-upleba(samoqalaqo).pdf)>.

ურბნელი ნიკოლოზ (ნიკო), ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ტფილისი, სტამბა-ლიტოგრაფია მესხიევისა და პოლეტაევისა, 1890, <http://www.library.court.ge/upload/atabagni_beqa_da_aghbugha_da_maTi_samartali.pdf>.

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XX, გეორგიკა, ტ. VII, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, რედ. ყაუხჩიშვილი სიმონ, თბ., გამომცემლობა მეცნიერება, 1967, <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3428/1/Georgika_1967_Tomi_VII.pdf>.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, რედ. დოლიძე ისიდორე, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.

ქართული ჩვეულებითი სამართლი, მთავარი რედ. კეკელია მიხეილ, ტ. IV, თბ., მეცნიერება, 1993.

შენგელია რომან, საოჯახო სამართალი, თბ., მერიდიანი, 1999.

შმიტი შტეფან, რიჰტერი ჰარალდ, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, თბ. GIZ, 2013.

შნიტგერი ჰაინრიჰ, საკრედიტო სამართალი, ლუთრინგჰაუსი პეტერ, დელიქტური სამართალი, შუშკე ვინფრიდ, სააღსრულებო სამართალი, ტოლკმიტი იან, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბ., სიესტა, 2011.

შოთაძე თამარ, სანივთო სამართალი, თბ., მერიდიანი, 2014.

ჩანტლაძე მადი, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N5/2002-1.

ჩიკვაშვილი შალვა, საოჯახო სამართალი, თბ., მერიდიანი, 2000.

ჩიტაშვილი ნათია, პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველმყოფი ფუნქცია, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, N2/2020.

ციპელიუსი რაინჰოლდ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადაამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, ბეკის გამომცემლობა, GTZ, 2009.

ძლიერიშვილი ზურაბ, ვალდებულების შესრულება, თბ., მერიდიანი, 2006.

ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელშეკრულებო სამართალი, თბ., მერიდიანი, 2014.

წკეპლაძე ნათია, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N6/2003-1.

ჭანტურია ლადო, ზარანდია თამარ, ცერცვაძე გიორგი, ზოიძე თამარ, ჩიტაშვილი ნათია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, < https://old.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/gadawyvetilebebis%20krebuli.pdf >.

ჭანტურია ლადო, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2012.

ჭანტურია ლადო, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გამომცემლობა სამართალი, 2000.

ჭეჭელაშვილი ზურაბ, სახელმშეკრულებო სამართალი, თბ., ბონა კაუზა, 2008.

ჭეჭელაშვილი ზურაბ, სახელმშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., ბონა კაუზა, 2016.

ჯავახიშვილი ივანე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.

ჯორბენაძე სერგი, საჯარიმო თანხის არსებობის პერსპექტივა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, N2/2019.

ჯორბენაძე სერგი, ხელმშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2017.

ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია, თბ., მერიდიანი, 2004.

ლიტერატურა ინგლისურ ენაზე

A Guide to UNCITRAL, Basic Facts About the United Nations Commission on International Trade Law, Vienna, United Nations, 2007, <<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/12-57491-guide-to-uncitral-e.pdf> >.

Adams J., Brownsword R., Understanding Contract Law, 4th ed., Sweet & Maxwell, 2004.

Atiyah P.S., An Introduction to the Law of Contract, 5th ed., Oxford, Clarendon Press, 1995.

Beale H., Fauvarque-Cosson B., Rutgers J., Tallon D., Vogenauer S., Cases, Materials and Text on Contract Law, 2nd ed., Oxford and Portland, Hart Publishing, 2010.

Beatson J., Anson's Law of Contract, 27th ed., Oxford University Press, 1998.

Bell J., Boyron S., Whittaker S., Principles of French Law, Oxford University press, 1998.

Benjamin P., Penalties, Liquidated damages and Penal Clauses in Commercial Contracts: A Comparative Study of English and Continental Law, "International and Comparative Law Quarterly", Vol. 9, 1960.

Burrows A., Remedies for Torts and Breach of Contract, 2nd ed., London, Dublin, Edinburgh, Butterworth, 1994.

Calamari J. D., Perillo J.M., The Law of Contracts, 4th ed., St, Paul, Minn. West Group, 1998.

Chirelstein M.A., Concepts and Case Analysis in the Law of Contracts, 3rd ed., New York, Foundation Press, 1998.

Chitty J., Chitty on Contracts, Vol. 1, 28th ed., London, Sweet & Maxwell, 1999.

CISG Advisory Council Opinion No. 10, <https://www.cisgac.com/file/repository/CISG_AC_Opinion_No_10_English.pdf>.

Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), Edited by Vogenauer S., Kleinheisterkamp J., Oxford University Press, 2009.

Contract: Cases and Materials, by Beale H. G., Bishop W. D., Furmston M. P., 2nd ed., London, Edinburgh, Butterworths, 1990.

Contract Law: Selected Source Materials, Selected and Edited by Burton S.J., St.Paul, Minn., West Publishing Co. 1995.

Dictionary of Greek and Roman Antiquities, Edited by Smith W., 2nd ed., Boston, Little, Brown and Company, 1865, <<https://ia601408.us.archive.org/8/items/dictionaryofgree00smituoft/dictionaryofgree00smituoft.pdf>>.

Duxbury R., Contract in a Nutshell, 7th ed., London, Sweet & Maxwell, 2006.

Economic Analysis of Law, by Posner R.A., Boston, Toronto, London, Little, Brown and Company, 1992.

English Private Law, Vol. II, Edited by Birks P., Oxford University Press, 2000.

European Contract Code, Book One, Contracts in General, <https://www.eurcontrats.eu/site2/newdoc/Norme%20Libro%20I-inglese_.pdf>.

European Contract Code, Book Two, Sale, <https://www.eurcontrats.eu/site2/newdoc/Norme%20LibroII-inglese_.pdf>.

European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Edited by Fauvarque-Cosson B., Mazeaud D., Munich, Sellier, European Law Publishers, 2008, <http://www.legiscompare.fr/site-web/IMG/pdf/CFR_I-XXXIV_1-614.pdf>.

Ferris S.V., Liquidated Damages Recovery Under the Restatement (Second) of Contracts, "Cornell Law Review", Vol., 67, Issue 4, April, 1982, <<https://core.ac.uk/download/pdf/216747853.pdf>>.

Fosbrook D., Laing A.C., The A-Z Contract Clauses, 3rd ed., London, Sweet & Maxwell, 2006.

Fundamentals of American Law, General Editor Morrison A.B., Oxford University Press, 1996.

Furmston M.P., Cheshire, Fifoot, and Furmston's Law of contract, 13th ed., London, Edinburgh, Dublin, Butterworth, 1996.

Garcia I. M., Enforcement of Penalty Clauses in Civil and Common Law: A Puzzle to be Solved by the Contracting Parties, "European Journal of Legal Studies", Vol. 5, Issue 1, Spring/Summer 2012, <<https://cadmus.eui.eu/handle/1814/24818>>.

Grishin D.A., The Concept of Forfeit: Basic Principles, "Review of Central and East European Law", Volume 26, Issue 1, 2000.

Guest A.G., Anson's law of contract, 26th ed., Oxford, Clarendon Press, 1984.

Hebert P.M., The Function of Earnest Money in the Civil Law of Sales, "Loyola Law Journal", Vol. XI, N3, 1930.

Herbots J., Contract Law in Belgium, Deventer, Boston, Kluwer Law and Taxation Publishers, 1995.

Herman S., The Contribution of Roman Law to the Jurisprudence of Antebellum Louisiana, "Louisiana Law Review", Vol. 56, N2, Winter 1996, <<http://digitalcommons.law.lsu.edu/lalrev/vol56/iss2/2>>.

Horn N., Kötz H., Leser H.G., German Private and Commercial Law: An introduction, translated by Weir T., Oxford, CLARENDON PRESS, 1982.

Hubert Bocken H., Bondt W., Introduction to Belgian Law, Bruxelles, Bruylant, The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 2001.

International Encyclopedia of Comparative law, Vol. VII, Contracts in General, Chief Editor Mehren A.V., Chapter 16, Remedies for Breach of Contract, by Treitel G.H., Tubingen, Mouton, The Hague, Paris, Mohr J.C.B. (Siebeck P.), 1976.

International Sales Law, United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods, Commentary by Fritz E., Dietrich M., New York, London, Rome, Oceana Publications, 1992.

Introduction to German law, Edited by Ebke W.F., Finkin M.W., The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 1996.

Ioseliani N., Debtor's Guarantee, "Journal of Law", N1, 2015, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/2015,%201%20_Journal%20of%20Law.pdf>.

Ioseliani N., Disproportionally High Contract Penalties and Role of the Court in the Sphere of Protection of Civil Interests, "Journal of Law", N1, 2016, <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Journal%20of%20Law_Eng.%202016-1..pdf>.

Kerameus K.D., Kozyris P.J., Introduction to Greek Law, 3rd revised ed., Alphen aan den Rijn, Kluwer Law International, 2008.

Komarov A., The Limitation of Contract Damages in Domestic Legal Systems and International Instruments, Contract Damages Domestic and International Perspectives, Edited by Saidov D., and Cunnington R., Oxford and Portland, Oregon, Hart Publishing, 2008.

Larsen J. E., Core Concepts of Real Estate Principles and Practices, Wiley, 2003.

Lewison K., Interpretation of Contracts, 3rd ed., London, Sweet & Maxwell, 2004.

Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Edited by Basedow J., Klaus J. H., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, 2012.

McAuley M., One thousand years of arra, "McGill Law Journal", Issue 23:4. 1977, <<https://lawjournal.mcgill.ca/wp-content/uploads/pdf/5406538-mcauley.pdf>>.

Mckendrick E., Contract Law, 6th ed., Palgrave Macmillan, 2005.

Mckendrick E., Contract Law, Text, Cases and Materials, 4th ed., Oxford University Press, 2010.

Model Clauses for the Use of the UNIDROIT Principles of International commercial contracts, Rome, Unidroit, 2013, <<http://www.unidroit.org/english/principles/modelclauses2013/modelclauses-2013.pdf>>.

Mousourakis G., Fundamentals of Roman Private Law, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2012.

Murray A.S., Manual of Mythology: Greek and Roman, Norse and Old German, Hindoo and Egyptian Mythology., reprinted from 2nd revised London ed., New York, Scribner, Armstrong & Co., 1875, <https://archive.org/details/manualofmytholog00murr_0/page/n7/mode/2up>.

Nicholas B., The French law of contract, 2nd ed., Oxford, CLARENDON PRESS, 1996.

O'Sullivan J., Hilliard J., The Law of Contract, Oxford University Press, 2004.

Poole J., Textbook on Contract Law, 7th ed., Oxford University press, 2004.

Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference (DCFR), Outline Edition, Prepared by the Study Group on a European Civil Code

and the Research Group on EC Private Law (Acquis Group), Based in part on a revised version of the Principles of European Contract Law, Edited by Bar C., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Veneziano A., Zoll F., Munich, Sellier, European law publishers GmbH, 2009, <<https://www.tilolawyers.com/Portals/8/PDF/Conventions/DCFR.pdf>>.

Samuel G., Law of Obligations, Cheltenham, Northampton, MA, Edward Elgar Publishing Ltd, 2010.

Schwenzer I., Hachem P., Kee C., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, 2012.

Smith J., Smith and Thomas, A Casebook on Contract, 10th ed., London, Sweet & Maxwell, 1996.

Smith J., Smith and Thomas, A Casebook on Contract, 11th ed., London, Sweet & Maxwell, 2000.

Smith J.C., The Law of Contract, 4th ed., London, Sweet & Maxwell, 2002.

Smith S.A., Contract Theory, Oxford University Press, 2004.

Soviet Statutes and Decisions, Vol. 21, Issue 3, Spring 1985.

The Principles of European Contract Law, Parts I and II, prepared by The Commission On European Contract Law, Edited by Lando O., Beale H., The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 2000.

Thomas J.A.C., Arra in Sale in Justinian's Law, "Tijdschrift voor Rechtsgeschiedenis / Revue d'Histoire du Droit / The Legal History Review", Vol. 24, Issue 3, 1956.

Thomas H.R., Smith G.R., Cummings D.J., Enforcement of Liquidated Damages, „Journal of Construction Engineering and Management“, December, 1995.

Treaty Series, Treaties and international agreements registered or filed and recorded with the Secretariat of the United Nations, Vol. 1162, New York, United Nations, 1987, <<https://treaties.un.org/doc/publication/UNTS/Volume%201162/v1162.pdf>>.

Treitel G.H., The Law of Contract, 9th ed., London, Sweet & Maxwell, 1995.

Treitel G.H., The Law of Contract, 10th ed., London, Sweet & Maxwell, 1999.

Uniform Commercial Code, <<https://www.law.cornell.edu/ucc>>.

UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Rome, Unidroit, 1994, <<https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles1994/1994fulltext-english.pdf>>.

UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2004, Rome, Unidroit, 2004, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2004/integralversionprinciples2004-e.pdf>>.

UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2010, Rome, Unidroit, 2010, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf>>.

UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2016, Rome, Unidroit, 2016, <<https://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2016/principles2016-e.pdf>>.

United Nations Commission on International Trade Law, New York, United Nations Publication, 1986, <<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/uncitral-e.pdf>>.

United Nations Commission on International Trade Law, Yearbook, Vol. XIV:1983, New York, United Nations Publication, 1986, <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/yb_1983_e.pdf>.

Wheeler S., Shaw J., Contract Law, Cases, Materials and Commentary, Oxford, Clarendon Press, 1994.

Whincup M.H., Contract Law and Practice, The English System and Continental Comparisons, 4th ed., The Hague, London, Boston, Kluwer Law International, 2001.

Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Oxford, Clarendon Press, 1996.

ლიტერატურა რუსულ ენაზე

Анненков К.Н., Система русского гражданского права, Т.3., Право обязательственные, СПб, Типография М.М. Стасюлевича, 1898.

Байков А.М., Обязательственное право, Часть I, Рига, Балтийский Русский Институт, 2005.

Барон Ю., Система римского гражданского права, в 6-ти книгах, СПб, Юридический центр Пресс, 2005.

Бевзенко Р.С., Неустойка, выраженная в неденежной форме, «Законодательство», №6, 2006.

Белов В.А., Гражданское право: Общая и особенная части, М., АО Центр ЮрИнфор, 2003.

Борисов А.Б., Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, 2-ое издание, М., Книжный мир, 2003.

Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга I, Общие положения, М., Статут, 2001.

Вебер Х., Обеспечение обязательств, Kreditsicherungsrecht, пер. с немецкого Алексеева Ю., Иванова О., М., Волтерс Клувер, 2009.

Венская конвенция о договорах международной купли-продажи товаров, Комментарий, М., Юридическая литература, 1994.

Гайдаенко Н.И., Грачев Д.О., Залесский В.В., Меркулова Т.А., Сакович О.М., Семилютина Н.Г., Соловьева С.В., Терновая О.А., Шрам В.П., Обеспечение обязательств по договорам: неустойка, поручительство, задаток (часть вторая), «Журнал зарубежного законодательства и сравнительного правоведения», N3/2005.

Гарсиа Гарридо М.Х., Римское частное право: Казусы, иски, институты, пер. с испанского, отв. ред. Кофанов Л.Л., М., Статут, 2005.

Гомола А.И., Гражданское право, М., АCADEMIA, 2003.

Гонгало Б.М., Учение об обеспечении обязательств, М., Статут, 2002.

Горбачева Л.Н., Гражданское право, М., Академический Проект: Фонд Мир, 2005.

Гражданское право, под ред. Залесского В.В., Рассолова М.М., М., ЮНИТИ-ДАНА: Закон и право, 2002.

Гражданское право, в 3-х томах, Т.1., 6-ое издание, под ред. Толстого Ю.К., Сергеева А.П., М., Издательство ПРОСПЕКТ, 2006.

Гражданское право, в 4-х томах, Т.1, Общая часть, 3-е издание, под ред. Суханова Е.А., М., Волтерс Клувер, 2007.

Гражданское право, в 4-х томах, Т.3, Обязательственное право, 3-е издание, под ред. Суханова Е.А., М., Волтерс Клувер, 2007.

Гражданское право, Часть I., под ред. Толстого Ю.К., Сергеева А.П., СПб, Издательство Теис, 1996.

Гражданское право, Часть 1, 2-ое издание, под ред. Калпина А.Г., Масляева А.И., М., Юристь, 2002.

Гражданское уложение, проект высочайше учрежденной редакционной комиссии по составлению проекта гражданского уложения, 1905, <<http://oldlawbook.narod.ru/proektGU.htm>>.

Гришаев С.П., Гражданское право: в вопросах и ответах, Часть 1, М., Юрист, 2002.

Гришин Д.А., Неустойка: теория, практика, законодательство, М., Статут, 2005.

Гуев А.Н., Гражданское право, Т I, М., Инфра-М, 2003.

Гуляев А.М., Русское гражданское право, обзор действующего законодательства и проекта гражданского уложения, Киев, Крещатик, д. №33, СПб, Н.Я. Екатерининская, д. №4, 1907.

Дернбург Г., Пандекты, Т. II., Обязательственное право, пер. Соколовского П., 3-ое издание, М., 1911.

Договорное право по решениям кассационного сената, 2-ое издание, Владимир, Типография губернского правления, 1880.

Зарандия Т., Правовое регулирование обеспечения исполнения обязательств в Грузии, < <https://cat.convdocs.org/docs/index-25566.html> >.

Иоселиани Н., Сравнительная характеристика средств обеспечения требований, установленных Гражданским кодексом Грузии и гражданскими кодексами стран СНГ, Закон: стабильность и динамика, отв. ред. Хабриева Т.Я., М., Юрид. фирма КОНТРАКТ, 2007.

Иоффе О.С., Обязательственное право, М., Юридическая литература, 1975.

Кавелин К.Д., Избранные произведения по гражданскому праву, М., Центр юринфор, 2003.

Кавелин К. Д., Право и обязанности по имуществам и обязательствам, СПб, Типография М.М. Стасюлевича, 1879.

Канашевский В.А., Внешнеэкономические сделки: материально-правовое и коллизионное регулирование, М., Волтерс Клувер, 2008.

Кассо Л.А., Запродажа и задаток, М., Издание книжного магазина И.К. Голубева, под фирмою Проведение, 1904.

Карапетов А.Г., Неустойка как средство защиты прав кредитора в российском и зарубежном праве, М., Статут, 2005.

Ковалевский М.М., Закон и обычай на кавказе, Т.2, М., Типография А.И. Мамонтова и Ко, 1890.

Комиссия организации объединенных наций по праву международной торговли, Ежегодник, Том XIV:1983, Нью-Йорк, Организация объединенных наций, 1985,

<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/ru/yb_1983_r-pages-1-344.pdf>,

<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/ru/yb_1983_r-pages-345-721.pdf>.

Комментарий к гражданскому кодексу Кыргызской республики, части первой, отв. ред. Галлямова Н.С., Т.2, Бишкек, Академия, 2005.

Кох Х., Магнус У., Винклер Фон Моренфельс П., Международное частное право и сравнительное правоведение, пер. с немецкого Юмашева Ю.М., М., Международные отношения, 2001.

Краснокутский В.А., Кляцкин М.Г., Рындзюнский Г.В., Практика договоров, 2-ое издание, М., Юридическое издательство наркомюста Р.С.Ф.С.Р., 1926.

Куликов Е.С., Соглашение о задатке в гражданском праве России, М., Волтерс Клувер, 2011.

Курзински-Сингер Е., Зарандия Т., Рецепция немецкого вещного права в Грузии, «Вестник гражданского права», N1, 2012, <<http://www.library.court.ge/upload/69192015-08-22.pdf>>, [17.06.2021].

Лунц Л.А., Деньги и денежные обязательства в гражданском праве, 2-ое изд., М., Статут, 2004.

Марр Н.Я., Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, СПб, Известия Императорской академии наук, VI серия, 5:4, 1911, <<http://www.mathnet.ru/links/c68ae046abc89845c24f3fb0aedbe580/im6876.pdf>>.

Мейер Д.И., Русское гражданское право, Часть 2, М., Статут, 1997.

Мережко АА., Договор в частном праве, Киев, Юстиниан, 2003.

Модельные правила европейского частного права, пер. с английского, научный редактор Рассказова Н.Ю., М., Статут, 2013.

Морандьер Л. Жюллио де ла, Гражданское право Франции, пер. с французского Флейшиц Е. А., Т.2, М., Издательство иностранной литературы, 1960.

Новицкий И.Б., Римское право, 6-ое издание М., Теис, 1996.

Римское частное право, под. ред. Новицкого И.Б., Перетерского И.С., М., Юристь, 1996.

Памятники грузинского права, Т.1, Законы Вахтанга VI, Тбилиси, Издательство Мецниереба, 1980.

Пахман С.В., История кодификации гражданского права, Т.II, СПб, Титография второго отделения собственной Е.П.В. канцелярии, 1876, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/106/>>.

Пергамент М.Я., Договорная неустойка и интерес в римском и современном гражданском праве, Одесса, Экономическая типография, 1899, <<http://civil.consultant.ru/reprint/books/271/1.html>>.

Победоносцев К.П., Курс гражданского права, Часть 3, Договоры и обязательства, М., Статут, 2003.

Покровский И.А., История римского права, СПб, Издательство торговый дом летний сад, 1998.

Пухан И., Поленак-Акимовская М., Римское право, пер. с макидонского, под ред. Томсинова В.А. М., ЗЕРЦАЛО-М, 2003.

Санфилиппо Ч., Курс римского частного права, пер. с итальянского, под общей ред. Дождева Д. В., М., Норма, 2007.

Сарбаш С.В., Исполнение договорного обязательства, М., Статут, 2005.

Свод Законов Российской Империи, Т.Х., 1900, < <http://civil.consultant.ru/reprint/books/211/> >.

Синайский В.И., Русское гражданское право, Выпуск II, Обязательственное, семейное и наследственное право, Киев, Типография Р.К. Лубковского, 1915.

Слипченко С.А. Смотров О.И., Кройтор В.А., Гражданское и семейное право, Харьков, 2004.

Советское гражданское право, Часть 1, 3-ое издание, Отв. редактор Рясенцев В.А., М., Юридическая литература, 1986.

Фоков А.П., Попонов Ю.Г., Черкашина И.Л. Черкашин В.А., М., Гражданское право, Общая и особенная части, М., КНОРУС, 2007.

Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, 6-ое издание, СПб, Издание Бр. Башмаковых, 1907.

Шиловост О.Ю., Отступное в гражданском праве, М., Статут, 1999.

საქართველოს საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლო

2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nსს-1485-2020, 4 მარტი, 2021 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nსს-991-2020, 18 თებერვალი, 2021 წელი, ქ. თბილისი.

2020

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nსს-287-2020, 16 სექტემბერი, 2020 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-831-2019, 30 მარტი, 2020 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1476-2019, 7 თებერვალი, 2020 წელი, ქ. თბილისი.

2019

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1302-2018, 6 ივნისი, 2019 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-164-164-2018, 25 იანვარი, 2019 წელი, ქ. თბილისი.

2018

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-875-817-2017, 21 მარტი, 2018 წელი, ქ. თბილისი.

2017

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1060-980-2017, 10 ნოემბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-862-828-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი, ქ. თბილისი.

2016

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-269-256-2016, 12 დეკემბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-144-140-2016, 19 აპრილი, 2016 წელი, ქ. თბილისი.

2015

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-512-485-2015, 17 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-222-209-2015, 6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-943-905-2014, 8 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-29-26-2015, 27 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-506-479-2014, 18 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

2014

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-275-259-2014, 5 დეკემბერი, 2014 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1200-1145-2013, 16 მაისი, 2014 წელი, ქ. თბილისი.

2012

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-373-354-2012, 17 მაისი, 2012 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება Nბს-740-734 (2კ-11), 17 იანვარი, 2012 წელი, ქ. თბილისი.

2011

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nბს-1522-1501 (კ-11), 26 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება Nბს-735-729 (კ-11), 20 დეკემბერი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-867-917-2011, 15 ივლისი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nზს-1840-1794 (კ-10), 9 ივნისი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nზს-12-11 (კ-11), 14 თებერვალი, 2011 წელი, ქ. თბილისი.

2010

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-379-352-2010, 19 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-623-584-10, 7 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nზს-335-324 (2კ-10), 16 სექტემბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-1234-1493-09, 10 ივნისი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება Nას-216-205-2010, 31 მაისი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება Nზს-1469-1403 (კ-09), 21 აპრილი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება Nას-1015-1287-09, 4 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

2009

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება Nზს-446-425 (კ-09), 5 ნოემბერი, 2009 წელი, ქ. თბილისი.

2008

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება Nზს-302-285 (კ-07), 31 იანვარი, 2008 წელი, ქ. თბილისი.

2007

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-474-822-07, 26 დეკემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-610-991-06, 5 თებერვალი, 2007 წელი, ქ. თბილისი.

2006

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-346-748-06, 14 დეკემბერი, 2006 წელი, ქ. თბილისი.

2005

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-288-652-05, 4 ოქტომბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-501-828-05, 28 სექტემბერი, 2005 წელი, ქ. თბილისი.

2004

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-303-597-04, 12 ოქტომბერი, 2004 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება Nას-445-1140-03, 17 თებერვალი, 2004 წელი, ქ. თბილისი.

2002

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ-480-02, 19 ივლისი, 2002 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/1147-01, 6 თებერვალი, 2002 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/1122-01, 1 თებერვალი, 2002 წელი, ქ. თბილისი.

2001

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/467-01, 27 ივნისი 2001 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/182-01, 6 აპრილი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/68-01, 7 მარტი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება N3კ/865, 24 იანვარი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება N3კ/80-01, 17 იანვარი, 2001 წელი, ქ. თბილისი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება N2/ზ-584-14, 10 ოქტომბერი, 2014 წელი, ქ. ქუთაისი.

საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებები

Workers Trust and Merchant Bank Ltd v Dojap Investments Ltd [1993] AC 573.

Jobson v. Johnson [1989] 1 WLR 1026.

Dunlop Pneumatic Tyre Co Ltd v New Garage & Motor Co Ltd [1915] AC 79.

United States v. Bethlehem Steel Corp. 205 U.S. 105 [1907].

საქართველოს კანონმდებლობა

- საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 26.05.1918წ.
- საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, N95, 09.04.1991წ.
- საქართველოს კონსტიტუცია, N786, 24.08.1995წ.

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, N1958-III, 05.02.2014წ.
- საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, N786-III, 26.06.1997წ.
- საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, N1106, 14.11.1997წ.
- საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, N1362-III, 29.04.1998წ.
- საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, N4955-IX, 19.06.2007წ.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, N3512-რს, 21.07.2010წ.
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, N3591, 17.09.2010წ.
- საქართველოს კანონი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“, N6304-IX, 25.05.2012წ.
- საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“, N639, 21.04.2017წ.
- საქართველოს კანონი „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“, N5672-რს, 20.12.2019წ.
- საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“, N177, 14.05.2012წ.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამკვიცების თაობაზე“, N71, 31.03.2010წ.

ძალადაკარგული აქტები

- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965.
- საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი, თბ., სახელგამი, 1955.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა

- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თარგ., ჭეჭელაშვილი ზურაბ, რედ. ჩაჩანიძე ეთერ, დარჯანია თორნიკე, თბ., GIZ, 2019.
- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), თარგ., ჭეჭელაშვილი ზურაბ, თბ., სიესტა, 2010.
- Civil Code of the Republic of Lithuania, VIII-1864, Adopted in 18.07.2000, <<https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/en/TAD/TAIS.245495>>.
- Law of Obligations Act of Estonia, RTI 2001, 81, 487, passed 26.09.2001, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/506112013011/consolide>>.
- Law of Property Act 1925, <<http://www.legislation.gov.uk/ukpga/Geo5/15-16/20/data.pdf>>.
- Obligations Code of the Republic of Slovenia, N001-22-117/01, adopted in 03.10.2001, <<http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/si/si044en.pdf>>.
- Spanish Civil Code, Madrid, Ministerio de Justicia, 2009, <<http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/es/es122en.pdf>>.
- The Civil Code of the Netherlands, translated by Warendorf H., Thomas R., Curry-Summer I., Alphen aan den Rijn, Walters Kluwer Law & Business, 2009.
- The Italian Civil Code and Complementary Legislation, translated by Beltramo M., Longo G.E., Merryman J.H. N.Y, Oceana Publications INC. Dobbs Ferry, 1991 / Loose Leaf edition, release 96-1, Issued May, 1996.
- Unfair Contract Terms Act 1977, <<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/50>>.
- Unfair Terms in Consumer Contracts Regulations 1999, <<http://www.legislation.gov.uk/uksi/1999/2083/made/data.pdf>>.
- Гражданский закон Латвийской республики, Часть IV, Обязательственное право, Рига, Фирма AFS, 2005.
- Гражданский кодекс Азербайджанской Республики, №779-IQ от 28.12.1999 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=30420111#sub_id=4620000>.
- Гражданский кодекс Кыргызской республики, №15 от 08.05.1996 года, <<http://cbd.minjust.gov.kg/act/view/ru-ru/4?cl=ru-ru>>.
- Гражданский кодекс Туркменистана, №294-I, от 17.07.1998 года, <<https://minjust.gov.tm/mcenter-single-ru/2>>.
- Гражданский кодекс Республики Армения, №3P-239 от 28.07.1998 года, <http://www.parliament.am/law_docs/050598HO239rus.html?lang=rus>.

- Гражданский кодекс Республики Беларусь, №218-З от 07.12.1998 года, <http://etalonline.by/?type=text®num=НК9800218#load_text_none_1>.
- Гражданский кодекс Республики Казахстан, Общая часть, №269-ХІІ от 27.12.1994 года, <http://online.zakon.kz/Document/?doc_id=1006061>.
- Гражданский кодекс Республики Молдова, №1107, от 06.06.2002 года, <<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=325085&lang=2>>.
- Гражданский кодекс Республики Таджикистан, Часть первая, №803 от 30.06.1999 года, <https://tajtrade.tj/media/3_1gr_kodeks.pdf>.
- Гражданский кодекс Республики Узбекистан, №163-І, от 21.12.1995 года, <http://fmc.uz/legisl.php?id=k_grajd>.
- Гражданский кодекс Российской Федерации, Часть первая, N51-ФЗ, от 21.10.1994 года, <<https://www.zakonrf.info/gk/ch1/>>.
- Гражданский кодекс Украины, №435-IV от 16.01.2003 года, <<https://meget.kiev.ua/kodeks/grazdanskiy-kodeks/>>.
- Гражданский кодекс Франции (Кодекс Наполеона), Code civil des Français (Code Napoléon), пер. с французского Захватаева В.Н., М., Берлин, Инфотропик Медиа, 2012.
- Гражданское уложение Германии, пер. с немецкого, 2-ое издание, научный ред. Маковский А.Л., М., Волтерс Клувер, 2006.
- Общее гражданское уложения Австрийской Республики, пер. с немецкого, под ред. Шарингера Л., Шпехта Л., М., Статут, 2013.
- Торговое уложение Германии, Закон об акционерных обществах, Закон об обществах с ограниченной ответственностью, Закон о производственных и хозяйственных кооперативах, пер. с немецкого Дубовицкая Е.А., М., Волтерс Клувер, 2005.
- Французский гражданский кодекс, пер. с французского Жуковой А.А., Пашковской Г.А., СПб, Юридический центр пресс, 2004.
- Швейцарский обязательственный закон, Федеральный закон о дополнении Швейцарского гражданского кодекса, Часть пятая: Обязательственный закон, пер. с немецкого и французского Гайдаенко Шер Н.И., Шер М., М., Берлин, Инфотропик Медиа, 2012.

საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტები

• გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ,

<<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4992306?publication=0>>.

• ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 05.11.1950.

• Committee of Ministers of the Council of Europe, Resolution Resolution (78) 3 Penal Clauses in Civil Law 1978, < <https://rm.coe.int/0900001680505599> >.

• European Union Council Directive 39/13/EEC 05.04.1993 on Unfair Terms in Consumer Contracts, “Official Journal of the European Communities”, Vol. 36, 1993, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31993L0013&from=EN>>.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

<http://civil.consultant.ru/> - КонсультантПлюс: Классика Российского Права.

<http://prg.supremecourt.ge/> - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებელი.

<https://home.heinonline.org/> - HeinOnline (online research platform).

<https://lawlibrary.info/ge/> - lawlibrary - იურიდიული ბიბლიოთეკა ერთ თაროზე.

<https://matsne.gov.ge/> - სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

<https://uncitral.un.org/> - United Nations Commission on International Trade Law.

<http://www.supremecourt.ge/> - საქართველოს უზენაესი სასამართლო.

<https://www.unidroit.org/> - International Institute of the Unification of Private Law.

www.library.court.ge - სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა.